

# სხანი შოკოლედი

მაისი 2010 №60

ფასი 5 ლარი

## ისტორიები

### კანტა ქურდაძე

ღაღიტი ბუხრიკიძე

### სონი როლინო

ქახა თოლორდავა

### მარინა ახრამოვიჩი

ჯუდიტ თერმანი

### ვასლავ ჰაველი

### კიტარ ბრუკი

ღაღიტი ბუხრიკიძე

## კომენტაჟები

### მედი (ყოფილი) შიშები

ანა არბანაშვილი

### დროებითობა vs. მუდმივობა

გივი ბულბულაძე

## ესაი

### ვენდოთ ბორხესს

ლამა ბულაძე

### სიგარეტის და სიფრთხილის დეფექტორებთან

ქეთი ქანთარია

### დაკარგული კონტექსტი

გიორგი მაისურაძე

## ბაძიო

ლევან ბერძენიშვილი

## ლიტერატურა

ღაღიტი ქარტივალიშვილი  
ნატო ინგოროშვილი  
ნიკა ჯორჯაძე  
თომას ვრენსტ კიუვი

ISSN 1512-2220



9 771512 222006

მეტი დრო  
ცხოვრებისათვის



**ჯეოსტეი**

# BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry, RIM, Research In Motion, SureType, SurePress და სხვა დაცემული საყაფო ნიშნები, სახელები და ლოგოები ნაშრომდენს Research In Motion Limited - ის სააქციონას და ხელისაწილებელიდან გამოიყენებს აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოიყენებს Research In Motion Limited - ის ლიცენზიით.



**გარეკანზე:** პაატა ქურდაძე  
**ფოტო:** მარიკა ქოჩიაშვილი

**მთავარი რედაქტორი:**  
ნინო ლომაძე

**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე  
**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე  
**კორექტორი:** ნინო საითიძე

**ნომარა მუშაობდნენ:** დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულედანი, ქეთი ქანთარია, გიორგი მაისურაძე, კახა თოლორდავა, ლაშა ბუღაძე, ნინო ბექიშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, თამარ ბაბუაძე, ანა არგანაშვილი, ნათია გულიაშვილი

**ფოტო:** ლევან ხერხეულიძე, მარიკა ქოჩიაშვილი, თემო ბარძიმაშვილი

**ილუსტრაცია:** მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

**დირექტორი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**საზოგადოებასთან ურთიერთობა:**  
ლელა შუბითიძე

**სარეკლამო გაყიდვები:** შალვა ჩუბინიძე

**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია

**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი

---

**გამომცემლობა:**  
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**სხვა გამომცემლები:** ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელები.

**სტამბა:** „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამოცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

- 8 რედაქტორის წერილი
- 10 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვები** 12 ავანგარდული მუსიკის ფესტივალი კავკასიაში **დავით ჩიხლაძე**
- 13 „ელექტრონავტი 2009“ **დავით ჩიხლაძე**
- 14 ვარსკვლავი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „სტარს“ **დავით ჩიხლაძე**
- 16 „იურაი ჰიპის“ მოულოდნელი ვოიაჟი თბილისში **დავით ჩიხლაძე**
- 18 როდესაც პოეტს სიტყვები არ ენანება **დავით ჩიხლაძე**
- 20 სამყარო ბანერებს მიღმა **დავით ჩიხლაძე**
- 20 გამოფენა „ასიანი“ **დავით ჩიხლაძე**
- აქცენტი** 22 ქართველი ცოლები ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ჩატეხილ ხიდზე **ნათია გულიაშვილი**
- კომენტარები** 24 ჩემი (ყოფილი) შიშები **ანა არგანაშვილი**
- 25 დროებითობა vs. მუდმივობა **გიგი გულედანი**
- წერილი** 26 ნევროტიკის მოგზაურობა შოკოლადის ქვეყანაში **ანა კორძაია-სამადაშვილი**
- ისტორიები** 30 პაატა ქურდაძე გამოცხადებული „ფსიქოდელიის ქრონიკა“ **დავით ბუხრიკიძე**
- 36 სონი როლინზი იმპროვიზატორი **კახა თოლორდავა**
- 42 მარინა აბრამოვიჩი გაღწევა კედელში **ჯუდიტ თერმანი ინგლისურიდან თარგმნა თამარ ბაბუაძემ**
- 48 ნაწყვეტები ვაცლავ შაველის წიგნიდან „გთხოვთ, მოკლედ“ **ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიგულაშვილმა**
- 52 პიტერ ბრუკი Moderato cantabile **დავით ბუხრიკიძე**
- ისაქართველო** 58 სექსუალურად კორექტული საზოგადოება **პაატა ქურდაძე**
- დისკუსია** 64 სიძულვილის ენა **ნინო ბექიშვილი**
- ესეი** 70 სიმართლის და სიფრთხილის დეტექტორებთან **ქეთი ქანთარია**
- 74 ვენდოთ ბორხესს **ლაშა ბუღაძე**
- საავტორო** 78 ბადიო **ლევან ბერძენიშვილი**
- 84 დაკარგული კონტექსტი **გიორგი მაისურაძე**




FINE CUT-ის გამორჩეული, სავერდოვანი გემო მოფრთხილების ღირსია.

Fine cut-ის სიგარეტი თამბაქოს შექმნის 100 წლიანი გამოცდილების შედეგია. თამბაქოს წარმოება ჩვენ სრულყოფილებამდე მიგვყავს. ჩვენ გავდივართ დიდ გზას, რათა შევძლოთ გემოს დიდი ხნით შენარჩუნება. ამ ხანგრძლივი პროცესის შედეგად წარმოგიდგენთ Reloc-ს, სპეციალურ მრავალჯერად თავსახურს, რომელსაც თქვენ Fine cut-ის ყველა კოლოფში აღმოაჩენთ. სწორედ ამიტომ გემოს დიდი ხნით შენარჩუნებისთვის დალუქეთ Reloc-ით. ყოველთვის.



საინფორმაციო დახვეწილი



*Because it's a Dunhill*

იმიტომ, რომ ეს დანჰილია

მოწევა კლავს  
მოწევა იწვევს  
ფილტვის კიბოს



აღარ მახსოვს ეს თემა რამ მოიტანა, ჩემი და ჩემი ექვსი წლის შვილის საუბრის მხოლოდ ბოლო დამამახსოვრდა. ძილის წინ ასეთი რამე მითხრა: ჩემი სამშობლო ეს დედამიწაა, იმ ადგილს, სადაც ჩემი სახლი დგას საქართველო ჰქვიაო. ბევრი რამის კითხვა მიწოდდა მაშინ, მაგრამ აღარ ჩავძიებოვარ, ძალიან ეძინებოდა. მერე დიდხანს ვცდილობდი გამეხსენებინა როდის დაინყო მან საკუთარი თავის სივრცესთან, გარემოსთან იდენტიფიცირება, მაგრამ ვერაფერი გავიხსენე. თითქოს ადრე ამგვარი არაფერი უთქვამს. ვითომ ასე, „დედამიწით“ დაინყო?

რისთვის გვჭირდება საკუთარი თავის კონკრეტულ სივრცეში გააზრება და რა მნიშვნელობა აქვს ამას მომავლის ორიენტირის განსაზღვრისთვის? შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი ნომრის მთავარი კითხვაა. გიორგი მაისურაძე ამბობს, რომ საქართველოში დღეს გეოპოლიტიკური კონტექსტის დაკარგვის პანიკური შიში იგრძნობა, რომლის გარეშეც ქართულ კულტურას არსებობა ვერ წარმოუდგენია. მისი აზრით, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერებისა და მთლიანად ქართული კულტურის გრავიტაციის ცენტრს, დღემდე ისევ რუსეთი წარმოადგენს.

1990 წლის აპრილში, როდესაც კომუნიზმის საყოველთაო ნგრევის ხანა დაიწყო, ვაცლავ ჰაველის ინიციატივით, ბრატისლავის ჰრადზე სამი ქვეყნის – ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა.

ჰრადზე შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო ვარშავის ხელშეკრულების შეწყვეტა, სამივე ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა და დასავლეთთან – ნატოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის დაწყება. „დარწმუნებული ვარ, რომ ვიშეგრადის გარეშე ვერ მივალწვედით იმას, რასაც მივალწვიეთ. ბალკანეთისა და ბალტიისპირეთის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ჩვენი გზით სიარულის და ჩვენი გამოცდილების გაზიარების საშუალება მიეცათ.“ ჰაველის მიზანი იყო ვიშეგრადის სამი ქვეყანას მკაფიო პასუხი ჰქონოდა კითხვაზე, რომელსაც მაშინ ევროპა სვამდა: როგორ მოიქცევიან ეს ახლად შობილი დემოკრატიები? ყოველი მათგანი საკუთარ გზას გაუდგება თუ სინქრონიზებულ პოლიტიკას გაატარებს?

აქვს თუ არა ევროპას დღეს იგივე კითხვა კავკასიასთან?

ქეთი ქანთარიას წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატია და ახლანდელიც – „სიმართლის და სიფრთხილის დეტექტორებთან“, სწორედ კავკასიურ დილემას ეხება. ავტორი ფიქრობს, რომ დადგადრო საქართველომ საკუთარ რეგიონში თავის როლსა და ფუნქციაზე იფიქროს.

იქნებ, სწორედ კავკასიის ლიდერის როლის დაბრუნებაა ის ბუნებრივი „კონტექსტი“, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველო ორი ათწლეულია საკუთარი გეოგრაფიული რეგიონის მიღმა ეძებს?

ნინო ლომაძე

მოგწერეთ, editor@shokoladi.ge

# სურვილების ასრულება მარტივია!



## სამომხმარებლო სესხი

- ▲ 1%-იანი ფასდაკლება სესხებზე!
- ▲ განახლებული საპროცენტო განაკვეთი და გამარტივებული პირობები

☎ 27 27 27 | 📠 \* 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



### თამარ ბაბუშიძე

ვიცი, თუ არა, სადამდე შემიძლია, შევტოპო? იქნებ, ბოლომდე? იქნებ, შემიძლია, გადავაგდო ყველა სინანული და დარდი, გადავლახო ტკივილის განცდისა და სიკვდილის შიში და ბოლომდე გავიდე, ყრუ კედელს მიღმა სინათლეში? და ეს გავაკეთო არა ერთხელ და ორჯერ, არამედ ხშირად?

გავიცანი ქალი, რომელმაც ათწლეულებია, თავი სწორედ გასვლას მიუძღვნა. ის დახელოვნდა საკუთარი თავისადმი ტკივილის მიყენებაში. ის შიშვლდება იმიტომ, რომ სურს, ამ აქტს სხვა კონტექსტი მოუძებნოს და ისევე შემოაძარცვოს საკუთარ სულს ადამიანური მიჯაჭვულობები, როგორც ტანსაცმელს იხდის.

მარინა აბრამოვიჩის ნამუშევრების გაცნობისას ხშირად სვამენ კითხვას – რა განასხვავებს ამ ყველაფერს მაზოხიზმისგან და რა აქცევს ამ გაუსაძლისი თვითგვემის რიტუალებს ხელოვნებად? მარინა აბრამოვიჩის პასუხი ასეთია – განსხვავებაა მიზანი. „მიზანი, ჩავიდინო გმირული საქციელი, სურვილი, გავაკეთო რაღაც ლეგენდარული, ისეთი, რაც მაყურებელს შეძრავს, აღმაფრენას და გამბედაობას შეჰმატებს. თუ მე შევეძელი, გამველო ტკივილის ზღვარზე, რომ განმეცადა სიცოცხლე მეორე მხარეს, ესე იგი, ეს სხვასაც შეუძლია“.

მარინა აბრამოვიჩისთვის ორი მნიშვნელოვანი თარიღი არსებობს: დაბადების და გარდაცვალების დღეები. ერთით ოფიციალურად იწყება ცხოვრების პერფორმანსი, მეორე კი – ნერტილს უსვამს მას. ახლა აბრამოვიჩი სწორედ ამ უკანასკნელი – ყველაზე იდუმალი, ყველაზე ესთეტიური, ყველაზე ფერადი და ყველაზე სევდიანი პერფორმანსის მზადებაშია. ნახეთ, როგორ შეიძლება გააღწიოს ყრუ კედელში სუსტი აღნაგობის ქალმა და ეს მოახერხოს მხოლოდ უზღვავე შინაგანი ძალით.



### ქეთი ქანთარია

29 მარტს, მოსკოვის მეტროში მომხდარმა ორმა აფეთქებამ, რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ფარული ომი კვლავ შეახსენა. ორი დღის განმავლობაში პასუხისმგებლობა ტერორისტულ აქტებზე არავის აუღია, ამიტომ რუსეთის მოქალაქეების დიდ ნაწილს, გაძლიერებული სამოქალაქო პროტესტის ფონზე, 1999 წლის (საცხოვრებელი სახლების განმარტებული აფეთქება) მძიმე ასოციაციები გაუჩნდა, თუმცა 31 მარტს მოსკოვის ტერაქტებზე პასუხისმგებლობა კავკასიის იმარატმა აიღო. უმაროვი რუსეთის მოქალაქეებს შეჰპირდა, რომ კავკასიის წინააღმდეგ გაჩაღებული ომი მალე რუსეთის ქალაქების ქუჩებში გადაინაცვლებდა. „ალიარებამ“ რუსულ სპეცსამსახურებს ნამუსი მოწმინდა. ზოგის აზრით, უმაროვი ფსბ-ზე მუშაობს. თუმცა, უკეთეს გასაღებს თავად უმაროვი იძლევა. წლების წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ის ამბობს, რომ ბესლანიც კი ხელისუფლების იდეა იყო. სწორედ მან, მუქარითა და შანტაჟით, შთანერგა იმარატის რიგებში ვინმე ხოლოვი. თუმცა, ხოლოვი გატყდა და აღიარა, რომ ფსბ-ს აგენტია. შემდეგ ის ორმაგი აგენტი გახდა. „დღეს ჩვენ მზად ვართ, რომ ბესლანის ამბების საერთაშორისო გამოძიებას დავეხმაროთ“, ამბობდა უმაროვი. იმარატის ერთი ნაწილის ქმედებები ორმაგი აგენტისას ნააგავს. ორივე მხარე თვლის, რომ კარგად მანიპულირებს ერთმანეთით. საინტერესო იქნებოდა, როგორ სურათს მიიღებდა რუსული სპეცსამსახურებისა და რადიკალური ისლამისტური ძალების თანამშრომლობის შემსწავლელი საერთაშორისო კომისია. თუმცა, ასეთ კომისიას არავინ შექმნის. ურთიერთგამოყენების ბინძურ თამაშს კავკასიაში ყოველდღე ადამიანების სიცოცხლე ეწირება. მარტში მოსკოველებმა თამაშის შედეგები საკუთარ თავზე იწვნიეს – 29 მარტს, მეტროს ორ მატარებელში ორმა დაღესტნელმა ახალგაზრდა თვითმკვლელობა ქალმა თავი აიფეთქა. აფეთქების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა.

ტერორიზმი კავკასიაში არეალს ნელ-ნელა იფართოებს: უკვე დუდაევის მიერ „მძინარე მზეთუნახავად“ წოდებულ ყაბარდო-ბალყარეთსაც მიაღწია. 2009 წლის მაისიდან 2010 წლის იანვრამდე კავკასიაში თვითმკვლელი ტერორისტების ხელით 15 ოპერაცია განხორციელდა, რომელსაც 69 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბოლო თვეების მანძილზე ჯიჰადისტებმაც დიდი დანაკლისი განიცადეს. წელს ჩეჩენი მეტროპოლი, ვაჰაბიტური ძალების ნაწილისგან მტრად გამოცხადებული ემირი მანსურიც მოკლეს, რომლის დაღუპვა, ემირის გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო, ჩეჩენების ყველაზე ზომიერმა ნაწილმაც მძიმედ განიცადა. ითვლება, რომ რადიკალური ძალები უმეტესად უწიგნური და პრიმიტიული ახალგაზრდების ხარჯზე ივსება. სინამდვილეში ჯიჰადის იდეები რუსული ტერორის გაძლიერების კვალდაკვალ ძალებს იკრებს და სასოწარკვეთილი, შურისძიებით მოტივირებული ახალგაზრდობის ინტელექტუალურ ნაწილსაც იმხრობს.

„დააბრუნეთ კავკასიაში ჩვენი გენერლები“, წერს ახლა ზოგი რუსი პოლიტოლოგი. „მათ ყველაზე უკეთ იციან კავკასია“. „მუწვის ენა დედამ იცის“.



**ექსპრეს ჯღიღიანა**

ბაიოაქტიური ჯანმრთელობაზე ზედხედვა

## ჩვენ გიპარტივებთ ექიმთან ვიზიტის პროცესს

- ✓ თქვენს სახლთან ახლოს
- ✓ სწრაფი მომსახურება
- ✓ ხელმისაწვდომი ფასი
- ✓ მოსახერხებელი სამუშაო  
საათები
- ✓ წინასწარ ჩაჯარის  
შესაძლებლობა



**აღვიღალ ხელმისაწვდომი,  
სწრაფი სამედიცინო მომსახურება**

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,  
ჭავჭავაძის გამზ. 50, ეოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;  
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

**ექსპრეს ჯღიღიანა**  
ექიმის ანისტანტი



### ავანგარდული მუსიკის ფესტივალის კავკასიაში

თბილისში ავანგარდულ კლასიკურ მუსიკას, ფართო მასშტაბით, უკვე მეორედ უკრავენ. სულ რამდენიმე წელია, ჩვენთან ასე დაგვიანებით ხდება ცნობილი ისეთი დიდი თანამედროვე კომპოზიტორების სახელები, როგორცაა კარლჰაინც შტოკჰაუზენი, იანის ქსენაკისი და ჯონ კეიჯი; მათ მიღებას კონსერვატორია უკვე ნელ-ნელა იწყებს, თორემ თანამედროვე მუსიკის მოყვარულები, თუმცაკი ერთეულები, თბილისში ადრეც იყვნენ და ახლაც არიან.

შვეიცარიულმა ორგანიზაცია „პრე-არტმა“ სწორედ თანამედროვე მუსიკის შესანიშნავი ფესტივალი გამართა თბილისში, რომელიც 2 აპრილს ერევანში გაიხსნა და სამხრეთი კავკასიის სამი სახელმწიფოს მუსიკოსები და კომპოზიტორები გააერთიანა. საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა კომპოზიტორები – ზურაბ ნადარეიშვილი, რეზო კიკნაძე და არჩილ გიორგობიანი, აზერბაიჯანიდან ჩამოსული იყო ელმირ მირზოევი, რომლის ნაწარმოებებიც ევროპისა და ამერიკის მრავალ საკონცერტო დარბაზში სრულდება, და ფირუდინ ალაჰვერდი, რომელიც წინა „პრე-არტის“ კონკურსის გამარჯვებულია, და თვით კარლჰაინც შტოკჰაუზენთან გადიოდა მასტერ-კლასს.

კომპოზიტორებს დავალება მიეცათ, გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ჰოლდერლინის პოემის „მშვიდობის ზეიმის“ ტექსტზე შეექმნათ ნაწარმოებები, რაც საბოლოოდ ერთ საერთო სიმფონიად შესრულდა 9 აპრილს საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და ანსამბლ „ეკვატორის“ მიერ ფესტივალის დამაგვირგვინებელ კონცერტზე თბილისში. ორი საუკუნის წინანდელ ამ პოემაში გერმანელი პოეტი მოგვითხრობს ხილვაზე, სადაც ადამიანური და ღვთაებრივი ჰარმონიულად ერთიანდება, და საერთო თავისუფლებისა და ურთიერთპატივისცემის ზეიმად გადაიქცევა.

ორგანიზაცია „პრე-არტი“, ათი წელია, ასორციელებს სხვადასხვა შემოქმედებით პროგრამას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში. 4 წლის წინ კი დასაბამი მიეცა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ყოველწლიურ კონკურსს. 5 აპრილს თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრში სწორედ წინა კონკურსებზე გამარჯვებული ნაწარმოებები წარმოადგინეს.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო „პრე-არტის“ ახალგაზრდა კომპოზიტორთა სემინარიც, რომელსაც შვეიცარიელი კომპოზიტორი შტიფან ვირთი ხელმძღვანელობდა. სემინარზე სამხრეთი კავკასიის ქვეყნებიდან 2-2 ახალგაზრდა კომპოზიტორი იყო წარდგენილი, საქართველოდან – არჩილ გიორგობიანი და ნიკა ნიკვაშვილი.

9 აპრილის დამაგვირგვინებელი კონცერტი მაყურებელს უდავოდ დიდხანს დაამახსოვრდება, სილივა ნოპერის (სოპრანო), მათიას არტერის (ჰობოი), ტობიას მოსტერის (ვიოლონჩელო), არტურ ავანესოვის (ფორტეპიანო) და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის შესანიშნავი შესრულებით, რომელსაც რუბენ ასატრიანი დირიჟორობდა.

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
 ფოტო: ანუა კალანდარიშვილი



„ელექტრონავტი 2009“

სპონსორების ძეხვის მიზეზით მცირე გადავადების შემდეგ, 16 აპრილს კლუბში G.U.R.U. მოეწყო ინოვაციური ქართული მუსიკის რიგით მესამე ცერემონიალი „ელექტრონავტი 2009“. ეს ფესტივალი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ მუსიკოსმა სერგი გვარჯალაძემ დააარსა, მიზნად ისახავს ქართული ელექტრონული მუსიკის ხელშეწყობასა და ახალგაზრდა მუსიკოსთა წახალისებას. წელს 9 ნომინაციაში 60 კონკურსანტი იყო წარდგენილი, რომელთაგან საუკეთესო დიჯეი უნდა გამოვლენილიყო. წელს ახალი ნომინაციაც გაჩნდა – „საუკეთესო ქართული ტრეკი“, ხოლო შედეგებს ინტერნეტ გამოკითხვა და საერთაშორისო ყოიური წყვეტდა. დაჯილდოების ცერემონიაზე, ცოტა განელილი შუაღლეების მიუხედავად, მაყურებელი მოთმინებით ელოდებოდა მათთვის საყვარელი მუსიკოსების გამოჩენას. დაახლოებით 2 საათის განმავლობაში, სცენაზე თითო ნაწარმოებით გამოვიდნენ: ირაკლი შონია, კოკა ნიკოლაძე, Nikakoi და სთია, Jorjick, Greenbeam&Leon (გასული წლის ელექტრონავტი) და Kung Fu Junkie. სწორედ კონცერტის შუა ნაწილში წარდგენილმა Greenbeam&Leon-მა საკუთარი ახალი პროექტით Autumn Tree შესანიშნავი განწყობა შეუქმნა ამ საღამოს საუკეთესო პერფორმანსს, რომელიც კუნფუ ჯანკის ეკუთვნოდა მისთვის დამახასიათებელი ელექტრონიკული ფრიკ-მასკარადით. ზომბს ხელთ ეყურა მისი საყვარელი სათამაშო, ტელელიპუცა, ხან კი მწვანე ფერის სათამაშო ჩასაბერ კლარნეტზე შესანიშნავად ასრულებდა სოლოს. ალბათ „ელექტრონავტს“ ფრიკების ნომინაციაც დასჭირდება, რომელთა რიგებსაც სწორედ ზომბი და გრინჩი შეავსებდა, ენაგადმოგებულ პერვერსიული დეგენერატი ჰიტლერისა და კონცერტზე ჩო-ჩო დანსერების ადგილზე სრულიად მოულოდნელად გამოყვანილი შავებში გამოწყობილი ქართველი კუნფუისტების იმიჯებით. კუნფუ ჯანკის ლო-ფი, რაც კრაფტვერკის ფრივოლური ვერსიიდან თუ დანს-პანკის წიალიდანაც საზრდოობს, შეიძლება ამ ფესტივალის ერთ დასაშვებ კრიტიკულ ალტერნატივადაც განვიხილოთ. ელექტრონული მუსიკა მხოლოდ საცეკვაო დარბაზთან ან კლუბთან არ არის გაიგივებული. მის შორეულ თუ ახლო სათავეებთან პირველ რიგში საუკეთესო ინოვაციური კომპოზიტორები და პერფორმერები დგანან – ვლადიმირ უსაჩევსკი, კრაფტვერკი, კარლჰაინც შტოკაჰაუზენი, ჯონ კეიჯი, ბრანს ენო და სერგეი კუროიხინი. შეიძლება ამიტომაც დაკონკრეტდა ფესტივალის სახელწოდება, როგორც ინოვაციური და არა მხოლოდ ელექტრონული მუსიკის ფესტივალი.

რაც შეეხება გამარჯვებულებს, მხარდამჭერი კომპანიის ნომინაცია აიღო „მარლბორომ“, საუკეთესო რადიო გადაცემად Elektronika (Guru Fm) დასახელდა, საუკეთესო ლეიბლად Minibus აღიარეს, საუკეთესო ქართველ პრომოუტერად Louder Events გამოცხადდა, საუკეთესო ივენთად მიიჩნეს Djuma Soundsystem, Future Funk Squad&MC Mojo „პავილიონში“, საუკეთესო ვენიუს ნომინაციაში „გურუ კლუბი“ იქნა არჩეული, საუკეთესო ქართველი დიჯეის ნომინაცია წილად ხვდა დიჯეი ლადოს, საუკეთესო ტრეკის პრიზი ტუსია ბერიძეს მიაკუთვნეს, ხოლო წლის ელექტრონავტად აირჩიეს სწორედ დიჯეი ლადო. თავიდან სპონსორების ძეხნაზე საუბრით დაივწყეთ და უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალის პარტნიორები იყვნენ: სტრომბოლი, Music Box, ჰამაკი, Gorbi, myvideo.ge, translate.ge, komuna.ge, Apple, AM!Media, Georgian events, ტელეკომპანია „იმედი“, ჟურნალები „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი“, G.U.R.U. კლუბი და თბილისის მერია.

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
 ფოტო: ირინა ხუციშვილი



**ვარსკვლავი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „სტარს“**

10 აპრილს ვაკის პარკში, კლუბში „33ა“ პოპულარული სიმღერა „ვარსკვლავების“ ავტორის, სალომე კორკოტაშვილის კონცერტი ჩატარდა. როგორც ჩანს, ეს უფრო „პრეზენტის“ ტიპის გამოსვლა იყო, რადგან არც აფიშები მინახავს სადმე, და შესვლაც უფასო აღმოჩნდა, ხოლო სტუმრების უმეტესობა დაპატიჟებული იყო. მე ეს მომღერალი არ ვიცოდი, მისი სახელი არავისგან მსმენია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირი შეხება მაქვს ქართული როკის თუ პოპის ინფრასტრუქტურის სხვადასხვა წამყვან ფიგურებთან. ამიტომაც აღმოჩნდა ეს ჩემთვის კარგი მოულოდნელობა – ალბათ გაზაფხულის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ბენდი ნათელ, ოპტიმისტურ და ლირიკულ განწყობას გვთავაზობდა. სალომე კორკოტაშვილმა ამას თავისი მეგობრული განწყობაც მიამატა, ოღონდ ეს სულაც არ გულისხმობდა ქართული კულტურისათვის ასე მოსაბეზრებელ უხემ გამინაურებას – პირიქით, ეს იყო მოკრძალებული და ლირიკული ფესტი, რაც თითქოს ასე გვაკლია.

ქართულ კულტურას ყველაზე მეტად ლირიკულობა აკლია. არადა, ვფიქრობ, სწორედ ლირიკულობამ და უშუალოდ შეიძლება გაავლოს ის უხილავი ზღვარი, რაც კულტურას და ხელოვნებას ოდნავ გამიჯნავს ყოველდღიური ყოფისგან. სალომე კორკოტაშვილი ალბათ ყველაზე საუკეთესოა, რაც დღეს ქართულ პოპ-სცენაზე არსებობს. მის მუსიკას სწორედ ის ნათელი ნიშნები ახასიათებს, რაც – საუკეთესო და დღეს უკვე ჟანრად ქცეულ მეინსტრიმულ ინდი როკს. ან შეიძლება უფრო ზუსტი განსაზღვრება იყოს ე.წ თვი-პოპი (Twee-pop), რადგან აქ ქალია სოლისტი, რომელიც იოლ და დასამახსოვრებელ მელოდიას მღერის, გიტარები მკვეთრი და ხმაურიანი ჟღერადობით, კლავიშების ფსიქოდელიური ნერვიული სიღრმით შორეულ პოსტ-პანკურ სანყისებს შეგვახსენებენ, და ეს ყველაფერი უმანკოების იმ ლამაზ და ბავშვურ ტრადიციაში ექცევა, რასაც ბავშვობაში დაბრუნების ამბოხის სახელით მოიხსენიებენ ხოლმე (შეიძლება ამიტომაც ეჭირა სცენასთან მდგომ ერთ მაყურებელ გოგონას თვითის მსგავსი სათამაშო ხელში). და ამ ყველაფერს შესანიშნავი ბენდი აკეთებს სალომესთან ერთად: გიორგი გობჯიშვილი ბასზე, სანდრო სამხარაძე დრამზე, ლევან სვანიშვილი და ზვიად ნაზლაიძე გიტარებზე და გირშელ ჯავახიშვილი კლავიშზე, სხვა შესანიშნავ მონვეულ მუსიკოსებთან ერთად.

სალომე კორკოტაშვილის სიმღერებში ხშირად ისმოდა, – „მე ვარსკვლავი ვარ“, – და ამ სასცენო ხაზგასმას ის თბილი ირონია ახლდა, რომ ეს მომღერალი არა მხოლოდ როკის მაჩოიზმის ან ადრეული პანკის ამბოხებული ქალების, ანდა ნებისმიერ იდეალიზებული და უტოპიური კომერციალიზმის გაუქმებას იწყებს საქართველოში, არამედ მართლაც „სტარია“ – ანუ ვარსკვლავი, ისეთი, რომელიც მხოლოდ საკუთარი ნიჭის და გულწრფელობის წყალობით შეიქმნა....

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
 ფოტო: შოთა ბოჭორიშვილი



ბიონსე

მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო დისკები





**„იურაი შიპის“ მოულოდნელი ვოიაჟი თბილისში**

19 მარტს „ლოკომოტივ პრომოუშენის“ გაბედული მოწვევით, თბილისს ჰარდ-როკის ინგლისური ლეგენდა „იურაი შიპი“ ეწვია. თავის დროზე ჯერ კიდევ ანსამბლი „ივერია“ და ნუგზარ კვაშალი ასრულებდნენ ამ მელოდიური და დრამატული როკის ბენდის ყველაზე ცნობილ ჰიტს „ჯული მორნინგ“ (ივლისის დილა), ამჯერად კი იმავე სცენაზე სწორედ „იურაი შიპი“ ელოდებოდა მაშინდელ მსმენელს, რომელიც, გარკვეულწილად, უკვე მათსავით ძველი ნოსტალგიით ცხოვრობს. მაგრამ დარბაზში მსმენელის აქტიური ნაწილი, რომელმაც წინ, სცენასთან მოიყარა თავი, სწორედ ახალგაზრდობა გახლდათ, ის თაობა, რომლისთვისაც დღეს ძალზე მნიშვნელოვანია როკის ნამდვილ დასავლურ კულტურასთან შეხება.

ბენდი, რომელიც, უკვე 40 წელია, არსებობს და 30 მილიონი დისკი აქვს გაყიდული, თბილისის კონცერტზე ე.წ გამხურებლების გარეშე გამოვიდა, ჩვენში ასეთი ინდუსტრიის არარსებობის გამო; და ამან მათ შოუს მნიშვნელოვანი ენერჯია მოაკლო. მუსიკოსები ფილარმონიის როკ-კონცერტისთვის შეუფერებელ დარბაზში ატარებდნენ კონცერტს, სადაც მყურებელი სავარძლებზე იყო მიჯაჭვული და, მიუხედავად ნანატრის ასრულებისა და აღფრთოვანებისა, ტაშსაც კი ძლივს უკრავდა. ჰოდა, ერთხელაც, როცა ტაში უკვე თითქმის ველარ დაუკრეს, რაღაც უცნაური რელაქსაციისა თუ მოდუნების გამო, ჯგუფმა სცენა დატოვა. და ნამდვილი შოუც სწორედ მაშინ დაიწყო – მყურებელი ფეხზე წამოდგა, მთელი ძალით მოუხმობდა მუსიკოსებს სცენაზე და, როდესაც ბენდი დაბრუნდა, კონცერტი უკვე ისეთ ტემპრსა და ვიბრაციაში გაგრძელდა, რის გარეშეც, ეს ყველაფერი გამოუსწორებლად ნაკლული იქნებოდა.

როგორც ასეთ დიდ კონცერტებს ახასიათებს, მყურებელი მხოლოდ დასრულებისას ხვდება, რომ რაღაც ზეადამიანურთან ჰქონდა საქმე. ამჯერადაც ასე მოხდა და გარეთ გამოსული ვერავინ დაადგენდა, ენერჯისგან დაიცალა თუ აივსო, რაც ალბათ ყველას უღირდა ბილეთის საფასურად – 150 ლარად.

„იურაი შიპის“ ორიგინალური შემადგენლობიდან ჯგუფში მხოლოდ ერთი წევრია დარჩენილი – გიტარისტი მიკ ბოქსი.

„ლოკომოტივ პრომოუშენს“, რომელიც 2 წლის დაარსებულია, და უკვე არაერთი საყურადღებო საქმიანობით უწევს როკ-მუსიკას პოპულარიზაციას, გადამწყვეტილი აქვს კონცერტის ჩანაწერით გამოსცეს ალბომი „ლაივ ინ თბილისი“.

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ირინა ხუციშვილი

# სამართლის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი



i n h o c s i g n o v i n c e s



- სახელმწიფო მმართველობის სკოლა
- ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

## ღია ხარის დღე

ყოველ შაბათს, 12 ივნისის ჩათვლით  
14.00 საათი, ბროსუს 6

**GIPA CLUB**

თბილისი 0108, მარი ბროსუს №2  
ტელ: /+995 32/ 93 14 66, 93 43 46  
ფაქსი: /+995 32/ 93 14 66  
[www.gipa.edu.ge](http://www.gipa.edu.ge)



### როდესაც პოეტს სიტყვები არ ენანება

12 აპრილს არტ კაფე „ქარავანში“ პოეტ შოთა იათაშვილის ახალი წიგნის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც მის კრიტიკულ წერილებსა და ესეებს უყრის თავს და რომელიც გამომცემლობა „საუნჯემ“ დასტამბა. ნამდვილად მადლობის და აღნიშვნის ღირსია ყველა ის გამომცემელი, ვინც დღეს პოეზიას და კრიტიკას, ამ ყველაზე არაკონვერტირებად ლიტერატურას ხელს მოჰკიდებს გამოსაცემად. პოეზიას გამომცემლობა „სიესტა“ მაინც პატრონობს, კრიტიკული ჟანრის წიგნი კი საერთოდ დიდი ხნის ამოღებული იყო სათვალავიდან. არადა, რა კარგია, როდესაც პოეტი საკუთარი კოლეგებისა და წინამორბედების შემოქმედების გააზრებისათვის იცლის და მათ ღირსეულ და შეიძლება ჯერ კიდევ კარგად ვერ შემჩნეულ ადგილს გამოკვეთს. წიგნსაც ასე ეწოდება „დალაგება“. შოთა იათაშვილს მართლაც ჩინებული ესეისტიკა აქვს, რომლის მეშვეობითაც უახლესი ქართული ლიტერატურის მთელი ქრონოლოგიური რუკა იხატება. ის 1996 წლიდან ინტენსიურად მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ყველა საყურადღებო მოვლენას. ხშირად ხდება, რომ რაიმე ფასეული აკადემიას გამორჩევა ხოლმე, და ისევე პოეტის ან პროზაიკოსი ესეისტიკის წყალობით გადარჩება.

შოთა იათაშვილი მრავალი პოეტური და პროზაული წიგნის ავტორია, ხოლო წერილების ეს პირველი წიგნი, როგორც ავტორმა პირად საუბარში აღნიშნა, შეიძლება მისთვის ყველაზე ძვირფასიც იყოს. წიგნის გარეკანი შესანიშნავად გააფორმა ფოტოგრაფმა გურამ ნიბახაშვილმა. მაგრამ ფოტოგრაფებს თავად კრიტიკული წერილებიც შეიძლება შევადაროთ, რომლებიც ლიტერატურულ გარემოს და მასში მიმდინარე პროცესებს შემოგვინახავენ. შოთა იათაშვილს კი სწორედ ასეთი ასახვის და დანახვის შესანიშნავი ნიჭი აღმოაჩნდა და სასიამოვნოა, რომ ამ ყველაფერს უკვე ერთ წიგნად მოეყარა თავი.

წიგნის გარეკანზე, გურამ ნიბახაშვილის ფოტოზე, ტერორისტების მიერ დანგრეული საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ალუზიაა მოცემული, სადაც ორ სვეტადაა დალაგებული წიგნები, ხოლო ყდის უკანა მხარეს ქალაქის ორი თვითმფრინავი მოფრინავს. თანამედროვე ლიტერატურის ისტორიის შესაძლებელი დალაგებაც სწორედ ასეთი ცოდნის ცათამბჯენების აღდგენაა, რომლებსაც, თუ არა მონადინებული მწერალი, დიდხანს ნანგრევებად უწერიათ არსებობა.

წიგნი კარგად იკითხება და შოთა იათაშვილი მრავალ ლიტერატურულ მოვლენასა და პრობლემატიკას, ახალი თუ უახლესი ისტორიის თითქმის ყველა საყურადღებო საკითხს განიხილავს. როგორც ღია სტუ-რუამ იმ საღამოს თქვა, – „შოთა იათაშვილს კოლეგებისთვის სიტყვები ნამდვილად არ ენანება“.

# სპილეთ რთმ გუგად მთგვეჩვენოს...

- სწრაფად დაღლა
- მოგატაბული ნერვული აგზნებაღოზა
- ძილის დარღვევა
- კუნთების ტკივილი და სვაზმი
- სტრესისადმი მიდრეკილეზა

ამ სიმვტომაების ყველაზა ზშირი მიზაზია ძრონიკული სტრესი, როგელსაც მივყავართ ორგანიზმი მაგნიუმის დეფიციტადე. მაგნე B6 - მაგნიუმისა და B6 ვიტამინის ოვტიმალური კომბინაცია, როგელსაც შეუძლია არა მარტო აღმოყზვრას ძრონიკული სტრესის სიმვტომაზი, არამედ მოგავალში შეამციროს მისი წარმოქმნის რისკი.

## მაგნე B6

სიმვვიდის ფორმულა



სამყარო ბანერებს მიღმა

გია ბულაძე ისევ ინარჩუნებს შეხედულებას, რომ ხელოვნება მეტია ვიდრე ლოზუნგი, თუნდაც – რაფინირებული და კონცეპტუალური. 26 მარტს თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდ გალერეაში მხატვრის მასშტაბური გამოფენა გაიხსნა, რომელიც, როგორც ყოველთვის, არა უბრალოდ მისი შემოქმედების დროის ერთი მონაკვეთის მორიგი კოლექციაა, არამედ კვლავ რაღაც ახალ მითოლოგიას გვთავაზობს. ფაქტობრივად, გია ბულაძე ასეთი გამოფენებით წიგნებს უფრო ქმნის, რასაც, დანახვის გარდა, წაკითხვაც სჭირდება. მაგრამ მისი გამოფენები სულაც არ სცოდავენ მხატვრობისთვის ასე საჩოთიოო ლიტერატურულობით და მხოლოდ კონცეპტუალურ კარნავალურობაზე მიგვანიშნებენ. არტისტიც სწორედ სახისა და ცნების, კონკრეტულისა და ზოგადის ერთობლიობაზე მიუთითებს.

ALC IXH XAN – „გავაკეთე ის, რაც შემეძლო“, ვან ეიკის ეს ლათინური ფრაზა გამოიტანა გია ბულაძემ გამოფენის თუ პროგრამის სათაურად, რომელიც 2 ვიდეოეკრანი, სწორედ რომ წიგნის გვერდების გადაფურცვლის სტრუქტურით გვათვალისწინებს სურათებს და სამ სერიად დაყოფილ შერეულ ტექნიკით შესრულებული დიდი მოცულობის ტილოებისგან და პლოტერის პრინტებისგან შედგება. გამოფენის დასაწყისში (თუ წიგნის პრინციპიდან გამოვალთ, გია ბულაძის გამოფენებს სწორედ დასაწყისი და დასასრული აქვთ) მუშაობს კარის მეტაფორა, ან უფრო საკეტის ჭურჭრუტანის, საიდანაც თითქოს სულ სხვა რეალობის, სხვა ისტორიების დანახვა შესაძლებელი. თითქოს ჩვენ რაღაც სხვა პლანზე ვართ და იქიდან ვუშუბრთ გაუცხოებულ და იდუმალ, ყოველდღიურ, საოჯახო ცხოვრების სცენებს. შემდეგ კი გამოფენა მართლაც სულ სხვა ალტერნატიული ვიზუალით ვითარდება, პერსონაჟები უფრო მითოლოგიზებული ხდება, და ისტორიაც ხომ ნახევრად მითებისაგან შედგება. აქ სწორედ ეს ისტორიული სახეებია, რომლებიც პრინტსა და ფუნჯს შორის გარდამავალ საზღვარზე დარჩენილან. თითქოს ცხადად ჩანს, არა აპათიის, არამედ გამორული ესკაპისტური სურვილი – გია ბულაძე იდეალიზებული რეალობით საზრდოობს და არად დაგიდევს, ეცინება და თანაგრძნობით ეკიდება ყველაფერ იმას, რაც აქვე არსებულ და დავინწყებულ, ამაღლებულ სამყაროს ბანერებისა და აბრების სახით მყარ საბურველად გადაჰკვრია.



ფოტო: თინათინ ბარძიმაშვილი

გამოფენა „ასიანი“

სულ ახლახან ბარათაშვილის ხიდთან ახლოს, სანაპიროზე, კორტების გადაღმა დაარსდა ახალი გალერეა – „გალა“. აპრილში კი მისმა მფლობელმა დედიკა ბულიამ ერთი საყურადღებო არჩევანი შემოგვთავაზა – თანამედროვე ხელოვნებაში მომუშავე ფერმწერის უშანგი ხუმარაშვილის პერსონალური გამოფენა. ეს არის ლიონკოსი ავანგარდისტი, რომელიც მიმდინარეობებს არაფრად აგდებს და ქმნის მაღალ ფერწერულ ხელოვნებას. 70-იანი წლებიდან დღემდე საკუთარი ექსპრესიული პერფორმანსებით და მორიდებული კონცეპტუალური გააზრებით უშანგი ხუმარაშვილი ერთ-ერთია, ვინც თანამედროვე ქართული ხელოვნების მთავარ მაგისტრალს ქმნიდა.

გალერისტმა დედიკა ბულიამ მხატვრის შესანიშნავად აწყობილი ექსპოზიცია წარმოგვიდგინა. გალერეაში ქალაქში შესრულებული ნამუშევრების აბსტრაქციონისტული სერიებია გამოფენილი, რომლებშიც თითქოს დიზაინი უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა ექსპრესიული მონასმებით აქ რაღაც ხმაურიანი ისტორიებიც იგულისხმება.

გამოფენას სახელად „ასიანი“ ჰქვია და ძალზე ტრივიალურად, ჩვენი დროისთვის კი მისაღები მერკანტილურობით იმას გულისხმობს, რომ აქ ყველა ნამუშევარს ერთი ფასი აქვს და 100 დოლარი ღირს.

ამ გამოფენით დამთვალეირებელს საშუალება მიეცა კიდევ ერთხელ დაენახა უშანგი ხუმარაშვილი, რომელიც ამგვარად ქმნიდა ახალი დროის მგრძობელობას და მხატვრის დღევანდელ მისწრაფებებთან კავშირებსაც უფრო თვალნათლივ წარმოისახავს.



ფოტო: ანა მიტალე

# ვესტელის ეკონომიუხი გმიხი ECOWASH

ბაზრავს

**10** წუთი  
წაქვებ  
წყალს

ვითქვ ხელით იკვებვის გიხს



ეს ვესტელის შუაგული საკონსტრუქციო გუნდის ECOWASH-ის, რომელიც  
ზარბაზს წაქვს ღირებულებასა და საკვავს 10 წუთი წუთი  
გაკვას წაქვს ვითქვ ხელით იკვებვის გარდა ვითქვ, თქვენ  
ხელისაღივთ რაბოტივით ზრდა და თქვენ კონსტრუქციით  
აღს-აღსავ. შუაგული საკონსტრუქციო გუნდის ECOWASH-ის რეზილენციას  
თქვენს წაქვს და ბილბარდინგისა. ის ნაქვითვს  
წარბილდებს თქვენს ბარს და თქვენს ბიზნესის გუნდისა.

ზონა 60x60 სმ

საკონსტრუქციო გუნდი

**ვესტელი**

მეგობრული ტექნოლოგიები

**VESTEL**

friendly technology

# ქართველი სოლავი ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ჩატახილ ხიდზე

ავტორი: ნათია ბულიაშვილი

2008 წლის შემოდგომაზე, აგვისტოს ომიდან სამიოდე თვის შემდეგ, საქართველოში ჩამოსული რუსი ჟურნალისტი და დოკუმენტალისტი იგორ ობოლენსკი, ერთ-ერთ ვახშამზე საქართველოს პატრიარქს ხვდება და მისგან ასეთ სიტყვებს ისმენს: თქვენ ერთ-ერთი ჩაუტეხელი ხიდი ხართ ჩვენს შორის და ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა კვლავ აღდგეს“.

ობოლენსკიმ, როგორც თვითონ ამბობს, ამ „საპასუხისმგებლო მისიის“ შესრულება ნიგნის დანერით გადაწყვიტა. „სილამაზის ბედი. ქართველ ცოლთა ისტორიები“ – ეს არის დოკუმენტური ბიოგრაფიის



ჟანრში გადმოცემული 35 ქალის ამბავი, რომლებსაც იგორ ობოლენსკი წლების მანძილზე აგროვებდა, საარქივო მასალებს კი თავისი პერსონაჟების შთამომავლებთან შეხვედრებითა და ნაამბობით ამდიდრებდა.

35 ქალბატონის ბიოგრაფიას შორის, მკითხველი ისეთ ცნობილ სახელებსაც აღმოაჩენს, როგორც მერი შარვაშიძე ან ნინო ჭავჭავაძეა, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა შედარებით უცნობ ქალთა ისტორიები. მაგალითად, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის საყვარლის ბარბარა თურქესტანიშვილის ამბავი და ბაბო დადიანის ისტორია, რომელიც ოჯახთან ერთად 1921 წელს ჯერ კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც დააკავეს და უკან, საქართველოში გამოუშვეს, ბერიას დროს კი, ქმარი დაუხვრიტეს და თვითონ ყაზახეთში გადაასახლეს.

ავტორის თქმით, ნიგნში მნიშვნელოვანია XX საუკუნის 20-იანი წლების ისტორიები, რამდენადაც საქართველო 21 წლის შემდეგ ფაქტობრივად სხვა ქვეყნად იქცა, მისი პერსონაჟი ქალბატონებისთვის კი ცხოვრება ამ პერიოდში ძალიან გართულდა. ბევრი მათგანი ევროპაში წავიდა, სადაც დიდებული სასახლეები ერთ ოთახად ექცათ. თუმცა, ობოლენსკის თქმით, საფრანგეთისთვის, სადაც იმ პერიოდში მოდის სახლები ერთმანეთის მიყოლებით

იხსნებოდა, მათი ჩასვლა დიდი საჩუქარი აღმოჩნდა.

„მაშინ გამოჩნდა კოკო შანელი. საფრანგეთს სჭირდებოდა ბევრი ლამაზი ქალი და სწორედ ამ დროს ჩავიდნენ იქ მელიტა ჩოლოყაშვილი, მერი შარვაშიძე, ლილია ზელენსკაია, მარიამ ჭყონია. ეს ქალბატონები ფაქტობრივად გემებიდან პირდაპირ პოდიუმზე მოხვდნენ. თუმცა დღეს მათი შვილიშვილები მიყვებიან, რომ მათ ბებოებს რომ ფული ჰქონოდათ, რა თქმა უნდა, პოდიუმზე არაფრით გავიდოდნენ“.

„ქართველ ცოლთა ისტორიების“ პრეზენტაცია 27 მარტს ლიტერატურის მუზეუმში მოეწყო და იქვე გამოიფინა მუზეუმში დაცული ქართველი ქალბატონების პორტრეტები, პირადი ნივთები და წერილებიც.

ფილოსოფოს ლელა გაფრინდაშვილის თქმით, ნიგნში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ქართველი ქალების მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი, რადგან ისინი მხოლოდ მაღალ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. „ეს სულაც არ გამოირიცხავს მათ გარკვეულ შენატანს ქართულ კულტურაში, თუმცა უფრო დაბალ ფენებში იყვნენ გაცილებით აქტიური ქალები, მათ ბიოგრაფიებს კი ჯერაც მტვერი ადევს“, – ამბობს გაფრინდაშვილი.

გამოფენამ შესაძლოა მტვრის გადანმენდის პროცესი დააჩქაროს.

რაც შეეხება იგორ ობოლენსკის მისიასა და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების აღდგენას, ობოლენსკი ამბობს, რომ ნიგნის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მას ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ურეკავდნენ და ნიგნის შესახებ ცრემლმორეული ხმით აღფრთოვანებას გამოხატავდნენ. რამდენად გასცდება ყბადაღებული კულტურული ურთიერთობების ნოსტალგია ქართველი ინტელიგენციის ფარგლებს – ეს კითხვა ამ ნიგნის გამოცემის შემდეგაც ლიად დარჩება, თუმცა ეს ამ გამოცემის დოკუმენტურ ღირებულებას არ აკნინებს.



T: (995 32) 99 79 21



# ჩემი (ყოფილი) შიშები

ავტორი: ანა არხანაშვილი

გონებაში რამდენიმე კადრი მაქვს – საშინელებების ფილმივით – რომლის გაფიქრებაც მთრგუნავს:

– ძალიან დამრეც კიბეზე ჩავდივარ, ფეხი მეტლანდება, წონასწორობას ვკარგავ, ვგორდები.

– უმუშევრად ვრჩები და გარე ვაჭრობას ვინყებ, ხელში მწვანელი მიჭირავს, ან პარკები: – „თეიმუროვის მაზი, ოფლის მალამო“.

– დედაჩემი კვდება და ვხვდები, რომ რაღაცების თქმა ვერ მოვასწარი.

ეს კადრები ჯერ არ მომხდარა, მაგრამ თუ ოდესმე მოხდება – ძალიან დავიბნევი. დიდი ხანია, მე ეს შიშები გამოვამწყვდიე ტვინის რომელიღაც ხვეულში და ვცდილობ, არ გამასხენდეს. დღის განმავლობაში მე განწონასწორებული და მშვიდი ვარ. ვიცი, როგორ ვმართო ინტონაცია, პოზა, მეტყველება და მოძრაობა. ვიცი, როგორ უნდა დავინტერესდე მოსაწყენი ამბებით და თავი ვუქნიო მოსაუბრეს. ვიცი, როდის გავანყვეტინო, ზრდილობიანად დავემშვიდობო და თავდაჯერებულად გავიარო.

როდესაც უმადლეს სასწავლებელში ჩავაბარე, პირველ ლექციებზე განსაკუთრებით ყურადღებით ვუსმენდი გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებს. ჩემსას ვადარებდი და მსგავსებებს ვეძებდი. უფრო ადრე – თანატოლებისგან განსხვავებულობის მცდელობა. კიდევ უფრო ადრე, ჩანელებული თბილისი და სიბნელეში დედაჩემის ხმა: „ჩვენ ასეთი უბედური დრო შეგვხვდა და ვერაფერს მივალწიეთ, იქნებ შენ მაინც შეძლო და გააკეთო რამე“ – ჩემს თავში ფიქრი: „მე აუცილებლად მივალწევ რამეს, რამდენმა გამოჩენილმა ადამიანმა დაიწყო არაფრისგან“. მე იმ მომენტში მქონდა წარმატებულ ადამიანად გახდომის შესანიშნავი შანსი ანუ – მქონდა არაფერი.

ისე, რომ დავფიქრდეთ, მაინც რამდენმა ადამიანმა დაიწყო არაფრისგან? უფრო მეტმა არაფრისგან ვერაფერიც ვერ დაიწყო და იქვე დაასრულა. შეიძლება იმიტომ, რომ „შუქი“ დიდი ხანი არ მოვიდა და ხელი ჩაიქნია – მეც უბედურ დროს დავიბადეო. ან იმიტომ, რომ შუქი არ მოვიდა, ლიფტის კაბელი გადაჭრა და მეზობლის ხაზზე „დაჯდა“. იმის მერე იქ ზის, რადგან თუ ადგება „რაიმეს გასაკეთებლად“ შეეშინდება, რომ ამ „ხაზზე“ ველარ და-

ჯდება. შეიძლება იმიტომაც, რომ შუქი მოვიდა, მაგრამ მას ისე გაუხარდა, რომ სხვა ვერაფრის გაკეთება ველარ შეძლო და უხაროდა, სანამ ისევ წავიდოდა, რომ შემდეგ მოსვლას დალოდებოდა.

იყო ღამეები, როდესაც შუქი არ იყო, ჩვენი ზედა მეზობელი ისტერიულად იწყებდა პიანინოზე ქართული პოპურის დაკვრას. მეზობლები ანთებდნენ გამურულ შუქის ფეხს და ზედ აცხობდნენ ლობიანებს. მერე ერთად ჭამდნენ და უყურებდნენ აკუმულატორზე შეერთებულ ტელევიზორს. ეზოში პოლიტიკაზე კამათობდნენ. მე და დედა სიბნელეში ვისხედით და სანთელს არ ვანთებდით, იმიტომ, რომ ერთმანეთს ისედაც ვხედავდით (წარმოსახვით) და იშვიათად ვლაპარაკობდით. მერე, მე ვისწავლე არ დავლოდებოდი შუქის მოსვლას.

ამას წინათ მეგობარი მეკითხება: რატომ აგროვებდა ეგნატე წინაშე მთელი დღე შეშას და ღამე წერდა? არ ჯობდა დღე ეწერა და ღამე დაეძინა?

არ ვიცი, რატომ აგროვებდა ეგნატე წინაშე მთელი დღე შეშას. შეიძლება იმიტომ, რომ არ უნდოდა, რომ დღეზე დამოკიდებული ყოფილიყო, როგორც მე – შუქის მოსვლაზე.

მე არ მინდა, ჩემი შვილი იყოს აწმყოზე დამოკიდებული და დაელოდოს მის შეცვლას „რამის გასაკეთებლად“. არც ის მინდა, ისტერიულად ელოდოს „შუქის მოსვლას“, მარტო სიბნელეში ყოფნის შეეშინდეს და კოლექტიური ლობიანის

**მე არ მინდა, ჩემი შვილი იყოს აწმყოზე დამოკიდებული და დაელოდოს მის შეცვლას „რამის გასაკეთებლად“. არც ის მინდა, ისტერიულად ელოდოს „შუქის მოსვლას“, მარტო სიბნელეში ყოფნის შეეშინდეს და კოლექტიური ლობიანის**

ჭამას და პოლიტიკაზე საუბრით გულის (ენის) ფხანას შეეფაროს. არც ის – რეალობის სუროგატით (ლიფტის კაბელით) ლოკალური კომფორტი მოიწყოს და იყოს ბედნიერი.

მე მინდა, სიბნელეშიც თავის ხელებს გრძნობდეს და თვალები ხედავდეს რამის გაკეთების შესაძლებლობას. მეც მხედავდეს, იმიტომ, რომ მე განწონასწორებული და მიზანმიმართული ადამიანი ვარ და აუცილებლად გავაკეთებ ამ „რამეს“ და ვიქნები წარმატებული. ვიფიქრებ გამოჩენილ ადამიანებზე და მივბაძავ. თუ არ გამომივა, დავიწყებ თავიდან, დავიწყებ თავიდან, დავიწყებ – სიბნელიდან და ღამიდან.

და, თუ, ხანდახან შიშები შემანუხებენ, მშვიდად მოვიფიქრებ მწვანის და ბოსტნეულის გაყიდვის ბიზნეს გეგმას და მარკეტინგის სქემას. კიბეებზე მოვძებნი მოაჯირს. დედაჩემს... ახლა გადავურეკავ.



## დროებითობა vs. მუდმივობა

ავტორი: გიგინა გულაძანი

ამ შემთხვევაში, არ მომერიდება მორიგი უსაშველოდ გაცვეთილი ფრაზის დაბრუნება და პირდაპირ ვიტყვი, რომ ძალიან რთულ პერიოდში გვინევს ცხოვრება. საკმარისია, გადახედო საკუთარი ფეისბუქის ბოლო ერთი თვის კედელს და ამაში მაშინვე დარწმუნდები. და რადგან ახალი ნელთალრიცხვა „იმედის“ სიმულაციამდელ და „იმედის“ სიმულაციის შემდგომ ეპოქებად დაიყო, პოსტებს მარტის შუიდან გამოვყვები: რას აღარ იპოვით აქ – გადაბუგული სასტუმრო „თბილისის“ კარკასში 1996 წელს გადაღებული „ამორალის“ კლიპით დაწყებული, დამთავრებული კაჩინსკის ავიაკატასტროფის სხვადასხვა ვერსიით (მათ შორის – საკმაოდ მისტიკურებითაც, სადაც ნისლში, თეთრფორმიანი კილერები გადარჩენილ მგზავრებს რევოლვერებით ხოცავენ).

ამ ქრონოლოგიაში გვხვდება ასეთი პოსტიც: პაციფისტური ექსტაზში ჩავარდნილი გოგო ხიშტიან ჯარისკაცს პათეტიკური სახით ყვავილებს უწვდის. ამ ფოტოზე იმიტომ შევჩერდი, რომ, ჩემი აზრით, მასში იკვეთება ბევრი არასწორი ფენომენი, რამაც ასე თუ ისე ჩემს გარემომცველ სამყაროს, როგორც იტყვიან, მურტალი დალი დაასვა. მაშ ასე, რასთან გვაქვს საქმე ამ ალტყინებული დემონსტრანტის სახით?

პირველ რიგში, ესაა მთელი პოსტ-ცხრა აპრილისეული ფსიქოზი თავისი მუხლებზე დაჩოქებით, თვითგვემის ექსტაზით („ჯერ დედებს გვესროლეთ და მერე“, „ისინი ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთ“), როცა უშვებ, რომ პათეტიკას აქვს ხიშტიანის გადაფარვის შანსი. შუქნიშებთან ორი ხაზის გადმოკვეთით ყველაზე წინ მანქანის ჩაკეცხებასთან ერთად, პათეტიკა საზოგადოების უმნიშვნელო ერთ-ერთი თვალშისაცემი გამოვლინებაა (უკვე დაწყებულია პათეტიკის ლექსიკონზე მუშაობა, სადაც „ალალი კაცის“, „გეებისა“ და „ორსული ქალის“ პათოსებთან ერთად, აუცილებლად განიმარტება „ძირძველი ერისა“ და „ერთად ყოფნის“ პათოსებიც).

ამ უქანასკნელთან („ერთად ყოფნის პათოსი“) ძალიან ახლოს დგას ხიშტიანის პათოსიც, რომელსაც, ჩემი აზრით, იზიარებდა ყვავილიანი გოგოც ფოტოზე. ამ შეგრძნების არტიკულაცია კარგად მოახდინა ემილ აჟარის გმირმა პუტანკასთან საკუთარ თავზე გულლია საუბრის შემდეგ: „ყელში გორგალი მომანვა, თითქოს უეცრად რაღაც მშვენიერს გადავანყდი. განა მართლა საოცარი არაა, როცა ადამიანებს შორის არსებული ბარიერები იმსხვრევა და ყველაფერი მთლიანდება. 68 წლის მამისის საშინელ დღეებში, სამი კვირა გამოუსვლელად ვიჯექი სახლში და

ვფიქრობდი, რომ აჰა, ძლივს გვეშველა და დადგა აღსასრულის ჟამი. ბოლოს კი გამოვიჭვრიტე და დავინახე, რომ სრულიად უცხო ადამიანები ჩერდებოდნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ“...

ცოტა მეუხერხულეა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ, ზოგადად, ხიშტიანის ფენომენის გადაფასებამ თარხნიშვილზე ლიტკაფეში სიკვდილივით უეცრად მომისწრო, როდესაც ჩემთვის ალუბლის ტორტში ქექვისას თავზე ორი ნაცნობი ანგელოზი წამომადგა. სწორედ ამ დღეს ამ ორიდან ერთ-ერთი რატომღაც დაინტერესდა ხიშტიანის ჩემი შეფასებით, და ზუსტად არ ვიცი – რატომ (შესაძლოა, სკეპტიკურად ვიყავი ყველაფრისადმი განწყობილი და თან ვიგრძენი თვითონ ანგელოზის დამოკიდებულება და გადავწყვიტე უაზრო კამათის თავიდან ასარიდებლად მისივე პლატფორმიდან მელაპარაკა), მოკლედ, ჩემთვისაც მოულოდნელად, ხიშტიანს მაგრად გადავუარე.

მეთქი, „რაც არ უნდა დიდი გავლენა მოეხდინათ მუსიკასა და ლიტერატურაზე, ჩემთვის მთლიანობაში ხიშტიანს მაინც ლუზერები არიან, პირველ რიგში ინფანტილურობის გამო. მეთქი, უკან გაიკეთონ თავიანთი ალტყინებული ვარდნა „ლენონის პათოსის“ უფსკრულში. თავიანთი თავისუფალი სექსი, ცნობიერების გახსნა და ელესდეს ფეიერვერკები. ეგ დაუბანელი, უპასუხისმგებლო, იმპოტენტი ინფანტილები“. ეს ყველაფერი ექსპრომტად გამომივიდა და როგორც კი პაუზა გავაკეთე, საკუთარი თავის გამიკვირდა – საიდან ასეთი უარყოფა, მით უმეტეს, რომ ამაზე ადრე არასდროს გიფიქრია?

ანგელოზმა, – ჩემს გულში იჯექიო. „ეს ლოხები, რამდენი ხალხი დააბოლეს თავისდაუნებურად“, – თქვა მან. მოკლედ, ჩემი აღმოჩენის გამო მოგვიანებითაც აღარ მინანია, მაგრამ შიგადაშიგ ლენონისთვის დახლილი ტყვიის გარდა, ხშირად მახსენდება ხოლმე ჰანტერ ტომპსონის „შიში და სიძულვილი ლას ვეგასში“-ს ის ეპიზოდი, სადაც ელესდეს და ადრენაზრონისგან გადაღლილი რაულ დიუკი ვეგასის სასტუმროს ფანჯრიდან ჰორიზონტს გაჰყურებს და წარსულს იხსენებს: „ეს საცოდავი „ელესდემიკები“, რომლებსაც ეგონათ, რომ შეძლებდნენ სამ დოლარად მშვიდობისა და ურთიერთგაგების შექმნას. მათი დანაკარგები ჩვენი დანაკარგებიცაა. უიმედო სეიბრების მთელი თაობა, რომლებმაც ვერ ამოიცნეს თავიანთი მთავარი შეცდომა: რწმენა, რომ რაღაც ძალას მათთვის უნდა უზრუნველყოფო მუქი გვირაბის ბოლოს“.

ანუ, რა შეიძლება უწოდო იმას, რაც მუდმივი გეგონა და სასრული აღმოჩნდა? იმედგაცრუება? – ჟღერს ლინტიანი სიტყვა. „კორექცია“ კი – ზუსტია.

კორექციაა: როცა სენაკი-ფოთის ტრასაზე ღამე მოძრაობისას ფარები სიბნელიდან ხეების მწკრივს ამოანათებს და რამდენიმე წუთით უდროობა ისადგურებს. ეს მხატვრული ხერხი, რომელიც ლინჩმა თავის „დაკარგულ გზატკეცილში“ ზედმინუნებით ზუსტად დააპატენტა, მიუთითებს, რომ ამ ამონათუხულ პეიზაჟში არაფერია მუდმივი თვითონ გზის გარდა. ყველაფერი დანარჩენი კი მასზე გადაადგილებადი ქაოტური ნაწილაკებია.

მოკლედ, კორექციის ასეთი მოკლე სენსიტივიტი კი შესაშურად ფეფქტურია ისეთი გავრცელებული დეფექტების გასანეიტრალელებლად, როგორებიცაა: თვითგვემა, ილუზია და ექსტაზი.



# წევროტიკის მოზაურობა შოკოლადის ქვეყანაში

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი

შვეიცარიაში ნამყოფი ხარ? თუ არა, როგორ მიხვდი, რომ ზამბანერკაა?

მე ხომ არ ვარ გოგონა-კანფეტი!

აქ სრული სიჩუმეა, და სისუფთავე, და კეთილდღეობა, და კარზე სიკვდილი მომადგა! ჩემმა სხეულმაც კი პროტესტი გამოთქვა და ყბა დამისივდა, გახსოვს ოსტაპ ბენდერი: „ეს ძალად ქენით?“ თუ დროზე არ ჩაცხრა, მთელ ქართველობას თავს მოვჭრი და დეფორმირებული ქალების ერს აღარავინ დაგვეხმარება. მგონი, უკვე გაესუქდი. აქ რომ დავრჩე (არავინ დამტოვებს), ან გაჩხერას დავინყებ, ან ჯარში წავალ.

მე მარქსისტი ვარ. ახლა გავუგე კომანდანტეს: კაპიტალიზმის გული შვეიცარიაში ძგერს, და მე ეს სულ უფრო ნაკლებად მსიამოვნებს.

მე ლამის კლუბში მინდა! ხაბალობა და ჭუჭყიანი სანაგვეები! გეხევენები, გამაგებინე, რატომ უნდა იყოს ნაგვის ყუთი ასეთი სუფთა?

მთელი ბანჰოფშტრასეს ქონება რომ მომცენ (არავინ მომცემს), ერთ კვირაში მაინც მლეღვარე გიჟი დავდგები.

აბა, ბავშვებო, რა ვიცით შვეიცარიის შესახებ?

ულამაზესია. უმშვიდესია. უმდიდრესია. იქ ყველაზე ზუსტი საათები ნიკნიკებს, ყველაზე გემრიელი შოკოლადი მზადდება, ყველაზე...

შოკოლადს არ ვჭამ – მე კიდევ აღგზნება მინდა? ჩემი და ყველაზე ზუსტი საათის ურთიერთობა ვერ შედგა,

ვერასოდეს ვნახე, როგორ შემოკრავდა ოქროს კაცი ოქროს ზარს: „ბომ!“ სამაგიეროდ, ვნახე საათი, რომელიც 68 ათასი ფრანკი ღირს. საათიანი კოშკი კი არა, მაჯის საათია, „ბომ-ბომ“ კი არა, „ნიკ-ნიკ“. ვიტრინაში იდო, და როცა გამახსენდა, რომ რაც არ იყიდება, იმას არც არავინ აწარმოებს, და აფრიკაში შიდსის გამო ორი მილიონი ბავშვია დაობლებული, და...

მოკლედ, აღარ ვარ კარგად.

ვნახე ბერნის მთავარი კათედრალი. ჰოო... სადღაც, კუთხეში, ძალიან მოკრძალებულად, ორი სიტყვა აქვს მიწერილი, რომლებიც ჩვენს ენაზე ასე თუ ითარგმნება: „აბა, შენც გააკეთე, თუ...“ კაი, „თუ ბიჭი ხარ“, და რადგან ზუსტად ვიცი, რომ ამას ვერასოდეს გავაკეთებ, გავჯავრდი. ჰოდა, იქიდან რომ წამოვედი, გადავედი ხიდზე, რომლის გამოც პიკასოს პაულ კლეესთან პაემანზე სულ აგვიანდებოდა ხოლმე, იმიტომ, რომ მიდამოს თვალს ვერ წყვეტდა (მაინც რას ნიშნავს, არა, მრავალმხრივი განათლება რომ მაქვს მიღებული?), გადავანყედი ლობეს, და გული გამითბა, იმიტომ, რომ ლობე ჩინებულად გამეცნო: „მე ვარ ლობე. აქ იმისთვის დამაყენეს...“ თურმე, ნუ იტყვი, ამ ხიდიდან, რომელიც დამაბრმავებლად ლამაზია (ყველაფერი ჩანს: მდინარე, ალპები, ძველი ქალაქი, მთლად 1208 წელს დაარსებული), ძალიან ბევრი ადამიანი გადამხტარა, თან წყალში კი არა, მაინცდამაინც სასკოლო

სტადიონზე, ბავშვებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გულის გასახეთქად. ლობემ მათი სულები ძალიან კეთილად მოიხსენია და შემომთავაზა, ჩემზე რაც გინდა, ყველაფერი დაკიდე – წერილები, წინდები, რაც გაგიხარდება, ოღონდ სისულელეს ნურაფერს გააკეთებო. ბერნელი ლობე, ჩემი მეგობარი.

იმ შორეული 1208 წლის 1 დეკემბერს ჰერცოგ ბერნტოლდ V ფონ ცერინგენს უბრძანებია, ამ ტყეში რა ცხოველსაც მოვკლავ, ახალდაარსებულ ქალაქს იმის სახელს დავარქმევო. მან მოკლა დათვი და ქალაქს დაარქვა ბერნი. ვითომდა, „ბერ“ – დათვიო.

კარგი ამბავია, მაგრამ ტყუილი. ამდენი მეც ვიცი, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით დათვებს და ბერნს საერთო არაფერი აქვთ, ხალხური ეტიმოლოგიის ნათელი მაგალითია, რა. და მაინც: აქ ყველგან დათვია. თხრილში დიდი, ძალიან სერიოზული დათვები დაბაჯბაჯებენ, აგერ, რუსეთის პრეზიდენტმაც ქალაქს უაღრესად სიმპათიური მამა და მიშა ჩამოუყვანა საჩუქრად. მე მგონი, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს, იმდენი დათვია, ცოცხალი, ქვისა თუ დახატული, და ვინაიდან დათვები ძალიან მომწონან (ადამიანებისგან განსხვავებით), იყოს დათვების ქალაქი, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, და რომც მქონდეს, რაა რო?

გამაგებინე, თუ მაიმუნივით არ დათვერი, ფეხშიშველმა რატომ უნდა



იცეკვო? თუ საღ ჭკუაზე ხარ, რატომ უნდა აიშვა? წარმოიდგინე წვეულება, რომლის დევიზიცაა „უფეხსაცმლოდ, უალოკოპოლოდ, უკომპლექსოდ“. ნახვიდოდი? მე წავედი და სამივე პირობის დაცვით ვისტუნავე, და კმაყოფილი დავრჩი. როგორც ჩანს, აკლიმატიზაციის ამბავი იყო.

საერთოდ, არაადეკვატური ვიყავი: პაულ კლევს ცენტრში რა მინდოდა? მე არ მიყვარს პაულ კლევ. კი, კარგი შესახედი კაცი იყო, მაგრამ არც მისი სახელოვნებო ნიაღვრების და არც კონსტრუქტივიზმის თავი არა მაქვს – ჩემი გამჭირვება. იქ კი მივედი და აჰა! რად მინდოდა დამატებითი დიდი სიყვარული.

ერთადერთი, ქალაქის სამხატვრო გალერეამ დამამშვიდა. რომ შევედი, მეგონა, რომ რემონტი ჰქონდათ და ის-ის იყო, ღმილით ვაპირებდი გამოსვლას, წარწერას ვკიდებ თვალი. რემონტი ყოფილა ექსპონატები! აჰ, როგორ გამითბა გული!

ამ გალერეის შენობას წარწერა ამშვენებს: „ქვა ქვაზე ჩამოვარდნილ ქვაზე“. შვეიცარიელები ქვის ქვაზე დადებას გულისხმობენ და ამიტომ მათი ქვეყანა აშენდა. აი, ჩვენ კი „ქვა ქვაზე“ სხვაგვარად გვესმის.

მთელი პრობლემა ენა ყოფილა.

ავტობანზე სიჩქარე შეზღუდულია, იმიტომ, რომ რაღაც მაჩვენებლის შემდეგ გამონაბოლქვი ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. აღმოჩნდა, რომ ბუხარში დამწვარი შუშაც საზიანოა – მაშ, ძირს ბუხარი! და საერთოდ, ქლექი, არგახარება და ოზონისა თუ აეროზოლის

ხერელი მხოლოდ მე მემუქრება, საბრალო პოსტსაბჭოელს, თორემ დალაგებულ ადამიანს, ვთქვათ, შვეიცარიელს, არაფერს უქადის.

ნეტა, რითი კვდებიან?

მთელი ქალაქი მდინარის გასწვრივ დარბის. არაფერს მისდევთ, არ გარბიან, დარბიან, იმიტომ, რომ ეს სასარგებლოა. ქალაქს აქვს უფასო საცურაო აუზი, და აარეში ცურვაც არაფერი ღირს, რადგან ქალაქი და ქვეყანა თავის მოსახლეობაზე ზრუნავენ. თუ დავეთანხმებით მწყობრ თეორიას იმის თაობაზე, რომ კრიმინალური ელემენტი ავადმყოფია, ჯანმრთელი ბერნელები თავად არიან უსაფრთხოების საწინდარი.

მე მხოლოდ ის მამშვიდებს, შურიანს, რომ შვეიცარია შენგენის ქვეყნებს შეუერთდა და სულ მალე შეესევინა მის მშვენიერ, მშვიდ მინას მშეირი და გაბრაზებული თავშესაფრის მაძიებლები, და მათ ვერაფერს შეაჩერებს, ბერნის ცოცხალი თუ ხელთქმნილი დათვებიც კი.

ქალბატონი რუთ დრეიფუსი ყოველ დღით სამსახურში მიიქაროდა. ავტობუსში ადიოდა, ნაცნობს სახეებს უდიმოდა, გაივლიდა რამდენიმე გაჩერებას და თავისაზე ჩადიოდა. სამი წელი ასე იყო საქმე.

ერთხელაც ქალბატონი დრეიფუსი ავტობუსში ავიდა, და მძღოლმა გამოაცხადა, რომ დღეს ის, ანუ მძღოლი, თავის ბოლო რეისს აკეთებს და ამიტომ თავის აგდება აქვს გადანყვეტილი – ის გაჩერებებს არად ჩაადგებს და პირდაპირ სამსახურში მიიყვანს ქალბატონ დრეიფუსს, რადგან მისი,

ანუ მძღოლის, ღრმა რწმენით, ქალბატონმა ეს ნამდვილად დაიმსახურა. ავტობუსში მყოფმა საზოგადოებამ ტაში დასცხო. ქალბატონი დრეიფუსი ილიმებოდა.

ქალბატონი დრეიფუსი პრეზიდენტი გახლდათ. 1999 წელს მან თავისი საახალწლო სიტყვა ასე დაიწყო: „ადამიანთა საზოგადოება მხოლოდ მაშინაა ადამიანური, როდესაც ადამიანები ერთმანეთს იცავენ“.

რატომ მოყვები ამ ამბავს? გამგებნი გამიგებს.

ყველა სახლის წინ ყვითელი ბუჩქი ყვავის. შპალირება – მთელი ინტერნეტი გადავქექე, მაინც ვერ ვისწავლე ამის გაკეთება. არადა, რა ლამაზია.

ველოსიპედით ბებომ ჩამიარა და რომ დაინახა, ქალაქის რუკას ვენვალებოდი, მკითხა, ხომ არაფერი გიშველოო. აბა, მე რა მემშველება? არა-მეთქი, გმადლობთ, ქალბატონო, კარგ საღამოს გისურვებთ. თქვენც, თქვენც...

რა კარგია ქვეყანა, სადაც მრავალი საუკუნეა, ომი არ ყოფილა.

რა კარგია, როცა შენი მამაკაცები ჯარში თავანულები მიდიან და ამაცობენ, რომ ყველაზე მაგარი არმია ჰყავთ.

რა კარგია, რომ შვეიცარიელებს ასე უყვართ თავიანთი სამშობლო, მაღალი მთების, მოლიცლიცე ტბების და მშვიდი ხალხის მხარე...

რა კარგია, რომ ჩემს სამშობლოში სიმშვიდე არ მეღირსება.

P.S. დიდი მადლობა ირმა მგელაძეს და თეა ჭკუასელს, რომელთაც ხუთი დღე სამოთხეში გამატარებინეს.

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ და სიდიდით მეორე ავიაკომპანია  
ლონდონის ჰისროუს აეროპორტში, **bmi**, მადლობას უხდის კონკურსის ყველა მონაწილეს.

## ფოტოკონკურსის გამარჯვებულები



პირველი ადგილი

ნატალია ბურდული, თბილისი

პრიზი: ბილეთი ლონდონის მიმართულებით ავიაკომპანია **bmi**-ისგან

თბილისიდან ლონდონის მიმართულებით **bmi** დაფრინავს კვირაში ოთხჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. **bmi**-ის ბიზნეს კლასის მგზავრებს, ასევე დიამონდ კლუბის ვერცხლისა და ოქროს ბარათის მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ ჰისროუს აეროპორტის საერთაშორისო მოსასვენებელი დარბაზით, **The Great British Lounge**, სადაც მგზავრებისთვის დასვენების, გაჯანსაღების თუ მუშაობისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.



**მეორე ადგილი**  
**ანდრო ერაძე, თბილისი**

პრიზი: ბილეთი ლონდონის  
მიმართულებით  
ავიაკომპანია **bmi**-ისგან



**მესამე ადგილი**

**სალომე ცოფურიშვილი, თბილისი**

პრიზი: ერთწლიანი ხელმოწერა ჟურნალ „ცხელი შოკოლადისგან“

ბიზნეს კლასის მგზავრებს **bmi** ლონდონში საჩუქრად სთავაზობს პირადი მძღოლის მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრის გადაყვანას აეროპორტიდან ქალაქში მისთვის სასურველ ადგილას. დამატებითი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ვებგვერდს [www.flybmi.com](http://www.flybmi.com)



# გამოსხადებული „ფსიქოდელიურის ქრონიკა“

მწერალ პაატა ქურდაძის პოლიტ-კულტურული მიქსევისა და მოქსევის შესახებ

ავტორი: ღაბიატ ზუხრიძე

ფოტო: მარიკა ქორიაშვილი, პირადი არქივი

„არის კიდევ ერთი... პატარა საქართველო. მხოლოდ ზუსტად ვერ გეტყვით სად იმყოფება... განვითარების რომელი ეტაპზე. ჩემს საქართველოში ფიქრი ჯერჯერობით აკრძალულია, პოლიტიკური, მორალური, პატრიოტული, და ათასი სხვა პრეტექსტით. ფიქრი მხოლოდ უცხოელებისთვის არის ნებადართული; ზუსტად ისე, როგორც ჩვენს წითელ წარსულში – „კოკა-კოლა“ ინტურისტებისათვის... მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „კოკა-კოლას“ წითელი ხელისუფლება კრძალავდა, ფიქრს კი ჩვენ თვითონ ვუკრძალავთ ერთმანეთს.

„ჩემი“ საქართველო თავის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს ადრე თუ გვიან მოაგვარებს, ან ამ პრობლემით გააგრძელებს ცხოვრებას. მაგრამ სამსუხაროდ, როგორც ჩანს, გაზანტებული გონებით. მე მიჩვენია პრობლემებიან ერს ვეკუთვნოდე, ვიდრე უტყინოს... უტყინო საქართველოს უაფხაზეთოდ“.

ეს არის ფრამენტები პაატა ქურდაძის ახალი წიგნიდან „ფსიქოდელიური ქრონიკა 2009“, რომლის პრეზენტაციამ პუბლიცისტურად მინავლებულ თბილისში საკმაო ვნებათაღელვა გამოიწვია. გუდიაშვილის მოედანზე შეკრებილ, ქართ-art-ულად მოდურ კაფე „პურპურში“ მნიგნობრები, მედია, არტისტები, მხატვრები, საგანგებოდ თუ სელექციურად „შეკრეჭილი“ პოლიტიკოსები ინტერნეტ-ბლოგებზე აღმოჩენილი მწერლისა და ესეისტის შემოქმედებამ შეკრიბა. არადა, დიდი ხნით ადრე, („პრეისტორიულ ხანაში“, როგორც თავად ამბობს) ვიდრე დღევანდელი მკითხველი პაატა ქურდაძის სახელს გაიცნობდა, ის ფსევდონიმით „რეაქტიული კლუბის“ აქტიური წევრი და პოეტი იყო.

შეისვა კარგი წითელი ღვინო და დადგა მსუბუქი „რეაქტიული“ ყიჟინის ჟამი, რომელიც კოტე ყუბანეიშვილმა დარ-

ბაზში ფრონტალური გადაძახილით, – „აბა ვიქტიუროთ, თორემ ხალხს დავავინწყდით“, – ლამის კონცეფციად აქცია. ის ჯერ კიდევ მარჯვდა!

პაატა ქურდაძე – ბლოგერი, მწერალი, ესეისტი, დოკუმენტალისტი. 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი, რომელმაც თავის დროზე ანდერგრაუდის, „რეაქტიული კლუბის“ ისტორიაში საინტერესო ფურცლები ჩაწერა, ხოლო 21-ე საუკუნეში, ბლოგების ეპოქაში (უკვე უცხოეთიდან) ქართულ სიტყვას პოლიტიკური აქტუალობა, პუბლიცისტური სიმბავილე და აშკარად რაფინირებული, ირონიული ჭედურობა შესძინა.

ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა ბატონი პაატა გარეგნობით ფრანგ მსახიობს, ბრუნო კრემერსაც შეადარა, მეორე ჟურნალისტმა პრესტიჟულ რადიო გადაცემაში მიიპატიჟა, და მესამემ ვრცელი სატელევიზიო სიუჟეტი მიუძღვნა, და ეს ყველაფერი – სულ რამდენიმე დღეში.

მოკლედ, ჭრელ და პრეტენზიულ მედიას პაატა ქურდაძის უნებლიე სარეკლამო კვირეული გამოუვიდა. პარიზიდან დროებით ჩამოსულ, აქტიურ ბლოგერსა და მწერალთან ვრცელი ინტერვიუ ჩვენც საინტერესოდ გვეჩვენება. მით უმეტეს, რომ ის ერთგვარად აერთიანებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიას. 80-იანელთა თაობის მემბოხე ნაივურობას და დასავლურ ემიგრაციაში შეძენილ სამოქალაქო საზოგადოების ფხიზელ ცინიზმს.

თანაც, როცა ადამიანს ნაწერებით იცნობ, ბუნებრივად გიჩნდება მისი უფრო ახლოს გაცნობის სურვილი. იქნებ ტექსტუალური წარმოსახვა უფრო სხვა რამეს გკარნახობს, ვიდრე სიმპათია და პირისპირ საუბარი საზღვრებს აღმართავს? იქნებ პირიქით, წინასწარ აკვირებულ აზრებს გიფანტავს...

**ბატონო პაატა, დიდი ხანია, საქართველოში არ ყოფილხართ. რას ნიშნავდა თქვენთვის თავის დროზე წასვლა და რას ნიშნავს დაბრუნება? იმ შეგრძნებაზე მინდა გკითხოთ, რომელიც სამშობლოდან წასვლას და დაბრუნებას ყოველთვის თან ახლავს.**

კლასიკური გაგებით, ემიგრაციაში არ წავსულვარ. როცა მე და კოტე ყუბანეიშვილი 1991 წელს გაზაფხულზე საფრანგეთში წავიდით, მაშინ სიტუაცია ისე გაუსაძლისი არ ყოფილა, როგორ – უკვე შემდგომ წლებში. როგორც ყველა ახალგაზრდას, მეც მინდოდა წასვლა, გაქცევა. დასავლელი გაგებით დისიდენტი არასოდეს ვყოფილვარ, არც მოგზაური. უფრო ახალგაზრდა, მოხეტიალე კაცის გამოცდილება შევიძინე. სიმართლე გითხრათ, ჩემს თავს მუდმივად მოგზაურად აღვიქვამ. მე ახლაც წასული ვარ და იმისათვის, რომ საქართველოზე ვწერო ან ვიფიქრო, არ არის აუცილებელი, აქ ვიცხოვრო. ახლა უბრალოდ პარიზიდან ვარ წასული და საერთოდ გეოგრაფიულ კოორდინატებს ეგზისტენციური ყოფნისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ცოტა აქაც ვარ და უფრო მეტად – საფრანგეთში. როცა ადამიანი წლების შემდეგ საკუთარ სახლში, თუ სამშობლო ბრუნდება, თავს უცხოედ გრძნობს და ამის გაცნობიერებაში ოდნავ ეხმარება წარსული ანუ „ჯანმრთელი ოპტიმიზმი“. ეს ჩემი ძველი ლექსის სახელწოდებაა, რომელიც ჯერ კიდევ ბრეჟნევის ხანაში, „რეაქტიული კლუბის“ პირველ პერიოდშია დაწერილი. ასე ვთქვათ, „გაჩერებული დროის“ დრამიდანაა, როცა ირაკლი ჩარკვიანს, კოტე ყუბანეიშვილს, ლუკა ლასარეიშვილს, სხვებს, და ალბათ მეც, არტის და კიდევ ბევრი რამის შეცვლის მცდელობა გვექონდა.

**შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ „გზაზე ხართ“? თუ თქვენი ჩამოსვლა**



**ულისეს სამშობლოში დაბრუნებას ჰგავს?**

თბილისში ჩამოსვლა ჩემთვის დაბრუნებას არ ნიშნავს. ჯერ ერთი, აქ პენელოპე არ მელოდება, და მეორეც, როდესაც საიდანადაც ბრუნდები, ეს პირველ რიგში ნიშნავს, რომ საკუთარ სახლში ბრუნდები. საქართველო კი დღეს ჩემთვის სახლი არ არის, ეს უფრო სიმბოლური ადგილია, სადაც გაცილებით სხვაგვარად ვგრძნობ თავს, ვიდრე ოთხი წლის წინათ. ოდესმე, როცა უკვე ასაკში ვიქნები, აუცილებლად დავბრუნდები, მაგრამ – არა თბილისში. სახლს ვიყიდი სადმე, პატარა ქალაქში და იქ დავსახლდები. როცა ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება, ნამდვილად დავბრუნდები. მაგრამ ჯერ ჩემთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება და ეს დრო ჯერ არ დამდგარა.

**როგორ გგონიათ, იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც საქართველოში არ ყოფილხართ, ბევრი რამ შეიცვალა?**

მომეჩვენა, რომ ხალხი გაცილებით უსიტყვო, არაკომუნიკაბელური და სევდიანი გახდა, ვიდრე ოთხი წლის წინ. და არა მარტო იმიტომ, რომ წელიწადნახევარია, რაც ომი დამთავრდა და ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ აუხსნია, რა ომი გადავიტანეთ. ომის ქრილობები არაცნობიერში გაცილებით დიდხანს რჩება და გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. მგონია, აქ უფრო სხვა მიზეზებია – დალა თუ იმედგაცრუება. შეღებილი შენობებიც და განახლებული სახლებიც

რალაც უფრო გაცრეცილი და მოუღლებელი მეჩვენება. ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა კრივში გადატანილი მძიმე და დამქანცველი რაუნდის შემდეგ აღებულ პაუზას ჰგავს.

**ეს პესიმიზმი უცხოეთში წასული და იმედგაცრუებული ინტელექტუალის პოზიციას ხომ არ გამოხატავს?**

არა მგონია. ეს ჩემთვის პერსონალური პრობლემა ნამდვილად არ არის. ასეთი დამოკიდებულება იმ დეპრესიული ფონის გამოძახილია, რომელიც საქართველოში ზოგადად არსებობს. უსამართლობა, უმეუფერობა, საკუთარი უფლებების გაცნობიერება... ეს ძალიან მძიმე პრობლემებია. ან რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ხალხს მძაფრი სოციალური უსამართლობა არ ალელვებს და მხოლოდ პოლიტიკოსების დამცინავი მოწოდების შემდეგ გამოვა ქუჩაში. ეს ხომ პრობლემებზე თვალის დახუჭვას ნიშნავს. მერის არჩევნები რა არის, ესეც საყოველთაო გასართობია, თუ პოლიტიკის ნაწილი? ადამიანის საარსებო მინიმუმი ჩვენთან, შემთხვევით, დაცინვას ხომ არ ჰგავს? ადამიანმა პირველ რიგში საკუთარ მარცხს და კომპლექსებს უნდა სძლიოს და მოვლენები გარედან შეაფასოს, მაგრამ მას ამის საშუალება არ ეძლევა. უფრო ზუსტად, ამის საშუალებას არ აძლევენ.

**„რეაქტიულ კლუბს“ დავუბრუნდით. რას ნიშნავდა 80-იანი წლები თქვენთვის? აზროვნებასა და ლიტერატურაში გარღ-**

**ვევას, თუ კიდევ სხვა რამეს, რაზეც მაშინ საზოგადოება არ ფიქრობდა?**

„რეაქტიული კლუბის“ პერიოდი იმდენად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ჩვენთვის, რომ არ შეიძლებოდა სხვებისთვისაც მნიშვნელოვანი არ გამხდარიყო. ამ საერთო იდეების გამო, ჯერ კიდევ უცხოეთში ჩემს წასვლამდე დიდ დროს ვატარებდით ერთად. პირველი 90-გვერდიანი ბროშურა, რომელიც „რეაქტიული კლუბის“ მანიფესტს წარმოადგენდა, სწორედ ირაკლი ჩარკვიანთან და კოტე ყუბანეიშვილთან ერთად გავაკეთეთ. საავტორო უფლებების შესახებ ირაკლი ჩარკვიანი ზრუნავდა. მაშინ ამაზე საერთოდ არავინ ლაპარაკობდა. პირველი მანიფესტი უკვე ჩემი წასვლის შემდეგ გამოიცა. თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო და კოტემ, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო საფრანგეთიდან, რალაცნაირად მოახერხა მისი პირველი გამოცემა. ბროშურის ყდაზე მაქსიმის (ირაკლი ჩარკვიანის შვილი – დ.ბ.) დახატული რეაქტიული თვითმფრინავებია. მალე ამას მეორე გამოცემაც მოჰყვა. მაშინ მე უკვე წასული ვიყავი, თუმცა ამით, ცხადია, „რეაქტიული კლუბი“ არ დამთავრებულა. ფსევდონიმებით თამაში მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა და მასში სხვებიც მონაწილეობდნენ – დათო ევგენიძე, კახა თოლორდავა, ლიკა ნადარაია და სხვები. თუმცა არ შემეძლო, ცალკე არ აღვნიშნო ლუკა ლასარეიშვილი, შესანიშნავი მხატვარი, რომლის ნამუშევარი ჩემი წიგნის ყდაზეა გამოსახული.



გიორგი კუჩუკიძე და კახა პურლავა, პარიზი, 2000 წელი



გიორგი კუჩუკიძე და კახა პურლავა, პარიზი, 2002 წელი

**იქნებ უფრო დეტალურად გვიამბოთ თქვენი წიგნის შესახებ.**

წიგნი „ფსიქოდელიური ქრონიკა“ პარიზში ახლახან გამოიცა, გამომცემლობა Moulin de p-ის მიერ, რომელიც გაფორმებულია ლუკა ლასარეიშვილის აკრილით შესრულებული ნამუშევრით „ფსიქოდელიური ველი“. ის 2008 წელსაა შესრულებული და ჩემი აზრით, ეს არის „არტ-კონტემპორარის“ შესანიშნავი ნიმუში. ლუკა ლასარი (ეს მისი ფსევდონიმია) ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარია, რომელიც ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ დროს წავიდა დასავლეთში. ცხოვრობდა ბერლინში, შემდეგ შვეიცარიაში, რამდენიმე წლის წინ კი ამერიკაში გადავიდა. ისე მოხდა, რომ ამ წიგნის შექმნაში მხოლოდ უცხოეთში მცხოვრები ქართველები მონაწილეობდნენ: ფილოსოფოსმა გიორგი მაისურაძემ ძალიან კარგი წინასიტყვაობა დაწერა, მხატვრულად გააფორმეს ბერლინელმა ფოტოგრაფმა ზურა სუმბაძემ და პარიზში მცხოვრებმა მხატვარმა და ხელოვანმა შალვა ხახანაშვილმა, ყდაზე კი, როგორც გითხარით – ლუკა ლასარეიშვილის ნამუშევარი „ფსიქოდელიური ველი“.

**დღევანდელი გადასახედიდან როგორ გგონიათ, იყო თუ არა ეს სოციალური ან პოლიტიკური პროტესტის ფორმაც?**

არ მინდა სმამალალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ იმ დროს არტისტული „რეაქტიული კლუბი“ პოლიტიკურ „რეაქტიულობას“ დაუპირისპირდა. იმდროინ-



ვის აბოვს, რომ ხუთ წელიწადში დემოკრატიას ვერ ავახეხავთ, იმიტომ, რომ სათანადო გამოცდილება არ გვაქვს დაბროვილი, ან ვინს უარყოფს სოდნის მიღების დემოკრატიულ ფასეულობას, მათ მიმართ ასეთი კითხვა მაქვს – მაშინ რატომ გვაქვს ხელისუფლებაში ყოფნის პრივილეგია.

დელი ულტრამემარჯვენე გამოხდომები (წვეროსანი კაცები, ხელისუფლების მხარდამჭერი ქალები, „მოლაღატე“ ინტელიგენციის გამოსვლები), სხვა ათასგვარი ლოზუნგები და ნაციონალური ლაზღანდარობა დამლუპველი აღმოჩნდა და უფრო მეტი ზიანი მიაყენა ქართულ საზოგადოებას, ვიდრე კრემლის უჩინარმა ხელმა. იმდროინდელი დაპირისპირება სრულიად მიუღებელი იყო და აბსოლუტურად ხელოვნური. სინამდვილეში პარადოქსული რამ მოხდა – რეალურად, კულტურის დაბნელება! ანუ კულტურული შოკი პოლიტიკურმა გადაფარა. დღესაც მგონია, რომ არტისტული ფასეულობებით „რეაქტიული კლუბის“ პერიოდში საქართველო ბევრად უფრო ევროპული ქვეყანა იყო, ვიდრე მომდევნო პერიოდში, ან თუნდაც დღეს არის.

**როგორ მიგაჩნიათ, ხელოვანისთვის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება დღემდე აქტუალური თემაა, თუ ადამიანი საბოლოოდ მაინც საკუთარ თავს უბრუნდება, როგორი თავისუფალი და შეზღუდულიც უნდა იყოს?**

ზოგადად, ჯონ კერუაკის ეგზისტენციური რომანი „გზა“ ყველაზე ზუსტი

პასუხი იქნება თქვენს კითხვაზე. ისე კი, ადამიანი პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა გაექცეს და მხოლოდ შემდეგ გარემოს – სოციალურსა თუ პოლიტიკურს. გარე მოვლენები მხოლოდ აჩქარებენ ან აკავებენ ფაქტორებს, რომელთა გარეშეც ხელოვანი ვერაფერს შექმნის. თუმცა ვიდრე ხელოვანი გახდება, მან დიდი გზა უნდა გაიაროს – ოსტატობიდან სრულყოფილებამდე. დრო გადის და ოსტატი (ანუ ფრანგულად „არტიზანი“, რასაც ჩვენ უფრო პროფესიონალ ხელოსანს ვუწოდებთ) ხდება, რომ ახალი გზები, ფორმა უნდა ეძიოს... „არტიზანიდან“ არტისტობამდე რთული გზაა გასავლელი და მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა გააკეთო. ცხადია, თუ ოდნავ მეტი ან უფრო მეტი გინდა, ვიდრე სიტყვა „არტიზანი“ გულისხმობს. ეს პირველ რიგში პასუხისმგებლობაა – როცა იცი, რომ ნახტომი აუცილებელია და პროგრესის მისაღწევად რაღაცას აუცილებლად შეცვლი.

**მაშინ რა უფრო მნიშვნელოვანია – ადამიანი „არტიზანად“ დარჩეს, თუ არტისტი იყოს? ვინ უფრო მნიშვნელოვან საქმესაა შექმნილი?**

სინამდვილეში, ვისაც ჩვენთან ხელოვანს უწოდებენ, ის უფრო არტიზანია. ეს ხომ კომფორტია, როცა რაღაცის კეთება კარგად იცი. გაცილებით ძნელია, როცა ადამიანი გამოცდილებას აგროვებს, ნიჭიერიცაა, საქმის მცოდნეც, მაგრამ ხდება რაიმე სუბელური ან ჭკვიანური (რა მნიშვნელობა აქვს!) კატაკლიზმები და მას ცხოვრება უარს ეუბნება, სწორედ იმიტომ, რომ პროფესიონალია; რომ ის იქ არ დგას, სადაც საჭიროა; რომ ცუდ დროს გახდა 50 წლის; რომ წარსულის ცოდვებმა უწია... ანუ მისი პროფესიული გამოცდილება და ცოდნა არავის სჭირდება, იმიტომ, რომ მავანთა მსგავსად ვერ დაიმასხვრა პრიმიტიული პატრიოტული ლექსიკონი, ვინმეს თავი რომ მოაწონოს...

**ე.ი. რა გამოდის, რომ პატრიოტებს არც „არტიზანები“ სჭირდებათ და არც არტისტები?**

ეს ჩემი პირველი შთაბეჭდილებებია, რომელიც თბილისსა და კახეთში მივიღე ოთხი წლის შემდეგ: მგონია, რომ დამოკიდებულება პროფესიონალების, ანუ „არტისტების“ მიმართ დიდად არ შეცვლილა და არავის აღელვებს. ვისაც



თბილისის ზღვა, 1985 წელი



კობე ყუაანოვილი და პაატა ქარლაძე, ბათუმი, 1988 წელი

თქვენ გულისხმობთ, ანუ პროფესიონალებს, მათი უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროცესის მიღმა დარჩა. საპასუხოდ ვხედავთ კარგად მომარჯვებულ ცინიზმს, ვუსმენთ სიტყვებით და ტერმინებით თამაშს და ფსევდოავტორიტეტებისა და ვილაც პოლიტოლოგების გრძელ მონოლოგებს, რაც სინამდვილეში არაფერს გვეუბნება რეალობის შესახებ.

**მაგრამ დემოკრატიის მშენებლებს, წესით, მონოლოგები არ უნდა მოსწონდეთ. პირიქით, პოლილოგის კულტურას უნდა ამკვიდრებდნენ...**

ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რაც გამუდმებით მესმის არის ის, რომ საფრანგეთში დემოკრატიის აშენებას სამასი წელი მოუწია და ჩვენ ოც წელიწადში ხომ ვერ ავაშენებთ?! ეს არის სრული უპასუხისმგებლობა და აშკარად თავის დაძვრენის მცდელობა. კაცობრიობის მთელი შეცდომები რომ გავიმეოროთ, ბართლომეს ლამიდან მოყოლებული, ერაცის ომით დამთავრებული, მაშინ მართლა არ გვეყოფა სამასი წელიწადი. მაგრამ რისთვის არსებობს სწორედ კაცობრიობის კულტურული და პოლიტიკური გამოცდილება და ცოდნა? ეს არაფერს გვაგაღებულებს? არსებობს დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც პრობლემების გადასაჭრელად მოიგონეს და არა კანონის მოდარაჯე ინტელექტუალების ისედაც ცივი გონების გასაგრილებლად.

>>> ბაბრქაძე ბმ. 86



ყველაზე ადვილია მანიპულირება ადამიანების მარტივი ბრძნობებით, ბიოლოგიური ინსტიქტებით, პრიმიტიული პატრიოტული სიტყვებით. ეს უკვე იმდენჯერ ვნახეთ საშიში ფორმებით დაწყებული, კაროლინით დამთავრებული, რომ არავის არაფრის სჯერა.



# იმპროვიზატორი

(თავისუფლების სიუიზა სონი როლინზისთვის)

ავტორი: კახა თოლორდავა

... და რას გვასწავლის მუსიკა? ის ცხოვრებისეული ჰარმონიის მიღწევაში გვეხმარება და სწორედ ეს ჰარმონიაა მუსიკის მიღმა არსებული ჯადოქრობა და საიდუმლო. როდესაც იმ მუსიკას უსმენ, რომელიც გსიამოვნებს, ის ჰარმონიული ცხოვრებისთვის განგაწყობს. აქედან გამომდინარე, მუსიკა ყველას გვესაჭიროება. ის ჩვენთვის აუცილებელია. ზოგი ამბობს, რომ დიდად არ ეპიტნავენათ მუსიკა, მაგრამ მათ ალბათ გულისყურით არ უსმენიათ მუსიკისთვის, რადგან ასე რომ მოქცეულიყვნენ, ის მათ სულელებს შეძრავდა და თავს შეაყვარებდა; ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ამ ადამიანებს საკმარისად არ უსმენიათ მუსიკა და თავიანთი გულების დამშვიდება ვერ მოუხერხებიათ, რაც მისი სმენისთვის აუცილებელი პირობაა.

ჰასრათ ინაიათ ხანი

უილიამსბურგის ხიდი ნიუ-იორკში ბრუკლინს და მანჰეტენს აერთებს. ეს ხიდი კიდევ დელანსი სეინთის სახელითაცაა ცნობილი. ბრუკლინის, მანჰეტენის თუ სხვა ხიდებისაგან განსხვავებით, უილიამსბურგს არ გაუმართლა – მისთვის არც ლექსი მიუძღვნია ვინმეს და არც – სიმღერა; ის უბრალოდ ხიდია, რომელიც 1903 წლის 29 დეკემბერს გაიხსნა. და მაინც, რამდენი ლექსი ან სიმღერაც უნდა დაინეროს ამა თუ იმ ხიდის სადიდებად, განგებამ მხოლოდ მას არგუნა, რომ აქ, უილიამსბურგზე თვით სონი როლინზი უკრავდა თავისი ერთერთი შემოქმედებითი კრიზისის დროს; უკრავდა მარტო, ზამთარ-ზაფხულს, თვეების განმავლობაში, დღეში ზოგჯერ 15-16 საათს. ეს 1959 წელს ხდებოდა. იმ წელს მე დავიბადე. არ ვიცი, 11 დეკემბერს, ჩემი დაბადების დღეს იდგა თუ არა ის ხიდზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც როლინზის და უილიამსბურგის შესახებ შევიტყვე, ყოველთვის მნიშვნავდა ის აზრი, რომ სონი როლინზის საქსოფონის ბგერის თანხლებით მოვევლინე ამ ქვეყანას. სულ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი გაჩენის წამს ის იქ იყო, უილიამსბურგის ხიდზე, და საქსოფონით ხელში ებრძოდა ქალაქის ხმაურს და საკუთარ თავს...

ყველაფერი პირველ ნოტზეა დამოკიდებული. სცენაზე გასვლის წინ ის ჯერ კიდევ არაა შენში მომნიჭებული. მხოლოდ მაშინ ჩნდება, ინსტრუმენტს რომ ჩაბერავ ან შეეხები. სწორედ მან უნდა წაგიყვანოს სამოგზაუროდ. რამდენიც უნდა ივარჯიშო, რამდენიც უნდა ემზადო წინასწარ, იმ ნოტის ხარისხი ბოლო წამამდე უცნობია; მას გემო უკვე სცენაზე მდგომმა უნდა გაუსინჯო და თუ მიხვდი, რომ შენი წაყვანა შეუძლია, უკანმოუხედავად გაჰყვე თან. ამ დროს მხოლოდ წინ იყურები. თუ ეს შენი პირველი მცდელობა არაა, ესე იგი ისიც გესმის, რომ მოგზაურობა სახიფათო იქნება, ვინაიდან ეს წამი მხოლოდ დასაწყისია; უფრო სწორად, ეს მხოლოდ დასტურია შენი მხრიდან, რომ გამოწვევა მიიღე. იმ ნოტმა უკვე სუფთა, ცოცხალ დროში „შეგადო“ და ამ წამიდან დრო ერთდროულად შენი მტერიც ხდება და მოკავშირეც. მტერი – იმიტომ, რომ ის მკაცრად გთხოვს და მიედინება (გარკვეულ მომენტში, სულ რაღაც ერთი წამით უნდა „გაექცე“ მას ყველაზე მნიშვნელოვანი აქტის განსახორციელებლად); მოკავშირე კი იმიტომ, რომ ის ჭურჭელია, რომელიც შენს ქვეცნობიერს იღებს და იტევს. მოგზაურობის დასაწყისში შენ მომავლისადმი

გახსნილი, სმენად ქცეული, საკუთარი სიღრმისკენ მიმართული არსება ხარ; ამ დროს შენთან მთელი შენი განვლილი ცხოვრება „ბედავს“ სტუმრად მოსვლას, ისე, როგორც სიკვდილის წინ. ის ერთგვარი ლიფტია, რომელმაც კიდევ უფრო დიდ სიღრმეებში უნდა ჩაგიყვანოს. ის ერთდროულად ზევეითაც მოძრაობს და ქვევეითაც, მარჯვნივ და მარცხნივაც. აზროვნების ტემპი წარმოუდგენელია. ის გაცარიელებს და სიღრმეებში ჩასვლის პროცესიც აქ იწყება. თუ საკუთარი თავის სმენამ გზა არ აგიბნია და დროში არ ჩაგტოვა, ეს ჩასვლის პროცესი წარმატებული იქნება. იქ კი მხოლოდ დუმია. ამ მომენტისთვის შენ მედიტაციაში ჩამჯდარი ბუდისტი ბერი ხდები, რომელიც ერთი ხელით შემოკრული ტაშის ხმას უგდებს ყურს. სწორედ იქ ბუდობს ის აკუსტიკური ნაყოფი, რომელიც შენსავე სიღრმეს უნდა გამოგლიჯო ხელიდან, გარეთ გამოიტანო და დანარჩენებს გაასინჯო შენივე ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლის ნაწილიც უკვე თავად ხარ. შენი ვალია, ბგერად აქციო ის ნაცხოვრები ნამები, რომელიც აქამდე არასდროს დაგ იკრავს. რაწამს საკუთარ სიღრმეს ნაყოფს მოსწყვეტ, თავადვე ხდები ის ნაყოფი და უკან, დროში ბრუნდები. თუ ეს მოახერხე, მაშინ შეგიძლია ჩათვალო, რომ იმ მარგალიტების მადიებელივით ხარ, ვინც ღრმად ჩაყვინთა და ნადავლით ხელში უკან დაბრუნება მოახერხა. რა თქმა უნდა, თუ შენივე ხელობა კარგად იცი, და ასეთები ბევრნი არიან, შენ იქ ჩაუსვლეადაც, მხოლოდ გაათმაგებული სმენის მეშვეობით შეგიძლია ადამიანების მოხიზვლა. მაგრამ იქ ჩაუსვლეადაც, ნაყოფი ასეთი მნიშვნელოვანი არ იქნება, რადგანაც ის ხელობაზე მიჯაჭვული სულისგან არის შობილი, და არა თავისუფლებისგან. ჭეშმარიტი მუსიკალური იმპროვიზაცია კი მხოლოდ საკუთარ სიღრმესთან საუბრის შედეგად გაჩენილი თავისუფლებაა. საქსოფონისტი სონი როლინზი, უკვე ათწლეულებია, ასეთი თავისუფლებიდან გაჩენილ მუსიკას უკრავს. „როდესაც ვუკრავ, მე აქ არ ვარ, – თქვა მან ერთ-ერთ შარშანდელ ინტერვიუში, – ჰო, ამ

დროს არაფერზე ვფიქრობ. როდესაც ვუკრავ, საფიქრელი დრო არ მრჩება, რადგან მუსიკა ძალიან ჩქარა მოდის ჩემთან და ფიქრის დროს არ მიტოვებს. ამ დროს უბრალოდ აქ ვარ, მორჩა და გათავდა... ეს ძალიან ძნელია“... ორიოდ ნლით ადრე ჟურნალმა „როლინგ სთოუნმა“ განაცხადა: „მომავალში ადამიანები იტრაბახებენ იმით, რომ როლინზის ცოცხალი შესრულება აქვთ მოსმენილი“. ისინი ახლაც ტრაბახობენ... 2010 წლის 7 სექტემბერს მას 80 წელი შეუსრულდება. ჩემი ეს ტექსტი დიდი იმპროვიზატორისადმი მიძღვნილი თავისუფლების სიუიტაა...

**რ**ოდესაც 2007 წლის 21 მაისს თეოდორ უოლთერ „სონი“ როლინზი სტოკჰოლმის საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოვიდა მუსიკის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი Polar Music Prize-ის მისაღებად, მთელი დარბაზი, შვედეთის მეფე კარლ გუსტავ XVI და მისი მეუღლე სილვია ფებზე წამოდგომით შეეგებნენ მას. როლინზთან ერთად სცენაზე თანამედროვეობის კიდევ ერთი უდიდესი კომპოზიტორი, მინიმალისტის და განმეორებადი აკუსტიკური პატერნების გურუ, სთივ რაიშიც გამოჩნდა, რა თქმა უნდა – იმავე პრიზის მისაღებად, მაგრამ გამოაგნებლად ქარიზმული როლინზის გვერდით კეპიანი რაიში უფრო სცენის მუშას ჰგავდა, ვიდრე სახელგანთქმულ მანსტროს. რაიში მოკრძალებულად მიჰყვებოდა უკან ოდნავ კოჭლობით მოსიარულე საქსოფონისტს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი იიგლაი ჩერიმ, როლინზის კარგი მეგობრის და კოლეგის, დონ ჩერის ვაჟიშვილმა, დარბაზში მსხდომთ შვედეთის მუსიკალური აკადემიის მიერ შედგენილი მიმართვა წაუკითხა. იიგლაის ეტყობოდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო იმ საღამოს. მისთვის, ისევე როგორც ალბათ ყველა სხვა მუსიკოსისთვის, დიდი პატივი იყო ასეთ დღეს როლინზისთვის პრიზის გადაცემა. „2007 წლის Polar Music Prize გადაცემა ამერიკელ ტენორ საქსოფონისტს და კომპოზიტორს, სონი როლინზს, ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძლავრ და ინტიმურ ხმას ჯაზში უკანასკნელი 50





სონი როლინზი, სანაზა ბასვლის წინ, ნიუ-იორკი, 1961 წელი



სონი როლინზი, მილანი, 1967 წელი



სონი როლინზი, და აბილიო როტა, მილანი, 1963 წელი

წლის განმავლობაში. სონი როლინზმა არააკომპანირებული სოლო უმაღლეს არტისტულ მწვერვალზე აიყვანა; მისი ბგერა მძლავრია და გამოკვეთილი, სვინგი უზადო, მუსიკალური იუმორის შეგრძნება კი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი... – ასეთი იყო სამეფო მუსიკალური აკადემიკოსების დასკვნა. სამადლობელ სიტყვაში როლინზმა თქვა, რომ ის ამ პრიზს იღებს, როგორც იმ დიდი მუსიკოსების წარმომადგენელი, ვისგანაც მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობდა. იმ საღამოს მასთან ერთად პრიზი დიუქ ელინგტონმა, ქოულმენ ჰოქინსმა, ლესთერ იანგმა, ართ თეიტუმმა, ჩარლი ფარქერმა, თელონიუს მონქმა, მაილზ დევისმა და ან გარდაცვლილმა სხვა დანარჩენმა ჯაზმენებმა მიიღეს. როლინზამდე კი Polar Music Prize-ის მფლობელები სერ ფოლ მაქართნი, პიერ ბულეზი, იანის ქსენაკისი, ბობ დილანი, რავი შანკარი, ქით ჯარეთი, სოფია გუბაიდულინა, კარლჰაინც შტოკჰაუზენი, სთივი უონდერი, ბი-ბი ქინგი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და კიდევ ბევრი სხვა დიდი მუსიკოსი იყო. როლინზის შემდეგ ეს სია კიდევ უფრო სრული და საინტერესო გახდა... „სიკვდილი ადვილია, ცხოვრებაა ძნელი“, – თქვა ერთხელ როლინზმა. იმ დღეს მთელი მუსიკალური სამყარო სწორედ როლინზის გრძელ, რთულ და საინტერესო ცხოვრებას ზეიმობდა...

**ბ**ასული საუკუნის ოცდაათიანი, ორმოციანი წლების ნიუ-იორკის შავ-თეთრი ფოტოების თვალღერებისას სულ ერთი და იგივე განწყობა მექმნება ხოლმე – რომ იმ დროს ცხოვრება ბევრად უფრო სახალისო და ხარისხიანი იყო. ეს განსაკუთრებით ქალაქის ფერადკანიანთა უბნებს ეხება – ჰარლემს, ბრონქსს, ბრუკლინის გარკვეულ ნაწილს... ვიცი, ეს ოდნავ იდეალიზირებულად ჟღერს, თუმცა ისიც ცხადია, რომ იქ მაცხოვრებელი ადამიანები, გასაჭირისა და სიღარიბის მიუხედავად, როგორღაც მაინც ახერხებდნენ არსებობის შელამაზებას. ბოლოს და ბოლოს მათი უმრავლესობა ხომ იმ აფრიკელი მონების შთამომავალი იყო, ვინც პლანტაციებში მუშაო-

ბისას ბლუზის სანყისი ფორმები შექმნა? იმ დროს, მათთვის ყველაზე მძიმე მომენტებში, ისინი სიმღერით ეპასუხებოდნენ თავს დამტყდარ გასაჭირს. ალბათ ამიტომაც გადარჩნენ; უფრო მეტიც, ალბათ ამიტომ მოახერხეს იმ გენური ენერგეტიკის შენარჩუნება, რაც ამ შავ-თეთრი ფოტოებიდანაც უხვად მოედინება. ამ ფოტოებზე, ახლა რომ ინტერნეტში ვათვალიერებ, გარემო, როგორც წესი, თვალმისაცემად დამთრგუნველია – ჭუჭყიანი ქუჩები, შეუხედავი „ბრაუნსთოუნები“ და, ამ დეპრესიული ურბანული პეიზაჟების ფონზე, იმავე „ბრაუნსთოუნების“ კიბეებზე ჩამომჯდარი საოცრად ნათელი და ღირსებით აღსავსე ადამიანები. აი, თუნდაც ეს ფოტო ავილოთ; ზაფხული, ქუჩაში გამოყრილი შავკანიანი ბავშვები; ეტყობა ძალიან ცხელა, რადგანაც ქუჩებში მდგარი სახანძრო საქაჩებიდან წყლის ჭავლი ლამის სახლების ბოლო სართულებს წვდება; ფოტოდან თითქოს ბავშვების სიცილ-კისკისის ხმა გესმის; უფროსებიც იქვე არიან – თეთრკბილებგადმოყრილი მამაკაცები მოკლესახელოიანი, თეთრი პერანგებით, შლაპებით, კოსტიუმებსა და გაპრიალებულ ფეხსაცმელებში პენიანად გამოწყობილები; ქალები – წელში გამოყვანილი, ალბათ ფერად-ფერადი კაბებით, ზოგი ბავშვებს უყურებს, ზოგიც ერთმანეთს ესაუბრება. ისინიც იცინიან და ბედნიერი სახეები აქვთ. ჰარლემის ეს ფოტო გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებითაა დათარიღებული; სადღაც აქ, რომელიმე ერთ-ერთ ასეთ ქუჩაზე დაიბადა როლინზი 1930 წელს. „დიდი დეპრესიის შვილი ვარ, მაგრამ ბედნიერი ბავშვობა მქონდა, – ამბობს როლინზი, – ჰარლემში დავიბადე. კარგი იყო იქ. ბევრი მეგობარი მყავდა და გარემო ბევრი მუსიკა იყო – შინ და გარეთ, ლამის კლუბებსა თუ სხვა ასეთ ადგილებში. რა თქმა უნდა, იმ დროს პატარა ვიყავი საიმისოდ, რომ ქოთთონ ქლაბში ან ელქს რანდეუში შევეშვით, მაგრამ იმის საშუალება ნამდვილად მქონდა, იქაურ შავკანიანთა მთელი იმდროინდელი კულტურა რომ შემესრუტა.

>>> ბაბრქილუბა გვ. 87



PRESTIGE LP 7079  
HI-FI

# COLOSSUS JIMMY ROLLINS

DUG WATKINS MAX ROACH



სონი როლინგი, 1994 წელი



სოულბანს მუსიკის და სონი როლინგი



სონი როლინგი, 1987 წელი



# ბაღნევა კელეში

## მარინა აბრამოვიჩის პერფორმანს არტი

ავტორი: ჯუდიტ თარბანი  
 ინტერვიუ: ნინო სურგულაძე

დაბადების დღე მნიშვნელოვანი თარიღია მარინა აბრამოვიჩისთვის, ბელგრადში, ყოფილ იუგოსლავიაში, 1946 წლის 30 ნოემბერს დაბადებული პერფორმანს არტისტიკისთვის. სხეული – მისი თემაა, დრო – მედიუმი, დაბადების დღე კი აღნიშნავს მომენტს, როცა ცხოვრების პერფორმანსი ოფიციალურად იწყება.

ასაკის გამხელა არ ეუხერხებულა. 60 წლის იუბილე გუგენჰაიმის მუზეუმში პომპეზური წვეულებით აღნიშნა. პრინციპში ასაკი უფრო მოწყალეა მარინა აბრამოვიჩის მიმართ, ვიდრე – თვითონ. 40 წლის წინანდელ ფოტოებზე მარინა აბრამოვიჩს აუცილებლად ამოიცნობთ ერთ შავგვრემან, სახასიათო გარეგნობის მქონე გოგონაში, რომელსაც სევდიანი თვალები და გამოკვეთილი სახის ნაკვთები აქვს. გოგონას იმდენად მეტყველი იერი აქვს, რომ ლამაზს ვერც უწოდებ, სახეზე ერთდროულად დასათამაშებს თან ჯიუტი და თან დამყოლი გამომეტყველება. მაგრამ ზოგი ქარიზმული ქალი, როგორც აბრამოვიჩია, ანდა მისი კერპი მარია კალასი, თავიანთი შინაგანი ძალის გამო გეჩვენებთ ლამაზი.

63 წლის ასაკშიც აბრამოვიჩი უდიდეს ენერჯიას ასხივებს. და რთულია გაუძლო მის მაცდუნებელ ბუნებასაც. მხრებზე ბზინვარე თმა აქვს დაფენილი. თუკი არ ვარჯიშობს, ანდა პერფორმანსი არ აქვს, დიზაინერის ტანსაცმლით დადის. ასაკში რაც შევიდა, ტანიც შეეცაო, მაგრამ ახლა მის სხეულს სულ სხვაგვარი პიკანტურობა ახასიათებს, ვიდრე წლების წინ. 2005-ში აბრამოვიჩმა თავიდან ითამაშა პერ-

ფორმანსი „ტომას ლიპსი“, რომელიც პირველად 30 წლით ადრე, ავსტრიულ გალერეაში დადგა (ტომას ლიპსი აბრამოვიჩის შვეიცარიელი საყვარელი იყო. რაც მარინას ამ კაცში ხიბლავდა, მისი ანდროგენულობა იყო). „ტომას ლიპსის“ ახალ ვარიანტში, რომელიც გუგენჰაიმის როტონდაში გათამაშდა, შოუ, ორი საათის ნაცვლად, შვიდ საათს გაგრძელდა. პერფორმანსი წარმოდგენილი იყო, როგორც ახალი დადგმის „შეიდი იოლი ნანარმოების“ ნაწილი. ანოტაცია, რომელიც ამ პერფორმანსს თან ახლდა, ჰგავდა რეცეპტს იმ საბანკეტო სადილისთვის, მარკიზ დე სადს რომ მოეწონებოდა:

ვერცხლის კოვზით ნელ-ნელა ვჭამ 1 კილო თაფლს.

ბროლის ჭიქით ნელ-ნელა ვწრუპავ 1 ლიტრ წყალს.

მარჯვენა ხელით ვამსხვრევ ჭიქას. სამართებლის პირით ვისერავ მუცელს და ხუთქიმიან ვარსკვლავს ვიხატავ.

ცხარე ცრემლებით ვტირი, ვიდრე ტკივილის შეგრძნება საერთოდ გამიქრება.

ყინულის კუბებისგან შეკრულ ჯვარზე ვწვები.

მუცლისკენ მოშვერილი რეფლექტორიდან სითბო უბერავს და ჭრილობიდან სისხლდენას იწვევს.

სხეულის დანარჩენი ნაწილი მეყინება.

ყინულის ჯვარზე ნახევარ საათს ვწევარ, ვიდრე დამთვალეიერებლები ჩაერევიან პერფორმანსში და ყინულის კუბებს მაცლიან.

შარშან, აგვისტოში აბრამოვიჩმა

თავის მამულში დამპატიჟა, რომელიც ჰადსონ ველიში 2007 წელს შეიძინა. მთავარი ნაგებობა, რომელიც მე-19 საუკუნით თარიღდება, პატარა გორაკზე დგას, საიდანაც 10 ჰექტარზე გადაჭიმული მდელოები, ხეხილის ბაღი და ტყის კორომი მოჩანს. შენობა შეიქმნა ერთი ვარსკვლავის ფორმის სასახლის შთაგონებით, რომელიც ბალტიისპირეთში დგას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვარსკვლავს ექვსი ქიმი აქვს, ხოლო წითელი ვარსკვლავი, რომელიც აბრამოვიჩის ბავშვობას ფონად გასდევდა და რომელიც მუდმივად გვხვდება მის არტში, პენტაგონაა, აბრამოვიჩს მაინც სჯერა, რომ ამ მამულამდე ბედისწერამ მიიყვანა. დეკორი მინიმალისტურია, სახლში რამდენიმე თანამედროვე ტახტი და ჭყეტელა ფერის სკამები დგას, კედლები კი ცარიელია. ბოლო დრომდე აბრამოვიჩი აქ ატარებდა ყოველ შაბათ-კვირას თავის მეორე ქმართან პაოლო კანეგარისთან ერთად. კანეგარი – იტალიელი სკულპტორი და ვიდეო არტისტი აბრამოვიჩზე 17 წლით უმცროსია. ერთმანეთს ევროპაში 1997 წელს შეხვდნენ და მას მერე ხან ამსტერდამში აბრამოვიჩის არხისპირა სახლში, ხანაც კანეგარის ბინაში, რომში ცხოვრობდნენ. 2001 წელს სოპოში დასახლდნენ. 12-წლიანი ქორწინების შემდეგ ისინი ერთმანეთს შარშან დეკემბერში დაშორდნენ. აბრამოვიჩი მაშინ პირველად დაჯდა მანქანის საჭესთან. „ეს იმიტომ გადაკეთე, რომ დამოუკიდებლობა მესწავლა“, – ამიხსნა. საჭესთან საკუთარ თავში დაურწმუნებელი და დამფრთხალი ჩანს, არადა, ცხოვრებაში უშიშარია.




აბრამოვიჩი ამბობს: „ადამიანური შიში ჩემთვის ყოველთვის იყო გზა შიშების გადასალახად“.

როცა ჩავედი, აბრამოვიჩს თავის მამულში არტისტები ჰყავდა შეკრებილი. მთელი ტერიტორია ერთ უზარმაზარ სამუშაო სივრცედ იყო ქცეული. სახლში წესრიგი და ჰიგიენა სუფევდა. სწორედ ასეთ გარემოს ეძახის აბრამოვიჩი „სუფთა სახლს“. დღეს აბრამოვიჩი პერფორმანს არტს შვიდ კონტინენტზე ასწავლის. ლექციების პროცესში ის ხშირად იყენებს ხოლმე აიურვედას, შამანიზმის, ბუდიზმის, გიორგი გურჯიევისა და სხვა წმინდა და ასკეტურ სწავლებებს.

ამჯერად 32 ახალგაზრდა შეარჩია. აბრამოვიჩი მათთან ერთად ამზადებს უზარმაზარ რეტროსპექტივას „მარინა აბრამოვიჩი: არტისტი ანმყო“, რომელსაც ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში 14 მარტიდან წარმოადგენს. ამხელა პატივი არც ერთ სხვა პერფორმანს არტისტს არ რგებია წილად. წინასწარ შერჩეულ ჯგუფთან ერთად აბრამოვიჩი ხელახლა დადგამს ხუთ შოუს იმ 39 პერფორმანსიდან, რომლებიც 1969 წლიდან მოყოლებული შექმნა. სამი პერფორმანსი აბრამოვიჩმა თავის დროზე გერმანელ არტისტთან ულისთან ერთად დადგა (ფრანკ უეე ლეისაიპენი) *Imponderabilia* – მათი ერთობლივი შოუ, რომელიც პირველად 1977 წელს ითამაშეს, შეიცავს ცოცხალ და, რა თქმა უნდა, ინტერაქციულ ნუდიზმს – ესეც პირველად მუზეუმის ისტორიაში. ერთ-ერთი პერფორმანსის მიხედვით, გალერეის ვინრო ჰოლის ორივე მხარეს შიშველი არტისტები ბერძენ ქალღმერთ კარიასტიდას ქანდაკებებით დადგებიან, ზურგით შენობისკენ. ყველა, ვისაც გალერეაში შესვლა მოუნდება, იძულებული იქნება, მათ შორის გაიაროს და თავად გადაწყვიტოს, რომელ სხეულს შეავლოს თვალი. თუმცა, მუზეუმის დირექციის გადაწყვეტილებით, შენობას ამ პერფორმანსის მიმდინარეობის

ბიალი – მათი ერთობლივი შოუ, რომელიც პირველად 1977 წელს ითამაშეს, შეიცავს ცოცხალ და, რა თქმა უნდა, ინტერაქციულ ნუდიზმს – ესეც პირველად მუზეუმის ისტორიაში. ერთ-ერთი პერფორმანსის მიხედვით, გალერეის ვინრო ჰოლის ორივე მხარეს შიშველი არტისტები ბერძენ ქალღმერთ კარიასტიდას ქანდაკებებით დადგებიან, ზურგით შენობისკენ. ყველა, ვისაც გალერეაში შესვლა მოუნდება, იძულებული იქნება, მათ შორის გაიაროს და თავად გადაწყვიტოს, რომელ სხეულს შეავლოს თვალი. თუმცა, მუზეუმის დირექციის გადაწყვეტილებით, შენობას ამ პერფორმანსის მიმდინარეობის



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსი, ახსტარლამი, 1975 წელი



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსების რეტროსპექტივა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, მარტი 2010 წელი

პარალელურად, მეორე, ალტერნატიულ შესასვლელსაც გაუხსნიან, რაზეც აბრამოვიჩს გული წყდება. აბრამოვიჩს ხომ სჯერა – მისი, როგორც არტისტის, როლია, რომ პუბლიკა ამ ამაღლებებელი ბილიკით უნდა შეიყვანოს სრული თავისუფლების სივრცეში, სადაც ისინი ყველა იმ შეზღუდვისგან განთავისუფლებიან, რაც მანამდე განუცდიათ.

აბრამოვიჩის კარიერა სამ თავად იყოფა – ულემდე, ულეისთან ერთად და ულეის შემდეგ.

ულეი, ნაციტი ჯარისკაცის ვაჟი 1943 წელს, მარინას დაბადების დღეს, 30 ნოემბერს დაიბადა ვესტფალიის ინდუსტრიული ქალაქის სოლინგენის



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსების რეტროსპექტივა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, მარტი 2010 წელი



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსების რეტროსპექტივა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, მარტი 2010 წელი



მარინა აბრამოვიჩი, მადრიდი, 2007 წელი



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსების რეტროსპექტივა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, მარტი 2010 წელი



თავშესაფარში. ეს ქალაქი პირდაპირი მნიშვნელობით ყველა იმ „მჭრელი“ ნივთის წარმოების ადგილია, რაც გერმანიაშია გამოშვებული: პირველი ხმლები, შემდეგ პირველი დანები და სამართებლები. ულვი 15 წლის იყო, როცა დაობლდა და საკუთარ თავზე ზრუნვა თავად დაიწყო. აბრამოვიჩი მას 1975 წლის 30 ნოემბერს შეხვდა. ამსტერდამელმა გალერისტმა ულვის სთხოვა, აბრამოვიჩს აეროპორტში დახვედროდა და შემდეგ ჰოლანდიური ტელევიზიისთვის „ტომას ლიპსის“ ეკრანიზაციაში დახმარებოდა. მათ შორის მყისიერი კავშირი დამყარდა. მარინას პირველი შთაბეჭდილება ულვი-



მარინა აბრამოვიჩის პერფორმანსი, 2007 წელი

ზე ასეთი იყო: კაცი ახოვანი სხეულით, როკ-ვარსკვლავივით გამხდარი და მომხიბვლელად უცნაური. „მისი სახე გულის ფორმას მაგონებდა“, – ასე ახასიათებს აბრამოვიჩი ულესი, უკეთ რომ აღმინეროს მისი ორსახა იერი. „ნახევარი სახე ბრგე ვაჟკაცს ეკუთვნოდა, გაუპარსავი პირითა და მოკლედ შეჭრილი თმით, ნახევარ სახეზე კი მაკიაჟი ესვა და გრძელი თმა ჩემსავით სარჭით ჰქონდა შეკრული“.

ულესი არტი მაშინ ჯერ კიდევ პოლაროიდით გადაღებული ავტოპორტრეტებისგან შედგებოდა. ეს ფოტოები ასახავდა თვითგვემის დოკუმენტურ კადრებს, რომლებზეც ულესი სხეულის

სხედასხვა ნაწილს იხვრეტდა, ისერავდა, ანდა ისვირინგებდა. ფოტოებზე ჩანდა ულესი გატაცება ადამიანის ორმაგი ბუნებითაც, კერძოდ კი ქალური და კაცური სანწყისების გაერთიანების სურვილი. გაცნობის ღამეს, თურქულ რესტორანში სადილის შემდეგ ულესიმ მარინას იქვე, სუფრასთან თავისი დღიური უჩვენა, მარინამ საკუთარი გადაუშალა; შემდეგ ბლოკნოტებიდან ორივემ ამოხია ის ფურცლები, რომელზეც მათი დაბადების თარიღები ეწერა, როგორც კარმული ნიშანი. „რესტორნიდან პირდაპირ მის სახლში წავედი და ლოგინიდან ათი დღის განმავლობაში არ ავმდგარვართ, – მითხრა აბრამოვი-

ჩმა და შემდეგ სწრაფადვე დაამატა, – შინ დაბრუნებულს ისეთი მარტოობის გრძნობა დამეუფლა, ისე მომენატრა, რომ ლაპარაკისა და განძრევის თავი არ მქონდა“. იმ დროს მარინა თავისი თანაკურსელის ცოლი იყო, რომელიც ბელგრადის სახვითი ხელოვნების აკადემიაში გაიცნო. მაგრამ ასეთი უენერგიო კავშირი ცოტას თუ ჰქონია. ცოლი და ქმარი მშობლების სახლებში ცხოვრობდნენ. აბრამოვიჩი იძულებული იყო, ერთ მკაცრ წესსაც დამორჩილებოდა – ყოველ საღამოს, ათზე შინ უნდა ყოფილიყო (ერთმანეთს 1977 წელს დაშორდნენ).

>>> ბაბრქილია ბვ. 93

# ნაწყვეტები ვასლავ ჰაველის წიგნიდან „ბთხოვთ, მოკლედ“

© ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა  
ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიბულაშვილმა

(ვაჟინგტონი 7.4.2005)

გავიქეცი. გავიქეცი ამერიკაში. სულ ორი თვით. ამასთან, მთელ ჩემს ოჯახთან, ანუ დაშასთან და ბოქსიორის ჯიშის ორ ძაღლთან, შუგრთან და მის შვილ მაღლენკასთან ერთად. გავიქეცი იმ იმედით, რომ ამერიკაში მეტი დრო მექნებოდა გატაცებით წერისათვის. ორი წელია, პრეზიდენტი აღარა ვარ და სულ უფრო მალიზიანებს, რომ ამ დროის განმავლობაში ორი სიტყვაც არ დამინერია. როდესაც მეკითხებიან, უკვე მერამდენედ, ვწერ თუ არა რა-

მეს და თუ ვწერ, რას, ცოტა არ იყოს, ვბრაზდები და ვამბობ, რომ ცხოვრებაში საკმარისად მაქვს დაწერილი, უდავოდ მეტი, ვიდრე ჩემი თანამემამულეების უმეტესობას და რომ წერა სრულებითაც არ არის ვალდებულება, რომლის შესრულებაც ადამიანს უნდა გამოსძალო. კონგრესის ბიბლიოთეკის სტუმარი ვარ. აქ გამომიყვეს წყნარი და მყუდრო ოთახი, სადაც შემიძლია მივიდე ნებისმიერ დროს და ვაკეთო, რაც გამიხარდება. სამაგიეროდ არაფერი მომეთხოვება. ეს მშვენიერია. ამ მშვე-

ნიერ ატმოსფეროში სხვა საქმეების პარალელურად პან ჰვიჟძალას შეკითხვებსაც სიამოვნებით ვუპასუხებ.

საუბარს დავინწყები შეკითხვით, რომელიც შეეხება 80-იანი წლების მეორე ნახევარს, როდესაც ცენტრალური ევროპის ყველაზე გამოჩენილ დისიდენტად ანუ, როგორც ჯონ კინმა გინოდათ, „ვარსკვლავად ოპოზიციის თეატრში“ იქეცი. შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ ის მომენტი, როცა პირველად მოგივიდათ აზრად, რომ პოლიტიკაში უნდა



ვასლავ ჰაველი, პრაღა, ჩეხოსლოვაკია, 1989 წელი

**შეგებილები და არ უნდა დაკმაყოფილებულიყავით მხოლოდ დრამატურგის, ესეისტისა და მოაზროვნის როლებით?**

პირველ რიგში, ოდნავ მაინც შევენი-ნაღმდეგობრივად ტიტულის, „ვარსკვლავი ოპოზიციის თეატრში“, მონიჭებას. მაშინ ყველაფერს ვაკეთებდით, რათა არ დავეყავით „ვარსკვლავებად“ და დანარჩენებად. რაც უფრო გამოჩენილი იყო რომელიმე ჩვენგანი და ამდენად უფრო დაცულიც, მით უფრო ცდილობდა ნაკლებად ცნობილები და შესაბამისად, მეტ ხიფათში მყოფნი დაეცვა. რეჟიმი კი მოქმედებდა პრინციპით: „დაყავი და იბატონე“. ერთს ეუბნებოდნენ: „როგორ შეგიძლიათ თქვენ, ყველას მიერ აღიარებულ ინტელექტუალს, საქმე დაიჭიროთ იმ არარაობებთან?!“, ხოლო მეორეს – „იმათთან საქმეს ნუ დაიჭერ, მფარველები ჰყავთ, ყველაფრიდან ყოველთვის გამოძვრებიან და თუ დასჭირდათ, მათ მაგივრადაც თქვენ დაისჯებით“. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით ოპოზიციონერებს შორის თანასწორობის პრინციპს. მეორეც, კარგად იცით, ნაკლებად თავდაჯერებული ვარ. გამუდმებით, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ვსაყვედურობ და ვაკრიტიკებ საკუთარ თავს. ასეთი ადამიანი ძნელად თუ დათანხმდება მტკიცებას იყოს „ვარსკვლავი“. თუმცა უნდა დავუშვა, რომ ხალხის გაერთიანების გარკვეული ნიჭი მაქვს, რადგანაც ვარ ადამიანი, რომელიც პირდაპირ ფიზიკურად ვერ იტანს კონფლიქტებს, დაძაბულობასა და დაპირისპირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. მეტიც, არ მიყვარს გაუთავებელი ლაპარაკი თვალსაჩინო შედეგების გარეშე. მუდამ ვცდილობდი ხალხის გაერთიანებას, ვეხმარებოდი მათი აზრების თანხვედრას და ვეძებდი საერთო შეხედულებების საქმედ გადაქცევის გზებს. შესაძლოა, ზუსტად ეს იყო ის თვისებები, რომლებსაც საბოლოოდ (თუმცა ისე, რომ არც მიზრუნია და არც მინდოდა), ჩემგან დამოუკიდებლად, ყოველთვის გამოვყავდი წინა პლანზე, რის გამოც შემდგომში ვინმეს, შესაძლოა, „ვარსკვლავადაც“ მოგჩვენებოდნენ.

არ მგონია, შეიძლებოდეს ჩემს ცხოვრებაში მკვეთრი ზღვრის გავლება იმ ეპოქებს შორის, როდესაც ვიყავი ან არ ვიყავი ჩართული პოლიტიკაში. პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის ვიყავი რამდენადმე ჩაბმული და გარკვეულწილად, ყოველთვის ვიყავი პოლიტიკური მოვლენა. ის, რომ ტოტალიტარიზმისას ყველაფერი პოლიტიკაა, როკ-მუსიკის კონცერტის ჩათვლით, ჩვეულებრივი ამბავია. განსხვავება, ცხადია, იყო ჩემი საქმიანობის თვალსაჩინოებასა და გავლენაში, ანუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მას ამა თუ იმ პერიოდში: სხვა იყო სამოციან წლებში და სულ სხვა – ოთხმოციანებში. ამ გადასახედიდან, ერთადერთი, მართლაც რომ გარდამტეხი მომენტი ჩემს ცხოვრებაში დადგა 1989 წლის ნოემბერში, როდესაც გადაწყვიტე პრეზიდენტობის კანდიდატი გაემხდარიყავი. მაშინ დამთავრდა ლაპარაკი ჩემი საქმიანობის პოლიტიკურ გავლენაზე – საქმე უკვე ეხებოდა პოლიტიკურ ფუნქციას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოლო წუთამდე ვორჭოფობდი.

**(ვაჟინბატონი 9. 4. 2005)**

ორი დღის წინ სამუშაო ვიზიტით აქ იმყოფებოდა უკრაინის ახალი პრეზიდენტი, იუშჩენკო. მივიღე ძალიან თბილი მიპატივება ერთ-ერთ დიდ შეხვედრაზე, სადაც საპატიო სიტყვა უნდა წარმომეთქვა. მოკლედ ვთქვი ის, რასაც უკვე დიდი ხანია ვფიქრობ: კომუნისტიზმი, ან სხვაგვარად, კომუნისტური ტიპის ტოტალიტარული სისტემის დაცემის შემდეგ, საბჭოთა ბლოკის ქვეყნების უმეტესობაში დადგა გარკვეული გარდამავალი ფაზა, რომელსაც, როგორც სამუშაო ვერსია, შეიძლება ვუნოდოთ პოსტკომუნისტიზმი. ეს არის უპრეცედენტოდ სწრაფი და მასშტაბური პრივატიზაციის ხანა, რომელიც არ იყო შეზღუდული ძლიერი და ქმედითი საკანონმდებლო ჩარჩოებით და რომლის მიმდინარეობაზეც, ცხადია, უზარმაზარ გავლენას ახდენს ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა თუ ძველი კომუნისტური წარმოების ხელმძღვანელობა. მათ გააჩნიათ შესაბამისი კონტაქტები და ინფორმაცია, რაც



პრაზინბატონი ვასლავ ჰაველი, ჩინოსლოვაკია, 1991 წელი



ჩინოსლოვაკია, 1989 წელი



ვასლავ ჰაველი, პრაღა, ჩინოსლოვაკია, 1989 წელი

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა არსებობამ შეარხნა ყოფიარების ზედაპირი, რომელიც ამ ჩემი ტალღის შემდეგ, რაბინდ უმნიშვნელო, ამაო და წარმავალიც არ უნდა იყოს, აღარ არის და აღარც იქნება ისეთი, რომორის მანამდე იყო. ჩემი პატარა ამბავის ყოველთვის ამ იქნება. სხადია ამ არა, მაგრამ სადღაც. ოღონდ სხვაბან არა. სადღაც ამ.

მათ ბიზნესმენტა ახალი ფენის ბირთვად ან, ყოველ შემთხვევაში, გავლენიან ნაწილად აქცევს. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებმაც კარგად იციან, რომ დემოკრატია სიტყვისა და პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლებას ნიშნავს და მიუხედავად ამისა, ძალიან მოხერხებულად შეუძლიათ ეს თავისუფლება მოაქციონ გარკვეულ ჩარჩოებში. სისტემა, რომლისკენაც მიისწრაფვიან, არ არის ღია, პირიქით, აქვს ტენდენცია თავის თავში ჩაიკეტოს. შეუმჩნევლად ერთიანდებიან პოლიტიკური, ეკონომიკური ძალები და პრესა. იბადება წარმონაქმნი, რომელსაც დიდი ხნის წინ შევარქვი მაფიოზური კაპიტალიზმი და წარმატებით შეიძლება ვუნოდოთ მაფიოზური დემოკრატია (ვიმონემბ ზაკარიას მიხედვით დემოკრატისა და თავისუფლების კლასიფიკაციას ან პოპერის ღია და ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემების ანალიზს). ყოველ ქვეყანაში, რომელმაც თავიდან მოიშორა კომუნისმი, პოსტკომუნისმს განსხვავებული სახე აქვს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაუძვრა ამ მოვლენას სავსებით. თუმცა დრო მირბის, ახალი თაობები იზრდებიან, საზოგადოების მოთმინების ფილაც ივსება. შემდეგ მოდის ახალი თაობის რევოლუცია ანუ – უფრო ზუსტად – თავდაპირველ რევოლუციონერთა საქმე სრულდება. ამჯერად ანგარიშსწორება ხდება უკვე პოსტკომუნისმთან (რა გაგებთაც უკვე ვახსენე), და არა კომუნისმთან. და რადგანაც ყოველ ქვეყანაში პოსტკომუნისმს, ცოტა არ იყოს, განსხვავებული სახე აქვს, მათ წინააღმდეგ პროტესტის ფორმებიც საკმაოდ განსხვავდება ხოლმე.

მაგონდება, იუშჩენკოსთან შეხვედრისას მოვეყვი კიდევ, როგორ შემეკითხა ერთი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელ არეალს ეკუთვნის უკრაინა. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეკუთვნოდა იმ არეალს, რომელსაც ჩვენ დასავლეთს ვეძახით. თუმცა ასე არ მიპასუხია. ვთქვი, რომ ეს თვით უკრაინის გადასაწყვეტია. ეს ყველაფერი მოითხოვს პატარა განმარტებას: დღეს თუ ითქვა, რომ ვინმე ეკუთვნის დასავლეთს, ეს უღერს ერთგვარ შექებად, ხოლო თუ საპი-

რისპირო ითქმის, მსუბუქ გაკიცხვად უღერს. ეს ყველაფერი კი დასავლური ქედმაღლობის ტიპური გამოვლინებაა. ეკუთვნოდე აღმოსავლეთს, სირცხვილი არაა, ისევე როგორც ევროპელობა არ ნიშნავს ავტომატურ პრივილეგიას. თანამედროვე მსოფლიოს კარგი და მშვიდობიანი ცხოვრების იმედი, გარდა სხვა ყველაფრისა, შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფუძნებული იქნება ცივილიზაციური, ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული სხვადასხვა დიდი ზეეროვნული ან რეგიონული ერთეულის სრულებით თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე. ასეთი თანამშრომლობისთვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება მკაფიო შეთანხმება იმის შესახებ, თუ სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის არეალი; მოკლედ რომ ვთქვათ, მკაფიო შეთანხმება მათი საზღვრების შესახებ. მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ და შემოფარგლულ ერთეულებს შეუძლიათ მართლაც პარტნიორული და შემოქმედებითი თანამშრომლობა; ნებისმიერი არამკვეთრი, დაუზუსტებელი თუ საკამათო საზღვრები მომავალში შეიძლება გადაიქცეს – მსგავსად ეროვნული სახელმწიფოებისა წარსულში – მხოლოდ არასტაბილურობის, დაძაბულობისა და ბოლოს, სამხედრო კონფლიქტების წყაროდ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას თითოეული ცივილიზაციური არეალის საზღვრების პრობლემაზე, ანუ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება გადანყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთნი, ამ მომენტისათვის უფრო მდიდარნი, სხვების, ამ მომენტისათვის უფრო ღარიბების მიმართ, შეიცვლიან ქედმაღლურ დამოკიდებულებას. ამით ვუბრუნდები უკრაინას. რკინის ფარდის დაცემის შემდეგ მთელი ცენტრალური ევროპა და ბალკანეთი შევიდა დასავლეთში. ეს უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო, წამოსული საკუთარი ისტორიისა და კულტურის სწორი გაგებიდან. და მაინც, ფასეულობებით, მაგრამ აგრეთვე გეოგრაფიით განსაზღვრული დასავლეთი, აღმოსავლეთ-



ყოფილი პრეზიდენტი სარკოზისტო პასიაჟი, კრალა, 2008 წელი



სარკოზისტო პასიაჟი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, კრალა, 1989 წელი



ვასლავ ჰაველი, ჩინოსლოვაკია, 1990 წელი

თის რომელ ნაწილში მთავრდება? როგორ შეძლებს სხვასთან შინაარსიანად თანამშრომლობას, როდესაც საკუთარ საზღვრებზე ანუ თავის რაობაზე არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა? ცხადია, იმ შეკითხვის უკან, რომელიც ხსენებულმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა დამისვა, იდგა სამართლიანი შეგრძნება იმისა, რომ აუცილებელია მკაფიო შეთანხმება შექმნის პროცესში მყოფი ზეეროვნული პოლიტიკური ერთეულების საზღვრებისა და ამდენად, მათი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების შესაძლო გაფართოების საზღვრების შესახებაც. რუკისა და უკრაინის ისტორიისათვის თვალის ერთი გადავლება საკმარისია იმის სათქმელად, თუ ვის ეკუთვნის, მაგრამ მჯეროდა, რომ გადამწყვეტი სიტყვა თვითონ უნდა ეთქვა. და როგორც იქნა, ჩემდა სასიხარულოდ, ეს სიტყვა წარმოითქვა. ძვე-

ლი მსოფლიო წესრიგის მსხვერველად, თხუთმეტი წლის შემდეგ.

(16. 4. 1995)

1) დასაწყისისთვის მოკლე ცნობა ჩემ შესახებ: ალდგომის წინა ორი დღე (პარასკევი და შაბათი) ძალიან საცოდავად გავატარე: გაცოფებული ვიყავი მთელ სამყაროზე, ჯერ მარტო იმიტომ, რომ ჩემთვის არ არსებობს არანაირი ალდგომა და უნდა ვიმუშაო (მზად მყოფ სასწრაფო დახმარების მედლებთან და მძლოლთან ერთად), შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ ერთდროულად ამდენი გამოსვლა მაქვს დასაწერი, ან კიდევ იმიტომ, რომ ცხვირწინ მიდევს მასალების სქელი დასტები და საერთოდ, უიკენდზე უამრავი ასეთი ადმინისტრაციული ქალაქი მაქვს წასაკითხი (თითქმის 300 გვერდი), ან კიდევ იმიტომ, რომ პრინტერი გაფუჭდა, მის გარეშე

კი სიტყვას ვერ ვწერ და კიდევ იმიტომ, რომ ვერავინ მომიძებნია პრინტერის გასაკეთებლად, ყველანი სადღესასწაულოდ არიან გაკრეფილი. მარტოსულად ვგრძნობდი თავს, მეგონა მთელმა სამყარომ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი, ამკიდა დაუძლეველი ტვირთი და ერთობა იმის ყურებით, როგორ მეკეცება მუხლები. გალიაში გამომწყვდეული ლომივით დავბორიალობდი ოთახში და გაურკვეველ მსხვერპლზე ბოღმით ვიხრჩობოდი (მიუხედავად იმისა, რომ მეხამრიდად ჩემი სამსახური მესახებოდა). ბოლოს სიტუაცია ცოტა გამოსწორდა: მომიძებნეს ადამიანები, რომლებმაც პრინტერი სახელდახელოდ შემიკეთეს და კვირას დილიდან (ანუ დღეს), როგორც იქნა, დავიწყე მუშაობა. შედეგებს გიგზავნით (...)

>>> ბაბრძილია ზვ. 99

# Moderato cantabile

## ახუ, მშვიდი სურვის კლასიკური ბაკვითილები

ავტორი: ღაბით ბუხრიანი

დიდი რეჟისორი პიტერ ბრუკი 85 წლისაა!

...თეატრის ცოცხალ რეჟისორთა შორის ყველაზე გავლენიანი; ადამიანი, რომელმაც დაამსხვრია ყველა კანონი, რაც მანამდე თეატრში არსებობდა. პიტერ ბრუკმა პირველმა გააშიშვლა სცენური სივრცე და მაქსიმალურად აამუშავა მაცურებლის ფანტაზიაც და წარმოსახვაც. უკვე ორი წელია, მის მიერ დაარსებული „ბუფ დე ნორდის“ (თეატრი პარიზში) ხელმძღვანელის პოსტი დატოვა, ხოლო თეატრის ექსპერიმენტული სივრცე ახალგაზრდა რეჟისორებსა და დრამატურგებს დაუთმო. ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა შეცვალა თეატრისადმი, როგორც ტრადიციული ხელოვნებისადმი დამოკიდებულება: სცენა გაანთავისუფლა ზედმეტი „დეკორაციული ტვირთისგან“, ხოლო მსახიობი – დეკლამაციისგან.

დახვეწილი უბრალოება, ცოტა ჯადოქრობა და აბსოლუტური სრულყოფილება – ეს პირველი შეგრძნებებია, რომელიც პიტერ ბრუკის სპექტაკლების, ოპერებისა თუ ფილმების ნახვის შემდეგ გეუფლებათ. მარტის ბოლოს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს რეჟისორსა და ცოცხალ კლასიკოსს 85 წელი შეუსრულდა და მგონია, ამ თარიღის გამოტოვება არ ღირს. მით უმეტეს, რომ ბრუკს ძალიან უყვარს ქართული კულტურა, თეატრი და თავის დროზე მიხეილ თუმანიშვილის მიერ დაარსებული კინომსახიობთა თეატრის პირველი და ერთადერთი უფასო „პიარ-მენეჯერი“ აღმოჩნდა ევროპაში; ისევე, როგორც ფასდაუდებელი ამაგი აქვს განუთლი რევაზ გაბრიადის „მარიონეტების“ ფილოსოფიური სამყაროსა და რობერტ სტურუას ბრეტტიანულ-შექსპირული ვნებების ევროპისათვის გაცნობასა და გაზიარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მარტო ჩვენი კი არა, სხვისი დიდი ადამიანებიც უძეგლოდ იკარგებიან, პიტერ ბრუკი მთელი თავისი შემოქმედებით სწორედ „ძეგლებსა და აკლდამებს“ ეწინააღმდეგება. თეატრის რეფორმატორთა არცთუ გრძელ სიაში მისი სახელი ყოველთვის გამოჩნდება, პირველ რიგში – შეუპოვარი ძიებისა და სიახლისადმი მუდმივი სწრაფვის გამო. მეოცე საუკუნის გამოჩნეულ რეჟისორს ცნობილი ბრიტანელი თეატრის კრიტიკოსი, თეორეტიკოსი და გაზეთ „გარდიანის“ მიმომხილველი მაიკლ ბილინგტონი ასეთ სიტყვებს უძღვნის: „პიტერ ბრუკმა შექსპირი ჩვენი თანამედროვე გახადა“.

განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ ბრუკმა პირველმა შექმნა „ცარიელი სცენური სივრცის“ ფილოსოფია და შეცვალა თეატრალური დადგმის სტილი. მას არასდროს აკლდა არც დიდება და არც სახელი. მისი ნიგნები „ცარიელი სივრცე“, „მოუხელთებელი ნერტილი“, „დროის ძაფები: ექსპერიმენტი და გამოცდილება თეატრში“, თეატრალებისათვის, სახარებად თუ არა, აპოკრიფებად მინც იქცა და მრავალჯერ გამოიცა. ამავე დროს მისი თეორიული მოსაზრებანი არასოდეს მოდის წინააღმდეგობაში რეჟისურის პრაქტიკასთან, რეალურ და ცოცხალ თეატრალურ პროცესთან, და რასაც ნიგნებში აღწერს – უბრალოდ და გასაგებად, იმასვე ითხოვს სცენაზე რეჟისორის, მსახიობისა თუ მხატვარ-სცენოგრაფისგან.


ფილმები – Moderato cantabile (მარგარეტ დიურას რომანის მიხედვით), „ბუზთა ბატონი“ (უილიამ გოლდინგის რომანის ეკრანიზაცია), „მარატ-სადი“ (მისივე სპექტაკლის სატელევიზიო ვერსია), „მეფე ლირი“ (პოლ სკოფილდის მონაწილეობით), „მეხვედრა შე-

სანიშნავ ადამიანებთან“ (გურჯიევის ტექსტის ეკრანიზაცია), „კარმენის ტრაგედია“ (ბერგმანის ოპერატორის, სვენ ნიუკვისტის იშვიათი გასხვიების მაგალითი), „მაჰაბჰარატა“ (ინდური ეპოსის ულამაზესი ხუთსათიანი კინოვერსია) მისი ჭრელი და მრავალფეროვანი ხელოვნების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ვისაც ოდესმე უნახავს ბრუკის სპექტაკლები „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „მარატ-სადი“ (60-70-იანი წლები), „ალუბლის ბალი“, „კარმენის ტრაგედია“, „მაჰაბჰარატა“, „ქარიშხალი“ (80-იანი წლები) ან „ბედნიერი დღეები“, „კრიშნას სიკვდილი“, „ტიერნო ბოკარი“ (უკვე 21-ე საუკუნეში დადგმული), არასოდეს დაავიწყდება ის მომწუსხავი უბრალოება, ფილოსოფიური სიღრმე და ადამიანის ბუნების შესაშური ცოდნა, რაც მის სპექტაკლებში იგრძნობა.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდის დამაარსებელი და მისივე სახელობის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე მანანა ანთაძე იხსენებს, რომ „1985 წელს პიტერ ბრუკი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში სპექტაკლ „დონ ჟუანის“ სანახავად. „მამინ თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და ამდენად, არცთუ მომგებიანი იყო კავშირგაბმულობის მუშაკთა სცენაზე, ნახევრად აუწყობელი დეკორაციების ფონზე, სპექტაკლის ნახვა. მაგრამ ბრუკი აღფრთოვანებული დარჩა. მას მიაჩნდა, რომ „დონ ჟუანში“ თუმანიშვილმა თეატრის ახალ და ცოცხალ ფორმას მიაგნო და ყოველთვის ცდილობდა, კინომსახიობთა თეატრი და თუმანიშვილი ევროპისათვის გაეცნო“.

ბრუკის ცნობილი ფრაზა – „თბილისში უნდა ნახვიდეთ მოლიერის აღმო-




რეჟისორი პიტერ ბრაუნი, 1983 წელი



"Moderato cantabile"



„პედნერი დევიზი“, რეჟისორი



„ტიერო ზოკარი“

საჩენად... რატომაც არა? ეს არის ნამდვილი თეატრი. თუმანიშვილის „ღონ ყუანი“ საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მინახავს. დინამიკური, თავხედური, თანამედროვე, ბრწყინვალედ გათამაშებული ქართველი მსახიობების მიერ, რომელთა ენერჯია მათი სხეულის ყოველი ნაკვთიდან იღვრება“, – ლამის თუმანიშვილის თეატრის სარეკლამო სლოგანად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბრუკის მაღალი შეფასების წყალობით მოიარა ქართულმა დასმა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი.

**„ლინგვისტურ-თეატრალური“ ბიობრაფია**

პიტერ ბრუკი 1925 წელს 21 მარტს ლონდონში დაიბადა. მამა, სემიონ ბრუკი ლატვიელი ებრაელი იყო, რომელიც სრულიად ახალგაზრდა რიგიდან ინგლისში ჩავიდა. მაგრამ თავდაუზოგავი შრომის და მონდომების მიუხედავად, შეძლებული მაინც ვერ გახდა. პიტერ ბრუკი ვესტმინსტერის კოლეჯში სწავლობდა თუმცა ავადმყოფობის გამო სწავლა შეწყვიტა და ორი წლით სამკურნალოდ შვეიცარიაში გადასახლდა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ოქსფორდში, ლინგვისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა თეატრმა და მისტიკამ. განსაკუთრებით აქტიურობდა საუნივერსიტეტო სამოყვარულო თეატრში, სადაც პირველი სპექტაკლი დადგა – ჟან კოკტოს „ჯოჯოხეთის მანქანა“.

რადგან ბრუკს სისტემატიური და აკადემიური, თეატრალური განათლება არ მიუღია, ამიტომ ინტუიციას, გონებასა და ფილოსოფიურ ცოდნას ეყრდნობოდა. სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ბარი ჯექსონმა, შექსპირის მემორიალური თეატრის ხელმძღვანელმა, ბირმინგემის თეატრში მიიწვია ბერნარდ შოუს ურთულესი და რეჟისორებისთვის მოუხელთებელი პიესის – „ადამიანი და ზეადამიანი“ – დასადგმელად. წარმოდგენა ზედმეტად სიმბოლურ-ინტელექტუალური აღმოჩნდა და პუბლიკამ იგი არ მიიღო. თუმცა ბერნარდ შოუმ თუ ბედისწერამ ამ სპექტაკლით ბრუკი ახალგაზრდა პოლსკოფილდს შეახვედრა, რომელთანაც

ერთად შემდგომში დაუვიწყარი „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“ დადგა.

ნამდვილი თეატრალური სენსაცია კრიტიკოსებს წინ ელოდათ. 1947 წელს ბრუკი დგამს „რომეო და ჯულიეტას“, რომელმაც პრესაში – არნახული ვნებათაღელვება, ხოლო მაყურებელში ნამდვილი შოკი გამოიწვია. მძიმე, მასიურ დეკორაციებსა და არქაულ ხავერდის კონსტიუმებს შერჩეულმა პუბლიკამ თითქმის ცარიელ სივრცეში გათამაშებული ტრაგედია იხილა. პრემიერამდე ერთი საათით ადრე მან ყველა არასაჭირო ნივთი თუ დეკორაციის ნაწილი სცენიდან მოისროლა და მსახიობებს ურჩია, ისე ეთამაშათ, ვითომ ცარიელ სივრცეში ნივთები არსებობს, მაგრამ მათ ვერ ხედავდნენ. ერთი სიტყვით, ბრუკმა თეატრალური „ცარიელი სივრცის“ იდეა პირველად ამ სპექტაკლში გამოიყენა, რაც შემდგომში მისი რეჟისურის ერთგვარი გასაღები გახდა.

თეატრალური მითოლოგია იმასაც გვამცნობს, რომ ერთ-ერთ საოპერო პრემიერაზე პიტერ ბრუკმა თავისი მუზა და მომავალი მეუღლე, მორცხვი, მოკრძალებული და ლამაზი მსახიობი – ნატაშა პარი გაიცნო. თურმე, როცა სიჭაბუკეში ბრუკი ტოლსტოის „ომი და მშვიდობას“ კითხულობდა, ნატაშა როსტოვათი იმდენად მოიხიბლა, გადაწყვიტა, რომ მის მომავალ შეყვარებულს აუცილებლად ნატაშა უნდა რქმეოდა. და აი, მისტიკა აღსრულდა კიდევ. ხოლო თუ მისტიკის არ გჯერათ, მაშინ ფრანკო ძეფორელის „რომეო და ჯულიეტა“ გაიხსენეთ, სადაც ნატაშა პარი ჯულიეტას დედას საკმაოდ პროზაულად და ცინიზმის ნიღბით თამაშობს.

50-იან წლებში ახალგაზრდა ბრუკის უზღვაო რეჟისორული ენერჯია ევროპაში გაბნეულ ურიცხვ სპექტაკლებში აისახება. დგამს ოპერებს „კოვენტ გარდენში“ („ბოჰემა“, „ფიგაროს ქორწინება“, „ბორის გოდუნოვი“). განსაკუთრებით აღსანიშნავია რიჰარდ შტრაუსის „სალომე“, სალვადორ დალის სცენოგრაფიისა და მხატვრობის თანხლებით, რამაც იმხანად ჯერ კიდევ მოკრძალებული და „უბინო“ საოპერო რეჟისურის ფონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრიუსელის დრამატულ თეატრში განა-

ხორციელა არტურ მილერის „კომივოიჟერის სიკვდილი“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“ – „ფაუსტი“.

თეატრალურ მოვლენად იქცა პარიზში, ანტუნის თეატრში ბრუკის მიერ განხორციელებული ტენესი უილიამსის პიესა „კატა გავარვარებულ სახურავზე“, სადაც გაიბრწყინა ახალგაზრდა ჟანა მორომ მეგის როლში. რეჟისორისთვის ეს მომავალი თანამშრომლობის საფუძველი გახდა და მოგვიანებით, 1960 წელს საკულტო ფილმში *Moderato cantabile* ჟანა მორო (ასევე დამწყებ მსახიობთან, ჟან-პოლ ბელმონდოსთან ერთად) მთავარ როლზე მიიწვია.

**ჰველა ბზა შექსპირთან მიღის**

1955 წელს ბრუკი ახლად დაარსებულ თეატრალურ დასთან, „ფენიქსთან“ ერთად სპექტაკლ „ჰამლეტი“ ჯერ ლონდონსა და პარიზში, შემდეგ კი მოსკოვში მიემგზავრება. თვითმხილველები: მსახიობები, კრიტიკოსები და ჟურნალისტები ამბობენ, რომ მაშინ მოსკოვის გასტროლები ფანტასტიკის ჟანრს უფრო განეკუთვნებოდა. სტალინი უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ უსიტყვო, შიშნარევი დუმილის ხანა სუფევდა. ამდენად იგავივით მოთხრობილი ამბავი მონამულ მეფეზე, ელსინორის სასახლის ინტრიგებსა და უსასრულო მკვლევობებზე, მოსკოვში ლამის პირდაპირ და საშობ ასოციაციებად აღიქმებოდა. ჰამლეტის მიერ გათამაშებული „სათაგურის სცენა“ კი პოლიტიკური დანაშაულებების მიმართ წარდგენილ განაჩენს წააგავდა.

ოდნავ მრისხანე, მომხიბვლელი, მაგრამ მოღუშული და ასკეტურად უკარება ჰამლეტი (მეუდარებელი პოლსკოფილდი) თითქოს მიღმა სამყაროდან ელაპარაკებოდა მაყურებელს. როცა „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგს კითხულობდა „...რომ დავიძინებთ, რა სიზმრებს ვნახავთ?“ მაყურებელს ირაციონალური შიშის გრძნობა იპყრობდა. მაგრამ მეტაფორები, რომელიც საბჭოთა პუბლიკისათვის ძირითადად დამთრგუნველ პოლიტიკურ გზავნილებს შეიცავდა, ბრუკისთვის მხოლოდ ინგლისური „გაბრაზებულების თაობის“ თამამი ესთეტიკური განაცხადი იყო.




„ფრაგმენტები“ – ბაკატის პიესების მიხედვით



„ბედნიერი დღეები“



„ფრაგმენტები“ – ბაკატის პიესების მიხედვით



„მავანკარატი“

რამდენიმე წლის შემდეგ ბრუკი „მეფე ლირს“ დგამს. მართალია, პოლ სკოფილდი ამ როლისათვის ზედმეტად ახალგაზრდაა, მაგრამ ბრეხტის ესთეტიკამ და გაუცხოების პრინციპის შემოტანამ სპექტაკლში მსახიობის ზემოცანა გაცილებით შეამსუბუქა, პერსონაჟებს ასაკი და სოციალური როლები „დაავიწყა“. ცხადია, ბრუკმა გარისკა, როცა სპექტაკლის დეკორაცია და სცენოგრაფია საკუთარი ესკიზების მიხედვით შექმნა, მაგრამ მხატვრული ეფექტი წარუშლელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ეს გაცილებით ნაკლებად იგრძნობა „ლირის“ კინოვერსიაში.

მოქმედება ცარიელ სივრცეში მიმდინარეობდა (ბრუკის საყვარელი თეატრალური ფორმა). რეჟისორმა პირველად გამოიყენა თანაბარი, თეთრი განათება და ჭუჭყიანი ნაცრისფერი კედლები, რომელმაც მთლიანად შეცვალა ლირისადმი ემოციური დამოკიდებულება. რეჟისორის თხრობა თითქოს ნეიტრალურ იგავს ან პრეისტორიულ ამბავს დაემსგავსა, სწორედ იმ დროინდელს, რომელსაც შექსპირი აღწერს პიესაში. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ „სასტიკ, დაუნდობელ სპექტაკლში, რომელსაც აშკარა უიმედობა უნდა დაეთესა, პირიქით აუხსნელი, ირაციონალური სინათლე იმარჯვებდა. დაბრმავებულ ლირს კორდელიას სიკვდილი თითქოს გონების სიცხადეს უბრუნებდა, ისევე როგორც სცენას უბრუნებოდა არნახული ნათელი“.

**შეხვედრა არტოსთან და „სისასტიკის თეატრის“ პოლიტიკური ხიზლი**

მოგვიანებით, 60-იან წლებში პიტერ ბრუკი ანტონენ არტოს „სისასტიკის თეატრით“ დაინტერესდა და თითქმის ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა, შეეკრიბა დასი, რომელიც ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსის შეხედულებებს გაითვალისწინებდა. ჟან ჟენეს „შირმები“, არტოს ჩანაწერები სახელწოდებით „სისხლიანი შადრევანი“ და ჯონ არდენის პიესა „სოცოცხლე წარმავალია, ხელოვნება – უკვდავი“, მისი ახალი, თუმცა ნაკლებად წარმატებული თეატრის საყრდენად იქცა.

მას შემდეგ, რაც ბრუკმა გერმანელი დრამატურგის პეტერ ვაისის პოლიტიკური პიესა „მარატ-სადი“ დადგა, კრიტიკას თითქოს მადა ხელახლა გაეხსნა. იქნებ იმიტომაც, რომ 1968 წელი კარს იყო მომდგარი და ყოველგვარი სიახლე მხოლოდ წამახალისებლად მოქმედებდა პუბლიკაზეც და პრესაზეც. „მარატ-სადი“ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის დროინდელი ამბები (ისევე როგორც შარანტონის საგიუეთი და ატმოსფერო სპექტაკლში) სინამდვილეში 1968 წლის ამბებით და მოსალოდნელი ახალი რევოლუციით სუნთქავდა.

მაყურებელს ესმოდა, რომ საფრანგეთის რევოლუცია რეჟისორისთვის მხოლოდ საბაბია 60-იანი წლების ბოლოს ევროპაში შექმნილ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კრიზისზე სასაუბროდ. შარანტონში გიუების ამბოხება და ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა კი უპირველესად ადამიანის უფლებების დაცვას, ანუ თეატრის საზღვრების გაფართოებას ნიშნავდა. პერსონაჟები სცენის მთელ სივრცეზე იყვნენ მიმოფანტული. მათი ტანჯული გრიმასები და სინქრონული ღრიალცელი სწორედ „სხეულის ამბოხებას და სხეულიდან გამოსვლას“ მოასწავებდა. ფაქტობრივად, რაზეც წერს არტო თავის „სისასტიკის თეატრის“ მანიფესტში.

ამავე პერიოდში ბრუკი დგამს შექსპირის „ქარიშხალს“, რომელშიც მოქმედება გიგანტურ გემბანზე მიმდინარეობს. აქაც მეამბოხეები, „დადგმული“ ხმაურები და დასარტყამი ინსტრუმენტები; ანუ ქმედება რეფლექსიის წინააღმდეგ. აქაც უტრირებულია პლასტიკა, შესტები და სიგიჟის ზღვარზე მყოფ პერსონაჟთა ქცევები. ქარიშხალს გადარჩენილი მეზღვაურები გიგანტურ თეთრ სცენა-გემბანზე გაითამაშებდნენ პანტომიმა-ეტიუდს სახელწოდებით „პროსპეროს დამხობა“. სხვათა შორის, რამდენიმე წლით ადრე ბრუკმა „ქარიშხალი“ სტრეტფორდშიც დადგა, ფორმით ყოვლად უწყინარი და, რაც მთავარია, მეამბოხე სულისკვეთების გარეშე. თუმცა ეს სხვა დროის გამოძახილი იყო და, ბუნებრივია, მასში გარდასული, მშვიდი პოლიტიკური რეალობა ირეკლებოდა.

**თეატრ „ბუფ დე ნორდის“ ერა**

70-იანი წლების დასაწყისში პიტერ ბრუკი პარიზში გადადის, სადაც, იუნესკოს მხარდაჭერით, თეატრალური კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) დაარსებაში მონაწილეობს. პარიზში ინტერნაციონალური თეატრალური დასიც შეარჩია, რომელიც დაახლოებით 30 კაცისგან შედგებოდა. პირველი დიდი პროექტი თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტმა ირანში განახორციელა. სპექტაკლი „ორგასტი“ პერსეპოლისში, უდაბნოში მდებარე გრანდიოზული ტაძრის ნანგრევებში გაიმართა და ესტილეს ტრაგედიის, „სპარსელების“ მიხედვით დაიდგა. როგორც გაზეთ „ობზერვერის“ მიმომხილველი წერდა, „ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, მაგრამ უდაბნოში ჩვენ ვიხილეთ ამაღლელებელი, მისტიკური და მშვენიერი სანახაობა“.

როცა 1974 წელს ბრუკმა პარიზში, ჩრდილოეთის რაიონში მდებარე თითქმის დანგრეული ვარიეტეს თეატრი აღადგინა, ეს ახალი ერის დასაწყისს მოასწავებდა. „ბუფ დე ნორდ“ (Bouffes du Nord) – ასე ეწოდება თეატრს, რომელშიც ბრუკმა 34 წლის განმავლობაში უამრავი მნიშვნელოვანი სპექტაკლი განახორციელა, მათ შორის – „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ალუბლის ბალი“, „მეფე უბიუ“, „მაჰაბჰარატა“, „ბედნიერი დღეები“, „ტიერნო ბოკარი“... ბრუკი ალბათ ერთადერთი რეჟისორია, რომელსაც პოსტმოდერნიზმი თავისი მომწესხავი და სახიფათო კლანჭებით არ შეხებია. უკანასკნელი ოცწლეულის განმავლობაში გამეფებული შემტევი, აგრესიული და „ტოტალური რეჟისურის“ ფონზე მისი სპექტაკლები უბრალოებას, სიმშვიდესა და ტრანსფორმაციის შეგრძნებას გვაზიარებენ.

ბედის ირონიით, ბრუკის ერთადერთი სპექტაკლი, რომელმაც საბჭოეთის აღსასრულის ფამს საქართველოში ჩამოაღწია, ჩეხოვის „ალუბლის ბალია“. იმდროინდელი თეატრის მოღვაწეთა კავშირის წყალობით, სპექტაკლი ჯერ – ლენინგრადში, შემდეგ – მოსკოვში და ბოლოს თბილისში წარმოადგინეს.



„ფრაგმენტები“ – ზაქარის ვიწროს მისაღწით



„კარმენს ტრაგედია“



ვსკიონ სვეტაკლინათვის „მეფე ლირი“



„მეფე ლირი“

# ჰაატა ქურდაძე სექსუალურად კორექტული საზოგადოება

www.azrebi.ge



–Бабушка, почему у тебя такой большой нос?

–Ты на свои нос посмотри, дура!

„ნითელქუდა“, ალტერნატიული ვერსია

თბილისის მერობის კანდიდატი რომ ვყოფილიყავი, ჩემს საარჩევნო პროგრამაში აუცილებლად შევიტანდი კარპატების მიუვალ მთებში ჩაკარგულ ქალაქ – ტრანსილვანიასთან თბილისის დამშობილების პროექტს. ამ ორ ქალაქს მთაგორიანი რელიეფისა და იდუმალების გარდა – ერთმანეთის სისხლის სმისაკენ მათი მოქალაქეების დაუოკებელი ლტოლვა აერთიანებს – მხოლოდ, რუმინელ აჩრდილთა პრინციებისაგან განსხვავებით, ჩვენს ჯანმრთელობაზე მზე და ნიორი მშვენივრად მოქმედებს: 24სთ/24სთ-ზე აქტიურად და მაღიანად ვსვლუბთ ერთმანეთის სისხლს – სქესის, ეროვნების, პოლიტიკური, რელიგიური, სექსუალური თუ კულინარიული ორიენტაციის მიუხედავად – რეალურ და ვირტუალურ ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, გრძელფეხებიანები დიდცხვირიანებს ვუშრობთ სისხლს, დიდცხვირიანები – მოკლეფეხებიანებს, ეს უკანასკნელნი – სქელტრაკებს, სქელტრაკები – „უტრაკობს“, ისინი, თავის მხრივ – აყლაყუდებს, მელოტ მემარცხენეებს ან ლიპიან მემარჯვენეებს... პრინციში. აქ დიდად გასაკვირი არაფერია – ადამიანებს ერთმანეთის გარეგნობაზე უკეთესი გასართობი ჯერ არაფერი შეუქმნიათ. მხოლოდ სიტყვა „გართობა“ დასვენებასთან, უსაქმურობასთან ასოცირდება, გაზუდმებული გართობა კი არაზრდასრულობასთან – იდიოტიზმთან. გასაკვირი არც აქ არის რაიმე – უსაქმურებისა და იდიოტების მეტი რა არის ქვეყანაზე. ჩვენი შემთხვევის უნიკალურობა ისაა, რომ ჩვენში ამით ბეჯითი, მშრომელი და ძალიან სერიოზული ხალხია დავა-ვებული; პოლიტიკური უმადლესი იერარქიიდან დანყებული უთვალავი და ათასნაირი ექსპერტი,

პოეტებით, ჟურნალისტებით დამთავრებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეისბუქის „ინტელექტუალურ“ სამზარეულოში ახალგაზრდა საკუთარ სწოებურ ფანტაზიში გზააბნეულ, მაგრამ ძალიან აქტიურ პატარა ჭორიკანა სპამ-ასისტენტებზე და სტაჟიორებზე .

1960-63 წლებში იელის უნივერსიტეტში ფსიქოლოგმა სტენლი მილგრამმა ცნობილი ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის შედეგები დღემდე შოკისმომგვრელია. უფრო მეტიც, როგორც ახლახან, საფრანგეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ ამ ექსპერიმენტის რეკონსტრუირებისას აღმოჩნდა, შედეგები „ევოლუციას“ განიცდის.

მილგრამის ექსპერიმენტი მას შემდეგ სხვადასხვა წლებში მრავალ ქვეყანაში განმეორდა, და ყველგან თითქმის ერთი და იგივე შედეგით დასრულდა: სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან ამორჩეულ არაფრით განსხვავებულ ადამიანთა 62-65% პროცენტი ავტორიტეტული მეთვალყურისაგან მიღებულ არალეგიტიმურ ბრძანებას ემორჩილება და მას ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად აცნობიერებს ბრძანების ამორალურობას. როგორც თავად მილგრამმა ახსნა, ინდივიდი ავტონომიური მდგომარეობიდან გადადის ერთგვარ „აგენტიკურ“ მდგომარეობაში, სადაც სრულად ინარჩუნებს შინაგან მორალურ თვისებებს, დაძაბულობას, სულიერ მდგომარეობას, ბოროტების გააზრების უნარს. თუმცა, თავს გარე ავტორიტარული სურვილის შემსრულებელ უბრალო აგენტად გრძნობს.

ექსპერიმენტი წარმოდგენილი იყო როგორც დასჯის ეფექტურობის მეცნიერული შესწავლის ცდა – კონკრეტულ შემთხვევაში ელექტროშოკით მოქმედება მახსოვრობის უნარზე, მის განვითარებაზე.

მონაწილეებს საათში 4 დოლარს უხდიდნენ, აგრეთვე 50 ცენტს – გზის ფულს, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სარფიანი პატარა სამუშაო გახლდათ – ამერიკაში საშუალო დღიური შემოსავალი 1960 წელს 25 დოლარი იყო, ამიტომ ექსპერიმენტში მონაწილეთა არაფრით გამორჩეული საშუალო ტიპაჟების პოვნა, მსურველთა დიდ არმიაში სირთულეს არ წარმოადგენდა.

თავად ექსპერიმენტი შემდეგნაირად ვითარდება. ორი მონაწილე (გრაფიკულ ნახატზე A და S პერსონაჟები) ფალსიფიცირებული ლატარიის გათამაშების შედეგად ინაწილებს A მოსწავლისა და S მასწავლებლის როლებს. სინამდვილეში A მოსწავლე და ყოველთვის წინასწარ შეჩრეული მსახიობია, ისევე როგორც E მეთვალყურე, ყველაფერი დადგმულია, ერთადერთი ნამდვილი მონაწილე ექსპერიმენტისა არის S მასწავლებელი, თუმცა ის, რა თქმა უნდა, თვლის, რომ როლები შემთხვევის წყალობით გადანაწილდა.

შემდეგ მათ ათავსებენ ერთმანეთისაგან იზოლირებულ ოთახებში, სადაც ერთმანეთთან რადიოკავშირის საშუალება აქვთ, S „მასწავლებელი“ ცდილობს, A „მოსწავლეს“ დააზებინოს სიტყვების გარკვეული ჩამონათვალი. ყოველ დაშვებულ შეცდომაზე ის ელექტროშოკით სჯის მოსწავლეს. ამასთან, თავიდან დაბეჭდვით მხოლოდ 75 ვოლტია, თუმცა ყოველ ახალ შეცდომაზე დაბეჭდვით, 80, 100, 140, 200 ვოლტი... A „მოსწავლეს“ უფრო და უფრო მეტად „უჭირს“ ელექტრო შოკის ატანა, მაღე ის ყვირილს იწყებს მეზობელი ოთახიდან, ითხოვს, რომ გაათავისუფლონ, ემუდარება S „მასწავლებელს“ შეწყვიტოს ექსპერიმენტი. S „მასწავლებელი“ დაბნეულია. თითქოს უნდა, რომ შეჩერდეს, მაგრამ მას ექსპერიმენტის მონაწილე მესამე პირი E „მეთვალყურე“, მოდერატორი, რომელიც ყველაფერს აკონტროლებს, ცივი, მოკლე და ავტორიტარული ხმით არწმუნებს, რომ გააგრძელოს, და ისიც მორჩილად აგრძელებს... 250, 300, 350 ვოლტი...

ექსპერიმენტის შედეგმა შოკში ჩაადგო მსოფლიო – 62 მონაწილე ბოლომდე, 450 ვოლტამდე ავიდა, მას შემდეგაც კი, რაც მოსწავლემ ყვირილი შეწყვიტა, ანუ სავარაუდოდ მოკვდა, ისინი ყოყმანის შემდეგ, „მოდერატორის“ არგუმენტების გავლენით, მაინც აჭერდნენ უფრო და უფრო მაღალი დაბეჭდვის ლილაკს... მხოლოდ 37-მა მონაწილემ შეწყვიტა ექსპერიმენტი პრინციპულად...

გასულ 18 მარტს საფრანგეთის ტელევიზიის საზოგადოებრივმა არხმა იგივე ექსპერიმენტი გაიმეორა – ამჯერად, იელის უნივერსიტეტისგან განსხვავებით, 50 წლის შემდეგ ექსპერიმენტის შეწყვეტის სურვილი მხოლოდ ოცმა S „მასწავლებელმა“ გამოთქვა, 17-ით ნაკლებმა... 80-მა პროცენტმა, სხვისი ბრძანების გავლენით, 450 ვოლტის აღნიშვნელ ლილაკს დააჭირა და „მოსწავლე“ სასიკვდილოდ განირა. მხოლოდ ამჯერად ყველაფერს სატელევიზიო შოუს ფორმა ჰქონდა და ამდენად ბევრად უფრო შემზარავი საყურებელი იყო, ვიდრე მილგრამის ლაბორატორიის მიზან-



ცენა. ეს ექსპერიმენტი ადამიანის ფსიქიკის უამრავ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, ყოველ მათგანზე მსჯელობა ძალიან მიმზიდველია; შესაძლებელს ხდის, აიხსნას ბევრი ენიგმატიკური ფენომენი, მაგალითად – საყოველთაო ნაცისტური ბარბაროსობა გასული საუკუნის 30-40 იანი წლების გერმანიაში.

აი, ექსპერიმენტის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი – ტელე შოუს მსვლელობისას ზედამხედველი მონაწილეებს მართო ტოვებს, ავტორიტარული გავლენისგან განთავისუფლებული S „მასწავლებელი“ „მოსწავლის“ პირველი მოთხოვნისთანავე ფაქტობრივად მყისიერად წყვეტს „თამშს“. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი ბუნებით არ არის სადისტი – მას საკუთარი მორჩილი ბუნების მანიპულირებით აიძულებენ იყოს ინსტრუმენტი ვიღაც ავტორიტეტის ხელში – 450-ვოლტიან ღილაკს დააჭიროს ხელი, მეზობელი ებრაელები გესტაპოში დააბეზლოს, ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდოს, საკუთარ ქვეყანას ტელევიზიით ომის დაწყება და ნახევარ საათში მისი წაგება ამცნოს...

ადამიანის მორჩილებისადმი დაქვემდებარების ამ მიდრეკილების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ყველა პოლიტიკოსი ცდილობს, თუმცა სხვადასხვა მეთოდით და ხარისხით. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ცხადია, მასებთან ავტორიტარული ურთიერთობის ფორმა აღიქმება როგორც ტირანია, ამიტომ ვერც ერთი დასავლელი პოლიტიკოსი ვერ გაბედავს თავს ასეთი ტონის უფლება მისცეს, სამაგიეროდ „ნახევრად დემოკრატიულ“ ქვეყნების ხელისუფალთათვის გარე, თუ შიდა საფრთხე სწორედ ის ნიშნა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, ავტორიტარული ტონი გამოიყენოს მოსახლეობასთან საურთიერთოდ. გასაგებია – სამხედრო რეჟიმი, ან ასეთი რეჟიმის იმიტაცია ყველაზე კომფორტაბელური გარემოა „ტირანული დემოკრატიისათვის“ – ომის მოლოდინი განსაკუთრებულ ორგანიზებულობას მოითხოვს, ორგანიზებულობა კი შეუძლებელია ორგანიზატორების, სწორედ ისეთი E „მეთვალყურეების“ გარეშე, რომლებიც მიღგრამის ექსპერიმენტისას მასწავლებლებს დემონებრით ჩასჩურჩულებენ ყურში და 450 ვოლტის ღილაკზე თითის დაჭერისაკენ აქეზებენ, უფრო კი აიძულებენ. არველაძისა და მისი მოადგილის საუბარი სწორედ მიღგრამის ექსპერიმენტის E „ანიმატორსა“ და იმ S „მასწავლებელს“ შორის დიალოგს წააგავს, რომელსაც თამაშიდან გასვლა სურს, მაგრამ ავტორიტარული ხმა არწმუნებს, დარჩეს...

როგორც ცნობილია, ადამიანს დედამიწის ბინადარი სხვა ძუძუმწოვრებისაგან განასხვავებს სამყაროს ვიზუალურად აღქმის მეტად განვითარებული უნარი. მხედველობა და მგრძნობიარობა ჩვენში განსაკუთრებულად არის ერთმანეთთან კავშირში. მაგალითად, ძალდი ტუენას სულაც არ ირჩევს მაღალი თეძოების ან მომხიბლავი თვალების გამო – მისთვის მთავარი „სპეციფიკური“ სუნია. ჩვენი ბუნებრივი პულსაციები პირდაპირ მიერთებულია ვიზუალურ აღქმაზე, პროპაგანდა, ან თუ გნებავთ რეკლამა სწორედ ადამიანის პულსაციის ხელოვნურად აღგზნებულ მდგომარეობაში



მოყვანას ცდილობს, რადგან კარგად იცის, რომ მისი გააქტიურება სწორედ თვალის საშუალებით ხდება. ამიტომაც ტელევიზია დღემდე არსებულ ყველა სხვა პროპაგანდის საშუალებათა შორის ყველაზე უნივერსალურია, ის სწორედ ვიზუალურ რეცეპტორზე მოქმედებს. გარდა ამისა, შეიცავს ფონო ზემოქმედების საშუალებებსა და ერთგვარ კლასიკური დრამის პრიმიტიულ ელემენტებსაც კი.

1999 წლიდან მოყოლებული, როდესაც BBC-ის პროგრამამ „როგორ მოვიგოთ მილიონი“, მოგვიანებით კი Big Brother-სმა, ახალი სული შთაბერეს ტელევიზიას, ჩვენ ადამიანის ბუნებრივი პულსაციებით მანიპულირების ეპოქაში შევედით. თუმცა მაშინ, 10 წლის წინ, არ იყო ადვილი წარმოსადგენი, რომ კაცობრიობა ასე სწრაფად ჩაეფლობოდა თავიდან ფეხებამდე ტელე ექსტრემინაციის ეპოქაში. მით უმეტეს, 20 წლის წინ, როდესაც ამერიკელებმა პირველი „ლაივ ომი“ მოაწყვეს სპარსეთის ყურეში, საერთოდ წარმოუდგენელი იყო.

უნდა ითქვას, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში სატელევიზიო ალვირასნილობას ბევრი ევროპული დიდი არხი პატიოსნად ეომა, სანამ ისინი გაკოტრებამდე არ მივიდნენ, როგორც მაგალითად, ფრანგული TV1 და M6 და საბოლოოდ, ჩათრევას ჩაყოლა არ ამჯობინეს.

80-იანების დასაწყისში ვიდუკლიპების ბუმის გამო, თითქოს საფუძვლიანად იქნა დაინყებული სატელევიზიო შოუს უბოროტო ჟანრი, სადაც ძირითადად კლოუნები და ჩამქრალი პოპ ვარსკვლავები გამოდიოდნენ. ლაივ ტელეთამაშებმა არა მარტო მკვდრებით აღადგინეს ეს ჟანრი, არამედ მისი ნამდვილი რენესანსი მოიტანეს: დღეს მთელი მსოფლიო თამაშობს. და ეს თამაშები, ფაქტობრივად, ნებისმიერი არხის ფინანსური წარმატების გარანტიაა. ისინი დაფუძნებულია პრინციპზე: ჩვენ ვიგებთ არა იმიტომ, რომ სხვაზე უკეთესნი ვართ, არამედ იმიტომ, რომ სხვაზე უფრო ცუდნი, სასტიკნი, უფრო მეტიც – ტერმინატორები ვართ! მილგრიმის ექსპერიმენტის ფრანგული ტელევერსია სწორედ ტელევიზიის გავლენების შესწავლის მიზნით ჩატარდა.

დღევანდელი ტექნოლოგიური ბუმის პირობებში, ცხადია, ზემოთ ხსენებული მასობრივ E „მეთვალყურეთა“ როლი მედიასაშუალებებს აკისრიათ, განსაკუთრებით ტელევიზიას, და უფრო და უფრო მეტად – ინტერნეტს, რომელშიც, როგორც ცნობილია, ტელევიზიის სრული ინტეგრირება ძალიან მალე მოხდება.

გასაკვირი იქნებოდა, რომ ასეთი სრულყოფილი E „მეთვალყურეები“ პოლიტიკოსებს ხელიდან გაეშვათ. ამ საქმის პიონერად და ჯერჯერობით ყველაზე ცნობილ მეტრად, რა თქმა უნდა, დიდი ბერლუსკონი შეგვიძლია ჩავთვალოთ თავისი საკუთარი არხებითა და სატელევიზიო პოპ-პოლიტიკური მოღვაწეობით. სწორედ ბერლუსკონის პირველი ტვ წარმატებების შემდეგ აღდგა რუსეთში ნამდვილი საბჭოთა ტვ პროპაგანდა, საქართველოში კი ტვ რეალობაში ცხოვრებამ საერთოდ არნახულ მასშტაბებს მიაღწია – თითქოს მისი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ემიგრაციას გადაურჩა, საკუთარ ტელევიზორის ყუთებში შეძვრა და ცხოვრებას „კურიერში“, „მოამბეში“, „მაესტროსა“ და „კავკასიის“ ერთგვარ „ტელე ორმოცებში“ აგრძელებს: როდესაც მიცვალებული უკვე დასაფლავებულია, აღარავინ ტირის, დოლ-გარმონიანი წლისთავი კი ჯერ შორს არის, ამიტომ სხედან, რაღაც უმადოდ ილუკმებიან, ზედ წყალწყალა ღვინოს აყოლებენ, და უგულო სადღეგრძელოებს ამბობენ. თანაც დღეში რამდენიმეჯერ.

თუ მილგრიმის ქართულ ვერსიას წარმოვიდგენთ, აქ ჯერჯერობით მთავარ E „მეთვალყურედ“ მაინც პოლიტიკოსი რჩება. მისი გონებრივი მონაცემები და მორალი 100 პროცენტით განსაზღვრავს ძაბვას პროპაგანდისტულ ქსელში. საუბედუროდ, ჩვენში პოლიტიკოსები ჯერ კიდევ იმ ბავშვებზე არიან, რომლებსთვისაც, წესით და რიგით, დენთან თამაში კატეგორიულად აკრძალული უნდა იყოს. ისინი თვითონვე ყოფენ თითებს საკუთარი უგუნურებით გაბმულ დახლართულ ელექტრო სადენებში, საბოლოო ჯამში, თავადაც იღებენ ელექტრო შოკს. მერე კი A „მოსწავლეებთან“ და S „მასწავლებლებთან“ ერთად კარგა ხანს ფართხალებენ, საცოდავად წუნუნებენ და ერთმანეთს აბრალებენ ყველაფერს.

თავად დიდი ამერიკელი ფსიქოლოგი ალბათ ძალიან გაკვირვებული დარჩებოდა მისი ექსპერიმენტის ასეთი ხეპრული უსარგებლო „მოღველირებით“, რომლის შედეგი გაცილებით შთამბეჭდავი, მასშტაბური და ამასთან ბრიყვეული აღმოჩნდა, ვიდრე ყველაზე ალვირასნილ ოცნებაში შექცეულ წარმოედგინა – მხედველობაში, რა თქმა უნდა, ტვ „იმედის“ ცნობილი ექსპერიმენტი მაქვს, რომლის



ავტორებმაც საერთოდ უარი თქვეს როგორც თამაშის ზოგად კლასიკურ პრინციპზე, ასევე მეცნიერულ ექსპერიმენტზე – და მიღგრამის მასწავლებლის სავარძელში, ელექტრო შოკის პულტთან „პარანოიკი ბავშვი“ დასვეს, იქიდან გამოსული ასობით ათასი ბოლოგამიშვლებული ელექტრო სადენი საქართველოს მთელ A მოსახლეობას დააჭერინეს ხელში და მორჩილ S „მასწავლებელს“ პირდაპირ 450 ვოლტის ლილაკზე თითის დაჭერა „ურჩიეს“ მკაცრი ტონით – რის შედეგად, როგორც ვიცით, საქართველოს მთელი A მოსახლეობა ნახევარ საათს პანიკისაგან ცახცახებდა, მთელი დანარჩენი მსოფლიო, განსაკუთრებით კი რუსეთი – სიცილისგან.

ამ გადაცემის ამორალურობა ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე „ბიგ ბროზერ“, „ლოფტი“, „კუნძული“, და ყველა სხვა თამაში ერთად აღებული. რადგან, როგორც აღვნიშნე, აქ არ თამაშობენ – აქ პირდაპირ გთავაზობენ რეალობას 2, 3 და თვით 4 განზომილებაშიც კი, თანაც – სპეციალური სათვალის გარეშე. მაყურებელს ნახევარი საათით ამ რეალობის სრულ მონანილედ გზდიან – როგორც მორალურად, ისე იურიდიულად: თქვენ შეგიძლიათ გახდეთ გმირი, მოალაღტი, ბრმა ტყვიის, კასეტური ბომბის, ან საკუთარი „სიმხდალის“ მსხვერპლი – უბრალოდ ინფარქტით მოკვდეთ შიშისაგან...

შესაძლოა, ბატონი არველაძე, რომელიც დღეს სულაც არ ტოვებს განსაკუთრებულად კრეატიული და გონებრივი მონაცემების მქონე ტვ მენეჯერის შთაბეჭდილებას, თავისდაუნებურად რაღაც ახალი ინოვაციული ტელე რევიოლუციის ავტორი აღმოჩნდეს – ტელევიზია პირველ რიგში ბიზნესია, რომელიც რეიტინგით სულდგმულობს. ასეთი რეიტინგი კი ძალიან მიმზიდველი შეიძლება გახდეს ისეთ შეუზღუდავი ტელემორალის თავისუფალ ქვეყანაში, როგორც ჩვენი ძვირფასი მონყენილი სამშობლოა.

ძალიან საშიშია პარანოიკების მიერ ტელევიზიის მართვა. ტელევიზია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ვიდრე – უბრალოდ არჩევნების მოგება-ნაგების სამართავი პულტი.

ასეთი რეალობის იმიტაცია გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე პოლიტიკური ექსტრემალური დაპირისპირება, ვიდრე სამშობლოს ლაღტი, ვიდრე ომი. აქ ჩვენ ფუნდამენტური ფასეულობებით ვთამაშობთ, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილისაგან განსხვავებით – კორექტირებას არ ექვემდებარება.

ქართული მედია, განსაკუთრებით ტელევიზია, არ არის ყვითელი, ის სიძულვილის ფერია, ეს კი, ჩემი აზრით, მუქი იასამნისფერი უნდა იყოს...

სიძულვილის სანამლავისფერი ობიექტი, რომელიც ყველა ომს თან ახლავს, რა თქმა უნდა, ამ „ფილმშიც“ მოცემულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პესიმისტური ფინალი, მოალაღტიეების ტრიუმფი...

ტვ „იმედის“ მიერ ჩადენილი მონუმენტური სიბრიყვის შემდეგ გამოჩენილი ქართველი ინტელე-



ქტუალეების მცირე ნაწილი, საკვირველია, მაგრამ პირველად დაფიქრდა სერიოზულად ტელევიზიის სახიფათო გავლენაზე და ერთგვარ ყვითელ ტელევიზიაზე ალაპარაკდა. როგორც ჩანს, ახლო მომავალში საერთოდ ტელევიზიის დიაბოლიზაციას უნდა ველოდოთ – დღეს უკვე ყველა არხი გასვრილია: სახელისუფლებოც და ოპოზიციურიც. ამიტომ, თითქოს ყოველი შემთხვევისთვის, ჯობს ფერების რეგულირებით – ყვითელის მკვეთრი მომატებით შევეცადოთ ჩვენი საკუთარი „სიყვითლე“ ტელევიზორების გაუმართაობას დავაბრალოთ.

„იმედის“ ამ ტელევისულებელში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ თავად ფილმი მაღალპროფესიულად შესრულებულად შეაფასა ყველა მხარემ, მხოლოდ ნაწილს მოეჩვენა, რომ, „დასანანი გულმაჯინჯობის“ გამო, გამაფრთხილებელი წარწერის არქონა ფილმის ერთადერთი სუსტი მხარე იყო, ხოლო მეორე ნაწილისათვის ასეთი წარწერის შემთხვევაშიც კი ფილმი პანიკას გამოიწვევდა. ასეა თუ ისე, ეს „შედევრი“ უპრეცედენტოდ წარმატებული აღმოჩნდა – ამხელა ხმაური აბულაძის „მონანიების“ შემდეგ საქართველოში გადაღებულ არც ერთ ფილმს არ გამოუწვევია. ისიც აღსანიშნავია, რომ პრინციპში ფილმი პრეზიდენტ სააკაშვილისა და „იმედის“ დირექტორ არველაძის გარდა, არავის არ მოეწონა, მათ შორის – თვით მმართველ გუნდში, და კიდევ უფრო ნაკლებად მათ ოპოზიციაში. მოსახლეობის აზრზე, ჯობს, საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ.

საქმეში ჩახედული ხალხი შეთანხმდა, რომ ეს ყვითელი ფილმი. თუმცა რატომ – ყვითელი, არა-ვინ ახსნა. ამიტომ მაინც გაუგებარი დარჩა – რა არის ქართულ მედიაში სიყვითლის კრიტერიუმი?

2.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ დიდი უსამართლობა იქნებოდა ამ მოდელირებული რეალობის ნახევარ საათში ჩაგვეტია მთელი ის ელექტრო შოკი, რომლითაც ქართული სატელევიზიო მედია აწამებს მოსახლეობას ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში.

90-იანი წლებისათვის დამახასიათებელ ქაოტურ ტელე წამებას ორგანიზებული სახე პირველად, რა თქმა უნდა, „რუსთავი 2“-მა მისცა და ნამდვილი ქართული ტვ-ოსვენციმი შექმნა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ტოტალურ არაეთიკურ, არასამართლებრივ, უპასუხისმგებლო და, რაც მთავარია, შოკური თერაპიის სადისტურ პრინციპზე დაფუძნებულ შოკურ ტელე-ჟურნალისტიკას, სულ რამდენიმე წელიწადში ეს ტელე წამება რევოლუციურ კლასიკად აქცია. დღეს მაშინდელ „რუსთავი 2“-ს ისევე მოიხსენიებენ, როგორც ბოლშევიკები – იატაკქვეშა გაზეთ „პრავდას“ ან „ისკრას“...

როგორც იტყვიან, მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა... დღეს უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი გაჩეჩილაძემ სულ რაღაც ექვსი დღის განმავლობაში თავის ტვ-საკანში ახალი მიკროსამყარო შექმნა – კედელზე გაკრული შესაბამისი აქსესუარებით, საკანში მოწვეული ადამებით, ევებით, აგრეთვე ვაშლებით და გველებით. მეშვიდე დღეს კი დაღლილი დასასვენებლად ვედროზე ჩამოვდა და თქვა, რომ „ეს კარგია“, ანუ „გლიჯავს“...

ამან შედეგად რაც მოიტანა, ყველამ კარგად ვნახეთ – რამდენიმე თვეში ხელისუფლებამ უცნობის საკანი-სამყაროს ცუდი იმიტაცია – „რეალ ტვ“ შექმნა, რომელიც საქართველოს ისედაც მოყვითალო ტოქსიკურ ატმოსფეროს კიდევ უფრო წამლავს – ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს.

ქართული ტვ არხები ხომ ყვითლად მხრჩოლავ „ქიმიურ კომბინატებს“ უფრო ჰგვანან, ვიდრე მედიასაშუალებებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც საკანი, არც „რეალ ტვ“, თვით „რუსთავი 2“-ც კი არ წარმოადგენენ აროგანტულოზის სიმსივნის მთავარ კერას, რომლის პირველი ნიშნები გასულ საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩნდა – ეპოქაში, რომელსაც ვლადიმირ პუტინმა გეოპოლიტიკური კატასტროფა დაარქვა, და რომელიც ჩვენთვის ნამდვილ „გეოკულტურულ“ კატასტროფად იქცა.

საერთოდ, ჩემი აზრით, ტელევიზია არ შეიძლება ერთადერთი კერა იყოს ამ სიმსივნის. დღეს დანამდვილებით ვიცი, რომ ახალი საქართველოს საწყისში ორიდან ერთ-ერთი „სიტყვა“ იყო – „მოლაღატე“ ან „გოიმი“. მხოლოდ არავინ იცის, რომელი იყო „პირველი“, არც აქვს მნიშვნელობა, რადგან მას შემდეგ გოიმებმა და მოლაღატეებმა რამდენჯერმე გაცვალეთ ადგილები, ბოლოს ყველანი ამ ორი სიმსივნის კერიდან გამოსულ მიღგრამის ელექტროსადენებივით ერთმანეთში გადახლართულ მეტასტაზებზე გადავიქცით და გაერთიანებული ძალებით ერთად მხიარულად ვახრჩობთ ჩვენი კიდურებამპუტირებული სამშობლოს ნარჩენებს.



# დისკუსია სიძულვილის ენა

ავტორი: ნინო ბაქიშვილი



## მონაწილეები:

დავით ზურაბიშვილი  
რესპუბლიკური პარტიის წევრი

ჯიჯი რეჯინი  
ფოტოგრაფი

გიორგი გოცირიძე  
იურისტი

ვახუშტი მენაბდე  
იურისტი

ვანო გოგელია  
იურისტი

გიორგი ცხადაია  
პოლიტოლოგი

საქართველოში შეიძლება ტელევიზიით გამოხვიდე და რაც გინდა, ის ილაპარაკო, ამისთვის არავინ მოგთხოვს პასუხს – სიტყვის თავისუფლებაა. ჩვენთან არც სიძულვილის შემცველი გამონათქვამები ისჯება და ალბათ ესეც არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ ბოლო დროს მედით სხვადასხვა უმცირესობებზე თავდასხმები გახშირდა.

ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საქართველოს ორჯერ მისცა სიძულვილის ენის კრიმინალიზების რეკომენდაცია, მაგრამ ჩვენი კანონმდებლები ამ თემაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ. არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ ამგვარი აკრძალვა დემოკრატის დაემუქროს და გამოხატვის თავისუფლება შეზღუდოს?

**ნინო ბექიშვილი:** რა არის სიძულვილის ენა? რას გულისხმობს ეს ტერმინი?

**გიორგი გოცირიძე:** სიძულვილის ენა ადამიანზე, ან ადამიანთა ჯგუფზე სიტყვიერი თავდასხმაა, რაც შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციისკენ არის მიმართული. სიძულვილის ენის სამართლებრივი დეფინიცია საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში არ არსებობს. ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, როცა 1966 წელს მიიღეს კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, სადაც პირდაპირ მოუწოდებდნენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სიძულვილის ენა, ანუ რასობრივ უპირატესობებზე დაფუძნებული იდეები, მოსაზრებები, ასევე ამ მოტივით ძალადობის წაქეზება კანონით დასჯადად გამოეცხადებინათ.

სიძულვილის ენისადმი თანამედროვე მსოფლიოში ორგვარი მიდგომა არსებობს – ამერიკული და ევროპული. ევროპული მიდგომა საერთოდ არ მოიაზრებს სიძულვილის ენის გამოყენებით გამოხატვის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლებას, არ იცავს სიძულვილის ენას და ეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც არაერთხელ განუცხადებია.

**ვახუშტი მენაბდე:** ამერიკული კონცეფცია ევროპული სტანდარტებისგან თვისობრივად განსხვავდება. თუ ევროპული სტანდარტი ამბობს, რომ სიძულვილის ენა საერთოდ არ არის გამოხატვის თავისუფლებით დაცული, და ის უნდა აიკრძალოს, ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების და მისი შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს, თუ საფრთხე არ არის მყისიერი და არსებითი. რა არის მყისიერი საფრთხე, ეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება. მაგალითად, იყო ერთი ასეთი საქმე – „კონენი კალიფორნიის წინააღმდეგ“. კონენი მაისურზე შეურაცხყოფელი წარწერით სასამართლოს დერეფანში დადიოდა. უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ ამ შემთხვევაში მყისიერი საფრთხე არ არსებობდა. ვისაც არ უნდოდა იმ იდეის გაზიარება, რომელიც მას მაისურზე ეწერა, შეეძლო გვერდი აექცია და თავისი გზით წასულიყო, ან მასთან დებატებში ჩაბმულიყო.

**ნინო ბექიშვილი:** სიძულვილის ენის აკრძალვა სასწორზე დებს გამოხატვის თავისუფლებას. ვისაუბროთ იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება გამოხატვის თავისუფლებას ამგვარი აკრძალვებით დაემუქროს.

**ვანო გოგელია:** ამერიკის უზენაესი სასამართლო ამბობს, რომ შეურაცხყოფელი გამონათქვამები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ გამოხატვის თავისუფლება შევზღუდოთ. მოსაზრების გამოთქმა არ უნდა გახდეს აკრძალვის საფუძველი. ამერიკელები თვლიან, რომ სიძულვილის ენა ადამიანის გრძნობებს და განცდებს ეხება, გრძნობები კი შეუ-

ძლებელია კანონით იყოს დაცული. სხვადასხვა ადამიანს შეურაცხყოფის განსხვავებული აღქმა აქვს. ამას კანონი ვერც განსაზღვრავს და ვერც დაარეგულირებს. გამონათქვამების გამო ადამიანები რომ დავსაჯოთ, ამით გამოხატვის თავისუფლება ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოდ შეიზღუდება, რაც გარკვეული აზრებისა და მოსაზრებების ცენზურას გამოიწვევს. ეს კი ზოგადად დემოკრატიისთვის სასარგებლო ნამდვილად არ არის.

**გიორგი გოცირიძე:** სიძულვილის ენას თან სდევს ქსენოფობიური და ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ადამიანების ჩართვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათთვის საჯარო სივრცის მიცემა. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია ნაცისტურ ორგანიზაციებს კანონგარეშე აცხადებს. შემიძლია გავისხენო რუანდის ტრიბუნალის განწყვეტილებები და ბრალდებები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ტუტსის ტომის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს წინ უძღოდა აქტიური მედიაკამპანია, სადაც პირდაპირ კეთდებოდა განცხადებები ტუტსის ტომის განადგურებაზე, რასაც 1994 წელს ამ ტომის მასობრივი ხოცვა მოჰყვა. ვფიქრობ, სიძულვილის ენა არ არის მხოლოდ გრძნობებზე თამაში, ის ძალადობის დასაწყისია, იმის მიუხედავად, ეს მოწოდება პირდაპირ ისახავს თუ არა მიზნად კონკრეტული ჯგუფის განადგურებას. ამიტომაც აუცილებელია, სახელმწიფომ პირველივე ეტაპზე მოახდინოს სათანადო რეაგირება. ეს არის თამაში უმრავლესობის გრძნობებზე, ხდება მტრის ხატის ჩამოყალიბება, რაც საბოლოოდ ძალადობას წარმოშობს. რუანდის და ფაშისტური გერმანიის გამოცდილებაც ამის დასტურია.

**დავით ზურაბიშვილი:** გერმანიის გამოცდილება უნიკალურია. გერმანელებს დიდი ტვირთი ჰქონდათ ნაცისტური



ვახუშტი მენაბდე

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, შეუძლებელია, არეგულირო გამოხატვა. ეს უბრალოდ გამოუსადეგარი ხერხია, იმიტომ რომ სადღაც ჩაახშობ სიტყვას, მაგრამ მეორე მხრიდან ამოყოფს თავს. დღეს გამოხატვის რეგულირება შეუძლებელია.

მემკვიდრეობის სახით, რაც მათ მძაფრად განიცადეს და სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე დაანესეს შეზღუდვები. ჩემთვის ამერიკული მოდელი უფრო მისაღებია, როცა გამოხატვის თავისუფლება უფრო დიდი ღირებულებაა. რთული გასარკვევია, სიძულვილის ენა როდის შეიცავს პირდაპირ საფრთხეს და როდის – არა. ჩვენი სიტუაცია და საქართველო რომ ავიღოთ, ვფიქრობ, აქ გაცილებით მნიშვნელოვანია, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების გარანტიები იყოს, ვიდრე თუნდაც კეთილშობილური მიზნით დანესადეს რაღაც შეზღუდვები. პლურალისტური კულტურა რომ დამკვიდრდეს, გამოხატვის თავისუფლებას არაფერი უნდა ემუქრობდეს, პატარა შეზღუდვამაც კი შეიძლება მძიმე შედეგები გამოიღოს. ძალიან რთული მოსასმენია, როცა გეუბნებიან – რუსეთის აგენტი ხარო, – მაგრამ არის თუ არა ეს სიძულვილის ენა?



ვანო გოგოლაშვილი

იმ ადამიანს თუ ეს აზრი აქვს და პირს ამოუკერავ, რა, ის აზრი აღარ ექნება? აზრის გამოსახატავად სხვა მეთოდს იპოვნის, შესაძლოა – ფიზიკური ძალადობის. აჩუმებ, მაგრამ გაჩუმება არ ნიშნავს, რომ დამოკიდებულებას უცვლი. შეიძლება აკრძალვამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს. ამიტომ ჯობს, ილაპარაკოს, ეკამათონ და გადაარწმუნონ. ეს უფრო ეფექტური მეთოდია.

**ნინო ბექიშვილი:** უახლესი ისტორია გავისხენოთ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა, თუ არსებობდა ცნება – სიძულვილის ენა. თუმცა მაშინაც იყვნენ ადამიანები, ვინც აპროტესტებდა ეროვნული ლიდერების დისკრიმინაციულ გამონათქვამებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიმართ...

**ჯიჯი რეჯინი:** ამ დროს პატარა ვიყავი, და მახსოვს, უცხოებთან არ უნდა მეთქვა, რომ ვარ ბულგარელი და ნახევრად სომეხი, ამაზე ქუჩაში არ უნდა მელაპარაკა. პატარა ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა „საქართველო ქართველებისთვის“; იქნებ გამარკვივით, დღემდე ვერ გავიგე, რას გულისხმობდნენ – პასპორტით ქართველებისთვის, თუ...

**ნინო ბექიშვილი:** არა, სამწუხაროდ, მაშინ ნამდვილად ეთნიკურად ქართველებს გულისხმობდნენ...

**დავით ზურაბიშვილი:** 90-იან წლებში მართლაც მასობრივი ისტერია იყო. გაზეთებში ინერებოდა, – ოსები დედის მუცლიდან „სტრაჟნიკებად“ არიან შობილებიო. მიტინგებზე იყო მოწოდებები, – თბილისელმა სომხებმა დატოვონ აქაურობა, თუ მხარს არ დაგვიჭერენო, და ა.შ. ადამიანებს სამსახურიდან ითხოვდნენ, ეთნიკური კუთვნილების გამო. იმ ორგანიზაციიდანაც, სადაც ვმუშაობდი, ერთი ჩვენი თანამშრომელი მარტო იმიტომ გააგდეს, რომ ოსი იყო. ბაკურიანიდანაც გამოაძევეს ოსები, მთელი სოფლები დაიცალა. მაშინ სისხლით ქართველობა ქართული ნაციონალიზმისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს ნაწილობრივ იმანაც გამოიწვია, რომ დიდხანს არ გვექონია სახელმწიფო და ეს იყო პასუხი გარუსების საფრთხეზე. ცეკა-ს წევრები პირდაპირ ამბობდნენ, აზერბაიჯანელები და სომხები მრავლებიან და ცოტა ხანში ისინი უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ქართველებიო.

ვთვლი, რომ ის მოვლენები, რაც შემდეგ ცხინვალში და აფხაზეთში განვითარდა, დიდწილად ამ რიტორიკამაც განაპირობა. იქ, ცხადია, პოლიტიკური მიზეზებიც და რუსეთის ფაქტორიც თამაშობდა დიდ როლს, აფხაზეთის ცნობიერებაში ქართველის მტრის ხატად ჩამოყალიბება მართლა რუსული პროპაგანდის შედეგი იყო, მაგრამ ოსებთან მიმართებაში ამ რიტორიკამ და სიძულვილის ენამ ნამდვილად გადაწყვეტი როლი ითამაშა. მერე ეს ისტერია ჩაცხრა, ალბათ მწარე გაკვეთილი რომ მივიღეთ, იმის შედეგად. თუმცა, ხანდახან ისევ იჩენს ხოლმე თავს მსგავსი პრობლემები.

**ნინო ბექიშვილი:** დღეს საქართველოში არსებობს პატარა ექსტრემისტული დაჯგუფებები, რომლებიც აცხადებენ, რომ, მაგალითად, ჰომოსექსუალებს ებრძვიან. შეიძლება ისინი ვინმეს ფიზიკურ განადგურებას არც გულისხმობენ, მაგრამ ამგვარი იდეები თუ გავრცელდა, ამ ადამიანებს მართლაც შეიძლება დაემუქროთ რეალური საფრთხე...

**ვახუშტი მენაბდე:** ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ სიძულვილის ენა საფრთხეს შეიცავს. ეს არის რისკი, რომელიც დემოკრატიას ახლავს თან. სწორედ ამგვარი თავისუფლების არსებობა არის წყალგამყოფი ავტორიტარიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. თუკი აღარ იქნება სივრცე თავისუფალი დებატებისთვის, აღარ იქნება არც დემოკრატია...

**ნინო ბექიშვილი:** ევროპის ქვეყნების უმეტესობაში სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იქ დემოკრატიისთვის და დებატებისთვის სივრცე არ არის...

**გიორგი ცხადაია:** ორივე მიდგომას – ევროპულს და ამერიკულსაც თავისი დამცველები ჰყავს, როგორც სამართლის, ასევე პოლიტიკის სფეროში. 1992 წელს

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „კუ-კლუქს-კლანის“ ფორმაში გადაცმული ადამიანები, რომლებიც ჯვარს ნეავდნენ აფროამერიკელი პირის სახლის წინ, არ არღვევდნენ კანონს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ამერიკაში კამათი იმის შესახებ, არის თუ არა სიძულვილის ენა კრიმინალი. ეს დისკუსია განახლდა მაშინ, როდესაც უზენაესმა სასამართლოებმა დაიწყეს აკადემიური ინსტიტუტების წესების განხილვა. დღემდე არის ასეთი პროგრამა, რომელიც გულისხმობს პოზიტიურ ღონისძიებებს, რომელთა მიხედვით, იმ უმცირესობების ემანსიპაცია უნდა მოხდეს, რომლებიც ისტორიულად ცუდ მდგომარეობაში იყვნენ და იჩაგრებოდნენ. პოზიტიურ ღონისძიებებს ამერიკის უზენაესი სასამართლო კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნევს. საზოგადოებაში არსებობს უთანასწორობა. არის უმრავლესობა, არის უმცირესობა, არის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რომლებსაც საჯარო სივრცეზე თანაბრად არ მიუწვდებიან ხელი. აფროამერიკელზე, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უმრავლესობის ზეწოლის გამო ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდა, სიტყვის თავისუფლება უფრო ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე თეთრკანიანზე, რომელსაც ეს უფლება მთელი სამასი წლის განმავლობაში არ შეზღუდვია.

ჯონ სტიუარტ მილის აქვს ერთი გამონათქვამი – „ადამიანის მიმართ, კანონმდებლობის მიხედვით, ძალის გამოყენება ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება – როცა ის ზიანს აყენებს სხვას“. არის თუ არა ზიანი სიძულვილის ენა? საზოგადოება ნამდვილად იდეების ბაზარი, მაგრამ სიძულვილის ენა არ უწყობს ხელს იდეების თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, პირიქით – ზღუდავს. თუ მე შეურაცხყოფას გაყენებთ, მაგალითად იმიტომ, რომ თქვენ სომეხი ან ჰომოსექსუალი ხართ, იდეურად რომც შემენინააღმდეგოთ, მე შეურაცხყოფა უკვე მოგაყენეთ, და ფაქტობრივად გამოვრიცხე თქვენი მონაწილეობა დისკუსიაში. ამას არაფერი ეშვება. ეს ხელს არ უწყობს თავისუფალ დისკუსიას.

**დავით ზურაბიშვილი:** მნიშვნელოვანია ისიც, საზოგადოებაში როგორი კლიმატი და რა ღირებულებათა სისტემაა. მაგალითად, თუ საზოგადოების 90 პროცენტი ნეგატიურად განწყობილი ჰომოსექსუალების მიმართ, ამგვარი გამონათქვამები ხელოვნურად როგორც უნდა აკრძალო, ამ თემის მიმართ საზოგადოებას დამოკიდებულებას ვერ შეუცვლი. პირიქით, ამან შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს. გერმანიაში საზოგადოების უდიდესი ნაწილი შეთანხმებულია, რომ ნაციზმი ცუდია, და იმიტომაცაა იქ ნაციისტური გამონათქვამები კრიმინალიზებული. აქ უფრო საზოგადოებრივი მორალის საკითხი დგება და არა მგონია, სიძულვილის ენის კრიმინალიზაციამ ხელი შეუწყოს ტოლერანტული განწყობების გაღვივებას. მთავარია, საზოგადოება შეთანხმდეს რაღაც ღირებულებებზე. მთავრობა ნამდვილად ვერ გადაწყვეტს, რა არის უზრდელობა ან შეურაცხყოფა.



ზვიადი რაჭვინი

მასსოვს, უცხოებთან არ უნდა მეთქვა, რომ ვარ ბულგარელი და ნახევრად სომეხი, ამაზე ქუჩაში არ უნდა მელაპარაკა. პატარა ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა „საქართველო ქართველებისთვის“.

**გიორგი ცხადაია:** საქართველოში სიძულვილის ენა დისკუსიას ამახინჯებს. ტელევიზიით გამოდიან ადამიანები და ბრალს სდებენ უმცირესობებს, თითქოს საზოგადოება რომ ვერ ვითარდება, ეს ჯგუფები არიან დამნაშავენი. სწორედ ეს განტყვების ვაცის დაუსრულებელი ძებნა უშლის ხელს ჯანსაღ დისკუსიას.

**გიორგი გოცირიძე:** სამოქალაქო ღირებულებები არ შეიძლება გამოიყენონ იმ ადამიანებმა, ვინც ამავე ღირებულებების განადგურებას ისახავს მიზნად. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში პირდაპირ წერია, რომ ამ უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცება უნდა ხდებოდეს საუკეთესო დემოკრატიული პოლიტიკით. მართლაც, არსებობს სიძულვილის ენის აკრძალვის ბოროტად გამოყენების საფრთხე. იმიტომ, უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო კრიტერიუმები, თუ რას ემსახურება სიძულვილის ენა – უბრალო შეურაცხყოფას, თუ მტრის ხატის შექმნას. მაგალითად, კათოლიკურ ეკლესიაში სასულიერო პირების პედოფილიის თემა შეიძლება შეურაცხყოფელი იყოს კონკრეტული ჯგუფისთვის, მაგრამ რადგან დღეს აქტუალურია, მასზე საჯაროდ საუბარი გამართლებულია. როდესაც რომის პაპი მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების გენოციდის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა: ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ დისკუსიას ამ კუთხით უნდა შეეწყოს ხელი და დაუშვებელია იმ ადამიანის მიმართ სანქციის დანესება, ვინც ამ დისკუსიაში წვლილს შეიტანსო.

**ვანო გოგელია:** თუ ჩვენ ვიცავთ ადამიანის განცდებს, უნდა დავიცვათ როგორც უმცირესობის, ისე ნებისმიერი სხვა პირის განცდებიც. მაგალითად, გარეგნობაზე რომ დასცინებ ადამიანს, ემოციურ ტკივილს ხომ აყენებ? ეს ხომ არ ისჯება კანონით? ან ყველა უნდა დაიცვათ, ან არავინ.

**გიორგი ცხადაია:** არ არსებობს საზოგადოება, სადაც უთანასწორობა არ არის, მაგრამ კარგი საზოგადოება ის არის, რომელიც ამ უსამართლობას ეფექტურად ებრძვის.

**ვანო გოგელია:** დავეთანხმები გიორგის, მაგრამ დავუშვათ იღებ კანონს და ვილაცას აჩუმებ, მაგრამ სიძულვილის ენაც ხომ აზრის მანიფესტაციაა? იმ ადამიანს თუ ეს



დავით ზურაბიშვილი

ადამიანი თუ აღიარებს, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს ისევე აქვს სრულფასოვნად არსებობის უფლება, როგორც მის მოსაზრებებს, მაშინ სიძულვილის ენა მორალურად მიუღებელი გახდება. ჩვენთან ტოლერანტობა არ არის საყოველთაო, კანონში ამკრძალავი მექანიზმების ჩადება კი უკუეფექტს გამოიწვევს.

აზრი აქვს და პირს ამოუკერავ, რა, ის აზრი აღარ ექნება? აზრის გამოსახატავად სხვა მეთოდს იბოვნის, შესაძლოა – ფიზიკური ძალადობის. აჩუმებ, მაგრამ გაჩუმება არ ნიშნავს, რომ დამოკიდებულებას უცვლი. შეიძლება აკრძალვამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს. ამიტომ ჯობს, ილაპარაკოს, ეკამათონ და გადაარწმუნონ. ეს უფრო ეფექტური მეთოდია.

**ვახუშტი მენაბდე:** თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, შეუძლებელია, არეგულირო გამოხატვა. ეს უბრალოდ გამოუსადეგარი ხერხია, იმიტომ რომ სადღაც ჩაახშობ სიტყვას, მაგრამ მეორე მხრიდან ამოყოფს თავს. დღეს გამოხატვის რეგულირება შეუძლებელია. მაგალითად, ჩინეთსა და ირანში არ გამოუვიდათ ინტერნეტის კონტროლი.

**გიორგი გოცირიძე:** აკრძალვა მიზნად ისახავს, რომ საჯარო სივრცეს ჩამოვაშოროთ ადამიანი, რომელსაც დემოკრატიული ფასეულობების განადგურება უნდა. ერთ მხარეს არის კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი და მეორე მხარეს – ექსტრემისტი. ბუნებრივია, ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლიანობის დაცვისთვის, უფრო მომეტებული ინტერესი შეიძლება ეთნიკური ჯგუფის მხარეს იყოს. მი-

ზანი კი ისაა, რომ ექსტრემისტები ჩამოვაშოროთ საჯარო სივრცეს.

**ნინო ბექიშვილი:** რა არის იმის მიზეზი, რომ ქართული მედიიდან დღესაც ხშირად ისმის სიძულვილის ენა?

**ვახუშტი მენაბდე:** ვფიქრობ, აქ განათლების პრობლემაა. განტევების ვაცი ყოველთვის მოიძებნება. ამ როლს 90-იან წლებში ოსები თამაშობდნენ, მერე – რელიგიური უმცირესობები, ახლა – სექსუალური უმცირესობები. ხვალ შეიძლება იყვნენ ლიბერალები, კონსერვატორები, კომუნისტები, ანარქისტები. ყოველთვის შესაძლებელია, რომ ვილაცას რაღაც დააბრალო.

**გიორგი გოცირიძე:** მედია არ უნდა იქცეს სიძულვილის ენის გამტარად, იმიტომ რომ მედიას, განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალურ მედიას, დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და, აქედან გამომდინარე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. როდესაც ჯიჯი რეჯინის ჰკითხეს, რცხვენოდა თუ არა საკუთარი სომხური წარმომავლობის, ეს მაუწყებლობის კანონის 56-ე მუხლის მესამე ნაწილის პირდაპირი დარღვევა იყო. დაუშვებელია არა მარტო დისკრიმინაციული, დამამცირებელი ხასიათის გამონათქვამები ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებთან მიმართებაში, არამედ ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ხაზგასმაც კი. ამ კითხვის დასმა უკვე კანონდარღვევა იყო. მედიას ერთადერთ შემთხვევაში აქვს უფლება, დაუთმოს ეთერი ასეთ ქსენოფობიური ხასიათის გამონათქვამებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საზოგადოებაში არსებულ სიძულვილს ასახავს, როგორც პრობლემას. ასეთ დროს ჟურნალისტმა მკაფიოდ უნდა გამოიწვინოს სარედაქციო პოლიტიკა ასეთი ხასიათის გამონათქვამებისგან. პრობლემა ისიც, რომ სახელმწიფომ ასეთი დავების გადანყევტა თვითრეგულირების მექანიზმს მიანდო. ეს თვითრეგულირების მექანიზმი არ არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ასეთი ხასიათის საჩივარს განიხილავს და, შესაძლოა, შედგებოდეს იმ პირებისგან, ვის გამოც მოხდა ასეთი დისკრიმინაციული ხასიათის გამონათქვამების ეთერში გასვლა. რეაგირების მექანიზმი კი ბოდიშია. აზრი არ ჰქონდა, ჯიჯის რომ მიემართა ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმისთვის, რადგან გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ტელეკომპანიამ ბოდიში მოიხადა. ამ შეკითხვისთვის ჯარიმა მაინც უნდა გადაეხადა ტელევიზიას.

**ჯიჯი რეჯინი:** მე მედიას დავიცავ. გადაცემის ჩანერამდე ჩამიტარეს უამრავი ტესტი. შეკითხვები ჩემი პასუხების მიხედვით შეადგინეს. მახსოვს, ძალიან კარგი ფსიქოლოგი მესაუბრა. მან ეს პრობლემა, რომელიც ჩემში იყო, ამოიღო და შეკითხვად აქცია.

**გიორგი გოცირიძე:** ეს გადაცემა არ ისახავს მიზნად, ეთნიკური უმცირესობების პრობლემები, მათი თუნდაც კომ-

პლექსები გამოიტანოს საზოგადოების სამსჯავროზე. ეს არ არის ამ გადაცემის მიზანი.

**ჯიჯი რეჯინი:** მთელი გადაცემა ამ კომპლექსებზეა აგებული. უბრალოდ, აღიარების უნარი უნდა გქონდეს. ეს გადაცემა არის პიარი. ვილაცას სჭირდება ამგვარ გადაცემაში მონაწილეობა, ვილაცას – არა. ადამიანი როდესაც იქ მიდის, მან ზუსტად იცის, როგორ შეკითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. მაინტერესებს, რატომ არ იყო ასეთივე აუცილებელი, როდესაც იმავე გადაცემაში ვილაც მამაკაცს ჰკითხეს: „თქვენ ჰომოსექსუალი ხართ?“

**ნინო ბექიშვილი:** მას უბრალოდ ჰკითხეს თავისი იდენტობის შესახებ. თქვენთვის დასმული შეკითხვა სომეხ ერს შეურაცხყოფდა.

**დავით ზურაბიშვილი:** ალქაიდას ლამის მთელ ხელისუფლებას ოქსფორდში აქვს განათლება მიღებული, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. აქ კულტურის და მენტალობის მომენტი უფროა, ვიდრე განათლების. განსხვავებულ ადამიანს ჩვენი საზოგადოების რაღაც ნაწილი მტრად აღიქვამს. საზოგადოების მენტალობა უცებ ვერ იცვლება და ტოლერანტული ვერ ხდება. ამას დრო სჭირდება. ცხადია, განათლებასაც აქვს მნიშვნელობა, ისევე როგორც – მთავრობის პოლიტიკას, სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, კონკრეტული ადამიანების აქტიურობას და ა. შ. ადამიანი თუ აღიარებს, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს ისევე აქვს სრულფასოვნად არსებობის უფლება, როგორც მის მოსაზრებებს, მაშინ სიძულვილის ენა მორალურად მიუღებელი გახდება. ჩვენთან ტოლერანტობა არ არის საყოველთაო, კანონში ამკრძალავი მექანიზმების ჩადება კი უკუეფექტს გამოიწვევს.

**ნინო ბექიშვილი:** არის თუ არა მზად ჩვენი სასამართლო სისტემა იმისთვის, რომ სიძულვილის ენის კრიმინალიზება მოხდეს?



გიორგი გოცირიძე

მედია არ უნდა იქცეს სიძულვილის ენის გამტარად, იმიტომ რომ მედიას, განსაკუთრებით აუდიო-ვიზუალურ მედიას, დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და, აქედან გამომდინარე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.



გიორგი ცხადაძე

ჯონ სტიუარტ მილის აქვს ერთი გამონათქვამი – „ადამიანის მიმართ, კანონმდებლობის მიხედვით, ძალის გამოყენება ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება – როცა ის ზიანს აყენებს სხვას“. არის თუ არა ზიანი სიძულვილის ენა? საზოგადოება ნამდვილადაა იდეების ბაზარი, მაგრამ სიძულვილის ენა არ უწყობს ხელს იდეების თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, პირიქით – ზღუდავს.

**გიორგი გოცირიძე:** სისხლის სამართლის კოდექსში აუცილებლად უნდა ჩაიდოს იმ განცხადების მიზანი, რაც სიძულვილის ენად კვალიფიცირდება. ნათლად უნდა იყოს განერილი – ეს კონკრეტული ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური ორიენტაციის მქონე ჯგუფის დამცირებაა, თუ საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხისადმი ყურადღების მიპყრობა. ეს მიზანი თითოეულ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ხელისუფლებას და სასამართლოს არ ჰქონდეთ ამ მუხლით მანიპულირების და მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ, მეორე მხრივ, მგონია, რომ საქართველოში სასამართლო ჯერჯერობით არ არის იმდენად კვალიფიცირებული, რომ ასეთი რთული კანონმდებლობა დაინერგოს. ეს მართლაც რთული პრობლემაა. სიძულვილის ენის კრიმინალიზაციაზე იმიტომ ვსაუბრობთ, გვინდა, ჩვენი საზოგადოება დაავარწმუნოთ, რომ ეს აუცილებელია.

**ვახუშტი მენაბდე:** იმ მოხელეების მიმართ, ვისაც უშუალოდ ევალება ადამიანის უფლებების დაცვა, იქნება ეს სასამართლო, პროკურატურა, სახალხო დამცველის ინსტიტუტი თუ ა.შ., ალბათ სხვა სტანდარტი უნდა ვრცელდებოდეს და, ამ შემთხვევაში, სიძულვილის ენის რეგულირების დანერგვა აუცილებელია. როდესაც სიძულვილის ენას პოლიტიკური თანამდებობის პირები მიმართავენ, მათი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რადგან ისინი კონსტიტუციის გარანტიები არიან. მათი ფუნქციაა, ადამიანის უფლებები დაიცვან და, თუკი ისინი თავად საუბრობენ ამგვარი ენით, ამით ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ილაშქრებენ. რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ვფიქრობ, ეს ყველა შემთხვევაში არაპროპორციული იქნება.

# სიმაართლის და სიფრთხილის დეკლარაცია

ავტორი: ქეთი ქანთარია

2009 წლის სექტემბერში გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩეჩნეთი ახსენა. მედვედევის გამოსვლის საპასუხოდ, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოში ერთი წლის წინანდელი შეჭრა სავალდებულო ზომად მოიხსენია, სააკაშვილმა დამსწრეებს აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებსა და ავღანეთში განხორციელებული სხვა ამგვარი სავალდებულო ინვაზიები შეახსენა, მერე კი მან თქვა: „როგორც ჩანს, ისინი იძულებულნი იყვნენ, მიწასთან გაესწორებინათ 400-ათასიანი ქალაქი გროზნო, რათა გაენადგურებინათ ამაყი ჩეჩენი ხალხი, მოეკლათ ათობით ათასი უდანაშაულო ადამიანი – ქალები და ბავშვები“.

გამოსვლამდე მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში პრეზიდენტმა აღიარა, რომ მმართველობის პირველ წლებში ვლადიმირ პუტინს „ჩეჩნურ სეპარატიზმთან“ ბრძოლაში დახმარებას უწევდა, მაგრამ ახლა წუხს ამის გამო და ძველ გადაწყვეტილებებს თავის „მძიმე შეცდომად“ მიიჩნევს. ერთი წლით ადრე, საქართველო-რუსეთის ომის დროს გაერო-ს ტრიბუნლიდანვე ჩეჩნეთის საკითხი საქართველოს მაშინდელმა წარმომადგენელმა, ირაკლი ალასანიანიმაც წამოხსნა.

საქართველოსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ჩეჩნეთის ტრაგედია, თხუთმეტწლიანი, არსებითად ჯერაც დაუსრულებელი, უპრეცედენტო სისასტიკით გამოწვეული ომი რომ გახსენებოდა, მსოფლიოსგან ღვთის ანაბრა მიტოვებული ამ ხალხის მიმართ მცირე სოლიდარობის გრძნობა მაინც გასჩენოდა, საქართველოს ხელისუფლებას თოთხმეტი წელიწადი და რუსეთთან 2008 წლის აგვისტოში გადატანილი რამდენიმე დღიანი ომი დასჭირდა.

რა თქმა უნდა, „მძიმე შეცდომისთვის“ პასუხისმგებლობა საქართველოს თითოეულ მოქალაქეზეც ნაწილდება. ვიდრე ჩეჩნეთში ათობით ათასი ბავშვი იღუპებოდა, და თითოეულ არჩეულ პრეზიდენტს რუსეთის სპეცსამსახურები სიკვდილს ადევნებდნენ, ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ვცხოვრობდით საქართველოში – ჩვენს მღვრიე, მაგრამ ასე თუ ისე დაცულ ყოფაში მეტისმეტად საშინელი ჩანდა ის, რაც მეზობლად, რამდენიმე ასეულ კილომეტრში ხდებოდა, სიკვდილის ყოველდღიურობა მეტისმეტად დამთრგუნველი იყო, რომ ჩვენს რეალობაში შემოგვეშვა. რა თქმა უნდა, ამ დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვანი კვალი აფხაზეთის ომში რამდენიმე ასეული ჩეჩენი მოხალისეს მონაწილეობამაც დატოვა. ასეა თუ ისე, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ჩვენი გულგრილობით, ჩვენც შევუწყვეთ ხელი იმას, რომ ჩეჩნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცნობიერების იმგვარ ფორმაში გადაზრდილიყო, რომლის წყალობით, ადამიანებს „სიკვდილი უფრო უყვართ, ვიდრე სიცოცხლე.“ ეს ფრაზა „ნორდ-ოსტის“ მაყურებლების მძევლად ამყვან ერთ-ერთ ტერორისტს ეკუთვნის, რომელიც მან თავის აუდიომიმართვაში წარმოთქვა.

მასსოვს, როგორ შეაშფოთა ფრაზამ დანარჩენი, „სტაბილური“ სამყარო, რომელსაც სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე ცხოვრების გამოცდილება არ აქვს.

ჩეჩნებს საქართველოსგან ავიც ახსოვთ და კარგიც. ახსოვთ პანკისცა და ისიც, რომ 2004 წლიდან საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა არათუ რიგით ჩეჩენს, ნატალია ესტემიროვასნაირ ადამიანებსაც არ შეეძლოთ; ახსოვთ, რა შეუთვალა საქართველოს პრეზიდენტმა პრეზიდენტ მასხადოვს მეგობრობის წინადადებაზე, ახსოვთ რიგითი მოქალაქეების მიერ განვდილი დახმარების ხელიც და ჩეჩენი პატიმრების რუსეთისათვის გადაცემის ფაქტებიც, მათ შორის შევარდნაძის დროიდან, როცა 2002 წლის ოქტომბერში 5 ჩეჩენი, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქე, უკანონოდ გადასცეს რუსეთის მხარეს. ირონია (უფრო სიმწარე) იმაში მდგომარეობდა, რომ ევროსასამართლოს რეკომენდაციას ამ პირთა ექსტრადიციისაგან თავის შეკავების შესახებ სულ რაღაც საათ-ნახევრით დააგვიანდა, რამაც დანარჩენი რვა ჩეჩენი იხსნა, მაგრამ ექსტრადირებულთა შემდგომი ბედი ძალზე დამაფიქრებელი იქნებოდა, რომ არა ადვოკატ ლია მუხამაზარას თავდადებული მცდელობები. და მაინც, არსებობს რაღაც ძაფები, რომლებიც, მართალია, საქართველოს კავკასიურ პოლიტიკაში აღარ ჩანდა, მაგრამ ჩრდილოეთმა კავკასიამ მაინც გადაარჩინა. მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ხალხები მოთმინებით, აუხსნელი კეთილგანწყობით, ქართული მხარის გამოღვიძებას ელოდებოდნენ. საქართველო მათთვის ყოველთვის კავკასიის გული იყო, და დღემდე ასე თვლიან.

აშკარაა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ჩრდილოეთი კავკასიის მიმართ პოლიტიკის მცირე „გადატვირთვა“ მაინც მოახდინა. ამის ერთ-ერთი გამოვლინება ერთი თვის წინ, 19-21 მარტს თბილისში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაც იყო, სახელწოდებით „უცნობი ერები, უწყვეტი დანაშაული: ჩერქეზები და ჩრდილო კავკასიის ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. კონფერენციის ორგანიზება ჯეიმსთაუნის საერთაშორისო ფონდმა და ილიას სახელობის უნივერსიტეტმა ითავა. ჩრდილოკავკასიელი ხალხების სხვადასხვა ორგანიზაციისა და პოლიტიკასთან დაახლოებული წრეების (ძირითადად ევროპული დიასპორებიდან) წარმომადგენლებთან ერთად მის მონაწილეთა შორის რამდენიმე მსოფლიო დონის მეცნიერი და ცნობილი ჟურნალისტიც იყო. კონფერენციის ბოლო დღემ, რომელსაც დავესწარი, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ორგანიზების საუცხოო დონე სულაც არ იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც, მონაწილეების უდიდეს ნაწილს თბილისური კონფერენციიდან საუცხოო შთაბეჭდილება დარჩა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოში, რომელსაც „მძიმე შეცდომების“ მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრი კვლავაც „დედა-საქართველოდ“ მიიჩნევს, კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები ერთმანეთს

საერთო მომავალზე სასაუბროდ შეხვდნენ.

მონაწილეების ერთმა ნაწილმა ამ თავყრილობას კავკასიის ახალ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი უწოდა. განწყობაც, შესაბამისად ბევრს ჰქონდა ასეთი. არც მე მაქვს სურვილი, ამ დადებით მოვლენაში ხინჯის ძიება დავინყო, მაგრამ არა მგონია, პოზიტიური კრიტიკა (თუკი მოვახერხებ) გონიერი ხალხის ხელში საქმეს (იმედია, გონიერი ხალხის ხელშია) ცუდად წაადგეს.

როგორც ჩანს, კონფერენციის სახელწოდება საკითხის განვითარების პროცესსაც ასახავდა.

რამდენადაც დიდ როლს ანიჭებს რუსეთის ხელისუფლება სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ჩატარებას, იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ქართული მხარისთვის მისი ჩატარების მონაწილეობით მხარდაჭერა. უნდა გამოვტყუდე, რომ ამ საკითხში, ეკოლოგიურ მოსაზრებებთან ერთად, ჩემთვის მისი მორალური მხარე უფრო გასაგებია.

სოჭში XXII ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება 2007 წელს გვატემალაში, მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა. მაშინ ერთ-ერთ ქალაქ-კანდიდატად ბორჯომიც იყო წარდგენილი. კომიტეტს ქალაქ სოჭისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტი განსაკუთრებულად მიმზიდველი მოუჩვენა, და ამგვარი ღონისძიებისთვის სრულიად შეუფერებელი ინფრასტრუქტურისა და აშკარა ეკოლოგიური საფრთხეების მიუხედავად, გადაწყვეტილება რუსული ქალაქის სასარგებლოდ მიიღო. სოჭელებმა მათი ქალაქის განვითარების ახალი და დიდი პერსპექტივა ზარ-ზემით აღნიშნეს. კერძო ინვესტორებს ამ მომენტისათვის ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაში უკვე 500 ბილიონი რუბლის ინვესტიცია აქვთ ჩადებული.

სოჭელებს სიხარულის პირველი ტალღაზე არათუ ეკოლოგიური საფრთხეები, სხვა, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი გამოეპარათ. ეს ბუნებრივიცაა: მინაში, რომელზეც ოლიმპიური ქალაქის მშენებლობა იყო განზრახული, ათობით, შეიძლება ასობით ათასი ჩერქეზი წევს, რომლებიც რუსეთის იმპერიასთან ასწლიანი ომის განმავლობაში, განსაკუთრებით მის ბოლო წლებში მიზანმიმართულად გაიყლიტა. მაგრამ ისინი, ვინც ამ მასობრივ სამარხებში განისვენებს, ახლანდელი სოჭელების წინაპრები არ არიან. როდესაც რუსებმა თავდაუზოგავი წინააღმდეგობა მოტყეს და ადიღური თორმეტი ტომის გადარჩენილი ნაწილი ზღვის სანაპირო ხაზთან მიიმწყვდიეს, რომ ხოცვა-ჟლეტა იქ გაეგრძელებინათ, გადარჩენილები კი ზღვით ერთმორწმუნე თურქეთში გაესახლებინათ, ამ ჩერქეზულ მიწებს 1-1,5-მილიონიანი მკვიდრი მოსახლეობის მხოლოდ 3-5% შერჩა. ისტორიის ეს შემზარავი ეპიზოდი, მუჰაჯირობა, უამრავი თვითმხილველის მოგონებებში შემორჩა. გვამებით მოფენილი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო, მეტისმეტად დატვირთული ხომალდების ჩაძირვა, მკვდარი ბავშვები ცოცხალი დედების, ცოცხალი ბავშვები მკვდარი დედების უბეში, შიმშილისგან და ავადმყოფობისგან მოჩვენებებად ქცეული ადამიანების ლასლასი ზღვის ორივე – კავკასიურ და თურქულ სანაპიროზე, სილატაკისგან გადასარჩენად გაყიდული და გაჩუქებული შვილები, უფლებაყრილი ჩერქეზი ქალებით ვაჭრობა თურქული ქალაქების ბაზრებზე,




ჩერქეთი, ბორჯომი, 1996 წელი



ჩერქეთი, 1994 წელი



ღვენილთა თავმჯდომარე, ინგუშეთი, ღვენილთა, 1999 წელი



ღვენილთა ჩერქეთისაგან რუსეთში ბარბანს, ნაზარანი, 1999 წელი

ღირსების წართმევა, უსაზღვრო სასონარკვეთა და უიმედობა ახალ ქვეყანაში – ამ ყველაფრის ორ სიტყვაში ჩატევა ძალზე ძნელია.

რუსული კლასიფიკაციით, ყველაზე დაუმორჩილებელი ტომები – უბიხები, შაფსულები, ნათუხალები, ადამიელები პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურეს. 1973 წელს თურქეთში მშობლიურ ენაზე მოსაუბრე უკანასკნელ უბიხთან ერთად უბიხური მკვდარი ენების რიცხვს მიეთვალა.

დიდ ბრიტანეთს, რომელიც ადიღელებს შეიარაღებით ეხმარებოდა, რადგან რუსეთის სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროზე საკუთარი ინტერესის დასაცემად ესაჭიროებოდა, ამ პოლიტიკური ავანტიურისთვის მეტი ძალისხმევა რომ მოემარებინა, ჩერქეზებს საკუთარი, კავკასიის კვალობაზე ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სახელმწიფო ექნებოდათ.

სხვადასხვა მონაცემით, დღეს მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში დაახლოებით 9-11 მილიონი ჩერქეზი ცხოვრობს. ჩერქეზული ორგანიზაციები, დიდი ხანია, ითხოვენ საკუთარი გენოციდის აღიარებას. მარტის კონფერენციაზე ზოგი ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა წარადგინა ამგვარი მოთხოვნის შემცველი რეზოლუცია, რომელიც განსახილველად საქართველოს პარლამენტს გადაეცა. ამგვარად, მასში (21 მაისს ჩერქეზები 1864 წელს რუსეთთან ომის ტრაგიკული დასასრულის დღეს აღნიშნავენ) გაიკვევა, გახდება თუ არა საქართველო პირველი ქვეყანა, რომელიც ჩერქეზების გენოციდს აღიარებს. კონფერენციაზე დამსწრე ქართველი პარლამენტარების თქმით, აღიარების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი სხვა სახელმწიფოების პარლამენტებს მსგავსი წინადადებით მიმართავს.

პირველი საყვედური კონფერენციის ორგანიზატორებს იმის გამო ეკუთვნით, რომ ზოგიერთი ერი თავადაც „მიჩქმალეს“. საქმე ისაა, რომ 21 მაისს ანალოგიური რეზოლუცია კონფერენციის ჩეჩენმა და ინგუშმა მონაწილეებმაც წარმოადგინეს. მასში წერია:

1. რუსული არმიის მოქმედებები ჩეჩნეთის კოლონიალიზაციის პერიოდში XVIII-XIX საუკუნეებში მიჩნეულ იქნეს გენოციდის ფაქტად;
2. მხარი დაეჭიროს ევროპის საბჭოს მიმართ ევროპარლამენტის 2004 წლის 26 თებერვლის რეკომენდაციას ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობასთან მიმართებაში, რომლის მე-15 პუნქტში ჩეჩნებისა და ინგუშების 1944 წლის დეპორტაციები გენოციდის აქტადაა მიჩნეული;
3. მხარი დაეჭიროს წამყვანი რუსული უფლებათადაცვითი ორგანიზაციების ინიციატივას, რომელიც რუსული არმიის მიერ ჩეჩნეთში XX საუკუნესა და XI-ის დასაწყისში ჩადენილი

დანაშაულებების გამასამართლებელი ტრიბუნალის შექმნას ითვალისწინებს (ეს ორგანიზაციები ჩეჩნეთის მოვლენებს კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს უტოლებენ და ჩეჩენი ხალხის გენოციდად აღიარებენ).

კონფერენციის სახელწოდებამ ერთი რამ ცხადყო – ქართულ მხარეს საკითხის გამწვევ ძალად, „ორთქლმავლად“ ჩერქეზული საკითხი მიაჩნია. ოღონდ რატომ? ამ სამს შორის ჩეჩნები ერთადერთი ხალხია, რომელსაც კავკასიის ომის დანაშაულებიდან დღემდე საერთო კავკასიური გენოციდი (თუ შეიძლება ასეთი სახელით გავაერთიანოთ) ყოველ ეტაპზე გადანვდა. მართებულია კი ორი საკითხის ასე დაპირისპირება, ერთ-ერთის მიჩქმალვის ხარჯზე, რაკი პრობლემის აღრესატები ამ შემთხვევაში ცოცხლები და სალ-სალამათები არიან? ამიტომაც იყო, რომ საერთაშორისო პრესაში ჩეჩნურ-ინგუშურ საკითხს გაცილებით ნაკლები ყურადღება ხვდა, რაც, რა თქმა უნდა, არც ჩეჩნებს გამოჰპარვიათ.

ფარული დაპირისპირების ნაკლებობა ჩერქეზების მხრიდან ისედაც არ იყო. აშკარად გამოიკვეთა, რომ ჩერქეზული მხარე საკუთარი საკითხის ჩეჩნურთან გადაბმას თავს არიდებდა. როგორც ჩანს, ჩეჩნური საკითხის წინ წამოწევა არც ქართულ მხარეს სურდა. რუსეთმა ხომ მოახერხა და ეს პრობლემა დღეს მსოფლიო ტერორის პრობლემას გადააჯაჭვა. ფრანგი ფილოსოფოსი და მოღვაწე, ანდრე გლუქსმანი კი, რომელმაც წლების წინ თქვა, „მე ვაცხადებ, რომ რუსული ტერორი გადამდება, რუსული ტერორი ცდილობს, საკუთარი სენი ჩეჩნებს გადასდოს“, იმ ერთეულებს მიეკუთვნება, ვისაც პრობლემის ძირის დანახვის სურვილი აქვს.

ყველამ, ყოველ შემთხვევაში, ვისაც აინტერესებს, კარგად იცის, რომ პირველი ჩეჩნური კამპანია რელიგიური ნიშნით არ წარმართულა, უმძიმესი მსხვერპლის მიუხედავად (ორივე კამპანიაში ერთად, სხვადასხვა მონაცემით, 100-დან 250 ათასი სული დაიღუპა, მათ შორის – ათეულობით ათასი ბავშვი), 1994-96 წლებში დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიდსულოვანი, ჯენტლმენური შესტებიც იყო – ჩეჩნები ტყვეებს ხშირად ათავისუფლებდნენ, გათავისუფლებულ ახალგაზრდა ჯარისკაცებს კი, მშობლების გარდა, არავის ატანდნენ. მეორე კამპანიის მიზანი დამოკიდებული რესპუბლიკის ყველა შესაძლო ხერხით მინასთან გასწორება იყო, ამაზე რუსულმა ფსბ-მ ბევრი იმუშავა, მათ შორის – ტერორის დადგმული თუ რეალური სცენების ხელშეწყობით.

არადა, საქართველო, ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი, იმის ყველაზე კარგი რუპორი, ყველაზე კარგი მოანალიზე უნდა გამხდარიყო, რაც ჩეჩნეთში ხდება – არგუმენტად ის განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოადგე-

ყველა კბილი ჩაღმებული კქონდა, რაღბან ბანაკში ანესთეზიის ბარაჟი უღებდნენ, ფრჩხილებს უყინავდნენ და აძრობდნენ. იმისთვის, რომ ჩეჩენ ტყვეებს ერთმანეთის „ვაკაზისტობა“ ელიარებინათ, ერთმანეთის პირისპირ სვაბდნენ, ფახეზა ნავითთ გაჟღენთილ ბაგის რბოლებს უკეთებდნენ და სხსხს უკიდადნენ. სიარულითას ამის გამო დადიოდა ასე უსნაურად.

ბოდა, რომელიც (დარწმუნებული ვარ, საქმეში ჩახედული ადამიანებიც ასე ფიქრობენ) მათ „ქრისტიანული“ საქართველოს მიმართ აქვთ.

როგორია საქართველოს მოქალაქეების უმეტესი ნაწილის დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც ჩეჩნეთში ხდება? ამის საილუსტრაციოდ კონფერენციაზე მომხდარ ერთ ამბავს მოვყვები. „ჩეჩნური“ დღის ბოლოსკენ ერთი ადამიანი მომხვდა თვალში. ურთიერთობითა თუ კონფერენციის მსვლელობით კმაყოფილი ადამიანებისგან მისი იერი მკვეთრად გამოირჩეოდა. მის სახელს და გვარს არ ვიტყვი. ამ კაცზე დაკვირვებამ უცებ სულ სხვა რეალობაში გადამიყვანა, პოლისტერის ბნელი ოთახების, გაუცხოებისა და განსაცდელების სამყაროში; სიარულის მანერითაც კი პიტერ სტილმენი გამახსენა. ეს ასოციაცია ნამდვილად გამიჩნდა პირველივე წუთებიდან. მერე კი, როცა შთაბეჭდილების გაცნობიერება დაიწყო, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელის სიტყვები გამახსენდა, რომელიც იმ სიმპტომებს აღწერდა, წამებაგამოვიღო ადამიანს შემდეგ მუდმივად თან რომ სდევს. შთაბეჭდილება მართალი გამოდგა – ი. სრულიად შემთხვევით, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით გაუთავისუფლებიათ ტყვეთა ბანაკიდან, სადაც ყოველდღე აწამებდნენ. ი.-ს ყველა კბილი ჩადგმული ჰქონდა, რადგან ბანაკში ანესთეზიის გარეშე უღებდნენ, ფრჩხილებს უყინავდნენ და აძრობდნენ. იმისთვის, რომ ჩეჩენ ტყვეებს ერთმანეთის „ვაჰაბისტობა“ ელიარებინათ, ერთმანეთის პირისპირ სვამდნენ, ფეხებზე ნავთით გაულენილ ბამბის რგოლებს უკეთებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. სიარულითაც ამის გამო დადიოდა ასე უცნაურად. საკმაოდ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სახეზე რამდენიმე ადამიანის სამყოფი განცდა ეწერა, განცდა, რომლისთვისაც სახელის დარქმევა მიჭირს. ი.-ს, ისევე, როგორც მასავით შემთხვევით დახსნილ ტყვეებს, ალბათ იმის გაცნობიერებაც არ აძლევს მოსვენებას, რომ სხვა მისნაირი ტყვეები ბანაკში დარჩნენ, მათი წამება გრძელდება, საუკეთესო ხსნად ასეთებს სიკვდილი ეჩვენებათ. კონფერენცია რომ დასრულდა, ი.-ს მარაოსავით მომარჯვებული რვეულით ჩვენი თანამემამულე ქალბატონი გამოელაპარაკა. გვერდით რომ ჩაუფარე, ი. სწორედ ნავთიანი რკალების ამბავს უყვებოდა. ქალმა სიტყვა რვეულის ქნევით შეანყვეტინა, – „დიახ, დიახ, ჩვენ მათ ვძულვართ, ნახეთ, როგორ გამოისტუმრეს ჩვენი დეპორტირებულები რუსეთიდან? სატივროთო თვითმფრინავებით“. რამდენიმე გვერდით მდგომს ქალბატონის გაჩუმება მოგვიხდა. ჰო, მთავარი პრობლემა ესაა: ჩვენ განსაცდელის, მისი მასშტაბების პრინციპულად განსხვავებული შეგრძნება გვაქვს.

სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილესთან, ქ-ნ ტაისა ისაევასთან გასაუბრება. ეს ადამიანი ი.-ს მსგავსი ადამიანების უფლებებს იცავს. სახეზე მასაც ათობით ადამიანის სამყოფი ტკივილი აწერია. ჩეჩენი, ინგუში და დაღესტნური ეროვნების პატიმრების ბედი რუსეთის ციხეებში, რომლებშიც სისასტიკე ისედაც გამეფებულია, ცალკე უზარმაზარი და უმძიმესი პრობლემაა.



დვინილაზი აზახათიდან, 1993 წელი



დვინილაზი აზახათიდან თურქეთის საზღვართან, 1993 წელი



დვინილაზი აზახათიდან, 1993 წელი



დვინილაზის თავმჯდომარე ინგუშითი, 2000 წელი

# ვენდოთ ბორხესს

ავტორი: ლაშა ბულაძე

თავდაპირველად იყო დამოუკიდებლობა. შემდეგ იყო დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“ და პირველი ომი.

ომებს შორის – „რეაქტიული კლუბი“.

ომების მერე – აკა მორჩილაძის ბრაზიანი რომანები.

ასე, ომებში, იშვა პოსტსაბჭოური ქართული ლიტერატურა.

დამოუკიდებლობამ, ბრეხტის დედილო კურაჟის მსგავსად, ომის შვილები – ახალი ქართული ნიგნები შვა. მნიშვნელოვანი – ძალიან ცოტა. ყალბი – ძალიან ბევრი.

ეს ნიგნები პანდორას ყუთივითაა: გადაშლი და ომებისგან დაავადებული ადამიანების ყვირილი შემოგესმება.

ვფიქრობ, უმეტესად, ავტორიც კი ვერ ხვდება, რომ ომზე წერს: იმ შოკისგან, რომელიც ომმა (ან ომებმა) დაუტოვეს, განკურნება წარმოუდგენელია. ეს შოკი სამუდამოა.

შოკი – ქართული ლიტერატურის ბედისწერაა.

შიში რეფლექსიებადაა გაბნეული ქართულ ტექსტებში – გადარჩენილები ომში გაგიჟებულებზე წერენ.

„ჩვენ ომის თაობა ვართ“ – ეს სიტყვები ამოვიკითხე მეთერთმეტე კლასელ, სალომე პეტრიაშვილის სასკოლო თემაში. ის ჩემზე უმცროსია, თუმცა რაღაცნაირად ერთი ბიოგრაფია გვაქვს – ჩვენზე თანაბრად გადანანილდა ყველა ის ომი, რომელიც 1991 წლის შემდეგ გაჩაღდა ამ ქვეყანაში.

ამ ომებმა ჩვენი ბიოგრაფიების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბებიც კი გადაფარეს და ერთმანეთს დაგვამსგავსეს ერთი შეხედვით სრულიად სხვადასხვანაირი ადამიანები.

ომს ასეთი თვისებაც ჰქონია: პირად ბიოგრაფიას გიუქმებს. ამას 2008 წლის აგვისტოში მივხვდი. ის, რაც შენი იყო და მნიშვნელოვნად გეჩვენებოდა ომამდე, აბსოლუტურად არააქტუალური და არასაჭირო ხდება ომის დროს. საკუთრივ შენი აღარაფერი გრჩება: შენნაირი შიშით ეშინია ასობით ათას ადამიანს და ის, რაც სხვებს ახარებს, შენც იგივე გგვრის ბედნიერებას. მოკლედ ასეა: როგორც არ უნდა ივაჟკაცო, შენ ჰქვრები, როგორც ინდივიდუალობა (სხვისი ბედი შენი ბედი ხდებაო, სად ეწერა?) და გარკვეულ ეტაპზე იმასაც აცნობიერებ, რომ თითქმის შეუძლებელია მხოლოდ შენი გადარჩენა. როგორი სისწრაფითაც არ უნდა გავარდე „ნითელი ხიდისკენ“, ან რა სიჩქარითაც არ უნდა გაექცე რუსულ ბომბებს ამერიკული ბონგით, ამ ომს მაინც ვეღარსად წაუხვალ.

უცნაური, ლამისაა მეტაფიზიკური შეგრძნება იყო – ბიოგრაფია გამიქრა. „ლაშა ბულაძე“ ფიქციად იქცა.

ერთი თვით გავქრი.

ბიოგრაფიას მხოლოდ ახლალა ვიბრუნებ ნელ-ნელა. იქნებ სწორედ ამაზეა ზაზა ზურჭულაძის „ადიბასი“? რომანი, სადაც მრავალი მთხრობელია, მაგრამ ერთი ბიოგრაფიაა – ბევრი პირველი პირია, მაგრამ გადარჩენა-ვერგადარჩენის ერთი შესაძლებლობა.

რომანის გმირები ჯიუტად არ იმჩნევენ ომს, მათი საარსებო სივრცე რუსული ჯარის შემოსვლის პროპორციულად მცირდება: ომი ადიბასი-თბილისის ქუჩებში, ტელევიზორებში, ბინებში და კაფეებში იჭრება, „ადიბასის“ ადამიანები წართმეული (შეზღუდული) ბიოგრაფიის ნაგლეჯების შენარჩუნებას ცდილობენ – გადარჩებიან, თუკი პირად ისტორიას შეინარჩუნებენ... ომი მათ სუბიექტურ თავგადასავლებს ართმევს, ამბავს (რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოდან იწყება) ერთი დიდი ქორო ჰყვება – ნახევრადცოცხალი (უფრო სწორად, არც ცოცხალი, არც მკვდარი) ადამიანები, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ბიოგრაფიებში დარჩენას.

რაც შეეხება აკა მორჩილაძის ბრაზიან რომანებს („მოგზაურობა ყარაბაღში“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „შენი თავგადასავალი“), აქ უკვე სამუდამოდ შეშინებული ადამიანები გვიყვებიან თავიანთ ამბებს.

მე ასე მესმის: ეს ჩვენი აღსარებაა. სოციალური აღსარება (არ არსებობს აღსარების ასეთი ფორმა?), რომელიც (როგორც ყველა შედეგიანი აღსარება), გამომაჯანსაღებელ, ფსიქოთერაპიულ საშუალებად იქცა ჩვენთვის. აკა მორჩილაძემ ოთხმოცდაათიანი წლებისგან განგვეკურნა. მთელი ეს მძვინვარე წლები – ტყვიების ზუზუნი, სისხლი, ისტერიკა, აგრესია, აბსურდი თავის რომანებში ჩამალა (ტყუილად არ მისხენებია დასაწყისში პანდორას ყუთი) და ჯადოც აგვხსნა. ნაწილობრივ მაინც. მის პერსონაჟებად ქცეულნი უკვე სრულიად უსაფრთხონი ვიყავით, როგორც სხვებისთვის, ასევე საკუთარი თავებისთვისაც.

მე თუ მკითხავ, აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს აკა მორჩილაძის წიგნები.

ასეთი სამკურნალო-თერაპიული წიგნები ხომ არცთუ ისე ბევრია.

აგერ, მაგალითად, განა ჭეშმარიტად სააფთიაქე წიგნი არ იყო (ცხადია, კონტექსტის გათვალისწინებით) ომგავლილი გერმანიისთვის თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი“?

ანდაც ანა ახმატოვას „რეკვიემი“ „სამიზდატის“ მკითხველი საბჭოელისთვის?

ანკი მილორად პავიჩის „ვარსკვლავეთის მანტია“ ბომბებით მოჭედილი ცის ქვეშ მცხოვრები სერბებისთვის...

წიგნებს ნაციები ჰყავთ გადარჩენილი.

ან, ყოველ შემთხვევაში, დეპრესიიდან გამოყვანილი მაინც.

თუმცა არიან ერები, რომელნიც – გავბედავ და ვიტყვი – სიბრმავის თუ სიბრიყვის გამო, ჯერაც უარს ამბობენ ლიტერატუროთერაპიაზე.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ქაშირს სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით დაამშვიდებდა სალმან რაშდის „შუალამის შვილები“ და „ფლორენციელი გრძნეული“...

დღევანდელ რუსეთს კი, როგორც მომაკვდინებელი ვირუსით შეპყრობილს – ტამიფლუ, ისევე სწრაფად გამოაჯანსაღებდა ვლადიმერ სოროკინის „ოპრიჩნიკის ერთი დღე“! ამ წიგნის ტირაჟის გაზრდა და ჩვენგან მათი ტანკების გასვლა ერთი იქნებოდა...

იქ და იმ დროს, სადაც სიმართლე პირობით ცნებად იქცევა და სადაც არჩევანის გაკეთება არა სიცრუესა და ჭეშმარიტებას, არამედ სხვადასხვა სინამდვილებს შორის გონევს, – შენთვის მისაღები რეალობის სასარგებლოდ, – ვფიქრობ (და არა მგონია, ახლა ლიტერატუროცენტრიზმი მალაპარაკებდეს), ხელოვნება და, ამ შემთხვევაში კი ლიტერატურა იქნება ის სივრცე, სადაც შენი ნამდვილი ამბის ამოკითხვას შეძლებ: აქ არ მოტყუვდები.

ორიოდე თვის წინ, მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე ომზე დაწერილი ქართული პიესები წაიკითხეს. რამდენი პიესაც იყო, იმდენნაირი ომი გამოვიდა, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობით, ცხადია, არცერთ პიესაში არ გაჩაღებულა ხელჩართული ბრძოლა. ოცდამეერთე საუკუნის ომები სხვანაირია – შეიძლება მიწას არც აუვიდეს დენთის სუნი, მაგრამ ომი კი მაინც მოადგეს შენი სახლის კედლებს.

ამ პიესებში უცნაური ომები იყო: იმ ღამეს, როცა თითქოსდა თბილისისკენ დაიძრნენ ტანკები, მოსწავლეს (ბიჭს) ფრანგულის მასწავლებლის (ქალის) სახლში მოუწია დარჩენა (ნ. კვინიკაძე); შვიდი წლის ბავშვისთვის ომი კომპიუტერულ თამაშად იქცა (ბ. ჯანიკაშვილი); მოხუცმა ცოლ-ქმარმა ბანკის გაძარცვა მოინდომა – აქაოდა, ქაოსით ვისარგებლებთო (მ. დოიაშვილი); რუს მესაზღვრე-კაცსა და ქართველ მესაზღვრე-ქალს შორის ღამისაა ცოლ-ქმრული, ბანალური ოჯახური კონფლიქტი გათამაშდა (დ. ტურაშვილი); ქართველ ემიგრანტებს წირი წაუხდათ თავიანთ პატარა, ემიგრანტულ სუფრაზე – უეცრად შეიტყეს, რომ მათ ქვეყანაში ომი დაწყებულა (თ. ბართაია).

რა საჭიროა სროლა და ხმაური – ეს ტექსტები ჩვენს შეგრძნებებს, შიშებს, ფიქრებს, მოლოდინებს, იმედებს ან უიმედობას ილუსტრირებენ. აქ არ ლაპარაკობენ არც პატრიოტიზმზე და არც ლალატზე (ფსევდოპატრიოტული ლექს-პოემ-მოთხრობების დამწერთა მსგავსად), პიესების პერსონაჟები ჩვენსავით მისულან მიჯნამდე: ამის იქით,

ოვს ასეთი თვისებას ჰქონია: პირად ბიოგრაფიას გიუქმავს. ამას 2008 წლის აპრილის 10-მდე მივხვდი. ის, რას შენი იყო და მნიშვნელოვნად გარეგნობდა ობაიდო, ახსოვსტურად არააქტუალური და არაააჭირო ხდება ომის დროს. საჭუთრივ შენი ალარაჟი ბრძება: შენაირი შიშით ეშინია ასობით ათას ადამიანს და ის, რას სხვებს ახარებს, შენს იბივი ბზვრის ბედნიერებას.

თურმე, სიკვდილი ყოფილა, სიცოცხლე კი გრძელდება, მაგრამ ბიოგრაფიები – აღარ.

სიტყვა „ფსევდო“ შემთხვევით არ მიხმარია – აფხაზეთის ომმა სხვა ბევრ სიმახინჯესთან ერთად მრავალი ასეთი მუტანტიც შვა: შეიქმნა უშველებელი რაოდენობის ლიტ-მაკულატურა, რომელიც ვითომდა ამ ომის ისტორიას მოგვითხრობდა. ამ ლიტ-სუროგატმა – როგორც ნაგვის გორამ – ისე გადაფარა ამ ომის მოწმე და მონაწილე ხალხის ნამდვილი ამბავი. ომახიანმა ან პირიქით, საკრალური პანაშვიდის პათოსით დაჩეკილმა ლექსებმა, რომანებმა და ფილმებმა ასეც ვერ გაგვაგებინეს, რა იყო ეს ომი სინამდვილეში და ან ჩვენ კი როგორები ვიყავით ამ ომის დროს, – სიყალბის ამ ვეება მორევმა (ომის ტკივილების შემახსენებელ უთვალავ ძალაგამოცლილ ლოზუნგსა და პოლიტიკოსთა უსიცოცხლო და გულისამრევ დაპირებასთან ერთად) მთელი ეს ტრაგედია ერთ დიდ კიჩად, კარიკატურად, მომ-აბეზრებელ პაროდიად აქცია და ყველაფერ ამის მიმართ ცოცხალი თანაგანცდის უნარი დაგვიჩლუნგა.

გეგონება, განზრახ მოვიქეცით ასე: ეს ომები (უპირველეს ყოვლისა კი, „აფხაზური“) ჩვენს სტერილურ ცრემლებში, უმწეოდ მყეფარ სიმღერებში, გამანითლებელ ვიდეოკლიპებში და უთვალავი რაოდენობის ლექსსა თუ სადღე-გრძელოში ჩავმარხეთ.

თითქოს არ გვინდოდა, რომ გულწრფელები ვყოფილიყავით...

არ ვიცი, როგორ უნდა მორეოდა სიყალბისა და უპასუხისმგებლობის ამ უშველებელ ლეგიონს აკა მორჩილადის ას სამოცდაშვიდგვერდიანი „ყარაბაღი“, ოთარ ჭილადის „გო-

დორი“ და ან გელა ჩქვანავას რომელიმე პატარა მოთხრობა?

არსებობს ერთი ასეთი იდიოტური ქართული შეკითხვა (ამ შეკითხვას ზუსტად 20 წელი შეუსრულდება ამ დღეებში): გვეშველება რამე?

უმეტესად ტაქსის მძღოლები მისვამენ ხოლმე ამ კითხვას, მე კი, როგორც წესი, პასუხი არა მაქვს. უფრო სწორად, მაქვს, მაგრამ ვიცი – ეს პასუხი საქართველოში ძალიან ცოტას თუ დააკმაყოფილებს.


მხოლოდ წიგნები გვიშველიან. სხვა რა უნდა ვთქვა. თუნდაც აქ ხსენებული მწერლების წიგნები.

არ გეგონოთ, ზოგად რჩევებს ვიდლოდე – ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი პასუხი მხოლოდ შვილიშვილების განათლებაზე მზრუნველ ბებიებს უამებდეს გულს, ამ შემთხვევაში გადარჩენის სავსებით პრაქტიკულ გეგმაზე ვსაუბრობ. ხომ გახსოვთ, რას წერდა ბორხესი: ის, რაც ყველაზე მეტად გაშინებს – ტექსტში უნდა ახდეს, ტექსტმა უნდა დაასწროს ცხოვრებას, ტექსტში უნდა გავიაროთ ჯოჯოხეთი, რათა ცხადში არ მოგვინოს იქ გავლა...

ჰოდა, მეც ვფიქრობ, იქნებ სწორედ აკა მორჩილადის „შენი თავგადასავალის“ გამო არ შემოვიდნენ თბილისში რუსული ტანკები? ამ რომანში ხომ ტანკები ლონდონის პიკადილიმდეც კი მიაღწევენ.

ან ეგებ ზაზას „ადიბასი“ იყოს ის ადგილი, სადაც ბოლო ნაღმი აფეთქდება საქართველოში?

ნაიკითხეთ, ნაიკითხეთ ეს წიგნები – ვინც ნაიკითხა, მან უკვე გაიარა თავისი კათარზისი. მე თუ არა, ბორხესს მაინც დაუჯერეთ.





თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი

**FM 105.5**

გორი, ქარალი, საშური

**FM 103.0**

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

**FM 104.5**

ურეკი, ქოზულეთი, ბათუმი

**FM 101.0**

ფოთი, სენაკი, ზუბდიდი

**FM 101.9**



# ბაქიო

ავტორი: ლევან ბარკანიშვილი  
ილუსტრაცია: მარია ზალდასტანიშვილი

ამ ცოტა ხნის წინ, ოკეანის თავზე ხანგრძლივი ფრენის დროს ამეკვიტა კითხვები: ვინ იყო ყველაზე მხიარული ადამიანი, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია? ან კიდევ უფრო საინტერესო: ვინ იყო ყველაზე სერიოზული კაცი, რომელიც ცხოვრების გზაზე ოდესმე შემხვედრია? არც ისე მარტივი კითხვები აღმოჩნდა. თუმცა, „მხიარულებში“ ნომინაციებიც შედარებით ადვილად

განანილდა და გამარჯვებულებიც იოლად გამოვლინდა – ფრენის მეორე თუ მესამე საათზე გაიმარჯვა ჩემმა დაუფინყარმა პედაგოგმა, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო ლათინისტი, იონა მეუნარგიას შვილიშვილმა, ირაკლი შენგელიამ, რომელსაც ბავშვობა და ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ყაზახეთის გადასახლებასა და გულაგში ჰქონდა გატარებული და

რომლის ფილოსოფიური ბონივიანობა, განსაკუთრებული, სპეციფიკურად ქართული მხიარულება, რომელიც, როგორც უჩვეულო და გამორჩეული ფენომენი, ასე კარგად აღწერა ირაკლი შენგელის კონკურენტმა ამავე ნომინაციაში, დაუფინყარმა მერაბ მამარდაშვილმა, ცალკე გამოკვლევას იმსახურებს და საკუთარ თავს სიტყვას ვაძლევ, რომ საყვარელი მასწავლებლის წინაშე



ამ ზნეობრივ ვალს არავითარ შემთხვევაში გადაუხდელს არ დავიტოვებ.

განსაკუთრებული რიგი დადგა „ყველაზე სერიოზულის“ ნომინაციაში. აქ თავისი ადგილები დაიკავეს, ერთი მხრივ, ჩემმა ერთადერთმა გაუცინარმა პედაგოგმა, გრიგოლ ხანძთელის სპეციალისტმა და მისმა სულიერმა კლონმა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლების, სტუდენტებისა

და კურსდამთავრებულებისთვის, უკაცრავად, ალუმნაი შემადგენლობისთვის, იოლად საცნობი პროფესორია); მეორე მხრივ, ჩემმა უსიტყვო პარიკმახერმა, რომლის ოჯახშიც 1915 წლის შემდეგ არ გაუცინიათ; მესამე მხრივ, ჩემმა პირქუშმა მეზობელმა, რომელმაც მეზობელს გამარჯობა უკანასკნელად ოცი წლის წინ უთხრა და, მეოთხე მხრივ, ჩემმა თანაზონელმა პოლიტიკურ ბანაკში, იური ბაძიომ. და ფრენის მეთავე საათზე სერიოზულობის „გრემი“ და „ოსკარი“ სრულიად დამსახურებულად მიენიჭა იური ვასილის ძე ბაძიოს, მტკიცე პოლიტპატიმარს, შიმშილობისა და პატიმართა უფლებებისთვის ბრძოლის პრომეთეს, უკრაინის დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელს და პირველ თავმჯდომარეს.

იური ბაძიო 1936 წლის 25 აპრილს დაიბადა, 1958 წელს დაამთავრა უფგოროდის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1964 წელს კი უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა; მუშაობდა ზაკარპატიეს რამდენიმე სკოლაში მასწავლებლად; ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას; იყო შემოქმედებითი ახალგაზრდობის კლუბის წევრი. ხრუმოვისეული „ოტტეპელის“ დროს კომუნისტურ პარტიაში შევიდა, მაგრამ სხვადასხვა დისიდენტურ აქციაში მონაწილეობის გამო, 1965 წელს გარიცხეს პარტიის რიგებიდან და „ბუნებრივად“ ჩამოართვეს მასწავლებლობის უფლება.

საკუთარი პროფესიით მუშაობის უფლება რომ დაკარგა, მტვირთავად მოეწყო პურის მაღაზიაში. ამავე პერიოდში დაიწყო იატაკქვეშა მოღვაწეობა, სამიზდატის გავრცელება და ა.შ. 1972 წლიდან მუშაობდა თავისი ცხოვრების მთავარ წიგნზე – „სიცოცხლის უფლება“. 1977 წელს, როდესაც წიგნი უკვე პრაქტიკულად დასრულებული იყო, საბჭოთა უშიშროებამ ხელნაწერი მიგზავნილი „საყვარელი“ ქალის ხელით მოიპარა და ხანგრძლივი დეპრესიის, სასტიკი გულგატეხილობისა და ფრუსტრაციის შემდეგ ბაძიომ მისი ხელახლა წერა დაიწყო.

დისიდენტური მოღვაწეობისთვის დაპატიმრეს 1979 წელს. სასამართლომ

მას 70-ე მუხლის მაქსიმუმი, შვიდი წელი კოლონია და 5 წელი გადასახლება მიუსაჯა. სასჯელს იხდიდა დუბრავლაგში, ჩვენს საყვარელ XX 385/3-5 პოლიტიკურ ბანაკში.

ბარაშევოს პოლიტიკურ ბანაკში რომ მოვხვდით, ჩემი და დათოს პირველი შთაბეჭდილება იყო, რომ რაღაც გარდამავალ სადგურში შევედით (იქნებ ეს იყო საიდუმლოთი მოცული ადგილი, რომელსაც ეტაპირების საშუალებდო, ე.წ. პერესილკის ციხეებში კარანტინად მოიხსენებდნენ გამოცდილი პატიმრები?). *In primo specie*, ანუ პირველი შეხედვით, ბარაშევო არანაირად არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენებს პოლიტიკურ ზონაზე. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, იყო წითელი ვარდები, ე.წ. „დამხვედრი კომისია“ და ძალიან სერიოზული კაცი, რომელსაც ჩვენკენ არც გამოუხედავს, რომელსაც მერხზე მაგიდის საათი ედო და თავდავინწყებით მუშაობდა: ორი წიგნი ჰქონდა გადაშლილი და რაღაცას გამალებით წერდა და წერდა.

დამხვედრმა კომისიამ თავისი ტრადიციული კითხვების დასმა დაიწყო და ჩვენც გვეკონდა შემხვედრი კითხვა იმ კაცზე, რომელიც თავაულებლად მუშაობდა. გიორგი ხომიზურმა გვითხრა, – იური ბაძიო ჰქვია, უკრაინელი სოციალ-დემოკრატი, კარგი კაცია, მაგრამ მუშაობის დროს მასთან დალაპარაკება კი არა, სამ ნაბიჯზე მიახლოებაც კი არ შეიძლებაო. ახლა თავის წიგნზე მუშაობს, რამდენიმე წუთის შემდეგ შესვენების გარეშე გადავა ინგლისური ენის შესწავლაზე და ზუსტად 45 წუთის შემდეგ ასევე შესვენების გარეშე გადავა გერმანულზეო. დროის მდინარეებს კი ამცნობს მალეძარა, რომელსაც საგანგებოდ დაბალ ხმაზე აყენებს ხოლმეო.

– საათი საიდან აქვს, ზონაში საათი შეიძლება? – ვიკითხე მე და გული დამწყდა, ერთი საათი როგორ არ მაქვს-მეთქი.

– არა, საათი არ შეიძლება. მაგ ერთი საათისთვის ბაძიომ 675 საათი ანუ ზუსტად ოთხი კვირა და სამი საათი იმიმშლია. დიდი საქმე გააკეთა, მალევიძარიანი საათი ბრძოლით მოიპოვა და ისიც ყოველ 45 წუთში პატიოსნად ატყობინებს, რომ სამუშაო ფრონტი

უნდა შეცვალოს: პარტია-ფილოსოფია-ინგლისური-გერმანული. რომელიღაც მომენტში თუ დაგაინტერესებს, რომელი საათია, სამი ვარიანტი გაქვს: ან ბაძიოს საათს უნდა შეხედო შორიდან, ან ბარაკში შეხვიდე და რადიოს დაუგდო ყური (სულ მალე მთელი მაგათი განრიგი ზეპირად გეცოდინება), ან ანდერსონთან უნდა შეიარო ბიბლიოთეკაში და ის ორიგინალური „ბალახის საათით“ გეტყვის ზუსტ დროს. უკიდურეს შემთხვევაში, შეგიძლია არკადი დუდკინს მიმართო, წელიწადს ნუ ჰკითხავ და საათი, როგორც წესი, არ ეშლება.

ასე „გავიცანით“ შორიდან ზონაში ჩასვლის პირველსავე დღეს იური ვასილის ძე ბაძიო. მის გამხდარ და ფერმკრთალ სილუეტს ახლაც ვხედავ და ყოველთვის მახსენდება, როდესაც რაიმე აუცილებლის გაკეთება მეზარება, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა მოვკიდო ხელი.

რუსების შემდეგ პოლიტიკურ ბანაკში ყველაზე ფართოდ უკრაინელები იყვნენ წარმოდგენილი: უჭკოროდელი სოციალ-დემოკრატი იური ვასილის ძე

ლუბელი დიმიტრი დიმიტრის ძე მაზური, კიევის ოლქის სოფელ ივანივკელი მაიორი გრიგორი პეტრეს ძე კუცენკო და ბევრი სხვა.


უკრაინის უშიშროებას იმ პერიოდში თავისი სისასტიკით და უცნაური გვარით სახელგანთქმული სტეპან ნესტერის ძე მუხა ხელმძღვანელობდა და თანამემამულე დისიდენტებისთვის სასჯელს არ იშურებდა, ჩემ მიერ ჩამოთვლილ თითქმის ყველა პატიმარს სამოცდამეათე (უკრაინული სისხლის სამართლის კოდექსის სამოცდამეორე) მუხლით სასჯელის მაქსიმუმი ჰქონდა მისჯილი, სახელგანთქმული „შვიდს პლუს ხუთი“ (შვიდი წელი კოლონია და ხუთი წელი გადასახლება).

უკრაინელი პატიმრების 100% ნაციონალისტი იყო ანუ უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა; გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ უკრაინელი რუსები (კიეველი ფრიდრიხ ანუ ფრედ ფილიპეს ძე ანადენკო და ოდესელი პეტრე ალექსანდრეს ძე ბუტოვი). უკრაინელები ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლოს იყვნენ, ერთ-

სუფლებასა და პატიმრობაში) გმირულ ბრძოლაში ჰქონდა მოპოვებული.

ზონაში მოხვედრისთანავე ბაძიომ წერილების წერა დაიწყო უკრაინულ ენაზე. ქალბატონი ცენზორი განიჩენკო, რომელსაც უკრაინელი ქმარი ჰყავდა, ცხოვრების მეტი წილი დასავლეთ უკრაინაში ჰქონდა გატარებული და უკრაინული ენა მშვენივრად იცოდა, ბაძიოს ყველა წერილს უკან უბრუნებდა ცინიკური წარწერით, „გაუგებარი ენა“. ბაძიო უკან არ იხევდა და ისევ უკრაინულად წერდა. ის ამბავი, რომ ბაძიოს ცოლ-შვილს მისი წერილები არ მისდიოდა, განიჩენკოს არ ალღევებდა, წაიკითხავდა ბაძიოს მოცულობით წერილს, მიაწერდა, – გაუგებარი ენააო, – და უკან დაუბრუნებდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე უკვე პერესტროიკის ხანაში ქართველების წამოწყება – მშობლიურ ენაზე წერილების წერა – წარმატებით არ დაგვირგვინდა და ბარამევიდან დაიწყო უკრაინული, ლიტვური, ლატვიური, ესტონური თუ სომხური წერილების გმირული სვლა ადრესატებამდე.

როგორც კი ნაციონალურ ენებზე წერის უფლება გამოცხადდა, იური ბაძიო ჩვენთან მოვიდა, ორი ნაჭერი უკრაინული „სალა“ და კიევიდან გამოგზავნილი ნამდვილი შავი პურის მოზრდილი ნაჭერი მოგვიტანა, მაგარი ჩაით ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის სადღეგრძელო უკრაინულად წარმოთქვა და გვთხოვა, საპასუხო სადღეგრძელო ქართულად გვეთქვა. სადღეგრძელოს მოსასმენად უკრაინული დელეგაცია სრული შემადგენლობით გამოცხადდა. ბუნებრივია, ქართველებიც იქვე გაჩნდნენ. ათი წლის ასაკიდან ქართულ სუფრაზე გაზრდილი კაცი ვარ (ათი წლის რომ ვიყავი, ბიძაჩემი თავის სამძეკაჯოში თამადად მნიშვნავდა და გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს მათქმევინებდა ხოლმე) და, ბუნებრივია, ბევრი ცუდი, გაცვეთილი, არაგულწრფელი და მხოლოდ რამდენიმე კარგი სადღეგრძელო მითქვამს, მაგრამ, მჭევრმეტყველებით, ბარამევი უკრაინელების წინაშე ქართულად ნათქვამ სადღეგრძელოს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა: იმოდენა სადღეგრძელო იყო, რომ ჩაი გაცივდა, სტრილ-



ბაძიო, ივანო-ფრანკოვსკელი მასწავლებელი და განათლების სისტემის რეფორმატორი ვასილი სტეფანეს ძე სტრილცევი, კიეველი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ პეტრეს ძე დელედიკა, დნეპროპეტროვსკელი ინჟინერი გრიგორი ფოკას ძე ნიჩიპორენკო, ჟიტომირელი მასწავ-

მანეთს პატრონობდნენ, უვლიდნენ და უკანასკნელ ლუკმას უყოფდნენ. რუსებისგან განსხვავებით, ბარამევი უკრაინელებს აშკარა და გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდათ, თითოეული მათგანი აღიარებდა იური ბაძიოს ავტორიტეტს, რომელიც მას დიდ და პატარა ზონაში, ანუ გარე და შიდა ზონაში (თავი-

ცევი აღლევებისგან ცუდად გახდა და ნიჩბორენკომ ცრემლები მოიწმინდა. იმ დღიდან ვიცოდით, რომ ბაძიო ჩვენი მეგობარი იყო, თუმცა ამას მისი დღის წესრიგი არ შეუცვლია: პარტია-ფილოსოფია-ინგლისური-გერმანული ერთმანეთს მისდევდა ბაძიოს სამაგიდო საათის ჟღარუნში და მეგობრებისთვის დრო ცოტა რჩებოდა.

ბარაშევის პოლიტიკური ბანაკის სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის, ვადიმ იანკოვის წამოწყება სტაბილურად დამკვიდრდა: ყოველკვირეული ლექციების ციკლი ხან ეროვნულ კულტურებს ეხებოდა, ხანაც პოლიტიკურ თეორიებს. ამ სემინარებზე ბაძიომ ნაიკითხა მოხსენება პარტიული მშენებლობის შესახებ, რომელშიც წარმოადგინა კომუნისტური პარტიის ანტიპოდის, მის მიერ ჩამოსაყალიბებელი უკრაინის დემოკრატიული პარტიის წინასწარი პროგრამა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენს „ყოველისმცოდნე“, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თეორეტიკოსებს არ აქვთ საშუალება ბაძიოს ამ ზეპირ მოხსენებას გაეცნონ. მოხსენება-მეთქი, ვთქვი, მაგრამ, სინამდვილეში, ეს იყო იონ-სოკრატული დიალოგი, რომელშიც სოკრატეს როლი – ბაძიომ, ხოლო გულუბრყვილო და თვითდაჯერებული იონის როლი მე შევასრულე.

– სადამო მშვიდობისა, საყვარელო ათენელო ხალხო, სადამო მშვიდობისა, იონ, სადამო მშვიდობისა ჩვენი სიმშვიდის მცველებო, ბატონო ვერტუხაებო ანუ ზედამხედველებო, უკაცრავად, კონტროლიორებო, – მშვიდად დაიწყო ბაძიო-სოკრატემ.

– კიდევ კარგი, რომ ჩვენს ზედამხედველებს შენი არ ესმით, ჩემო სოკრატე, – შევაპარე სიტყვა იონ-ლევანმა ხშირთმიან ბაძიოს, რომელიც თმების ზრდის ტემპით მთელ ზონაში მხოლოდ რაფიკა პაპაიანს თუ ჩამორჩებოდა და სოკრატეს მელოტობამდე ბევრი უკლდა და, როგორც შემდგომში გაირკვა, ამ სტატუსს ვერც ვერასოდეს მიაღწევდა.

– ჩემი არ ესმით, თუ ჩემი არ ესმით? – ცბიერად იკითხა სოკრატემ და ორ „არ ესმითში“ სრულიად განსხვავებული ინტონაციები ჩადო.

– არც ესმით და არც ესმით, – არ ჩამორჩა იონიანი დიდ მასწავლებელს იონი.

– მთავარია, შენ ხომ გესმის, ჩემო იონ. მაშ, შენ ამბობ, რომ მეგობრებთან ერთად ასე ახალგაზრდად პოლიტიკური პარტია შექმენი?

– დიახ, ჩემო სოკრატე, ხალხი და „წმინდა წერილი“ ანუ საბრალდებო დასკვნაა მოწმე, რომ საქართველოს რესპუბლიკური პარტია ოთხმა კაცმა შექმენით და ამ პარტიის შემოქმედთა საშუალო ასაკი 22,5 წელია, – სწრაფად ვიანგარიშე ოთხი დამფუძნებელი წევრის საშუალო ასაკი 1978 წლის 21 მაისისთვის.

– შესანიშნავი ასაკია ფეხბურთის სათამაშოდ, – პირველი კბენა განახორციელა ერთი შეხედვით უწყინარმა სოკრატემ.

– ვაპროტესტებ, ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში ფეხბურთი არ იყო, – აღელდა ერთ-ერთი „ათენელი“ ჟორა ხომიზური, რომლის ცოდნა ფეხბურთში, მგონი, სწორედ ამ და იმ ფაქტით ამოიწურებოდა, რომ ერთხელ თბილისის „დინამომ“ ერევნის „არარატს“ ათი კაცის შემადგენლობით 4:1 მოუგო გასვლაზე, ერევნის სახელგანთქმულ „რაზდანის“ სტადიონზე.

– სინყნარე აგორაზე, – მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას სოკრატემ, – ვასწორებ: შესანიშნავი ასაკია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის, მაგრამ არა სერიოზული პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად.

– ასეა თუ ისე, პარტია შექმენით და სახელმწიფო მანდატურებმა პატივი გვცეს, სასჯელი სწორედ ამისთვის დაგვადეს, – არც მთლად მოკრძალებულად განაცხადა იონმა.

– რა მიზანს ისახავს თქვენი პარტია? – დაინტერესდა სოკრატე.

– კომუნისტური წყობის დასრულებას, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას და დემოკრატიის დამკვიდრებას, – თამამად ჩამოაყალიბა თავისი ნორჩი პოლიტიკური პარტიის მოკრძალებული პროგრამა იონმა.

– ეს ბერძენი კაცი საქართველოსთვის რამ გადაგრა? – იკითხა არაბუნებრივმა და გაუცინარმა სოკრატემ.

– დიდი სოკრატე თუ დიდი უკრაი-



ნისთვის იღწვის, პატარა იონმა და პატარა საქართველომ რაღა დააშავეს? – იკითხა მოცემულ სოკრატეზე, სულ ცოტა, ორჯერ უფრო მძიმე მოცემულმა იონმა.

– მაშ, სამივე, არა? დემოკრატიზაცია, დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც? – იკითხა აულელებელმა სოკრატემ.

– დიახაც, ღმერთი სამობითაა, – გული მოეცა იონს.

– ჩვენ, ბერძნებს, სამი კი არა, სამი ათასი ღმერთი გვყავს, მარტო ოლიმპიელი თორმეტი გვყავს, რომ არაფერი ვთქვათ არაოლიმპიელ და სხვა ღმერთებზე, – მკაცრად აღნიშნა პლურალიზმის პატრიარქმა სოკრატემ, – ერთარსება სამი ჯერ არ დაბადებულა, უფრო სწორად, ჯერ არავის უთქვამს, რომ დაიბადა.

– ნუ დავწვრილმანდებით, ჩემო სოკრატე.

– მაგ ნათელ მიზნებს რომ მიაღწევთ, კომუნისტური წყობა რომ დაემხო, საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული რომ გახდება, პარტიას გააუქმებთ? – იკითხა სოკრატემ.

– გაიმეორე, ჩემო სოკრატე! – ითხოვა იონმა.

– მშვენივრად გაიგე, რაც გკითხე.

– გაგებით როგორ არ გავიგე, მაგრამ ყურს სიამოვნებს ეს ოქროს სიტყვები თავისუფლებაზე.

– კომუნისტები არ არიან, საქართველო გაერო-ს წევრია, რეგულარულად ტარდება პატიოსანი არჩევნები, – პატიოსნად დახატა ფუტურუმი სოკრატემ, – ამ დროს რას შვრება საქართველოს რესპუბლიკური პარტია? თვითლიკვიდაციას აცხადებს, თუ მიზნებს იცვლის? პირდაპირ მიპასუხე, ჩემო იონ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

– მიზნებს იცვლის, – იოლად დაეთანხმა თავისუფლების და დემოკრატიის ციდან ჩამოვარდნის ნაყოფიერ იდეას გამოუცდელი იონი.

– და ახალ მიზნებს ისახავს? – გულუბრყვილოდ იკითხა სოკრატემ.

– დაიხაც, ახალ ვითარებაში ახალ მიზნებს ისახავს, – არ დაიბნა იონი.

– ხომ არ აჯობებდა, თავიდანვე ის „ახალი“, შორეული მიზნები დაგესახათ,

იონ? – შეპარვით იკითხა სოკრატემ.

– დაიჭირა, დაიჭირა, – ვერ დამალა აღფრთოვანება ერთ-ერთმა „ათენელმა კაცმა“, ვადიმ იანკოვმა, რომელსაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იდეა თვალში არ მოსდიოდა, კომუნისტებთან ერთობლივ ბრძოლას და საბჭოთა კავშირის ერთიან დემოკრატიზაციას ქადაგებდა, რადგან მარტო დარჩენილი რუსეთის აგრესიულობის დაოკების გზებს ვერ ხედავდა.

– პოლიტიკური პარტია არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ თავს უსახავს სახელმწიფო ძალაუფლების დაუფლების, მისი შენარჩუნებისა და ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის ინტერესებისთვის სახელმწიფო აპარატის გამოყენების ამოცანას. ის მონაწილეობს საარჩევნო კამპანიებში, ეწევა საგანმანათლებლო-პროგრამულ საქმიანობას, გამოხატავს პოლიტიკურ პროტესტს. ასე არ არის, ჩემო იონ? – იკითხა სოკრატემ.

– ამომწურავ განმარტებას ჰგავს, ჩემო სოკრატე, სახელგანთქმული „ბრიტანის“ რედაქტორებსაც კი შემურდებოდათ შენი, ოლონდ, ერთი შეხედვით, შენი დეფინიცია ყველა პოლიტიკურ სისტემას არ შეესაბამება, – გაბედა კრიტიკა იონმა.

– მესმის, ჩემო იონ, შენ ახლა იტყვი, რომ ერთპარტიულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური პარტია პროტესტს არ გამოხატავს. ამის თქმა გსურდა? – თვალების მოჭუტვით იკითხა უკრაინელმა სოკრატემ.

– ჩემს გულში ზიხარ, საყვარელო სოკრატე, – არ დამალა აღფრთოვანება იონმა.

– მოდი, შევთანხმდეთ, საყვარელო იონ და ათენელო კაცებო, ჰოა ანდრეს ათენაო, რომ ერთპარტიული სისტემა პოლიტიკური სისტემა კი არა, პოლიტიკური საპყრობილეა, რომელშიც სხვა პარტიები აკრძალული, დაპატიმრებული ან კულტურის მუშაკებად ან კიდევ დოსააფად გადაღებილები არიან. პრიმიტიული პოლიტიკური სისტემა, როგორც ისტორიული დრამა, იწყება მეორე სრულუფლებიანი პოლიტიკური პარტიის გაჩენით და მთავრდება განვითარებული პოლიტიკური სისტემის

– მრავალპარტიული, პლურალისტური პოლიტიკური გარემოს, სრულფერადოვანი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებით.

– კარგია, ზედამხედველებს რომ არც ესმით (ყურს არ გიგდებენ) და არც ესმით შენი (გულთან ახლოს არ მიაქვთ შენი სიტყვები), ძვირფასო სოკრატე. სულ ცოტა, დამატებით რვა წელიწადს „ქაჩავს“ შენი სახელმწიფო-სამართლებრივი თეორია, – გულუხვად გაიმეტა ახალი განაჩენი სოკრატესთვის იონმა.

– სულ ხუთი ტიპის იდეალური პარტია არსებობს, – არ ცხრებოდა ტრადიციული ბერძნული მჭევრმეტყველების ემზში შესული სოკრატე, – ელიტის პარტია, სახალხო-მასობრივი პარტია, ეთნიკური მიმართულების პარტია, საარჩევნო გაერთიანება და ამა თუ იმ მოძრაობის პარტია. თითოეულ მათგანს თავისი განაყოფი აქვს, მაგალითად, საარჩევნო გაერთიანებები იყოფა ინდივიდუალურ, უმრავლესობის პარტიად (ინგლ. catch-all), ან პროგრამულ გაერთიანებად. ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტია უმრავლესობის პარტიაა, ხოლო ამერიკის რესპუბლიკური პარტია პროგრამული გაერთიანებაა. ახლა მიპასუხე, ჩემო იონ, თქვენი პირმო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია რომელი იდეალური ტიპის პარტიაა?

– ამაზე არასოდეს მიფიქრია, ჩემო სოკრატე, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ არც სახალხო-მასობრივი პარტიაა, არც ვინრო ეთნიკური მიმართულებისა და არც საარჩევნო გაერთიანებას წარმოადგენს, რადგან შორია არჩევნებამდე საქართველოში. თუ მეტი პარტია არ არსებობს (როგორ შემიძლია ეჭვი შევიტანო შენს ანალიზში?!) გამოდის, ელიტის პარტია ყოფილა.

– ესე იგი, გესმის, რომ ძნელი გზა გელით, სანამ ნაციონალურ მხარდაჭერას მოიპოვებთ. კარგი ისაა, რომ სუბსტანციურად პლურალისტული გაერთიანება ჩამოგიყალიბებიათ. ორმოცი წლის შემდეგ გექნებათ პირველი ნამდვილი წარმატება.

– რა ამბავია, სოკრატე, ცოტა მოუკელი, – სული დაეხუთა ორმოცწლიანი პერსპექტივით იონს.



– თუ კარგად არ მოიქცევი, მოვუკლებ კი არა, მოვუმატებ. მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ გარემოს ვხედავ ოქტომბრის გადატრიალების ასი წლის-თავისთვის, 2017 წლისთვის. რამდენი წლის იქნები, იონ, მაგ დროს?

– სამოცდაოთხის, ჩემო სოკრატე. ეს რიცხვი არ მომწონს, დიდო ადამიანო, თავის დროზე ჯონ ლენონმა იმღერა, მაგდენის ვიქნებიო და იმ ავადმყოფმა მარკ დევიდ ჩემპენმა გაცილებით უფრო ახალგაზრდა, 40 წლისა მოკლა.

– უნდა ითქვას, რომ ამბიციებისთვის ჯიბეში არ ჩაიყოფ ხელს, ჩემო იონ, – განაცხადა თვითალიარებულმა „ზონის ნომერმა პირველმა ბიტლომანმა“ სოკრატემ, – მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, ჯერ ერთი, ეს სიმღერა პოლმა დაწერა და არა ჯონმა, ეს, სხვათა შორის, პოლის პირველი ხუთი სიმღერიდან ერთ-ერთია. რაც შეეხება პოლ მაკარტნის, მაღლობა ღმერთს, ცოცხალია და სამოცდაოთხს კი არა ასოთხსაც მიაღწევს. შენ თაყვანისმცემელი არ მოგკლავს. თაყვანისმცემლებმა, თუკი ასეთები გეყოლება, შეიძლება გული გატკინონ, მაგრამ არ მოგკლავენ. კიდევ გექნება დრო, შენი ქვეყნის სილამაზით, თავისუფლებით და დემოკრატიით დატკბე, პენსიონერი რომ იქნები.

– მანამდე ძალიან დიდი დროა, ჩემო სოკრატე.

– პარტიის ფინანსებზე მინდა დაგელაპარაკო, ძვირფასო იონ. ამოდენა პარტიას რომ ქმნიდით, ამ საკითხზეც დაფიქრდებოდით.

– პარტიის დაფინანსება შედგება სანევროსა და თანამგრძნობი მოქალაქეების შემონირულობებისგან, – განაცხადა იონმა და გაიხსენა, რა გასაჭირი ადგა ყოველთვის, როცა სანევრო დისციპლინაზე ალაპარაკდებოდა მშობლიურ პარტიაში.

– სულ რამდენი წევრი გყავთ პარტიაში? – მოითხოვა კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროება სოკრატემ.

- დავუშვათ, სამასი.
- სანევროსთვის რა თანხა გაქვთ განსაზღვრული?
- დავუშვათ, მანეთი.
- სამასი წელი გავა, სანამ სამასი კა-

ცისგან თითო მანეთის აკრეფას შეძლებთ, ენდე ჩემს მწარე გამოცდილებას, ახალგაზრდა იონ. რა შემონირულობების იმედი გაქვს?

– ცალკეული თავისუფალი ბიზნესმენი შემოგვნირავს, ჩემო სოკრატე.

– მაგ ნაწილშიც დიდად იმედიანად ნუ იქნები, ჭაბუკო.

– აბა რა ვქნათ, ამხანაგ სტალინით ბანკი გავძარცვთ? – აღელდა პარტიული ფინანსების გარეშე დარჩენილი იონი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ამხანაგი სტალინი არა მარტო ბანკებს ძარცვავდა, არამედ პოლიტიკურ გადასახლებაში კრიმინალებს ეყრდნობოდა პოლიტიკურ მეტოქეებთან ბრძოლაში, რაშიც პარტიულმა მეგობრებმა არაერთხელ დასდეს ბრალი.

– და მშობლიურ სახელმწიფოს რატომ ათავისუფლებ ამ პასუხისმგებლო-

მე ვერ მოვესწრები!

– მართლაც, რუსეთში ეგ როდის იქნება, ჩემთვისაც უცნობია, მაგრამ უკრაინის და, განსაკუთრებით, საქართველოს ბიუჯეტს ეს არ დაამძიმებს, ამაში დარწმუნებული ვარ. პარტიების სტაბილურობა და უცხოეთისგან, მაგალითად, რუსეთისგან, როგორც ყოფილი მეტროპოლისიდან დამოუკიდებლობა საქართველოს და უკრაინისნაირმა სახელმწიფომ თავისი ბიუჯეტით უნდა უზრუნველყოს, ეს მის ინტერესებში იქნება და ოდესმე ჩვენს ნიადაგზეც აღმოცენდება ისეთი სახელმწიფო, რომელიც თავის ინტერესებზე იზრუნებს.

ეს სოკრატული დიალოგი დრამატულად განვითარდა, მოვარდნენ რატომღაც განრისხებული მთვრალი ზედამხედველები, ტრიმაზკინი, ტრი-



ბისგან, ძვირფასო იონ? ვითომ რატომ არ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ამა თუ იმ მეტ-ნაკლებად სერიოზულ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არჩევნებში შედეგს აჩვენებს და გარკვეულ, კანონის მიერ წინასწარ დადგენილ ბარიერს გადალახავს, ფული სახელმწიფო ბიუჯეტის სპეციალური მუხლიდან, რომელიც პლურალიზმის განვითარებას მოხმარდება? – იკითხა სოკრატემ და ათენელი კაცების სერიოზული მღელვარება გამოიწვია.

– რა უტოპიაა! – გულწრფელად აღელდა ვადიმ იანკოვი. – ასეთ რამეს

ფონოვი და კისელიოვი, დიალოგის უშუალო მონაწილეებს, სოკრატესა და იონს, ასევე არბიტრ იანკოვსა და ჟორა ხომიზურს 15-15 დღე საჯარიმო იზოლაციური გამოუცხადეს (ეტყობა, „შინაგანი წესრიგის საბჭოს“ პროვოკატორებმა სერიოზულად „ნაიმუშავეს“) და სახელგანთქმულ „ბერძნებს“ თავისი სახელმწიფოებრივი თუ ანტისახელმწიფოებრივი დიალოგის დასრულება უკვე საჯარიმო იზოლაციურში, ანუ შიზოში მოუწიათ.



# დაკარგული კონტექსტი ანუ „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“

„Папа, к тебе Грузин приехал!“  
„მიმინო“

ავტორი: ბიორბი მანსურაძე  
ილუსტრაცია: მანია სუმბაძე

პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ გადადგა, 15 აპრილს რუსეთისათვის „ეკონომიკური ბლოკადის“ გამოცხადება იყო. ზვიად გამსახურდიას მითითებით, გადაიკეტა სამტრედიის რკინიგზა და სამი კვირის მანძილზე რუსეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლა შეჩერდა. ამან საქართველოს ისედაც დაუძლურებული ეკონომიკა სრულ კატასტროფამდე მიიყვანა, თუმცა კი იმდროინდელი ხელისუფლება ამას რუსეთის დასჯას, მასზე ზენოლას უწოდებდა. საკუთარი ხელისუფლების ასეთი აბსურდული ქმედების მიმართ განსაკუთრებული პროტესტი არც მოსახლეობას გამოუხატავს. ერთადერთი კონტრშეკითხვა, რომელიც კომპარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა ომარ ელოშვილმა პრეზიდენტს გაუბედა, იყო – „როგორ უნდა მოუწყოს საქართველომ რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა, როდესაც საქართველოს ეკონომიკის 96% რუსეთზეა დამოკიდებული?“ ამაზე პასუხის გასაცემად ლოგიკური აზროვნების უნარი უნდა ყოფილიყო საჭირო, რომელიც მაშინ არც ხელისუფლებას და არც მის ამომრჩეველ ხალხს არ აღმოაჩნდა. თუ გონება სხვა, ძლიერი ემოციური მუხტის მატარებელი აფექტებითაა შებოჭილი, მაშინ უმარტივესი არითმეტიკული ანგარიშიც შეუძლებელი ხდება. სამაგიეროდ, იმ დღეს გმირის ურჩხულთან ჰეროიკული ბრძოლის ფანტაზია სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკულ ქმედებად მოგვევლინა. მაგრამ თვით ასეთ ქმედებასაც კი, რომელიც საღი გონების სფეროში არ თავსდება, გარკვეული ახსნა უნდა ჰქონდეს და არამართებული იქნებოდა ყველაფრის ერთი პიროვნებისათვის გადაბრალება.

აქ საქმე ეხება არა იმდენად რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობებს, არამედ უფრო მეტად სწორედ აფექტების იმ კომპლექსს, რომელიც ქართულ საჯარო სივრცეში რუსეთის ხსენებას მოჰყვება და მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართულებას განსაზღვრავს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს, ხანდახან დადებითი („ერთმონაწილე“) თუ ძირითადად უარყოფითი ნიშნით („მტერი“, „ოკუპანტი“, „ღორი“), თანამედროვე ქართულ ცნობიერებაში იმდენად დიდი და ობსესიური ადგილი უკავია, რომ ფაქტობრივად მთელი ქართული იდენტობა რუსეთის სახელთანაა გადაჯაჭვული. რუსეთია აბსოლუტური „მტრის ხატი“,

რომელთან თანაფარდობაც „მოყვარის“ დადგენის საშუალებაა. რუსეთით იზომება ქართველი ისტორიული პიროვნებების ღვაწლი და მნიშვნელოვნება: მაგალითად, ერეკლე II გასაკიცხია, რადგანაც მან რუსეთთან მფარველობის ტრაქტატი გააფორმა, რომელიც შემდგომში რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის წინაპირობა აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ეროვნული გმირი და სათაყვანებელია 1924 წელს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის ჰეროიკულ ავანტიურასაც შედეგად მხოლოდ ასობით ქართველის უაზრო მსხვერპლი მოჰყვა.

რუსეთის ხატიდან გამომდინარეობს საქართველოს პოლიტიკური აზროვნება, იქნება ეს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ორიენტირები, უფრო მეტიც – შეფასების კრიტერიუმები: მაგალითად, რადგანაც გერმანია ან საფრანგეთი „გაზპრომთან“ თანამშრომლობენ, ეს ფაქტი უკვე წარმოშობს ფანტაზიას, რომ ამ ქვეყნებში ყველაფერი „გაზპრომის“ მიერ ფინანსდება და ამიტომაც საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული. თავად სიტყვა „გაზპრომაც“ ერთგვარი ეზოთერული მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც რაღაც ყოვლისშემძლე პრეკოსმიურ ბოროტებას განასახიერებს, და რომლის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულებები ფინანსდება. თვით სპორტულ თამაშებსაც კი თითქმის ერთადერთი მიზანიღა აქვს: რუსეთის დამარცხება! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფერი, რასაც საქართველო აკეთებს, არა – საკუთარი თავისათვის, არამედ რუსეთის ჯინაზე...

ასეთ ფონზე ერთი უცნაური კითხვა გამიჩნდა: რა მოხდება, უფრო სწორად, რა გვეშველება, რუსეთმა რომ ტერიტორიებიც დაგვიბრუნოს და ერთხელ და სამუდამოდ თავიც დაგვანებოს?

– რამდენადაც ყოველგვარი წინასწარმეტყველება, როგორც სააზროვნო ყანრი, ჩემთვის საღალბო სფეროს მიეკუთვნება, ჩემი პასუხიც ამ კითხვაზე მხოლოდ „მოდელირებული“ შეიძლება იყოს, მით უმეტეს, რომ, პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ასეთი პერსპექტივა საკმაოდ არარეალისტურია. სწორედ ამიტომაც, ჩემი ვარაუდები მხოლოდ არსებულ და ისიც მხოლოდ შიდა-ქართულ რეალობაში გარკვევას ეხება.

მას ასე, რა მოხდება, რომ რუსეთმა საქართველო ერთხელ და სამუდამოდ მიატოვოს? ჩემი აზრით, არცთუ

ხანგრძლივი ეიფორიის ტალღის გადავლის შემდეგვე დაწყება ერთობ ყოველმომცველი კულტურული თუ საზოგადოებრივი დეპრესია, რომელიც პირობითად ორიენტაციის უნარის დაკარგვას შეიძლება შეეძლოს, რამდენადაც თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერებისა და მთლიანად ქართული კულტურის გრავიტაციის ცენტრს რუსეთი წარმოადგენს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული კულტურა რუსულის ნაწილია ან საქართველოს ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი საუკუნეა, საქართველოში ყოველგვარი კულტურული თუ პოლიტიკური სიახლე თითქმის მხოლოდ რუსეთიდან ან რუსეთის გავლით შემოდის და, შესაბამისად, კულტურული სიახლოვე რუსულთან, ამ ისტორიული ფაქტორიდან გამომდინარე, საკმაოდ ძლიერია. მაგრამ ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა კულტურულ თუ გეოგრაფიულ სიახლოვეს, არამედ ისეთ მომენტს აქვს, რასაც პოსტკოლონიურ თეორიაში კულტურული ჰიბრიდულობა ეწოდება. ეს ფენომენი პერიფერიასა და ცენტრს, კოლონიასა და კოლონიზატორს შორის თანაარსებობისა და ურთიერთზემოქმედების განსაკუთრებულ ნაზავს, ჰიბრიდს გულისხმობს, როდესაც, მარტივად რომ ვთქვათ, ვერც მწაგვრელი და ვერც ჩაგრული უერთმანეთოდ არსებობას ვერ ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ურთიერ-

უკვე ინსტინქტურადაც კი გონების წინააღმდეგ მოქმედებს და მისი გამომწვევი გარკვეული ფსიქოლოგიური ფიქსაციებია. ქართული კულტურა, ორი საუკუნეა, დაფიქსირებულია რუსეთზე და ეს ფიქსაციაა მისი პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის ხასიათის განმსაზღვრელი. ქართველი ერი რუსეთის იმპერიის წიაღში ჩაისახა და მის კალთებში გაიარა ინკუბაციის პერიოდი. შესაბამისად, რუსეთი მისი აკვანცია და „დაბადების ტრავმა“ც, იგია ამბივალენტური სიძულვილ-სიყვარულის, ერთადერთი თუ არა, მთავარი სუბიექტი. ამ თვალსაზრისით, „რუსეთუმეებიც“ და „რუსოფობებიც“ ერთსა და იმავე ტკივილს გადმოსცემენ, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით (ან განსხვავებული მოდულებით): რუსეთის სიყვარულიც და სიძულვილიც მათთვის ის საზოგადოებრივი თუ ემოციური მოტორია, ურომლისოდაც მათი ცხოვრება აზრს დაკარგავდა. ასეთი ძლიერი ემოციური მუხტის უკან კი საკუთარი იდენტობის ის ფორმულა იმალება, რომელსაც რუსულ-საბჭოთა კულტურულ წიაღში შექმნილი ჰიბრიდი „მზიური საქართველო“ ეწოდება. ესაა დიდი იმპერიის ამაყი პერიფერია, რომელსაც ამ იმპერიის კულტურულ კონტექსტში გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართველს სწამს, რომ მისი ქვეყანა ღმერთის მიერ სათავისოდ გადანახული მიწიერი სამოთხეა და ადვილად აჯერებს ამას თავის კოლონიზატორ



ობას უფრო მეტად მტრობის სახე აქვს, რომლის დროსაც ორივე მხარე ყველაფერში ერთმანეთს ადანაშაულებს და საკუთარ პასუხისმგებლობას იზინებს.

ამავე დროს ჰიბრიდულობა იმასაც ნიშნავს, რომ კოლონიური თუ პოსტკოლონიური ქვეყანა საკუთარ თავს თავისი დამპყრობელი ქვეყნის კულტურულ კონტექსტში ხედავს – ანუ ისეთად, როგორი წარმოდგენაც მას საკუთარ თავზე მისმა დამპყრობელმა შეუქმნა. მაგალითად, XIX საუკუნის რუსულ-მა ლიტერატურამ შექმნა საქართველოს საკმაოდ გამითოლოგიურებული, „რომანტიკული“ ხატება, რომელიც შემდგომში ამგვარი სტერეოტიპებით ნაკვებმა ქართულმა ლიტერატურამ კიდევ უფრო განავითარა და საკუთარი კულტურული იდენტობის განმსაზღვრელად აქცია: ესაა უკვე საბჭოთა ხანაში დასრულებული ფორმულა „მზიური საქართველო“.

არსებობს კიდევ ერთი, ფსიქოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არა მხოლოდ კულტურის ხასიათს, არამედ ერის, როგორც მენტალური ერთობის კოლექტიური გნებების შინაარსსა და მიმართულებებს განაპირობებს. ესაა ემოციური, აფექტური რეაქციების კოლექტიური ფორმა, რომელიც ხშირად

რუსეთს, რომელსაც ამ რწმენის შექმნაში გადამწყვეტი როლი აქვს ნათამაშები.

ამავე დროს რუსეთი არა მხოლოდ ქართული ღვინის, მანდარინისა და „ბორჯომის“ მთავარი ბაზარია, არამედ – ქართველი ადამიანის საკუთარი განსაკუთრებულობის გამოჩენისა და თვითდამკვიდრების დღემდე ერთადერთი ასპარეზიც. ქართველი, გოგოლისეული **Грузинский князь Чипхайхилидзе**-დან მოყოლებული, პოსტსაბჭოთა **Новый Грузин**-ამდე რუსული კულტურის კოდა, რაც ამ კულტურულ კონტექსტში ქართველს ქართველად, უფრო სწორად, „გრუზინად“ თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს და რუსულად წარმოთქმული „**генацвале**“-ს ტკბილხმოვანებით ამკობს. ამგვარი კოდი კი ჯერჯერობით არც ერთ სხვა კულტურულ გარემოსა და კონტექსტში არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი არარუსულ თუ არაპოსტსაბჭოთა სივრცეში ვერ „იბლატავებს“. ერთადერთი სტატუსი, რომელიც საქართველომ საკუთარი ოცნლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში მოიპოვა, მისი რუსეთთან დაპირისპირებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სა-

ქართველო ფაქტობრივად მხოლოდ რუსეთთან კონტექსტში მოიხსენიება.

მოკლედ, საქართველოს „მზიურობა“, რომელიც დღესაც ეროვნული იდენტობის მთავარი მახასიათებელია, მხოლოდ იმ კონტექსტში არის „რეალობა“, რომელსაც რუსეთის იმპერია განასახიერებდა. ჩემი აზრით, სწორედ ეს კონტექსტი – მისი ნოსტალგია („რუსეთუმეთა“ შემთხვევაში) თუ ამ კონტექსტის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და უკონტექსტობის შიში (რუსოფობია) განაპირობებს რუსეთის მიმართ აფექტურ დამოკიდებულებას, რომელთან მიმართებაშიც ერთი ლამის სკანდალური ისტორია მახსენდება: გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთმა გერმანელმა-ებრაელმა პოლიტიკოსმა, გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდენტმა – იგნაც ბუბისმა თქვა, რომ გერმანელებს ვერ უპატიებიათ ებრაელებისთვის ჰოლოკოსტი! ეს განცხადება, ერთი შეხედვით, შეიძლება ქრესტომათიულ პოსტმოდერნიზმად მოგვეჩვენოს, რომლის დროსაც პერსპექტივებია შებრუნებული: გერმანელებს ვერ უპატიებიათ ებრაელებისათვის ის, რომ გერმანელი 6 მილიონი ებრაელის მკვლელობასთანაა გაიგივებული და ეს ფაქტი გერმანულ-ებრაულ ჰიბრიდს წარმოშობს.

ქართულ-რუსულ ჰიბრიდში რუსეთი ვერ პატიობს საქართველოს, როგორც საკუთარ განუხილავ უძღვე შვილს,

თველო მაქსიმალურად ცდილობს იმ ჰიბრიდული იდენტობის შენარჩუნებას, რომელიც მას რუსეთის ფაქტორით, მისი სიჭულვილ-სიყვარულითა აქვს შექმნილი. ეს იდენტობა კი რუსული იმპერიული კონტექსტის რეპროდუქციისაკენაა მიმართული: საქართველო დასავლეთშიც ისეთივე ახალ „მამასა“ და მფარველს ეძებს, როგორსაც თავის დროზე რუსეთში ეძებდა. ამიტომაც სრულიად ლოგიკურია თბილისში ჯორჯ ბუშის ქუჩა, ან მოთხოვნები, რომ პუშკინის სკვერში, რუსი პოეტის ბიუსტის ნაცვლად, ამერიკის პრეზიდენტ რეიგანის ძეგლი დაიდგას. ესაა ჩანაცვლების ტიპიური მაგალითი, რომლის დროსაც შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება: მიზანი დიდი პოლიტიკური ძალის მქონე სახელმწიფოს კულტურულ კონტექსტში ეგზოტურ პერიფერიად ყოფნის სურვილია. საქართველო ახლა უკვე დასავლეთისგან ქმნის რუსეთის იმპერიას, მისგან ელის სტერეოტიპულად მამა-შვილური მოვალეობების შესრულებას: შვილისათვის თავგანწირვასა და მისი მტრის დასჯას. თუმცა სწორედ ამგვარი აზროვნებაა ანტიდასავლური და თავისი არსით ყველაზე მეტად რუსულ-საბჭოთა ტრადიციების ერთგული, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ქართულ თვითაღქმას „მზიური საქართველოს“ ილუზიებით ანებივრებდა. რუსეთისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობით კი საქართველო სწორედ ამ ილუზიას კარგავს და უცენტრო



მის „ლაღატს“ და ნატო-სა თუ ამერიკის სახით მამინაცვლის ძიებას. მაგრამ ჰიბრიდში არ არსებობს მხოლოდ ერთი მხარე და ასეთი შებრუნებული პერსპექტივიდან მეჩვენება, რომ საქართველოს რუსეთისათვის ვერ უპატიებია რუსეთის/საბჭოთა იმპერიის დაშლა და საქართველოს „მიტოვება“, ანუ იმ ერთადერთი კონტექსტის დაკარგვის პანიკური შიში, ურომლისოდაც ქართულ კულტურას ამ ეტაპზე საკუთარი არსებობა ვერ წარმოუდგენია. 1989 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლამ რეალობის სახე მიიღო, რაც საქართველოს საიდენტიფიკაციო ფორმულის გაქრობასაც ნიშნავდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაზე წინდახედული ქართული ეკლესია აღმოჩნდა და „მზიური საქართველოს“ „ზეციურ საქართველოდ“ კონვერტაცია მოახდინა, რომელიც დაიბრუნებს თავის მზიურობას და „გაბრწყინდება“, ანუ კვლავაც იპოვის საკუთარ საპატიო ადგილს ერთმორწმუნეთა დიდ ოჯახში...

რუსეთზე ფიქსაცია დღეს საქართველოში იმდენად ძლიერია, რომ ყველაზე რადიკალური ფორმის ქართული ანტირუსული აფექტიც კი საქართველოს რუსეთთან უფრო ახლოებს ვიდრე ამორებს. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ საქარ-

პროვინციად გადაიქცევა. პროვინცია ამ შემთხვევაში არა გეოგრაფიული შინაარსის ტერმინია, არამედ შეუსაბამობის, არაადეკვატურობის, უკონტექსტობის აღმნიშვნელი, რომელიც ემოციებს სრულიად უფუნქციო და აბსურდულობამდე გადაჭარბებული პათეტიკით გამოხატავს. ასეთი პროვინციული უკონტექსტობის საუკეთესო მაგალითად გამოდგება „საქართველო გაბრწყინდება“, რომელიც სხვა არაფერია, გარდა „მზიური საქართველოს“ გაეზოთერულებული და კონტექსტდაკარგული ვარიანტისა.

პოსტკოლონიური ფაზისათვის, რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება, ყველაზე მეტად ახალ, „უკონტექსტო“ რეალობასთან შეგუების სირთულეა დამახასიათებელი. ამოცანა, რომელიც დამოუკიდებელი არსებობის მსურველი ქვეყნის წინაშე დგას, ჰიბრიდული არსებობიდან გამოსვლას, ფსიქოლოგიური დამოკიდებულების მოხსნას საჭიროებს. საქართველოს შემთხვევაში კი, ეს პროცესი რუსეთის კალთებში შექმნილი საკუთარი გამორჩეულობისა და სხვებზე აღმატებულობის ინფანტილური ამბიციებისგან განთავისუფლებას და სრულიად ახალი იდენტობის შექმნას გულისხმობს.



# გამოსხადებული „ფსიქოდელოის ქრონიკა“

<<< ლასანჯისი გვ. 28

ცხადია, ცხოვრება ყოველთვის უსამართლო იქნება, და ვიღაცას ისევე „ჯიბი“ ეყოლება, ვიღაც ისევე უპოვარი იქნება, მაგრამ ამის გამო დემოკრატიული განვითარების პროცესი ვერ შეჩერდება; ისევე, როგორც არავის აქვს უფლება, გამოაცხადოს, რომ რადგან ომი ნავაგეთ, დემოკრატია რამდენიმე წელიწადს დაბალ ნიშნულზე იქნება...

**ეს დაახლოებით ბერტოლდ ბრესტის ცნობილი მონოლოგის პერიფრაზივით უნდა იქნას: „ომი დამთავრდა, დემოკრატიის გეგმილით ხალხი!“**

ვინც ამბობს, რომ ხუთ წელიწადში დემოკრატია ვერ ავაშენებთ, იმიტომ, რომ სათანადო გამოცდილება არ გვაქვს დაგროვილი, ან ვინც უარყოფს ცოდნის მიღების დემოკრატიული ფასეულობებს, მათ მიმართ ასეთი კითხვა მაქვს – რატომ გვაქვს ხელისუფლებაში ყოფნის პრეტენზია? ცინიკური სიტყვებითა და პოლიტიკორექტულობით მუდმივი თამაში... საიდან მოდის ეს დაუფარავი ცინიზმი, ავტორებით და სახელებით ჟონგლირება, საზოგადოების მუდმივი მოტყუების არცთუ დახვეწილი მცდელობა. უბრალოდ, არსებობს სასარგებლო ინტელექტი და უსარგებლო ინტელექტი, და ეს უკანასკნელი გამოუყენებელია. სხვათა შორის, ძალიან ბევრ განათლებულ და მოაზროვნე ადამიანს ვიცნობ ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის და ვერ ვაკადრებ მათ, საზოგადოების შეგნებულად და მიზანმიმართულად მოტყუება დავა-

ბრალო. მგონია, რომ უბრალოდ აღარ იცინა, შემდეგ რა ილონონ, რადგან უღმობელ პოლიტიკურ ცაიტნოტში აღმოჩნდნენ.

**თქვენი აზრით, რატომ აიძულებენ საზოგადოებას, ამგვარ თავსმოხვეულ ავტორებს, ფილოსოფოსებს, პოლიტოლოგებს თუ მედიექსპერტებს უსმინონ. ხომ არ არის ეს თავად საკუთარ თავში დაურწმუნებელი სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა?**

ჯერ ერთი გავითვალისწინოთ, რომ ყველა საზოგადოებას ის ხელისუფლება ჰყავს, რომელსაც იმსახურებს და, აქედან გამომდინარე, ყველა ხელისუფლებას ჰყავს ის ოპოზიცია, რომელსაც იმსახურებს. ვერავინ დამაჯერებს, რომ თბილისის მერის, ბატონ უგულავას ოპოზიციონერი, პარიზის მერის დე ლანოს მსგავსი სანიშნუი დემოკრატი უნდა იყოს. ასე რომ, ბატონ გაჩეჩილაძის თუ ბატონ ძიძიგურის კანდიდატურა თბილისის მერის პოსტზე ზუსტად შეესაბამება პოლიტიკურადაც და სოციალურადაც ხელისუფლების წარმომადგენლების კანდიდატურას. ამიტომ, თუ სამოქალაქო საზოგადოება თავს მოტყუებულად იგრძნობს, თავად საზოგადოებაშიც ეძიოს მიზეზები და პრობლემები.

**ანუ, რაც სარკეში ჩანს, ანარეკლიც ზუსტად ისეთივეა?**

იგივე შეიძლება გავიმეოროთ, რომ საზოგადოებას ის პოლიტიკური თუ კულტურული ელიტა ჰყავს, რომელსაც იმსახურებს. ეს აბსოლუტური შეფასება არ არის, ეს ცოცხალი შთაბეჭდილებებია, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გამოჩნდა. სწორედ ამიტომ დავარქვი ჩემს წიგნს „ფსიქოდელოის ქრონიკა“, ანუ განცდები, რაც არ არის ემპირიულ ცოდნასა და ფაქტებზე დამყარებული. როცა ამდენი გადაპრანჭული დასახელების პარტიას ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ისინი სახელწოდებას ფონეტიკური კეთილზომიანების გამო ირჩევენ. მეერ ვუსმენ, ვთქვათ, ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელს, და ის ისე ღიად აკეთებს ჰომოფობიურ განცხადებას, თითქოს კრიმინალთან გვექონდეს საქმი. ამასობაში მემარჯვენე პარტიები ულტრამემარცხენე ლოზუნგებით გამოდიან, „მწვანეებს“ კონსტიტუციურ მონარქიას უჭერენ მხარს და ასე უსასრულოდ. ახალგაზრდობაში, როცა როკ-მუსიკით ვიყავი გატაცებული, მსურდა, საკუთარი ჯგუფი შემექმნა და ინგლისური სახელწოდების მქონე კეთილზომიანი და ადვილად დასამახსოვრებელ

სახელწოდებებს ვიგონებდი. დაახლოებით ასეა ჩვენთან სხვადასხვა პარტიის დასახელება. სასურველია სიტყვა „დემოკრატი“ სადმე მაინც ფიგურირებდეს; უკიდურეს შემთხვევაში – „ლიბერალური“ ან „ქრისტიანული“, შეიძლება „სახალხოც“...

**მაგრამ სახელწოდება მხოლოდ მიმზიდველი რეკლამასავითაა. დანარჩენზე ხომ თავად პარტიებმა უნდა იზრუნონ და ამომრჩეველი დაარწმუნონ თუნდაც რამდენიმე კონკრეტულ საკითხში...**

ყველაზე ადვილია მანიპულირება ადამიანების მარტივი გრძნობებით, ბიოლოგიური ინსტიტუტებით, პრიმიტიული პატრიოტული სიტყვებით. ეს უკვე იმდენჯერ ვნახეთ და მოვისმინეთ, სამიზნე ფორმებით დაწყებული, პაროდულით დამთავრებული, რომ არავის არაფრის სჯერა. სწორედ ეს ქმნის საზოგადოების ძირითად პრობლემას და არა ფუჭი, უსარგებლო დაპირებები... აღმოჩნდა, რომ პატრიოტიზმი ერთობ არაკალორიული და უსარგებლოა. თანაც არასაქირო კონსერვანტებს შეიცავს. სიახლისთვის საზოგადოების მზად ყოფნას და ძალისხმევას კი დიდი ენერჯია და ცოდნა სჭირდება, რაც სამწუხაროდ, არც პატრიოტებს აქვთ და არც კოსმოპოლიტებს, თუ ასეთები საერთოდ დარჩნენ. მთავარი ის კი არ არის, სად და რამდენი ასფალტი დავაგეთ (ბოლოს და ბოლოს, დუჩემ რომ გზები დააგო, ისეთი არავის გაუკეთებია იტალიაში); ან ვართ თუ არა ამიერკავკასიაში ყველაზე განახლებული (დუბაიში, მგონი, საერთოდ ფუტურისტული განათების სამყარო შექმნეს), არამედ რამდენად სურს, ან უხარია მოქალაქეს საკუთარ ქვეყანაში ცხოვრება და რამდენად შეუძლია ხელისუფლებას, ეს უფლება დაიცვას ან ასატანი გახადოს.

**იქნებ, მარტივი გრძნობების ნაცვლად, რთული და კარგი გრძნობებიც გავისენოთ და ამით დავასრულოთ ჩვენი საუბარი?**

დემოკრატია, რომელიც საყოველთაოდ მიღებული და პრაქტიკითაც დადასტურებული აუცილებელი სასიცოცხლო სივრცეა, სავსება კონკრეტული, სასარგებლო და სასიკეთო დეტალებით. მთელი ევროპა სწორედ ასეთი კულტურული და სოციალური დეტალების ერთობლიობაა. ვისურვებდი, რომ საქართველოც ამ დიდი, ღირებული კულტურული სივრცის ნაწილი გახდეს. ღირებულებები ხომ მაშინ ხდება მიღებული, როცა მათზე აღარ ფიქრობ.



# იმპროვიზატორი

<<< ღასაწყისი გვ. 34

ჰო, ჰარლემი კარგი ადგილი იყო ბავშვობის გასატარებლად, განსაკუთრებით ჩემისთანა ბიჭისთვის, რომელსაც მუსიკოსობა სურდა“. საძებნ ბარში ახლა Sugar Hill-ს ვბეჭდავ, ზედა ჰარლემის ფოტოებისთვის თვალის შესავლებად. ოცდაათიანების მინურულს იქ როლინზები გადავიდნენ – დედა, მამა – სამხედრო მოსამსახურე, და მათი სამი შვილი: ვოლდემარი, გლორია და თეოდორი, რომელსაც მოფერებით, როგორც ყველაზე უმცროსს, სონის ეძახდნენ. იმ დროს Sugar Hill-ი შავკანიანთა ელიტის უბანი იყო. თავის დროზე რაღაც ელისონმა, შავკანიანმა ამერიკელმა მწერალმა „ამერიკული ოპტიმიზმის ფორტად“ მოიხსენია ჰარლემის ეს უბანი. აქ შეიძლება შეხვედროდით ქუჩებში მოსეირნე უილიამ ედუარდ ბურგჰარდტ დიუბუას, ადამიანის უფლებათა ცნობილ დამცველს, სოციოლოგს და ისტორიკოსს, თორგუდ მარშალს, იურისტს და პირველ შავკანიან მოსამართლეს შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოში, უოლტერ უაითს, შავკანიანთა უფლებების ცნობილ დამცველს, სხვა ჰარლემელ ინტელექტუალს, პოეტს თუ მწერალს და, რა თქმა უნდა, მუსიკოსებს – დიუქ ელინგტონს, ბენი ქარტერს, დენზილ ბესტს და როლინზის კუმირ-

საც, საქსოფონისტ ქოულმენ ჰოქინსს. ის Sugar Hill-ში ლამის როლინზების კარის მეზობელი იყო. იმ დროს, როგორც როლინზი იხსენებს, ჰოქინსის მიერ შესრულებული პოპულარული სიმღერა Body and Soul თითქმის ყველა ფანჯრიდან ისმოდა. ეს კომპოზიცია ჰარლემის ლაიტმოტივი იყო, და სწორედ ჰოქინსის მუსიკა იყო, ასე მომწუსხველად რომ იმოქმედა მასზე. სთენლი ქრაუჩი, ამერიკელი ჯაზის კრიტიკოსი და დრამატურგი წერს: „თვალს მოკრავდი თუ არა ქუჩაში მოსეირნე ქოულმენ ჰოქინსს, ან სხვა ნებისმიერ შავკანიან მუსიკოსს, იმნამსვე ხვდებოდი, რომ მათში იყო რაღაც ნაღდი, ხოლო როდესაც სცენაზე აღიოდნენ, ამას მუსიკითაც ამტკიცებდნენ – რომ ეს არ იყო სიზმარი და ისინი მართლაც განსაკუთრებულები იყვნენ“. ჰარლემშივე იყო დღემდე ცნობილი საკონცერტო დარბაზები Appolo Theatre და Savoy Ballroom, სადაც მოზარდ როლინზს არ შეეცვლებოდა. სამაგიეროდ, „აფოლოს“ ფოიეში არ უშლიდნენ თამაშს მას და მის მეგობრებს. სწორედ აქ მოისმინა პირველად მან ცოცხალი შესრულებით დიუქ ელინგტონი, ფლეტიწერ ჰენდერსონი, ბილი ექსთაინი, სარა ვოანი, ქაუნთ ბეისი, ბილი ჰოლიდეი და ბავშვობის კიდევ ერთი კერპი – ლუის ჯორდანი, რითმ ენდ ბლუზის ნაგიჟარი საქსოფონისტი.

ასე გაჩნდა მის სახლში ბიძამისის ნაჩუქარი საქსოფონი, ჯერ ალტო, მოგვიანებით კი ტენორი. მშობლებს უნდოდათ, რომ ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლა, მაგრამ როლინზი საქსოფონმა უფრო მოხიბლა. „საქსოფონი პირველად რომ დავინახე, ისეთი ლამაზი იყო, რომ იძულებული გავხდი, მესწავლა, როგორ დამეკრა მასზე“, – თქვა ერთხელ მან. რამდენიმე წლის შემდეგ მას სმენა უკვე ისეთი გავარჯიშებული ჰქონდა ბევრითად მეცადინეობითა და სხვადასხვა მუსიკოსის ალბომების სმენით, რომ ნებისმიერი თემის „დაჭერა“ და გავრცობა შეეძლო. ამ დროს ის უკვე სასკოლო ბენდშიც უკრავდა, სადაც მასთან ერთად ჯექი მაქლინი, ქენი დრუ და ართ თეილორი იყვნენ. ისინი ეგრეთ წოდებულ cocktail sip-ზე უკრავდნენ ხოლმე სამსახურებიდან ახლად გამოსული ადამიანებისთვის. ასეთი საღამოები ხშირად მუშტი-კრით მთავრდებოდა, მაგრამ ჰარლემში ესეც განათლების ნაწილი იყო. ბევრად უფრო მოგვიანებით, როდესაც როლინზი ჰერონიული „ჯანქი“ გახდა, ის სწორედ ჰარლემის ქუჩებში მიღებული გამოცდილებამ გადაარჩინა რამდენჯერმე უცილობელ სიკვდილს. მუსიკას დაუბრუნდები... ზემოთ ხსენებული მუსიკოსების გარდა, ჰარლემში ამერიკის სხვა შტატებიდან ჩასული მუსიკოსებიც გამოდიოდნენ. ბოლოს და ბოლოს ნიუ-იორკი ხომ ჯაზის ქალაქი იყო – ყველა, ვისაც ამ რთული მუსიკის დაკვრა უნდოდა, თავს აქ იყრიდა და სად უნდა დაეკრათ, თუ არა ჰარლემში? ბენ უებსთერი, დონ ბაიასი, ლესთერ იანგი და ბევრი სხვა როლინზის მუსიკალური განათლების ნაწილი გახლდათ. „მათი მუსიკის სმენა ყურის საუკეთესო ვარჯიში იყო, – ამბობს როლინზი, – ბუნებით მუსიკოსებს უნდა შეეძლოთ მელოდიის ელვისებურად აღქმა, კოპირება და თავისებურად გადამღერება. ასეთი მუსიკოსი ვარ მეც; მეც ინტუიციით ვუკრავ. მუსიკალურ სკოლაში არ მივლია (თუ არ ჩავთვლით ნიუ-იორკის მუსიკალურ აკადემიაში 25 ცენტად მიღებულ გაკვეთილებს), სამაგიეროდ, უამრავ დროს ვუთმობდი ინსტრუმენტზე ვარჯიშს. ზოგჯერ ჩემთვის აბსოლუტუ-

რად უცნობ თემებსაც ვუკრავდი და მხოლოდ მოგვიანებით ვიგებდი, თუ რა კომპოზიციები იყო ეს. ჩემმა ბავშვობამ პოპულარული მუსიკის აღზევების პერიოდში გაიარა და შემოძლია გითხრათ, რომ დღემდე მახსოვს ყველა ის სიმღერა თუ მოტივი, სიმღერის სიტყვების ჩათვლით; ამ სიმღერებში თხრობა მელოდიით იწყება; მერე შენ უნდა განავრცო თემა მელოდიისვე მეშვეობით, როგორც გესმის ისე, და დაიტოვო იმპროვიზაციისთვის აუცილებელი სივრცე. ოღონდ, ყველა ეს ელემენტი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული – მელოდია, რითმი, ცვალებადი აკორდები. ეს ერთი დასრულებული სხეული უნდა იყოს“. აი, ასე გადააქცია ჰარლემმა როლინზი პროფესიონალ მუსიკოსად. მერე კი, ორმოციანების შუაში მან პირველად მოისმინა ჩარლი ფარქერი და სხვა ბოფერები. ათწლეულის ბოლოს ის უკვე ფარქერთან, მაილზ დევისთან, თელონიუს მონქთან და ბად ფაუელთან უკრავდა და იწერდა დისკებს. იმ დროს ის მხოლოდ ოცი წლის იყო...

შეცვადეთ, რომ მაილზ დევისის წინამდებარე ციტატა მაილზისვე გაბზარული ხმით წარმოთქმული გაიგონოთ: „როდესაც სონი როლინზთან და Sugar Hill-ში მცხოვრებ მის ძმაკაცებთან დავინყე ურთიერთობა, როლინზს უკვე ძალიან დიდი რეპუტაცია ჰქონდა ახალგაზრდებში. ჰარლემელებს, ისევე როგორც სხვა უბნელებსაც, უყვარდათ სონი როლინზი. ის ლეგენდა იყო, ლამის ღმერთი – ზოგი დამწყები მუსიკოსისთვის. ბევრს მიაჩნდა, რომ ის „ბერდის“ („ბერდი“ ჩარლი ფარქერის ზედმეტსახელი იყო) დონეზე უკრავდა საქსოფონზე. მე ერთი რამ ვიცი, ის ახლოს იდგა. როლინზი აგრესიული და ინოვაციებით სავსე დამკვრელი იყო, ვისაც ყოველთვის ჰქონდა ახალი მუსიკალური იდეები“. ეს ნაწყვეტი დევისის ავტობიოგრაფიიდანაა. მაილზი კოლეგების მუსიკის საკმაოდ გულახდილი და ხშირად უხეში შემფასებელია. ამ მხრივ ის უშიშარი იყო და მისი ეს სიტყვები ორმაგად მნიშვნელოვანია. მაილზ დევისი ტყუილბრალოდ არავის აქებდა

(სწორედ მაილზმა შეარქვა როლინზს მეტსახელად „ნიუქ“-ი, როდესაც ნიუ-იორკელ ტაქსისტს, ვის მანქანაშიც მაილზი და როლინზი ისხდნენ, ეს უკანასკნელი ცნობილი ბეისბოლის გუნდის „დოდჯერების“ ლეგენდარულ დონ ნიუქომბში აერია. მას დღესაც ასე ეძახიან ახლობლები.) უკვე იმ დროს ცხადი იყო, რომ როლინზი ტენორ საქსოფონთან მიდგომის ნორმებს ცვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დანარჩენ ტენორ საქსოფონისტებზე – სთენ გეცზე, უორდელ გრეიზე, სონი სთითზე, ზუთ სიმსზე და ჯინ ამონსზე – ბევრად უმცროსი იყო. ქრაუჩის სიტყვებით, ამ დროისათვის „მის მუსიკას უკვე ჰქონდა ყოველგვარ პრეტენზიულობას მოკლებული სტოიკური ხარისხი, სიმტკიცე და ლირიკულობა“. აგრეთვე, მელოდიის, ჰარმონიისა და რითმისადმი გაზრდილი მგრძობელობა და დეტალისადმი განსაკუთრებული ყურადღება („ნუ უკრავ კილოებს, – ურჩია მას თელონიუს მონქმა, – დაუკარი მელოდია“). 1951 წელს, ოცდაერთი წლის ასაკში როლინზმა მისი ასაკისთვის წარმოუდგენლად მონიჭული სადებიუტო კომპოზიცია Time On My Hands ჩაწერა. (ამ დროისათვის, მაილზის ბენდში ყოფნისას მას უკვე დაწერილი ჰქონდა დღეს უკვე კლასიკად ქცეული სტანდარტები Airegin, Doxy და Oleo). მომდევნო პერიოდის განმავლობაში მან გააგრძელა მუსიკობა დევისთან, თელონიუს მონქთან, თავის ერთ-ერთ უსაცვარლეს უფროს მეგობართან და მენტორთან, მოდერნ ჯაზ კვარტეტთან; პარალელურად კი, 1954 წელს ჩიკაგოში გადაინაცვლა, სადაც ის მესაყვირე ქლიფორდ ბრაუნის ბენდში უკრავდა მაქს როუჩთან ერთად. სწორედ ჩიკაგოში გაიცნო მან თავისი პირველი და ერთადერთი მეუღლე, თეთრკანიანი ქალი ლუსილ ფირსონი, რომელიც დაწყებული 1971 წლიდან, 2005 წლის ნოემბერში მის გარდაცვალებამდე, მისი მენეჯერი და საქმეების განმგებელი იყო. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მისი კარიერა, ბრაუნი მოულოდნელად, 25 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში რომ არ დაღუპულიყო. როლინზმა ბრაუნის გარდაცვალების ამბავი ჩიკაგოს ერთ-

ერთი სასტუმროს ნომერში შეიტყო, სადაც ის და მაქს როუჩი ბრაუნის და პიანისტის რიჩი ფაუელის ჩამოსვლას ელოდნენ კონცერტის დასაკრავად. როლინზზე ისე იმოქმედა მეგობრის გარდაცვალებამ, რომ, მაქს როუჩის სიტყვებით, სასტუმრო ოთახში ჩაკეტილი, ის „მთელი ღამის განმავლობაში შეუჩერებელი უკრავდა იმპროვიზირებულ რეკვიემს გარდაცვლილი მეგობრისთვის“. მერე კი როლინზი და ლუსილი ნიუ-იორკში დაბრუნდნენ და სულ რამდენიმე თვეში, 1956 წელს, როლინზმა ჩაწერა დისკი, რომელიც დღესაც ჯაზის ათ აუცილებლად მოსასმენ ალბომთა სიაშია – Saxophone Colossus, პატარა ბენდთან ერთად შექმნილი შედეგრი, რომელშიც შესულია როლინზის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული, ტრადიციულ კარიბულ მოტივზე დაფუძნებული კომპოზიცია St. Thomas. სწორედ ამ ალბომმა შესძინა მას მეორე მეტსახელი – საქსოფონის კოლოსი. როლინზზე ღამის თითქმის ყველა სტატია ამ მეტსახელით იწყება ხოლმე. თავის პირველ ალიარებულ შედეგს როლინზმა კიდევ ერთი შედეგრი მიაყოლა – Way Out West, სადაც მან უარი თქვა ფორტეპიანოზე და მხოლოდ ბასის და დრამის თანხლებით, ანუ „სთროლინგით“ ჩაწერა ის (ამ ორ და როლინზის წინა თუ შემდგომ ალბომებზე ლ ა პ ა რ ა კ ს აზრი არ აქვს. ისინი ან მოსმენილი უნდა გქონდეთ, ან ახლავე, ამ ნამს უნდა მიაგოთ ამ სტატიის კითხვა, ჩამოტვირთოთ ან მეგობრებთან დაძებნოთ ეს ალბომები და მოისმინოთ. და თუ რომელიმე თქვენს მეგობარს მართლაც აღმოაჩნდა რომელიმე ეს დისკი, სიცოცხლის ბოლომდე მის მეგობრად დარჩით!). იმავე წელს გამოვიდა A Night At The Village Vanguard, როლინზის ფავორიტი „ცოცხლად“ დაკრული ალბომი, შემდეგ წელს კი მან უკვე ჯაზის ისტორიაში პირველი საპროტესტო ალბომი, ოცნუთიანი Freedom Suite ჩაწერა... აქ უკეთესი იქნება თუ როლინზის ალბომებზე საუბარს შევწყვეტ, თორემ ასე შეიძლება ვერასდროს მოვრჩე. ყველაზე მთავარი, რისი თქმაც ამ თავში მინდოდა ისაა, რომ ათწლეულის ბოლოსთვის როლინზი ერთ-ერთ

ყველაზე უფრო გავლენიან მუსიკოსად იქცა ჯაზში. „იცო, სონი, – უთხრა ერთხელ მას თელონიუს მონქმა, – მუსიკის გარეშე ცხოვრება ქაქია“. ამ დროისათვის როლინზმა ეს უკვე კარგად იცოდა. ის უკვე მხოლოდ მისი კარნახით ცხოვრობდა...

„სხლა უბრალოდ მინდა, რომ ცოტა ხნით ყველაფერს მოვცილდე; ბევრი რამის გამო. დრო მესაჭიროება იმისთვის, რომ ვისწავლო და დიდი ხნის წინათ დაწყებული თემები დავასრულო. არასდროს მქონია საკმარისი დრო იმისთვის, რომ მემუშავა, დამეხვეწა ნასწავლი და მენერა მუსიკა“, – ეს სიტყვები სონი როლინზმა თავისი კარიერის პიკზე, 1959 წელს წარმოთქვა. მერე კი სამი წლით გაუჩინარდა სცენიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის უილიამსბურგის ხიდზე დაკვრაში ვარჯიშობდა – დაკვრაში ვარჯიშობდა ის, ვინც მთელი ჯაზის სამყაროსთვის აღიარებულ ინსტრუმენტალისტად იყო ცნობილი! ...როლინზის „შეგებულებებზე“ ბევრი დანერგა; შეუძლებელია მასზე წერო და ამ „შეგებულებებს“ გვერდი აუარო, რადგანაც არის მათში რაღაც ისეთი, რაც ყველას აღფრთოვანებას იწვევს, ვინც მასზე წერს. არც მე ვარ გამოწკარისი. მართლაც, რამ შეიძლება აიძულოს კარიერის ზენიტში მყოფი მუსიკოსი, „გაყინოს“ ყველაფერი და თვალთახედვის არედან გაქრეს? პირველი, რაც თავში მოგდის, ნარკოტიკებია, მაგრამ აღსაფრთოვანებელი, რა თქმა უნდა, ამაში არაფერია, თანაც 1959 წლისთვის როლინზს ჰეროინისთვის უკვე დანებებული ჰქონდა თავი; 1954 წელს ის ნებაყოფლობით ჩაენერა ლექსინგტონის (ქენტაქის შტატი) სარეაბილიტაციო ცენტრში და იქიდან უკვე სამუდამოდ „სუფთა“ გამოენერა. ორმოციანების ბოლოს ის უკვე ჩამოყალიბებული „ჯანკი“ იყო, 1951 წლის დიდი ნაწილი კი მან რიქერს აილენდზე ციხეში გაატარა. ახალგაზრდულმა ნამხედურობამ, ისევე როგორც ეს მაილზ დევისს და სხვა უამრავ ჯაზმენს დამართა, მასაც აურია გზაკვალა. მთავარი „დამნაშავე“ კი, რა თქმა უნდა ჩარლი ფარქერი იყო –

ადამიანი, ვინც ასობით მუსიკოსს „მოუნამლა“ ცხოვრება თავისი ინსტრუმენტით და თავისი ჰეროინულ-კოკაინური ჩვევებით. ჯაზის სამყაროში ეს აღიარებული ფაქტია, მაგრამ სინამდვილეში ფარქერი არაფერ შუაშია – ის ცხოვრობდა ისე, როგორც შეეძლო და სურდა, დანარჩენები კი მისი ნაცხოვრების გამეორებას ცდილობდნენ. ჯერ კიდევ მოზარდი როლინზიც ვერ გადაურჩა ფარქერის ამ გავლენას. „ჩვენ, მე და ჩემს Sugar Hill-ელ ძმაბიჭებს, გვეგონა, რომ ჰეროინს თუ გავიჩხვრდით, ფარქერით და ვუკრავდით“, – ამბობს როლინზი. „იმ დროს ის ნამდვილი ბანდიტი იყო, – ჰყვებოდა ერთ-ერთი ამერიკელი ჯაზმენი, – ბანდიტივითაც გამოიყურებოდა უკან გადაგლესილი გაქონილი თმებით. იპარავდა ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. ღმერთმა ნუ ქნას, უშენოდ შენი ინსტრუმენტის სიახლოვეს მოხვედრილიყო. ის ინსტრუმენტი მერე ლომბარდიდან უნდა გამოგესყიდა“. მთელ მის ჰეროინულ ისტორიაში კი ყველაზე ირონიული ისაა, რომ თვით ჩარლი ფარქერი იყო ამის წინააღმდეგი; ყოველი მისი შესხვედრა როლინზთან უხეშობამდე მისული საყვედურებით სრულდებოდა. ფარქერს მიაჩნდა, რომ როლინზი თავის ტალანტს ასამარებდა და, როგორც ფარქერის მემკვიდრე, ჰეროინისადმი ასეთი ლტოლვით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ღალატობდა თავის მასწავლებელს. როგორც ყველა ჰეროინიან ისტორიაში ხდება, ფარქერმა ვერაფრით უშველა როლინზს; ის ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოესწრო როლინზის „გასუფთავებას“. ოჯახიდან გაძევებული როლინზი ღამეებს ქუჩებში ათენებდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მას, მისივე რეპუტაციის გამო, მაინც აძლევდნენ სამუშაოს ნიუ-იორკის სხვადასხვა კლუბებში, ვიდრე რიქერს აილენდზე არ მოხვდა. „როდესაც რიქერს აილენდზე, ნამდვილ კრიმინალებს შორის მოხვდით, საკუთარი თავი შემიზიზღა, – ისხენებს როლინზი, ყველაზე უფრო კი უსაქსოფონოდ ყოფნა მიჭირდა; ვერც კი წარმომედგინა, როგორ უნდა გამეძლო ინსტრუმენტის გარეშე“. ციხიდან გამოსვლის

შემდეგ პირველი, რაც მოიმოქმედა, ჯექი მაქლინის მიერ სპეციალურად მისთვის დაჯავშნულ საკლუბო კონცერტზე გავარდა, მაქლინის ალტოსაქსოფონი პირში გაიჩარა და **There Will Never Be Another You**-ის ისეთი გიჟური ვერსია დაუკრა, რომ მთელი კლუბი ფეხზე წამოაყენა. „მან ისეთი რაოდენობის მუსიკა ამოანთხია იმ საღამოს, რომ როდესაც დაასრულა, არც კი მიფიქრია, ჩემს საქსოფონს მივკარებოდი; მას ცეცხლი ეკიდა!“ – თქვა ერთხელ მაქლინმა. რაც შეეხება უილიამსბურგის ხიდს, ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ ეს მან ჯონ ქოლთრენის გამო გააკეთა, კიდევ ერთი დიდი მუსიკოსის, ვისი პოპულარობაც არაფრით ჩამოუვარდებოდა როლინზისას; მეტიც, ქოლთრენის ინოვაციები იმდენად მნიშვნელოვანი სიახლეებით იყო დატვირთული, რომ მთლიანად მიიზიდა მსმენელის ყურადღება. ბევრი ჯაზმენი ირონიულად კითხულობდა: „რა მოუვიდა სონი როლინზს?“ პასუხი: „მატარებელმა (ქოლთრენის ზედმეტსახელი „თრენი“ – მატარებელი იყო) გადაუარა!“ მეორე მხრივ, თუ ეს ასეა, და თუ მაილზის ავტობიოგრაფიას ვენდობით, მაშინ როლინზმაც (დიდი ბოდიში ამ სიტყვებისათვის, მაგრამ მაილზი სხვანაირად ვერ ხსნიდა სათქმელს!) „ჩაჯამდე შეაშინა ქოლთრენი“ თავისი დაკვრით. ყველაფერი ეს გვერდზე იყოს, რადგანაც ასეთი რამეები ნორმალურად აღიქმება ჯაზის სამყაროში. მთავარი მაინც ისაა, რომ რამდენიც უნდა ექილიკათ მოშურნე მუსიკოსებს, ორივემ – ქოლთრენიმაც და როლინზმაც – ახლო მეგობრებმა, ძალიან რომ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს, იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ჰო, ქოლთრენმა რაღაც მომენტში მართლაც დაჩრდილა როლინზი (იგივე ორნეთ ქოულმენზეც შეიძლება ითქვას, რომლის მიერ ჯაზის სამყაროში შემოგდებულმა თავისუფალი ჯაზის იდეებმა ნელ-ნელა გააღლვეს მსმენელის და მუსიკოსების პირველი აგრესიული რეაქციები და მეინსტრიმში გადმოინაცვლეს), მაგრამ აკუსტიკურ სამყაროში მათ სხვადასხვა გზა ჰქონდათ გასავლელი და განსხვავებული

მისია შესასრულებელი. ცხოვრების ბოლოს ქოლთრეინი უკვე საქსოფონის მიღმა ცდილობდა გამოხატვის ახალი საშუალებების დაძებნას (გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ორი დრამერისგან, ორი საქსოფონისტისგან, ბონგებისა და ბასისგან შემდგარ ბენდთან ერთად ერთ-ერთ კონცერტზე გამოსვლისას ლამის მთელი კონცერტი მუხლებზე მდგარმა გაატარა, თან მხოლოდ ყვიროდა და მკერდში იცემდა მუშტებს. რომ ჰკითხეს ამას რატომ აკეთებდით, უპასუხა: აღარ ვიცოდი რა დამეკრათ!), როლინზი კი საქსოფონშივე ცდილობდა მთელი მუსიკის დატევას და ყოველთვის იცოდა რა დაეკრა. სწორედ ამიტომ ავიდა ის უილიამსბურგის ხიდზე და სწორედ ამიტომ ატარებდა იქ ყველაზე მეტ დროს დაკვრამი ვარჯიშში, რათა უკან დაბრუნებისას ახალი იდეების უკეთ არტიკულირება შეძლებოდა. ასეა, ზოგი ხიდზე იქიდან გადმოსახტომად აღის, ზოგი კი ხიდზევე რჩება, და საქსოფონზე უკრავს! მხოლოდ პერფექციონისტ მუსიკოსს შეეძლო თვეების განმავლობაში ქალაქის ხმაურთან ბრძოლა უკეთესი ბგერის დასაყენებლად, უკეთესი მუსიკის დასაკრავად, პიროვნულად დასახვეწად... ქოლთრეინს და მას უილიამსბურგზე „შეუბნებების“ დროსაც არ შეუწყვეტიათ მეგობრობა. „მთელი იმ პერიოდის განმავლობაში რაც მე ხიდზე ვიყავი, – ამბობს როლინზი, – ქოლთრეინი და მე უამრავ წიგნს ვკითხულობდით ბუდიზმზე, სუფიზმსა და სხვა რელიგიურ მიმართულებებზე. იმ დროს როზენკრეიციერელები მიტაცებდნენ. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით მუსიკაზე წაკითხულთან მიმართებაში. ძალიან ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილები. ქოლთრეინს და მე მუსიკის მეშვეობით მსოფლიოს შეცვლა გვინდოდა. გვეგონა, შეგვეძლო, ისე დაგვეხვეწა საკუთარი თავი, რომ ჩვენი მუსიკა გარშემო ყველაფერს შეცვლიდა. მგონია, რომ ის ცხოვრების ბოლომდე ამ აზრზე დარჩა, მე კი ზოგჯერ ეჭვი მდრღნიდა ხოლმე, და ასეთ დროს ისე ღრმად აღარ ვიყავი დარწმუნებული, რომ მუსიკით შესაძლებელი იყო სამყაროს შეცვლა. ლუის არმსტონგმა, ბილი

ჰოლიდემ და ართ თეიტუმმა ვერ მოახერხეს ეს, და მე ვინ ვიყავი? ერთადერთი, რაც დღეს დარწმუნებით ვიცი, ისაა, რომ მუსიკის მეშვეობით ადამიანების გამხნელება შესაძლებელია. როლინზის მცდელობები, უკეთესი ადამიანი გამხდარიყო, კიდევ ერთი ცალკე თემაა; პირადად მე პატარა წიგნსაც კი დავწერდი ამაზე. ამ თვალსაზრისით, ის მართლაც არაფრით განსხვავდება იმ ბუდისტურ ბერებისგან, რომლებიც ლამის მთელი ცხოვრება მონასტრიდან მონასტერში გადადიოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი მასწავლებელი ეპოვნათ და კიდევ უფრო გაეღრმავებინათ მიღწეული. 1969 წელს, ისე, რომ არავინ გაუფრთხილებია, თავის ერთგული მეუღლე ლუსილიც კი, როლინზი ინდოეთში მიმავალ თვითმფრინავს „შეახტა“ მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაციისგან გაიგო ახალი გურუს შესახებ და მის გასაცნობად გაემართა; იქიდან კი იაპონიის ერთ-ერთ ძენ-ბუდისტურ მონასტერში გადაინაცვლა. ეს „შეუბნებება“ მას ორი წლით გაუგრძელდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში როლინზს არც კი უფიქრია საქსოფონზე დაკვრის შეწყვეტა. მედიტაცია და მუსიკა იმ დროს მისი მთავარი საზრუნავი გახლდათ. 2009 წელს როლინზმა თქვა: „მე დღემდე ვვარჯიშობ ყოველდღე. დღემდე არ მიმიღწევია იმ მიზნისთვის, რასაც ჩემს იმპროვიზაციებში ვისახავ... ჯაზი ცხოვრებაა, ცხოვრება კი ისაა, რაც ყოველ წუთს „გემართება“. ის ყოველწამიერად ახალია და კრეატიული“. 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკის Twin Tower-ებზე ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, როდესაც გარშემო განლაგებული სახლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობდა, ევაკუირებულთა შორის სონი როლინზიც იყო. იმ დროს ის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პატარა ბინას მანჰეტენზე. იმავე საღამოს ათასობით ამერიკელმა ტელევიზორის ეკრანზე მოკრა მას თვალი. როლინზს სახეზე ქირურგის ნილაბი ეკეთა, ხელში კი საქსოფონი ეჭირა; ერთადერთი ნივთი, რაც მან მტვერნალებული ბინიდან გამოიტანა. ოთხი დღის შემდეგ მუხლებდასუსტებულმა, (მან ევაკუაციის

დროს ორმოცი სართული ჩამოიარა) სამოცდაათი წლის თეოდორ უოლთერ როლინზმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო „ლაივი“ დაუკრა ბერქლის ცენტრში, ბოსტონში. თუ ჩემს სიტყვებში ეჭვი გეპარებათ, მოისმინეთ იმ საღამოს ჩანერილი ალბომი **Without a Song; The 9/11 Concert**. იმ დღეს ის სამსაათ-ნახევრის განმავლობაში შეუსვენებლად უკრავდა მსმენელისათვის. ჩემი ერთი ამერიკელი მეგობარი, ვინც იმ კონცერტს ესწრებოდა, მიყვებოდა, რომ კონცერტის შემდეგ მის რიგში მჯდომი შუა ხნის მამაკაცი ნელა გაემართა სცენისკენ, მუხლებზე დაეშვა და ისე გადაუხადა მადლობა როლინზს. „იმ საღამოს ჩვენ არაფრის გვეშინოდა“, – მითხრა მან. იმ საღამოს როლინზმა ყველაზე საჭირო რამ აჩუქა იქ შეკრებილებს – იმედი...

**რ**ოლინზის „ლაივები“ მართონ-უარი აკუსტიკური „გადარბენებია“. ცოცხალი შესრულება მისი სტიქიაა, რადგანაც სწორედ ამ დროს ცდის ის თავის ყველაზე თამამ იდეებს – ერთადერთხელ, მოცემულ დროში. როლინზისნაირი მუსიკოსისთვის სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ამიტომაცაა ასე უხერხულად რომ გრძნობს თავს სტუდიებში, სადაც მას ერთი თემის რამდენჯერმე ჩანერის საშუალება ეძლევა ხოლმე. ეს ყოველთვის ასე იყო და ეს დღესაც ასეა. მედიტაციებში და სულიერ ძიებებში დახარჯულმა დრომ, რომ არაფერი ვთქვათ გამოცდილებასა და პერფექციონიზმზე, თავისი გააკეთეს; ოთხმოცს მიტანებული როლინზი დღესაც მინიმუმ ორ საათს შეუსვენებლივ უკრავს ხოლმე კონცერტებზე. თუ ამ დროს ყველაფერი კარგად აეწყო, ხანგრძლივობა შეიძლება გაორმაგდეს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „ლაივების“ დროს როლინზი იმდენ სივრცეს არ უთმობს თავისი ბენდის წევრებს სოლირებისთვის, რამდენსაც, ვთქვათ, მაილზ დევისი. ეს, რა თქმა უნდა, არა ხდება როლინზის სიხარბის გამო, ან იმიტომ, რომ მას თავის ბენდში ძლიერი მუსიკოსების აყვანის ეშინია. როლინზის ბენდი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი ძლიერი მუსიკოსებისგან შედგება. მარტო

ტრომბონისტი ქლიფტონ ანდერსონი რად ღირს, რომ არაფერი ვთქვათ პიანისტ სთივენ სკოთზე, ან ბასისტ ბობ ქრენმოუსა და პერკუსიონისტ კიმატი დინიზულზე. უბრალოდ, ყველამ იცის, რომ ინოვაციებით და განსაკუთრებული ენერჯით დატვირთულ როლინზის მუსიკას სხვა აკუსტიკური „ადიტივები“ არ ესაჭიროება. გარკვეული თვალსაზრისით, ის თვითონაა ბენდიც და სოლისტიც და ამაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბენდის წევრებს არაფერი ეტყობათ, რომ ამის გამო ნაწყენები არიან. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ როლინზის ბენდის წევრები ალბათ ერთადერთი გამონაკლისია ჯაზის მთელ სამყაროში, რომლებიც დაუფარავად გამოხატავენ ალტაცებას თავისი ლიდერის დაკრულით პირდაპირ სცენაზე, კონცერტის დროს. ასეთი რამ მაილზსაც კი არ „ღირსებია“! აი, რას წერდა 1968 წელს თავის ავტობიოგრაფიაში დევიდ ემრემი, მუსიკოსი, რომელიც როლინზთან უკრავდა ორმოცდაათიანებში: „მსგავსი რამ ცხოვრებაში არ მომისმენია. ის ახერხებდა ერთი თემის განვრცობას ლამის სიმფონიურ დონეზე, სადაც საქსოფონი ორკესტრის ფუნქციას იღებდა და საკუთარ თავს ეპასუხებოდა... მე მივხვდი, რომ მისი ფენომენური ოსტატობის დიდი ნაწილი იქიდან მოდის, რომ მან იცის ნებისმიერი აკორდის ნებისმიერი ნოტი, და ყველა ამ აკორდის და ნოტის შემცვლელი აკორდები თუ ნოტები“... თუ ჯაზის ლიტერატურასთან შედარება არ გეხამუშებათ, მაშინ ვიტყვი, რომ სონი როლინზი ბორხესივით „ბიბლიოთეკარი“ მუსიკოსია იმ გაგებით, რომ მისი ტვინი მუსიკალური არქივია, სადაც ყველა ის თემა თუ მოტივია შენახული, რაც კი მას ცხოვრებაში მოუსმენია. „ლაივების“ დროს ის სიტუაციისამებრ „აძრობს“ ხოლმე საჭირო თემებს, მათ სხვა პოპულარულ თუ დიდი ხნის წინათ მივიწყებულ თემებთან ერთად იყენებს და მათზე აგებს მთელ დანარჩენ მასალას. შედეგთის მუსიკალური აკადემიის წევრებს თავიანთ მიმართვაში ტყუილად არ უხსენებიათ როლინზის იუმორი. ხშირად ის სხვების მიერ დაწერილი მოტივების ციტირებით ერგება სიტუ-

აციას; თუ ის წვიმაში ღია ცის ქვეშ უკრავს, როგორც სთენლი ქრაუჩი ამბობს, მას „ბილი სთრეიჰორნის Rain Check-ის „შეგდება“ შეუძლია მსმენელისთვის, ხოლო თუ ისე მოხდა, რომ კონცერტზე დაავიანა, მაშინ – Will You Still Be Mine-ის „შეჩერება“. ყველაფერ ამას ის საოცარი დახვეწილობით აკეთებს, ისე, რომ არასდროს კარგავს ზომიერების შეგრძნებას. საოცარია იმის ყურება, თუ როგორ რეაგირებენ როლინზის ბენდის წევრები როლინზის დაკრულზე – ისინი ღიად იცინიან და ალტაცებით გადახედავენ ხოლმე ერთმანეთს, თუმცა ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ როლინზთან სცენაზე მოდუნება სიკვდილივითაა, რადგანაც არავინ იცის, საითკენ მიაბრუნებს ის აკუსტიკურ ნიაღვარს, ამ დროს კი ფხიზლად უნდა იყვნენ... 1986 წელს „ოპუს 40“-ის ღია ცის ქვეშ ფესტივალზე საუგერტისში (ნიუ-იორკი), როლინზი, ისე, რომ საქსოფონი პირიდან არ გამოუღია, მოულოდნელად საკმაოდ მაღალი სცენიდან გადახტა და ფეხი იღრძო. რობერტ მაჯის ფილმში კარგად ჩანს, თუ რა შემინებული სახეები უხდებოდა მის მუსიკოსებს, როდესაც როლინზი დაბლა ეშვებოდა. ქლიფტონ ანდერსონი ტრომბონს მინაზე დებს და იქით გარბის, სადაც როლინზი გაუჩინარდა. სცენას და მაყურებელს ბუჩქნარი ყოფს. მაყურებელიც ფეხზე დგება, იმის გასარკვევად, თუ რა მოუვიდა მუსიკოსს და უეცრად როლინზის მძლავრი ბგერა სივრცეს უბრუნდება. კამერა სასწრაფოდ პოულობს მას; ის მინაზე წევს ზურგზე, ფეხი ფეხზე აქვს შემოდებული და უკრავს და უკრავს. ამ დროს როლინზის მუსიკოსები უკვე ხარხარებენ, მაყურებელი კი ღრიალებს... როლინზმა იცის შოუ-ბიზნესის ფასი, როცა ამას საჭიროდ თვლის. ასეთ დროს ის არც Rolling Stones-თან თაკილობს დაკვრას, როგორც ეს მან ბენდის 1981 წლის ალბომზე Tatroo You გააკეთა. ჯაზის სამყაროში მაილზის შემდეგ როლინზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო დახვეწილ ჩამცმელად ითვლება. ნლების განმავლობაში ის სულ სხვადასხვა სახით ევლინებოდა ხოლმე მსმენელს სცენაზე – ხან თავგადაპარსული, ხან „მოჰაუქის“

ვარცხნილობით, ადგილობრივ ინდიელთა დისკრიმინაციაზე ყურადღების გასამახვილებლად, ხან ინდოელი შამანივით წვერმოშვებული და თმაგაშლილი, ხანაც კოკტილზე მისული ფრანტივით სმოკინგში გამოწყობილი. მისდა საქებრად უნდა ითქვას, რომ, მის მუსიკას ამით არანაირი ზიანი არ მიდგომია...

სო, როგორც ყველა ნაღდი იმპროვიზატორი, როლინზი სცენაზე, „ცოცხლად“ უნდა მოისმინო და მაშინაც დარწმუნებული ვერ იქნები რომ მუსიკა ხეირიანი იქნება. ის არაა ის მუსიკოსი, ვინც ყველა კონცერტს სტაბილურად უკრავს. ზოგჯერ, მხოლოდ მისთვის გასაგები მიზეზების გამო, როლინზი „ჭედავს“ და კალიფსოს (როგორც წესი, და ეს უკვე ტრადიციაა, ის კალიფსოზე დაფუძნებულ თითო კომპოზიციას მაინც უკრავს ხოლმე კონცერტის დროს) რომელიმე ერთ თემაზე მიჯაჭვული, ყურით მიათრევს კონცერტს დასასრულისკენ. ამ დროს ის, როგორც ჩანს, ვერ ახერხებს ნებისმიერი იმპროვიზატორისთვის სანუკვარ სივრცეში მოხვედრას და „ყურის ცეცებით“ იკვლევს გზას მის მიერვე გენერირებულ აკუსტიკურ ფაფაში. სწორად გამიგეთ, როლინზი ასეთ მომენტებშიც შეუღარებელია, იმიტომ, რომ ნამდვილი „ძველი სკოლის“ პროფესიონალია, მაგრამ ამ დროს არ გინდება შეგრძნება, თითქოს შენ ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა, ამ დროს უბრალოდ ძალიან კარგი მუსიკოსის კონცერტს უსმენ. როლინზი იმითაა ცნობილი, რომ დაკვრისას უაზროდ არ კარგავს ნოტებს კლიშედ ქცეულ სვლებში. მან მელოდიური ნარატივის იდეა სხვა სიმალეზე აიყვანა და მოახერხა ახალი გზების დაძებნა ყოველი მუსიკალური იდეის, უცნობ აკუსტიკურ ტერიტორიებზე გავლით, ლოგიკურ დასასრულამდე მისაყვანად. ყველაფერს, რასაც ის დაკვრისას აკეთებს, მელოდიურ დრამატურგიაზეა აგებული და მელოდიაზევე დაყრდნობით ვითარდება. ეს აბსოლუტურად უნიკალური მიღწევაა ნებისმიერი მუსიკოსისთვის და ამას ერთეულები თუ ახერხებენ. ყველაფერი ეს კი, როდესაც როლინზი ფორმაშია და მუსიკა

დაუბრკოლებლად მოედინება მისგან, ისეთი საუნდის მეშვეობით კეთდება, რომ სრულიად გასაგებია, თუ რატომ მოგზაურობენ როლინზის მუსიკის კოლექციონერები ქვეყნიდან ქვეყანაში და ვირტუალურ სივრცეში როლინზის არაოფიციალური „ლაივების“ მოსაძებნად და ხელში ჩასაგდებად. აჰ, როლინზის საქსოფონის საუნდი! ერთხელ მაინც თუ მოგეცა მისი მოსმენის შანსი, ველარასოდეს დაივიწყებ! მისი საუნდი მრგვალია, თბილი და წყალქვეშა გემივით მძიმე. „ლაივების“ დროს, როდესაც ბენდი ჩერდება და მსმენელთან პირისპირ მარტოს ტოვებს როლინზს, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეთ, თითქოს ამ საუნდს მიზიდულობის ძალა აქვს. ამ დროს ადამიანები, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ აიძულაო, ოდნავ წინ იხრებიან. ასეთ მომენტებში ყველაზე გამოუცდელი მსმენელიც კი ხვდება, რომ ეს არაა საქსოფონზე შესრულებული სოლო, ისევე, როგორც, ვთქვათ, ტრიოს ფორმატში შესრულებული ჯარეთის მუსიკა არაა კლავიშებიან ინსტრუმენტზე შესრულებული სოლო. ესაა, როგორც გერი გიდინსი, ცნობილი ამერიკელი ჯაზ-კრიტიკოსი ამბობს, როლინზის „საჩუქარი დანარჩენი კაცობრიობისადმი“, ესაა „ნამდვილი სასწაული!“ თავის ყველაზე კარგ მომენტებში, რაც ალბათ როლინზის „ლაივების“ სამოცდაათ პროცენტზე მეტს შეადგენს, ის მთითური პროთევისით ფორმაცვალებადი არსება ხდება და მასთან ერთად მთელი ჯაზის ისტორია იცვლის ფერს და მოყვანილობას. მაგარი ბიჭი უნდა იყო ამ დროს! ბოლომდე ჩააფრინდე მუდმივად ცვალებად ნაკადს და მერე კი, თუ ეს მოახერხე, ჩათვალო, რომ შენი ასეთი ძალისხმევით ყველაზე დიდი საჩუქარი გაუკეთე საკუთარ თავს. რატომა ეს საჩუქარი მნიშვნელოვანი? ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ მარკუს ავრელიუსმა იცოდა: „გაუკეთე შენს თავს საჩუქარი, – თქვა მან, – და იჩუქე მოცემული მომენტი!“ მოგეხსენებათ, ავრელიუსი ჯაზმენი არ იყო, მაგრამ მისი ეს სიტყვები ალბათ საუკეთესოა ჯაზის დასახასიათებლად. ჯაზი სხვა არაფერია, თუ არა – სპონტანურად შინაარსით შევსებული მოცემული წამი,

ეს ის საჩუქარია, რასაც თუნდაც იგივე სონი როლინზი გთავაზობს დაკვრისას, და შენზეა დამოკიდებული (სწორედ ამიტომაც ითვლება ჯაზი მომთხროვნე მუსიკად!), შენივე ძალისხმევით მეშვეობით იჩუქებ თუ არა ამ საჩუქარს (როლინზს მიაჩნია, რომ ნამდვილი ჯაზი ის მუსიკაა, რომელიც მხოლოდ ერთხელ სრულდება ცოცხლად იმ საღამოს, იმ დარბაზში მოსული მსმენელისათვის). და თუ ეს მოახერხე, შენ ის აღარ ხარ, ვინც რამდენიმე წამის წინ იყავი, შენ უკვე სახეცვლილი ადამიანი ხარ...

**ო**დნავ ეგზალტირებული და ალბათ საკმაოდ უგემოვნო ეპიზოდით მომინევს დასრულება... შემეძლო, არ მომეყოლა, მაგრამ აჯობებს სიმართლე ვილაპარაკო... მოკლედ, მე ეს არასდროს გამიკეთებია! არასდროს მიმიწერია ალფრთოვანებული ფანის წერილი მუსიკოსისთვის, ინტერვიუების დროს არასდროს გამომირთმევია ავტოგრაფი მათთვის (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამას მეგობრები მთხოვდნენ; ჩემთვის – არასდროს...), არასდროს ვმდგარვარ იმ სასტუმროების წინ, სადაც ესა თუ ის მუსიკოსი იყო გაჩერებული, არასდროს გამიჩერებია ისინი ქუჩაში ან სადმე სხვაგან (არადა, რამდენი ასეთი შემთხვევა მქონდა!), ამიტომაც ის, რაც ორიოდე წლის წინათ გავაკეთე, ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო. ეს სტატია რამდენიმე წლის წინათ უნდა დამეწერა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, არ მოხერხდა. ალბათ საკმარისად მზად არ ვიყავი. მოკლედ, არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, მაგრამ თუ სონი როლინზის ვებგვერდზე შეხვალთ ([www.sonnyrollins.com](http://www.sonnyrollins.com)) და ვიზიტორთა კომენტარებს გადახედავთ, 2008 წლის 17 თებერვალს ასეთ ჩანაწერს გადააწყდებით: „პატივცემულო ბატონო როლინზ, მე ერთ-ერთი ქართული ჟურნალისთვის სტატიას ვამზადებ თქვენზე. რამდენიმე კვირის წინათ, ჩემს ადრინდელ ჩანაწერებს რომ ვათვალიერებდი, უეცრად ასეთ ფრაზას გადააწყდით, – „როლინზის მუსიკით ყურებში სასაფლაოზე შესვლასაც კი გავბედავდი ღამით“... ნამდვილად ვერ გეტყვით,

რატომ დავწერე ეს სიტყვები, მაგრამ რადგანაც დამინერია, საკუთარ თავს ვუთხარო: კარგი, რადგანაც ასეთი რამ წამოგცდა, წადი და შეამოწმე. მართლაც რომ შემამშინებლად ბნელოდა, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდი სასაფლაოს შესასვლელთან ამოვყავი თავი. თორმეტს გადაცილებული იყო, მე კი ყოველთვის მეშინოდა სიბნელის! ბევრს არ გავაგრძელებ: თქვენმა მუსიკამ გაიმარჯვა! ვგულისხმობ იმას, რომ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ის სიბნელეში ანათებდა. საათნახევარზე მეტ ხანს დამტოვა სასაფლაოზე. სულელური საქციელია? ბავშვური? – ალბათ ჰო, მაგრამ მგონია, რომ ნამდვილად ღირდა ამის გაკეთება. ღმერთმა დაგლოცოთ, ბატონო როლინზ... რა თქმა უნდა, წერილზე პასუხი არ მიმიღია; არც ველოდი. მას იმდენი თაყვანისმცემელი წერს, რომ მარტო პასუხების წერაში გაივლიდა მისი ცხოვრება. ტყუილი კი არ მითქვამს მისთვის – საათ-ნახევარზე მეტ ხანს დავსეირნობდი ვაკის სასაფლაოზე შუალამისას როლინზის Without a Song-ით ყურებში და ერთი წამითაც არ მქონია შიშის შეგრძნება. არ ვარ დარწმუნებული, რომ იგივეს ქოლთრეინის ან მაილზის მუსიკის თანხლებით მოვახერხებდი. მათ მუსიკაში ბევრი სინათლეა, თუმცა ჩემთვის ყოველთვის ოდნავ მკრთალი და მუდამ ცვალებადი. მათი მუსიკის ხარისხს სხვა ფაქტორები განაპირობებს. როლინზის მუსიკა კი, ისევე როგორც ალბათ მოცარტის, საოცარი სინათლითაა სავსე, და ეს ნათება მუდამ უცვლელი და იმედის მომცემია. იმ ღამეს, ვიდრე უმისამართოდ დავეხეტებოდი მთვარით განათებულ საფლაოებს შორის, როლინზის მუსიკამ ბავშვობის ფობია დამაძლევინა, ზუსტად ისე, როგორც სამუალოზე ოდნავ უკეთეს ამერიკულ ფილმებშია, და კიდევ ერთხელ შემახსენა მისივე სიტყვები: „სიკვდილი ადვილია, ცხოვრებაა ძნელი!“ ცხოვრება კი სხვა არაფერია, თუ არა სპონტანური, ელვისებური იმპროვიზაცია მოცემულ თემაზე, ახლა და აქ, და არავითარ შემთხვევაში – გუმინ ან ხვალ...



# ბაღნაჰა კელელჰი

<<< ღასანჰისი ზჰ. 40

მარინას დედამ პოლიცია გამოიძახა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ მისი 29 წლის ქალიშვილი სახლიდან გაიქცა უღელსთან შესახვედრად.

აბრამოვიჩი და ულეი 12 წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ ერთად და აკეთებდნენ არტს. ასე გრძელდებოდა 1976 წლიდან 1988 წლამდე. ერთი წელი მათ ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოში იცხოვრეს აბორიგენებთან ერთად. ბაზა ამსტერდამში ჰქონდათ, მაგრამ სინამდვილეში, ევროპის გზებზე ხეტილის დროს მათი სახლი შავი „სიტროენის“ ფურგონი იყო. ამ მანქანამ უამრავ რამეს გაუძლო, და ახლა მუზეუმის რეტროსპექტივაშიც შედის. მათი კავშირიც ამ მანქანასავით მრავალჯერ „გაფუჭდა“ და „შეაკეთეს“. თუმცა უკიდურესი სიახლოვე და ქრილობები ულეიმ და მარინამ მაინც ვერც მოიშუშეს, ანდა, როგორც ულეიმ მომწერა, მათი დაშორების მიზეზი ბოლოს სხვადასხვა მისწრაფებებიც გახდა. „ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტად გესმოდეთ, თუ რამდენ ძალას აქსოვს მარინა თავის არტიტულ კარიერაში. ეს არის მთელი მისი ცხოვრება. იმის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო, რომ არასდროს უნ-

დოდა შვილის გაჩენა“. უღელსთან განშორებამ მარინას საშინელი ტკივილი დაუტოვა. მაგარი ნერვები აქვს, ყველანაირ დარტყმას გაუძლებს, მაგრამ მიტოვებას – ვერა. მას დღემდე სჯერა, რომ არსებობს ნამდვილი სიყვარული და შეუძლია მთელი არსებით მიეცეს გრძნობას, რომელსაც ასევე მთელი არსებით ელოდა. თუმცა, ისიც მითხრა: „ადამიანები იმდენ ძალისხმევას ახარჯავენ ურთიერთობას, ვიდრე ყველაფერი ახალია, მაგრამ არაფერს აკეთებენ, როცა ურთიერთობა მთავრდება“.

1988 წლის 30 მარტს ულეიმ და მარინამ თავიანთი უკანასკნელი პერფორმანსი წამოიწყეს. ჩინეთის დიდ კედელს მარინა აღმოსავლეთის მხრიდან შეუყვია, იქიდან, საიდანაც გზა მთებში ადის, ულეიმ კი მოძრაობა დასავლეთიდან დაიწყო – საიდანაც გზა უდაბნოზე გადის. სამი თვისა და ათასობით მილის დაფარვის შემდეგ ერთმანეთს შუა გზაზე შეხვდნენ. შეხვდნენ და დაემშვიდობნენ.

პლასტიკა და ენერგია – ეს იყო ორი მთავარი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც აბრამოვიჩმა თავისი დიდი რეტროსპექტივის მონაწილეები აარჩია. ის დიდ ყურადღებას აქცევდა მათ გარეგნობასაც და შინაგან სინათლესაც, ზუსტად ისე, როგორც ერთხანს წმინდა მხატვრობაზე მომუშავე მხატვრები იქცეოდნენ.

ამ ადამიანების უმრავლესობა მოცეკვავეა. ზოგი იოგას ანდა პილატეს ასწავლის. სხვები თვითონ არიან პერფორმანს არტისტები და ამ წამოწყებაში ის ხიბლავთ, რომ მანქანასთან ერთად არტის კეთებისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დებიუტის შანსი მიეცემათ.

აბრამოვიჩის მამულში შეკვეთილი ავტობუსით ჩამოვიდნენ. აბრამოვიჩი თითოეულ მათგანს დედობრივი ამბორით შეხვდა, შემდეგ კი სათითაოდ ყველას ჩამოართვა მობილური ტელეფონი. არტისტებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რითაც სიჩუმის აღთქმა დადეს; აღუთქვეს ისიც, რომ ვიდრე საჭირო იქნება, არაფერს გაეკარებიან, მწვანე ჩაისა და წყლის გარდა, დაიძინებენ ძველ თავლაში, ზედ იატაკზე

და მთლიანად დაემორჩილებიან მანქანის დისციპლინას. აბრამოვიჩი კი, თავისი წესებით, ხან გურუსავით იქცეოდა, ხან სერჟანტ-ინსტრუქტორს ჰგავდა (მაგალითად, ის მოითხოვდა შეგირდებისგან ენის დასერვას და ნესტოების გამორეცხვას, ჯანსაღი საკვების გაკვეთილებზე დასწრებას, სადაც მომარბულე შეგირდები ბეჯითად იწერდნენ რეცეპტებს საკუთარ ბლოკნოტებში).

ამინდი ამ ნიუ ეიჯისტური თავყრილობისთვის შესაფერისი იყო – მშრალი და ცხელი. როცა წრეზე განლაგებული შეგირდები სუნთქვის ვარჯიშებს დაასრულებდნენ, ყინულივით მდინარეზე ჩადიოდნენ, რომელიც იქვე, აბრამოვიჩის მამულში ჩამოდიოდა. იქ კი, ყველანი – შეგირდებიცა და მასწავლებელიც, კოლექტიურად შიშვლდებოდნენ და ბანაობდნენ.

გამიშვლება, უფრო ფართო გაგებით, ანუ განძარცვა კომფორტისგან, თავმდაბლობისგან, მოუთმენლობისგან, ჩვევებისგან და მიჯაჭვულობებისგან – ეს ის იყო, რასაც აბრამოვიჩი ეძებდა. ერთხელ, შუადღეს შეგირდები სახლის უკან ხეხილის ბაღში შეიკრიბნენ მორიგი ინსტრუქციის მოლოდინში. წელი სვლით იწყეთ სიარულიო, – უბრძანა მათ აბრამოვიჩმა. ასე უნდა ევლოთ, ვიდრე სამი საათი არ გაილეოდა. დრო აბრამოვიჩის უნდა დაენიშნა. ფანჯრიდან ვუყურებდი მზის გულზე მოძრავ სხეულებს და მათ წაგრძელებულ ჩრდილებს მიწაზე. იმდენი ხანი გავიდა, მომეჩვენა, რომ პეიზაჟს შეერწყნენ კიდევ. ნივთიერებათა ცვლის პროცესი ჩემს ორგანიზმშიც შენელდა და გარშემო ისეთი რალაცები შევნიშნე, რასაც დაძაბული მზერით ვერასდროს დაინახავ. მაგალითად, თითქმის იმასაც კი ვხედავდი, თუ როგორ მნიფდებოდა ვაშლები ხეებზე.

ვიდრე აბრამოვიჩის მოსწავლეები სხვადასხვა ცვლაში ჩაატარებენ პერფორმანსებს მუზეუმის მეექვსე სართულზე, თვითონ აბრამოვიჩი მარონის ატრიუმში ახალ ნამუშევარს წარადგენს – „არტისტი ანწყა“. დილიდან საღამომდე – დღეში 8-10 საათით – რეტროსპექტივის მიმდინარეობის 77 დღის განმავლობაში, ანუ 31 მაისის

ჩათვლით, აბრამოვიჩი ხის მაგიდაზე გაუნძრევლად იჯდება, სივრცეში, ერთ წერტილზე მიშტერებული მზერიით.

თავდაპირველი კონცეფციის მიხედვით, შოუში წამყვანი ელემენტი ემაფოტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ მარინამ პერფორმანსის კონცეფცია მეგობართან და მუზეუმის მთავარ კურატორ კლაუს ბაისენბახთან ერთად დახვეწა და წარმოდგენასაც სანახაობრივი ელემენტები მოაშორეს. „როდესაც გავაკეთე „სახლი ოკეანის ხედით“, უდიდესი შეცდომა დაუფუძი, – მითხრა მან იმ პერფორმანსზე, რომელიც 8 წლის წინ, ჩელსიში შონ კელის გალერეაში წარადგინა, – კვარცხლბეკზე დაჯდომა რა საჭირო იყო“. 12 დღის განმავლობაში აბრამოვიჩმა თავი სამ, მაგარ კუბში დაიმწყვდია, რომლებსაც კუთხეები გახსნილი ჰქონდა. კუბიკები სპეციალურ სადგამზე, იატაკიდან დაახლოებით ხუთი ფუტის სიმაღლეზე იყო დამაგრებული. მარინას შეეძლო, გადასულიყო კუბიდან კუბში, რომელთაც კიბეებიც ჰქონდა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენებდი – საფეხურების ნაცვლად დანები ჰქონდა, ბასრი ზედაპირით. პირსახოცები, ახალი ტანსაცმელი, წყალი და მეტრონომი – ეს იყო მარინას მთელი ავლადიდება პერფორმანსის მიმდინარეობისას. გალერეა დაბალი შუქით ნათდებოდა და ამ ფონზე მარინას „სახლი“ კიდევ უფრო ჩახჩახა ჩანდა. არტისტი ხან იჯდა, ხან იწვა, ხან იდგა, აშტერდებოდა სივრცეს, იზმორებოდა, ეძინა, შხაპს იღებდა, შარდავდა და მარხულობდა მდუმარებაში – არც ერთი წამით მნახველებისგან ფარულად. ზოგიერთი ვიზიტორი იმიტომ მოდიოდა, რომ უკანა კედელზე დამაგრებული ტელესკოპით დაჰკვირვებოდა მარინას. სხვები კი, პატივისცემის ნიშნად, გალერეაში მარინასთან ერთად მორიგობდნენ. „ყოველ ანტიკურ კულტურაში გვხვდება რიტუალები, რომელთა მიზანია სხეულის დამცირება იმის გასაცნობიერებლად, რომ მარადიული სულია. რაც უფრო მეტს ვფიქრობ სულისმიერ ენერჯიაზე, მით უფრო მარტივი ხდება ჩემი არტი, რადგან ეს არტი იმაზეა, რაც ახლაა და აქ“.

„არტისტი ანმყო“ იქნება ყველაზე ხანგრძლივი ნამუშევარი, რომელიც მუზეუმში ოდესმე დაუდგამთ (მანამდე, ნიუ იორკელმა არტისტმა Tehching Hsieh-მა ტრიბეკაში, თავის სტუდიაში 1 წლის განმავლობაში დაიტყვევა თავი). პერფორმანსში მონაწილეობა მნახველებსაც შეეძლებათ, თუკი აბრამოვიჩის პირისპირ მოთავსებულ სკამზე ჩამოსხდებიან. აბრამოვიჩს იმედი აქვს, რომ დაამყარებს „ემოციურ კავშირს ნებისმიერ ადამიანთან, რომელსაც მარინას ცქერა მოუნდება“. თუმცა, ბაისენბახს ის აღელვებს, რომ შოუს წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია: „ეს არის ექსპერიმენტი, რომლის ჩატარებაც დღემდე არავის უცდია. არ ვიცი, რა მოხდება“.

თუ მარინას წინა პერფორმანსებით ვიხელმძღვანელებთ, ზოგიერთი მნახველი მარინას მიწვევას „ენერჯიათა გასაცვლელად“ მიიღებს, როგორც – ზიარებაზე მიწვევას. ბაისენბახი იმასაც ამბობს, რომ შეიძლება შოუზე სრულიად მოულოდნელად გამოცხადდნენ „ადამიანები მარინას წარსულიდან“. „ყველაფერი ამ ნამუშევრის ნაწილია, ისიც, რისი გაკონტროლებაც შეგვიძლია და ისიც, რაც ჩვენს ძალეებს აღემატება, – ამბობს აბრამოვიჩი, – შუქი ჩაქრება, თუ არავინ მოვა – მნიშვნელობა არ აქვს. თუ ასე პროცენტით არ ვიქნები აქ, არ ვიქნები ჩართული, ამას პუბლიკა, ძალღვივით, იმ წუთასვე იყნოსავს“.

უკვე წინასწარ იცის, რომ „აუტანელი ფიზიკური ტკივილის“ დაძლევა მოუნვეს, „განსაკუთრებით კი დასაწყისში. უმოძრაო პერფორმანსები ყველაზე რთულია“.

ტკივილი მისი არტის მუდმივი ელემენტია (ძალიან იშვიათად შეუწყვეტია შოუ ტკივილის გამო, ერთხელ კი მის გადასარჩენად შოუში სტუმარიც კი ჩაერია. ეს 1974 წელს მოხდა, ბელგრადის სტუდენტური კულტურის ცენტრში, სადაც მარინამ წარმოადგინა შოუ „რიტმი 5“. ააღებული ვარსკვლავის შიგნით მდგარმა მარინამ გონება დაკარგა და გარეთ გაიყვანეს). თავის პერფორმანსებში მარინა ხან ხმის ჩანყვეტამდე კიოდა, ხან და-

ცემამდე ცეკვავდა, ზოგჯერ კი თმას ივარცხნიდა, ვიდრე თავის კანიდან სისხლი არ წამოუვიდა. თავის ერთ-ერთ ადრეულ ნამუშევარში მარინამ ანტი-ფსიქოტური ნარკოტიკი გაიკეთა, რომელმაც დროებითი კატატონია გამოიწვია. თავიანთ ერთობლივ შოუებში ულეი და მარინა ერთმანეთს სახეში ულანუნებდნენ და კედლებს ანარცხებდნენ, მოკუშული ტუჩებით, იქამდე უტარებდნენ ერთმანეთს ხელოვნურ სუნთქვას, ვიდრე რომელიმე გონს არ დაკარგავდა. იყო ასეთი შემთხვევაც – ულეი პირდაპირ გულში უმიზნებდა ისარს, როცა მარინა მშვილდს ჭიმავდა.

რა განასხვავებდა ამ პერფორმანსებს მაზოხიზმისგან? – ვკითხე მარინას. „სასაცილოა, დედაჩემმა მკითხა ერთხელ იგივე, – მიპასუხა მან, – განსხვავება ისაა, რომ რეალურ ცხოვრებაში ჩემთვის წარმოუდგენელია, საკუთარ თავს ამხელა ტკივილი მივაყენო. სინამდვილეში, სულ სხვანაირი ვარ. მაგალითად, როცა კარტოფილის გათლისას შემთხვევით თითი გამეჭრება, ვტირი. როცა თვითმფრინავით მგზავრობისას ტურბულენტურ ზონაში მოვხვდებით, შიშისგან ვცახცახებ. ჩემს ნამუშევრებში კი თითქოს ვკარგავ იმ თვისებებს, რაც მოკვდავებს გვახასიათებს. ყველა ჩემი კომპლექსი, დაუცველობის თითოეული შეგრძნება – მსუქანი ვარ, გაჩხიკული ვარ, დიდი ტრაკი მაქვს, გრძელი ცხვირი მაქვს, კაცი მიყვარს, მიმატოვა, რაც არ უნდა იყოს – მაზინყდება. პერფორმანსის დროს აღარაფერს არ აქვს მნიშვნელობა“. რა აქცევს ამ ყველაფერს ხელოვნებად? კონტექსტი და მიზანი: „მიზანი, ჩავიდინო გმირული საქციელი, სურვილი, გავაკეთო რაღაც ლეგენდარული, ისეთი, რაც მაყურებელს შეძრავს, აღმაფრენას და გამბედაობას შეჰმატებს. თუ მე შეეძელი გამეყო ტკივილის ზღვარზე, რომ განმეცადა სიცოცხლე მეორე მხარეს, ესე იგი, ეს სხვასაც შეუძლია“.

ზოგიერთი ადამიანი განგებ აყენებს საკუთარ თავს ტკივილს, რათა ხელახლა შეიგრძნოს და როგორმე ისწავლოს იმ აგრესიასთან გამკლავება, რომელმაც წინათ უსასოო მდგომარ-

რეობაში ჩააგდო. აბრამოვიჩის დედა, დანიკა როსიჩი დაიბადა მდიდარ და გავლენიან მორწმუნე ოჯახში. მისი ბიძა სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი იყო. მარინას მამას ვოჯინ აბრამოვიჩს (მეტსახელად ვოჯო) კი პირიქით – მრავალრიცხოვანი და ღარიბი ოჯახი ჰყავდა. ორივე მონტენეგროელი იყო. კომუნისტურ პარტიაში 1941 წელს განწევრიანდნენ და წინა ხაზებზე იბრძოდნენ. ომის შემდეგ თავდადება დაუფასეს და ტიტოს მთავრობაში მაღალი პოსტებით დააჯილდოეს. ვოჯო მარშალის ელიტურ რაზმში ჩარიცხეს, დანიკას ისტორიული ძეგლების დაცვის სააგენტო ჩააბარეს. მისი მოვალეობა იყო საჯარო შენობებისთვის ხელოვნების ნიმუშების შეგროვება (1960-იან წლებში დანიკა იუგოსლავიის რევოლუციის მუზეუმს უძღვებოდა). ამ სამსახურს რამდენიმე სიკეთე ახლდა: საზღვარგარეთ მოგზაურობის შანსი, ვილა ზღვისპირას და უზარმაზარი ბინა დედაქალაქში, რომელიც მათ ოჯახს ნაცისტური ოკუპაციის დროს ჩამოართვეს. დანიკა სახლს მდიდრული ნივთებით გულმოდგინედ რთავდა და ოჯახის თითოეულ წევრს, მოახლეების, მეუღლისა და ბავშვების ჩათვლით (მარინას ძმა, ველიმირი, ცნობილი ფილოსოფოსი 1952 წელს დაიბადა), სასტიკად ეკრძალებოდა რომელიმე ნივთზე თითის დაკარება. „ჩვენ ნითელი ბურჟუები ვიყავით“, – ამბობს აბრამოვიჩი.

მარინას დედასთან მუდამ რთული ურთიერთობა ჰქონდა. დანიკა და ვოჟო ფეთქებადი ხასიათით გამოირჩეოდნენ. ვოჟოს დატენილი პისტოლეტებით ეძინა და ცოლი მუდამ ეჩხუბებოდა სასიყვარულო ისტორიების გამო. დანიკა, რომელიც ქალიშვილს სცემდა, იმიტომ, რომ მის ჯიუტ და გამომწვევ ქცევას ვერ იტანდა, სპარტანული პრინციპით ცხოვრობდა – „გაანგრე კედელი“. „მისგან ვისწავლე თვითდისციპლინა. დედაჩემის სულ მესწავლიდა“, – მითხრა მარინამ. დედასთან ინტერვიუში, რომელიც აბრამოვიჩმა თეატრალური წარმოდგენისთვის გადაიღო, სახელად „წარმოსახვითი“, დანიკა წარსულიდან იხსენებს ისეთ ეპიზოდებს, რაც მის ფოლადისებრ

ბუნებას წარმოაჩენს: „რაც შეეხება ტკივილს, მე შემიძლია ტკივილის ატანა, – ასკენის ის, – დღემდე არავის გაუგია და ვერც ვერავინ გაიგებს ჩემს ტკივილს“. ასეთივე სტოიციზმის დემონსტრაციულ გამოვლენას მოითხოვდა ის ქალიშვილისგან და არათუ ინდიფერენტული იყო, არამედ არც კი თანაუგრძობდა შვილს იმის გამო, რომ მარინას ბავშვობიდანვე აუტანელი შაკიკი განუვითარდა, რითაც თურმე თვითონ დანიკაც იტანჯებოდა. აბრამოვიჩის ძველი ასისტენტის ჯემს უესტკოტის ახალ ბიოგრაფიაში „როცა მარინა აბრამოვიჩი კვდება“ (M.I.T. 27.95 დოლარი) წერია, რომ სწორედ ამ მტანჯველმა, მარტოობაში გატარებულმა დღეებმა ასწავლა მარინას გაუსაძლისი ტკივილის ატანა, რაც პერფორმანსების შექმნასა და თამაშის დროს განცდილი ტკივილის გადატანაში დაეხმარა.

მიუხედავად ყველაფრისა, დანიკას უხაროდა, რომ მისი ქალიშვილი ხელოვნებით იყო გატაცებული. სასტიკი ხასიათის მიუხედავად, მას ძალიან მოსწონდა „კულტურული აღზრდა“, განათლება, რომელსაც მისი კლასის გოგონა აუცილებლად მიიღებდა, კომუნისტურ ეპოქამდე რომ ეცხოვრა. („მამაჩემს სძულდა ოპერა, რუსული ბალეტი, მოსწონდა ძველ პარტიზანებთან ერთად დაღევა, – მითხრა აბრამოვიჩმა, – დედაჩემი გიჟდებოდა კარგ განათლებაზე. მე მყავდა ფორტეპიანოს მასწავლებელი, ინგლისურის მასწავლებელი, ფრანგულის მასწავლებელი, მქონდა ნიგნები, სულ ისეთები, როგორცაა, ვთქვათ, პრუსტი ან კაფკა“.

1963 წლის 11 ივნისს, პირველად ოჯახური ზედამხედველობის გარეშე, მარინა პარიზში გაუშვეს სამოგზაუროდ. გოგონა უკვე ჭადრაკის ჩემპიონი იყო. სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა უხეში ჩარჩოთი და უქუსლო ფეხსაცმელი ეცვა (ის ორთოპედიულ ფეხსაცმელს ატარებდა). როგორც თვითონ ახლა იხსენებს, იმ პერიოდში სულ ტიროდა. ხატვა სერიოზულად იტაცებდა და დანიკამაც ჯერ სახლში ერთი ოთახი გამოაცარიელა, მარინასთვის სახელოსნო რომ მოეწყო,

შემდეგ კი ფრანგულ კულტურასთან საზიარებლად ეს პარიზული ტურნეც მოუწყო. (ორი წლის შემდეგ მარინამ ბელგრადის სახვითი ხელოვნების აკადემიაში ჩააბარა, 1960-იანი წლების ბოლოს კი უკვე სტუდენტურ დემონსტრაციებს ედგა სათავეში. სტუდენტურ პროტესტს მამინ ანგარიში ტიტომაც გაუწია და, საბოლოო ჯამში, მისი საიდუმლო აგენტების მეუღლეთათვის შექმნილი სოციალური კლუბი ავანგარდული ექსპერიმენტებისთვის განკუთვნილ ხელოვნების ცენტრად გადაკეთდა. სწორედ იქ გამართა მარინა აბრამოვიჩმა თავისი პირველი პერფორმანსი).

იმავე პერიოდში დედამინის მეორე ბოლოში, საიგონის ერთ ქუჩაზე 66 წლის ბერი თიჩ ქუან დუკი ლოტოსის პოზაში დაჯდა და ცეცხლი უდრტინველად წაიკიდა სხეულზე. ასე გამოხატა პროტესტი ვიეტნამში დიემის რეჟიმის დროს მოკლული ბუდისტების გამო. მისი სიკვდილი ფირზე აღბეჭდა მალკოლმ ბრაუნიმ, დევიდ ჰალბერსტამმა კი რეპორტაჟი დაწერა. ჰალბერსტამი თავის ტექსტში წერდა, რომ იმდენად შოკისმომგვრელი სანახაობა იყო, თუ როგორ ნთქავდა ცეცხლის ალი ბერის სხეულს, რომ ვერც კი იტირა.

თვითშენიშნის, როგორც საჯარო სანახაობის, პრეცედენტი აზიურ კულტურაში მანამდეც ყოფილა, მაგრამ თიჩის რიტუალმა – თუ როგორ მშვიდად გაკრა მან ასანთი და წაიკიდა ტანზე, მერე კი, როგორ წარბეზრულად იჯდა მთელი 10 წუთის განმავლობაში ამ გაუსაძლისი აგონიის დროს – მთელი დასავლეთი შეძრა. ამ შემთხვევამ დასავლეთის კოლექტიურ წარმოსახვაშიც შეაღწია. „მსოფლიოში ახალი ამბების ამსახველ არც ერთ ფოტოს არასდროს არ გამოუწვევია ამხელა ემოცია“, – თქვა პრეზიდენტმა კენედიმ მამინ.

აბრამოვიჩიც ამბობს, რომ მის მესხიერებაში სამუდამოდ ჩარჩა ეს ხატება, რომელიც მისთვის „მიზნისთვის მსხვერპლშენიშნის“ სიმბოლოდ იქცა. ულემი კი თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აღნიშნა, რომ ვიეტნამიდან გავრცელებულმა ამ ფოტო და

ვიდეოკადრებმა მისი თაობის არტისტებისთვის აქტუალურ თემად აქცია პოლიტიკა. თიჩის ეს თვითგანაჩენი ემთხვევა იმ ისტორიულ მომენტს, როდესაც ახალი ჟანრი – გვემის ხელოვნება გაჩნდა. მისი ბიძგისმიმცემი იყო თაობათა კონფლიქტი და 1960-იან წლებში დაწყებული დიდი სოციალური ძვრები.

გვემის ხელოვნებას არტისტები საბოტაჟისა და პროტესტის სახელით მისდევდნენ. ისინი ჰგავდნენ დადაისტებსა და რომანტიკოსებს, რომლებიც თავის დროზე ილაშქრებდნენ ბურჟუების მძლარი ყოფის წინააღმდეგ. ისინი ახალ მნიშვნელობას სძენდნენ სიტყვას „სათაკილო“ (ისევე, როგორც ახალი ამბები აკეთებდა ამას), უარყოფდნენ მატერიალიზმს – ანუ, ისეთი ხელოვნების კეთებას, რომელიც კომერციულ პროდუქტად გარდაიქმნებოდა. „პიესაში დანა არის იმის იდეა, რაც კლავს, ჩემს ნამუშევრებში კი დანა ყოველთვის ნამდვილი დანაა“, – მითხრა აბრამოვიჩმა. მის შოუებზე მისული პუბლიკა უკიდურესად დაძაბული, ზოგჯერ კი სიცოცხლისთვის საშიში რიტუალების მოწმე ხდებოდა. ამ პერფორმანსებში უხვად იყო თვითგვემის ელემენტები, რომელთა საშუალებითაც აბრამოვიჩი, თითქმის ყოველ ჯერზე არღვევდა ღრმად ფესვგამჯდარ ტაბუებს. არტისტიცა და სტუმარიც, ერთ დროსა და სივრცეში ერთვებოდნენ ესთეტიურად სტილიზებული, მაგრამ აშკარად დიდი შინაგანი ძალის მქონე სანახაობაში. რაც უფრო მეტად გულუბრყვილო და გაუაზრებელი იყო ამ სკოლის წარმომადგენელთა ძალისხმევა, სკოლისა, რომელსაც „სხეულის ხელოვნება“ ერქვა (დღეს უფრო პერფორმანს არტს, ანდა დროზე მიბმულ არტს უწოდებენ), მით უფრო მძლავრ პორნოგრაფიულ აღტყინებას იწვევდა მნახველში, თითქოს ვულკანის ამოფრქვევის მსგავსს. ამ პერფორმანსების ნაწილი მნახველებს შეახსენებდა, რომ ვუაერიზმი დასჯის გარეშე არ არსებობს.

1969 წელს ველი ექსპორტი (არტისტი, რომელიც თავის ფსევდონიმს სიგარეტის ბრენდს დაესესხა) მიუნხენის პორნო-თეატრში შეიჭრა, ბოქვენზე

ამოჭრილი შარვლითა და შემართული ავტომატით და თეატრის მეპატრონეებს დაემუქრა, მიეღოთ გამოწვევა „ნამდვილი ქალისგან“. 1970-იანი წლების შუა პერიოდამდე ფრანკო-იტალიელი არტისტი ჯინა პეინი ხშირად ატარებდა პერფორმანსებს, რომელთა დროსაც სხეულს ეკლებოდა და ბრიტვიტით ისერავდა. ბოსტონელმა კრის ბარდენმა კი ერთხელ ასეთი პერფორმანსი მოაწყო: მეგობარს თოფი დააჭერინა, ახლოს დააყენა და აიძულა, ტყვიას მისთვის პირდაპირ მკლავში ესროლა, მეორედ ის „ფოლკსვაგენის“ სახურავზე აღმართულ ჯვარზე გაეკრა.

ბრუკლინელმა ვიტო აკონჩიმ სონაბენდის გაღერებაში, პოდიუმის ქვეშ მასტურბაციის აქტი ჩაატარა. ვიდრე აკონჩი მასტურბირებდა, ზევიდან, პოდიუმზე გაღერების მეპატრონეები დადიოდნენ. მეორე ნიუ იორკულ გაღერებაში გერმანელმა ჯოზეფ ბეისმა, რომელიც გერმანულ ავიაციაში მსახურობდა, სამი დღე კოიოტთან ერთად გაატარა. ატლანტიკის ოკეანის გადაღმა, ნეაპოლში, აბრამოვიჩი ეპატიჟებოდა მნახველებს თავის პერფორმანსზე. 6 საათის განმავლობაში გაღერებაში მისულ ყველა სტუმარს შეეძლო, ისე მოქცეოდა მარინას სხეულს, როგორც „თვითონ მოისურვებდა“ – ხელით მოესინჯა, ტალახი ესროლა, ტანსაცმლისგან განეძარცვა, დაება, შეეღწია, ანდა დაედალა მისი ტანი იმ 72 ხელსაწყოს მეშვეობით, რომლებიც იქვე მაგიდაზე ეწყო. ესენი იყო: ლურსმნები, პომადა, ასანთი, საღებავი, ხერხი, ჯაჭვი, ალკოჰოლი, ტყვიანამალი და თოფი, რომელიც ერთხელ პირდაპირ შუბლში დაუმინუნეს მარინას. პერფორმანსის თანდართულ ანოტაციაში ეწერა: „მე ვარ საგანი. ამ პერიოდის განმავლობაში მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას“. საათი საათს მისდევდა, მარინა კი წყნარად უძლებდა ყველაფერს, მაგრამ ცრემლებს მაინც ვერ იკავებდა და გაუძნრევლად მდგარი, უხმოდ ტიროდა. ზოგმა სტუმარმა მარინას ცრემლები მოსწმინდა და როცა გაღერებაში მისულმა რამდენიმე ადამიანმა მისი სხეულით თამაში დაიწყო, მნახველები ორ გუნდად გაიყვნენ: ვანდალები

და მფარველები. ისინი არ დაჯგუფებულან მხოლოდ გენდერული ნიშნით. „ქალები არ მეხებოდნენ, – იხსენებს მარინა, – სამაგიეროდ ზოგიერთი მათგანი კაცებს აქეზებდა, რამე ექნათ ჩემთვის“. ფოტოებზე, რომლებიც ამ პერფორმანსის, „რიტმ 0“-ს ეპიზოდებს ასახავს, მარინა ხან ცხედარით განისვენებს, ხან მანეკენით გაუძნრევლად დგას, ხან სლოგანებს აკრავენ ტანზე, ხან წელამდე აშიშვლებენ, ზოგჯერ კი კოცნიან, ვარდის ფურცლებში აბანავებენ, წყალს ასხურებენ, ატყვევებენ და თავზე ტომარას აფარებენ სიკვდილმისჯილივით. ერთმა ვიზიტორმა პომადა გამოიყენა იმისთვის, რომ მარინასთვის შუბლზე დაენერა – „დასასრული“.

აბრამოვიჩის ფემინისტურ შეხედულებებს უფრო მითიური საწყისი აქვს, ვიდრე პოლიტიკური. მას ბოლომდე ესმის ქალების ტანჯვაც და მათი ძალაც. როუზ-ლი გოლდბერგი, პერფორმანს არტის ნამყვანი ისტორიკოსი და კურატორი ამბობს, რომ აბრამოვიჩის თაობის ამერიკელი ქალებისთვის „ფემინისტობა იგივე იყო, რაც პარტიაში განწვრიანება. ასეთი ტიპის სოლიდარობა, ანდა კონფორმიზმი სულ სხვა რამეს ნიშნავდა მარინასთვის. იმ დროისთვის, როცა ის არტისტი გახდა, ის უკვე ისწრაფვოდა თავისუფლებისკენ, რომელიც აბსოლუტურად თავისებურად ესმოდა. უღელისთან ერთად დადგმულ ნამუშევრებში კი ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ყველაფერს თვითონ განაგებდა“.

აბრამოვიჩს ბევრჯერ აღუნიშნავს ირონიულად, რომ მის დაბადების მოწმობაზე წითელი ვარსკვლავია გამოსახული, უღელის დაბადების მოწმობაზე კი – სვასტიკა. კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის ამ კონფლიქტმა მარინას სამყაროს აღქმა ჩამოუყალიბა. მაგრამ 1997 წელს, ნეაპოლში გამართული პირველი „დიდი ნამების“ შემდეგ ის დაბრუნდა იტალიაში ნამუშევრით, რომელიც მისი სამშობლოს უახლეს ისტორიას ეხებოდა.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებიდან ორი წლის შემდეგ მონტენეგროს კულტურის მინისტრმა აბრამოვიჩს, როგორც მონტენეგროელების ეროვ-

ნული გამიღებდა შვილს, სთხოვა, ვენეციის ბიენალეზე სამშობლოს სახელით გამოსულიყო. გალერისტმა შონ კელიმ მარინას ურჩია, შეთავაზებაზე უარი ეთქვა. როგორც უესტკოტი წერს, კელის ეს იდეა არ მოსწონდა იმიტომ, რომ არსებობდა რისკი, რომ მარინას სახელს ძალაუნებურად სლობოდან მილოშევიჩის საქმეებს დაუკავშირებდნენ. თუმცა აბრამოვიჩმა მაინც გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ბიენალეში. მიუხედავად იმისა, რომ ის აღიარებდა სერბეთის როლს ძალადობის გაღვივებაში, უესტკოტის თქმით, „მარინა აგრესიას ხედავდა კონფლიქტის ორივე მხარეში“, ბიენალეზე მიწვევა კი მისთვის იყო „შანსი, შეესრულებინა გლოვის პერფორმანსი“ იმ ადამიანების პატივსაცემად, რომლებიც ორივე მხარეს დაიღუპნენ. როცა მინისტრმა პერფორმანსის იდეის შესახებ გაიგო და მას ისიც მოახსენეს, თუ რა დაუჯდებოდა აბრამოვიჩის ამ ნამუშევრის დაფინანსება – დაახლოებით 100 ათასი დოლარი, მან თავისი სიტყვები უკან წაიღო და მარინას შეურაცხმყოფელი წერილი მისწერა: „მონტენეგრო კულტურული პერიფერია არ არის და არ შეიძლება ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მეგალომანიაკი პერფორმერების სამშობლო-კოლონიად ვაქციოთ“.

გაცოფებულმა აბრამოვიჩმა და კელიმ ბიენალეს კურატორს ჯერმანო ჩელანტის სთხოვეს, როგორმე პატარა სივრცე მაინც გამოეძებნა მათთვის. ჩელანტიმ ერთადერთი თავისუფალი ადგილი იპოვა იტალიურ პავილიონში, ერთ მყრალ სარდაფში. სარდაფს დაბალი ქერი და ბეტონის იატაკი ჰქონდა, მაგრამ აბრამოვიჩის არტის კონცეფციაში ზუსტად ასეთი ადგილი ჯდებოდა. ნამუშევარმა, „ბალკანური ბაროკო“, რომელიც აბრამოვიჩმა სწორედ ამ სარდაფში დადგა, მას „ოქროს ლომი“ და წლის საუკეთესო არტისტის წოდება მოუტანა.

„ბალკანური ბაროკო“ იმ სირცხვილისა და მიჯაჭვულობის გამოხატულება იყო, რასაც აბრამოვიჩი განიცდიდა, როგორც ეროვნებით იუგოსლავი და როგორც ვოჯოსა და დანიკას ქალიშვილი. ოთხი დღის განმავლობაში, დღეში ექვსი საათით მარინა სარდაფში ვედროთი და ჯაგრისით იჯდა და გულგრილი გამომეტყველებით, მაგრამ მონდომებით ასუფთავებდა ძროხის ძვლებს, რომელთაც ზაფხულის იმ საშინელ სიცხეში ჭიები ეხვია. კედელზე პროექტორის საშუალებით გადიოდა ნაწყვეტები დანიკას და ვოჯოს ინტერვიუებიდან. ერთ-ერთ კადრში, ვოჯო იარაღს იქნევდა და ომის ბინძურ ისტორიებს ჰყვებოდა (ორივე ინტერვიუ ბელგრადშია გადაღებული, 1994 წელს, როცა ქალაქი ჯერ კიდევ სამხედრო ბანაკს ჰგავდა). მოპირდაპირე კედელზე კი მარინას ვიდეო გადიოდა. კადრში მარინას თეთრი ცხვრის ქურქი ეცვა და ხსნიდა, ვირთხების დახოცვის როგორი სადისტური წესი აქვთ სერბებს. თვითონ კი, ძვლების გასუფთავების პროცესში, თან ტიროდა და თან ცრემლნარევი ხმით ასრულებდა მშობლიურ ხალხურ სიმღერებს. ბაისენბახი იხსენებს, რომ სარდაფში გაუსაძლისი სუნი იდგა, მაგრამ კიდევ უფრო გაუსაძლისი იყო ემოცია, რომელსაც პერფორმანსი აღძრავდა მნახველში.

აბრამოვიჩის კოლეგების უმრავლესობა, რომლებიც, მარინასთან ერთად, „გვემის არტის“ პიონერები იყვნენ, დიდი ხანია, პენსიაზე გავიდა, ზოგი ახალგაზრდაც გარდაიცვალა. აკონჩიმ, რომელმაც პერფორმანსების მოწყობა 1973 წელს შეწყვიტა და არქიტექტორი გახდა, მითხრა: „ამ პერფორმანსებში ყველაზე მეტად მომწონდა კონტრაქტი. ვამბობდი, რომ აი, მე უნდა გავაკეთო ეს და პირობას ვასრულებდი. რაც ყველაზე მეტად მძულდა, ეს იყო საკუთარი თავის გამოფენა და ადამიანისგან კულტის შექმნა“. მან აბრამოვიჩის „სახლი ოკეანის ხედი“ ნახა და თქვა: „ვერაფრით ვერ გავიგე, რა შეიძლება მომწონებოდა ამ ნამუშევარში. რაში დასჭირდა მარინას პუბლიკა ამ პირადული გამოცდილების დასამოწმებლად? საინტერესოა, ადამიანები მართლა ხდებიან მისი ნამუშევრების მონაწილეები?“ აკონჩი ეჭვქვეშ აყენებს პერფორმანსების გამეორების იდეასაც. მისთვის ეს არის ძალიან საკამათო კონცეფცია არტში. ერთი ჯგუფის აზრით, დროსა

და კონკრეტულ კონტექსტზე მიბმული არტის სრულყოფილად აღქმა მხოლოდ იმ კონკრეტულ მომენტშია შესაძლებელი, როცა ის დაიდგა და არც ერთი პერფორმანსი არ უნდა აღადგინონ.

აბრამოვიჩი პურისტების სამიზნე ბევრჯერ გამხდარა. ულეიმაც კი ცოტა ხნის წინ თქვა: „არ მჯერა ამ პერფორმანსების აღდგენის. მათში აღარაფერია მართალი. ეს უკვე არტინდუსტრიის ნაწილია და სხვა არაფერი“. კრედო, რითაც ის და აბრამოვიჩი 1970-იან წლებში ცხოვრობდნენ, გულისხმობდა, რომ წყვილი უარს ამბობდა რეპეტიციულ, პერფორმანსის დასასრულის წინასწარ განსაზღვრაზე, გამეორებაზე, ისინი არაფერზე იხევედნენ უკან და შემთხვევითობებსა და ვიზიტორების პირველად რეაქციებს ბოლომდე მისდევენ. აკონჩიმ მითხრა: „ახლა კი მარინას უნდა, რომ პერფორმანსი აქციოს ისეთ რამედ, რისი სწავლაც და რისი გამეორებაც შეიძლება და ასეთ შემთხვევაში, ვერაფრით ვერ ვხვდები, რით განსხვავდება მაშინ პერფორმანსი თეატრისგან“ (თუმცა აკონჩი აბრამოვიჩის გადაწყვეტილებას მაინც დამორჩილდა და მარინას უფლება მისცა, გაემეორებინათ მისი მასტურბაციის ეპიკური აქტი. აბრამოვიჩმა ეს ნამუშევარი შეიტანა პერფორმანსში „შვიდი იოლი ნაწარმოები“, რომელიც შეიცავს სპეციალურ მიძღვნებს ბეისის, პეინის, ექსპორტის, ბრიუს ნაუმანის და საკუთარი ახალგაზრდობის, ანუ „ტომას ლიბსელი“ მარტივი ქალის მიმართ).

აბრამოვიჩისთვის ეს კამათი ზედმეტად ეზოთერულია. „70-იან წლებში, დიახ, არ გვჯეროდა, რომ პერფორმანსის გამეორება ღირდა, მაგრამ ახლა ახალი საუკუნეა, და თუ ხელახლა არ გაიმეორებ პერფორმანსს, ერთადერთი, რასაც შემდეგ თაობას დაუტოვებ, უსულო დოკუმენტები და ფირებია. მართა გრეჰემსაც არ სურდა, მისი ცეკვები სხვა ქორეოგრაფებს დაედგათ. მგონი, ეს არტისტის ეგოიზმია და სხვა არაფერი, თუკი არ სურს, რომ მისმა ნამუშევარმა ავტორის გარეშე განაგრძოს ცხოვრება“.

მარინა აბრამოვიჩი აპირებს, ინ-

ვესტორებისგან მოიზიდოს რამდენიმე მილიონი დოლარი ჰადსონში, ნიუ იორკში, სამი წლის წინ ნაყიდი ძველი კინოთეატრის რეკონსტრუქციისთვის. არტისტს უნდა, რომ იქ პერფორმანს არტის შესანარჩუნებლად მარინა აბრამოვიჩის სახელობის ფონდი გახსნას, რომელსაც სასწავლო დარბაზი და მედიაცენტრი, კაფე და პერფორმანსებისთვის განკუთვნილი უზარმაზარი სივრცე ექნება. თუმცა, ჩანაფიქრის განხორციელებამდე ამ ძველ შენობაში წლების განმავლობაში დაგროვილ დოკუმენტებს ინახავს. დასტად დაწყობილი ნაბეჭდების, ნიგნების, წერილების გარდა, აბრამოვიჩი ვერ ელევა ვერც ძველ პოსტერებს, ბილეთების ნაკუწებს, გაზეთების გაყვითლებულ გვერდებს და სუვენირებს მოგზაურობებიდან. მომთაბარე ცხოვრებით მცხოვრები არტისტისთვის მართლაც უზარმაზარი მემკვიდრეობაა. ამ ყველაფერს ემატება რეტროსპექტივაც, რისთვისაც ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა 224-გვერდიანი კატალოგი დაბეჭდა. ამ ხანგრძლივი რეტროსპექტივისთვის გამოიცა არტ კრიტიკოსის ტომას მაქევილის ესეების კრებულიც „ხელოვნება, სიყვარული, მეგობრობა: მარინა აბრამოვიჩი და ულგი, ერთად და ცალ-ცალკე“. გამოვიდა დოკუმენტური ფილმი მეთიუ აკერსის რეჟისორობით, რომელიც აბრამოვიჩს შარშანდელი ზაფხულის შემდეგ ყველგან დაჰყვება და ფილმისთვის ასობით საათის მასალა აქვს გადაღებული (ის ასევე უწყვეტად გადაიღებს მისი პერფორმანსის ყოველ წამს).

სამუზეუმო რეტროსპექტივას ემთხვევა უესტკოტის ბიოგრაფიის გამოცემაც. მასში ორიგინალურადაა მოთხრობილი აბრამოვიჩის ამდღევებელი ისტორია და მთლიანად არის შენარჩუნებული მისი წამებით აღსავსე ნარატივიც, რომლის თხრობასაც თვითონ არტისტი ვერ ანებებს თავს. უზარმაზარი ავტოპორტრეტია, ვიდუოარტისტ ჩარლზ ატლასის მიერ 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილი ვიდეო „ბიოგრაფია“ და მისი გამოკრებაც – „ბიოგრაფიის რემიქ-

სი“. მასში შესულია ფრთხილი დრამატურგიით აგებული მულტიმედია-ნამუშევრები, რომლებშიც, დამხმარე მსახიობებთან ერთად, გვხვდება ცოცხალი პითონები, ფერადი განათება, მოტკეცილი კოსტიუმები, კალასის მუსიკა, ძველი პერფორმანსების ახალი ვერსიები, რომელთაც აბრამოვიჩის ხმა ადევს. არტისტი იხსენებს მთავარ ეპიზოდებს თავისი ცხოვრებიდან და შიგადაშიგ სერბულად ლაპარაკობს. სწორედ ამ მასალაზე მუშაობა დაეხმარა აბრამოვიჩს ულგის დაინყებაში და რამდენიმე წელიწადში ერთხელ ის ახალ თავს ამატებს თავის ბიოგრაფიას. ამ ყველაფერთან ერთად, დამუშავების პროცესშია თეატრალური დადგმაც რობერტ უილსონის რეჟისორობით – „მარინა აბრამოვიჩის ცხოვრება და სიკვდილი“.

შარშან ნოემბერში აბრამოვიჩმა თავისი ძველი მეგობრები სოპოში, დაბადების დღეზე დაჰატიჟა. აბრამოვიჩი 63 წლის გახდა. ეს მდიდრული ბინა, უზარმაზარი სივრცით აბრამოვიჩმა საკუთარ თავს აჩუქა პაოლო კანევარისთან დაშორების შემდეგ. მას უყვარს, როცა სადილებს შინ ამზადებს, თავის მამულში კი ორგანული მეურნეობაც აქვს, სადაც ბოსტნეული მოჰყავს. სწორედ იქ დაკრფილი ბოსტნეულით მოუმზადა სუპი პერფორმერებს ჰადსონ ველიში, როცა მათ მარხვა დაასრულეს.

კულინარიით გატაცების მიუხედავად, საკუთარი დაბადების დღის წვეულებაზე რატომღაც შეფ-მზარეული დაიქირავა. ეს იყო ახალგაზრდა არტისტი, რომლის მენიუსაც უცნაური კონცეფცია ჰქონდა: სადილი ეძღვნებოდა ქარიშხალ „კატრინას“ დროს დაღუპულ ადამიანებს. სტუმრებს რომსა და ბურბონს მუყაოს ჭიქებით სთავაზობდნენ, ეს კოქტილის საათი კარგა ხანს გაგრძელდა, შემდეგ კი სამზარეულოს კარიც გაიღო, სადაც პლასტმასის კონტეინერებში უზარმაზარი ლუიზიანური კერძი გუმბო გამოჩნდა. სტუმრები გაოცებულები უყურებდნენ კურიერებს, რომლებმაც გუმბოს კონტეინერები აბრამოვიჩის სახლიდან რიგრიგობით გაიტანეს უსახლკაროებისთვის დასარიგებლად. ვიდრე

აბრამოვიჩთან შეკრებილი პუბლიკა ფიქრობდა, – საინტერესოა, საჭმელს ჩვენთვისაც თუ გამოიტანენო (ბოლოს მართლა გამოიტანეს – ზამის დონატები), ჯადოქარი დევიდ ბლეინი კარტით ფოკუსებს ატარებდა, და ლორი ანდერსონის მაჯის საათზე ისრები ოთახის მეორე ბოლოდან გადასწია.

ბლეინი საკუთარი წამების არტის გაკეთებას გეგმავს – მას დაამწყვდევინ უზარმაზარი შუშის ბოთლში და ოკეანეში მოისვრიან. „მარინა უდიდეს შთაგონებას მაძლევს“, – მითხრა ბლეინმა.

იმ საღამოს აბრამოვიჩი გლამურულ განწყობაზე იყო – მოტკეცილი შავი კაბა ეცვა, სახეს თეატრალური მაკიაჟი უფარავდა, თმა გაშლილი ჰქონდა. „მინდა, ვიღაც გაგაცნო“, – მითხრა და ოთახის კუთხისკენ გამიძღვა. შორიდანვე დაინახე კედელს მიყრდნობილი, ქერუბიმით უმანკო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, ნაზი და სევდიანი იერსახით. „ეს ენტონია. იმედი მაქვს, რომ ის ჩემს პანაშვიდზე იმღერებს“, – ამიხსნა აბრამოვიჩმა.

ენტონი ჰეგარტი, გუნდიდან „ენტონი და ჯონსონები“, თავისი არაამქვეყნიური ხმითაა ცნობილი. მაგრამ მივხვდი, რომ აბრამოვიჩს მხოლოდ მისი მუსიკა არ იზიდავს. ენტონის მგრძობიარე, ნაზი ბუნება მისი დანახვისთანავე ნათელი ხდება, მარინა კი საჯაროდ უნდა ენამოს, რომ ადამიანებმა მისი ამაზონური გარეგნობის მიღმა როგორმე მისი არსების სინატიფეც დაინახონ.

როცა მარინა მოკვდება, „თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა“, ენტონი მისი დაკრძალვის ცერემონიაზე შესრულებს სიმღერას My Way. შემდეგ აბრამოვიჩმა თავისი გამოსამშვიდობებელი პერფორმანსის სრული პროგრამაც გამაცნო: მარინა აბრამოვიჩის პანაშვიდები ერთდროულად სამ ქალაქში გაიმართება: ბელგრადში, ამსტერდამსა და ნიუ იორკში. მგლოვიარეებს ფერადი ტანსაცმელი ეცმევათ. სამივე ქალაქში იქნება კუბო და, როგორც მარინა ამბობს, არავის, არც ერთ მგლოვიარეს არ ეცოდინება სინამდვილეში რომელ კუბოში განისვენებს ცხედარი“.



# „ბოხოვთ, მოკლედ“

<<< ღასანყისი გვ. 46

**როგორ ებრძოდით იმ მუდმივად მზარდ თავყანისცემას, რომელიც, ჩვეულებრივ, გონებას უბინდავს ხოლმე ადამიანს? გვახსოვს როგორ მოგმართათ პროფესორმა მილან მახოვცმა რეალისტური თეატრის კულისებში: თქვენ ღმერთზე მეტი ხართ!**

არ მახსოვს, რაიმე მსგავსი ეთქვას, მაგრამ თუ თქვა, ეს ნამდვილად ნახევრად ხუმრობა და ნახევრად მეტაფორა უნდა ყოფილიყო. ალბათ ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მაქვს (ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში მქონდა) დაუჯერებლად დიდი და, რაც მთავარია, ყველასათვის ადვილად დასანახი გავლენა მოვლენებზე. ცხადია, ღმერთს, თუკი არსებობს, განუზომლად მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ნებისმიერ მოკვდავს, მაგრამ რას იზამ, მისი გავლენა არ არის ასე ადვილად დასანახი, მით უმეტეს, რომ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ჩვენი ნების თავისუფლებასთან, რაც უდავოდ ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლო ქმნილებაა. და საერთოდ, არა მგონია, მახოვცის მხრიდან ეს წმინდა თავყანისცემის გამოვლინება იყო. თუმცა უნდა ვაღიარო, გარკვეული დროის განმავლობაში მართლაც ვიყავი თავყანისცემის ობიექტი და ეს ალბათ, ასე იქნებოდა ჩემს ადგილას მყოფი ნებისმიერი სხვა ადამიანის შემთხვევაშიც. მე მიყურებდნენ როგორც ადამიანს, რომელმაც საზოგადოება მიიყვანა უსაზღვროდ ძლე-

ვამოსილი ხელისუფლების აპარატზე წარმატებულ და მთლიანობაში უმტკივნეულო გამარჯვებამდე, მიყურებდნენ როგორც ადამიანს, გამოსულს მათივე წიაღიდან და არა საძულველი ხელისუფლების რიგებიდან. სხვათა შორის, ეს თავყანისცემა მოგვიანებით საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ყოველგვარ კრიტიკას მოკლებული ბრმა პატივისცემა ისჯება, ისჯება ობიექტი ამ პატივისცემისა და არასდროს – სუბიექტი. მსგავს სიტუაციას ხომ ხშირად ვხვდებით. ერთხელ უკვე ვახსენე: დღევანდელი ჩეხეთის პრემიერი, ჯერ იყო და უსაფუძვლოდ საუკეთესო ჩეხ პოლიტიკოსად მონათლეს, შემდეგ კი საკუთარი სისულელისათვის სამაგიერო გადაუხადეს იმით, რომ რამდენიმე დღეში ყველაზე ცუდი პოლიტიკოსების რიცხვს მიაკუთვნეს. ამ მოვლენის ფსიქოლოგიური საფუძველი, ანუ ბრაზი წინანდელ მონურ დამოკიდებულებაზე არ იყო შემდგომი უსამართლო კრიტიკის ერთადერთი მიზეზი. არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუ უფრო მნიშვნელოვანი არა, იყო ის, რომ ხშირად ვემხრობოდი უმცირესობის აზრს და ამით ვემიჯნებოდი საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, თითქოს პოლიტიკოსი უნდა იყოს უმეტესობის განწყობის, შეხედულების, მიმართებისა თუ მენტალიტეტის ამსახველი სარკე. ცხადია, ეს ჩემი მიზანი არ იყო, მაგრამ ბევრი, როგორც დისიდენტობის, ასევე პრეზიდენტობის ხანაში, ხედავდა ჩემში თავის მივიწყებულ სინდისს. ჩვეულებრივ

კი ამას არ პატიობენ. თუმცა, თქვენ, ძირითადად, გაინტერესებდათ, თავბრუ ხომ არ დამახვია ამ ყველაფერმა. ეს, ალბათ, სხვამ უნდა განსაჯოს. თავბრუ რომ დამხვეოდა, ამის დანახვას და თქვენთვის ანგარიშის ჩაბარებას ნამდვილად ვერ შევძლებდი.

(ვაჟინბაზონი 15. 4. 2005)

ამერიკელები სულ უფრო და უფრო მესიმპათიურებიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვისთანაც კავშირი მაქვს. სულ უფრო ნაკლებად მანუხებს ის, რასაც ძველად მიძიმედ ვეგუებოდი ან სულაც სასაცილოდ მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეთ მაგალითს მაინც მოვიყვან. უყვართ კეისის ლეჭვა, რის გამოც მცოხნელებს ჰგვანან. განსაკუთრებით ქალებზე მხვდებოდა ეს თვალში. უყვართ (უმეტესად კაცებს) ფეხების მაგიდაზე შემონწყობა. ჭამენ წარმოუდგენლად სქელ ფუნთუშებს, გამოტენილს რითაც გაგიხარდება, სალათის ჩათვლით, რომლის შეჭმაც, ცხადია, განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. მეშინია ასეთი ფუნთუშის შეჭმისა (არასოდეს მიჭამია). პირს გავიხევი ფუნთუშის ზომაზე ან ფუნთუშას მოვჭყლეტი პირის ზომაზე, და ყველაფერს, რაც შიგ არის ჩამალული, ძირს გადმოვაფრქვევდი. ყოველივე ამას, უკეთეს შემთხვევაში, აყოლებენ წყალს, უარეს შემთხვევაში კი – კოკა-კოლას ან რძეს, თანაც პირდაპირ ბოთლიდან, კონსერვიდან ან პლასტმასის ჭიქებიდან თუ ფიალებიდან. მგონი, ლოთი არ ვარ, მაგრამ ჭამა ლუდის ან ღვინის მიუყოლებლად წარმოუდგენლად მიმაჩნია. საქმელზე წყლის დაყოლება ციხეში გატარებულ წლებს მაგონებს. რაც შეეხება პლასტმასის ჭიქებს, როგორც ცენტრალური ევროპის მცხოვრებს, ამერიკა მეჩვენება შესაფუთებისა და სხვა ნარჩენების ქვეყნად. არ ვიცი რითია ეს გამოწვეული, თითქოს ჩვენთანაც საკმარისად არის მსგავსი შესაფუთები და ნარჩენები. ამ საკითხის კვლევას კიდევ გავაგრძელებ. ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კბილების სითეთრეს, რაც ძალიან მომწონს. ათობით მეთოდი აქვთ, თუ როგორ მიაღწიონ კბილების სრულყოფილ სიქათქათეს და არც ისე იშვიათია, რომ საკუთარ მეტ-ნაკლებად ჯანმრთელ კბილებს ამჯობინებენ ხელოვნურს, სამაგიეროდ უფრო ღამაზს.

წარსულთან შედარებით დიდ ცვლილებას ვხედავთ ევროპული და იაპონური მანქანების მოჭარბების მხრივ. უფრო პატარები და ეკონომიურები, ვიდრე ამერიკელები, რომლებსაც, გაუგებარია რატომ, მაგრამ მაინც, რამდენიმე და თანაც სავსებით ზედმეტი ცხენების რემა აქვთ ჩამალული ძრავაში და შეუძლიათ დაშვებულზე ბევრად მეტი სიჩქარის განვითარება.

**როგორ გახსენდება ჰრადზე გატარებული თქვენი პირველი წუთები?**

ცხადია, ქვეყანაში არსებული ატმოსფეროს კვალი იმ პირველ წუთებსაც აჩნდა. მახსოვს, ბევრს ვიცინოდით, თუმცა დღეს უკვე მიჭირს დაზუსტებით ვთქვა რაზე და რისთვის. ჩვენი გუნდი შედგებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებისაგან. მოულოდნელად ეს გუნდი თვითონ აღმოჩნდა სამყაროში, რომელსაც მხოლოდ შორიდან იცნობდა და რომელიც აქამდე მხოლოდ კრიტიკისა თუ დაცინვის ობიექტი იყო მისთვის. სწორედ ჩვენ უნდა გადაგვეწყვიტა სასწრაფოდ ამ სამყაროს სამომავლო ბედი. მაშინდელი ჩემი თანამშრომლები უეჭველად გაიხსენებდნენ ათობით დაუჯერებელ, აბსურდულ და სასაცილო შემთხვევას იმ ეპოქიდან. მე კი სიამოვნებით მახსენდება ერთი ასეთი მოვლენა, ცოტა არ იყოს სიმბოლურიც კი: მეჩვენებოდა, რომ ჩემი კანცელარიის სართულზე ნაკლები ოთახი იყო, ვიდრე ეს შეესაბამებოდა ჰრადის ამ ნაწილს. ამიტომაც მოვიპოვეთ მკაცრად გასაიდუმლოებული არქიტექტურული გეგმები, გავრკვიეთ ვითარებაში და დაბეჯითებით მოვითხოვეთ იმ აქამდე თითქოსდა არარსებულ ოთახებში ჩვენი შეშვება. და რა წარმოგვიდგა თვალწინ? უზარმაზარი, პირქუში, უმკაცრესად გასაიდუმლოებული ვარშავის ხელშეკრულების სატელეგრაფო მონყობილობა, რომლითაც მხოლოდ იმ ყველაზე ზემდგომებს შეეძლოთ მიმოწერა. ვიპოვეთ შესაბამისი შიფრის მცოდნე პირი და პირდაპირ ამ ოთახიდან მისასაღმებელი ტელეგრამა გაუფუგავნე გორბაჩოვს. როგორც მოგვიანებით შევითქვე, საბჭოელებს შესატყვისად დაუფასებიათ ამ მონყობილობის ასე სწრაფი აღმოჩენის ფაქტი. შესაძლოა, ტელეგრაფი – ისევე როგორც ბევრი სხვა რამ – ჩვენგან დაფარული უნდა დარჩენილიყო. თითქოს ვიღაც სადღაც ასე მსჯელობდა: ჯერ არ

ვიცით რა და როგორ იქნება, იქნებ ზოგი რამ კიდევ დაგვჭირდესო. ან იქნებ ვინმემ ბოროტად თქვა: ეძებონ! ან სულაც დაავიწყდათ და ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩეხური მოუნესრიგებლობის კიდევ ერთი დასტური. თუმცა ფრთხილად, მესხიერებას ვერ დაენდობი, მიდრეკილება აქვს შემოინახოს უპირველესად ის, რაც საუკეთესო იყო. ცხადია, როგორც რევოლუციისას, ისე პრეზიდენტობის პირველ თვეებში გადავიტანე არაერთი მძიმე წუთი. ვინც უშუალოდ არ აგებდა პასუხს გარკვეულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ადვილად იტყვის, რომ კომუნისტებთან ასე არ უნდა გველოლიავა. მაგრამ როდესაც უპირისპირდები მონინალმდევს, რომელსაც ხელთ უპყრია მართვის ყველა სადავე და არ გინდა, დაღვრილი სისხლისთვის ცხოვრების ბოლომდე სინდისმა გქენჯნოს, შენი ყოველი ნაბიჯი საფუძვლიანად უნდა აწონ-დაწონო. თუნდაც მილიონიანი მანიფესტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გგონიათ, ადვილი საქმეა? უბრალო მიზეზი იყო საკმარისი ფსიქოზისა და ჭყლეტის წარმოსაქმნელად, საკმარისი იმისთვის, რომ ვინმე აჰყოლოდა პროვოკაციებს; სამხედრო გამანადგურებლის ერთ უბრალო გადაფრენას შეეძლო გამოეწვია ის, რომ ხალხს ერთმანეთი გადაეთელა. უნდა ვაღიარო – ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არაა. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრმა მითხრა, რომ არ იქნებოდა ეს ძნელი განსახორციელებელი ანუ გენერალურ შტაბში ვიღაცამ ასეთი გეგმა ხმამაღლა წამოაყენა კიდევ. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ბევრად უფრო სახიფათო გეგმებზეც მსჯელობდნენ, ვთქვით პრადის აღებაზე სატანკო ძალების გამოყენებით. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა გვემოქმედა. თუმცა როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ყოვლისშემძლე რეჟიმთან ასეთი პრინციპული დაპირისპირებისას სიფრთხილე არ ნიშნავდა მათთან სამომავლოდ შეკვრას.

**რას პოულობს და რას კარგავს ადამიანი „ჰრადის ზღურბლის“ გადაბიჯებისას?**

მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია ვილაპარაკო. შევჭვივდი იმას, რაც მოითხოვდა მთელ ჩემს არსებას, რამაც მთლიანად ჩამითრია და თითქმის სრულად მოგწყიდა სხვა საქმეებს. შეველიე თავისუფლებას, მევალებოდა ვყოფილიყავი

უფრო დიპლომატიური, ვიდრე მინდოდა, უფრო სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავი, ვიდრე ამას ვიზამდი, პრეზიდენტი რომ არ ვყოფილიყავი, სხვაგვარად ვიცვამდი... ამასთან, გამოვტოვე ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რასაც მხოლოდ ფუნქციის შეწყვეტის შემდეგ მივხვდი, როდესაც პირისპირ შევეჯახე არა მარტო მობილურების, მანქანების, კომპიუტერებისა და სხვა მონყობილობების ახალ თაობას, რასაც მაშინ დიდად ვერ ვადევნებდი თვალყურს, არამედ ცხოვრების სრულებით ახალ წესს, განსხვავებულს იმისგან, რომლიდანაც ოდესღაც გამოვაბიჯე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში ვცდილობდი შეძლებისდაგვარად ჩვეულებრივი ცხოვრებით მეცხოვრა, მევლო საყიდლებზე, ქუჩებში მესეირნა, ირგვლივ მიმომხედა, რათა არ მოგტყუებულიყავი. თუმცა, ეს მაინც არ იყო ნორმალური ცხოვრება. ჩვენს ქვეყანაში ეს არ გამოდიოდა. და რა მოვიპოვე? პრინციპში ერთადერთი: ვიყავი მსოფლიოში მიმდინარე დიდი ცვლილებების უშუალო მონაწილე და შემძლო ამ ცვლილებებზე უშუალოდ მომხდინა გავლენა. ეს ბედის დიდ საჩუქრად მიმაჩნია.

(13. 5. 1995)

(1) (...) ხუთშაბათს ჩვენი სახლი ყვავილებით ზღაპრულად მორთული დამხვდა. მიუხედავად ამისა, ერთმა სავსებით ბუნებრივმა შეკითხვამ მყისვე შემანყვეტინა ამ მშვენიერებით ტკობობა: ჰრადის კეთილმა მებაღეებმა სახლი არაოფიციალურად მომირთეს თუ ორშაბათს პჰა-საგან მომივა ფაქტურა 10000 კრონზე? ყოველ კვირას ასეთი მდიდრული მორთულობის საფასურის გადახდა რომ მიხდებოდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად გადაწყვეტი შესაბამისი თანხა გადამეცა თავშესაფრებისთვის, მე კი ერთი-ორი ჩვეულებრივი თაიგული ჩემით მეყიდა ხოლმე ყვავილების მალაზიაში. კიდევ: ბ. და ი. რა-ლაცას მელაპარაკებთან იმის თაობაზე თუ როგორ უჭირს პანი ოუშკოვას ჩემი პერანგების რეცხვა, რამდენი სამუშაო აქვს, გასამრჯელო კი დაბალი, შესაბამისად ყველა როგორ ცდილობს ამ ვებებერთელა პრობლემის გადაჭრას. ღმერთო ჩემო, იცით რას გეტყვი? რასაც ჩემი პერანგების ასე იდეალურად გაუთოებისთვის იმსახურებს, სრულად გადაუხადეთ, ჩემი ან

სახელმწიფო ფულიდან, კომუნალური ან-გარიშიდან, სპონსორებისაგან, საიდანაც გნებავთ, ოღონდ გამუდმებით რაღაცებს ნუ მეკითხებით და ნუ მსაყვედურობთ! და თუ ეს მართლაც ასეთი გადაუჭრელი საკითხია, მითხარით და ვიპოვი სხვა მრე-ცხავს, მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია, არავინ არის ამქვეყნად ისეთი იდეალური, როგორც პანი ოუშკოვა. ან კიდევ: ოლგა ერთგვარ სიმბოლოში იმყოფება სათბურე-ბთან და მებაღეებთან, ანვდის მათ ეგზო-ტიკურ ნერგებს, ისინი კი მისთვის ზრ-დიან რაღაც მცენარეებს და უცებ ვიგებ, რომ ეს მათი თანამშრომლობა არაღეგა-ლურია! ან თუნდაც ეს: განმომარტეს, რომ ყოველი გადასაგდები ქალაქი, როგორც ნესი, სავეს სახელმწიფო საიდუმლოებე-ბით, უნდა განადგურდეს და რომ საამისო მონყობილობას ჰრადი ვერ მათხოვებს, ამდენად, ეს ქალაქები დიდი მზრუნვე-ლობით უნდა ვაგროვო შინ, ერთ რომე-ლიმე მკაცრად გასაიდუმლოებულ ადგი-ლას და დროდადრო საიდუმლოდ ვატარო ჰრადზე გასანადგურებლად. იცოდეთ, მე აქ არავისი ტაკიმასხარა არა ვარ!! და ა.შ. ცხადია გესმით, რომ როდესაც მსგავს ფსევდოპრობლემებს მეტ დროს ვანდო-მებ, ვიდრე ისეთ მნიშვნელოვან საკი-თხებს, როგორცაა ჩეხეთ-გერმანიის ისტორიული შეთანხმება, მაქვს უფლება გავცხარდე! გადანყვიტეთ ეს საკითხები როგორც გენებოთ, ოღონდაც გთხოვთ ჩემს ჩაურევლად! და კიდევ ერთი: კეთი-ლი, კანონის მათივე ინტერპრეტაციის მიხედვით პჰა-ს ეკრძალება ჩემზე ზრუნ-ვა, როდესაც არ ვცხოვრობ მათ რეზიდენ-ციაში, მაგრამ მიჩნდება შეკითხვა, მაშინ მაინც თუ გრძნობენ რაიმე პასუხისმგე-ბლობას, როდესაც მათ რეზიდენციაში ვიმყოფები? თუ გრძნობენ, მაშინ ვეკი-თხები, როდის ამინაზლაურებენ იმას, რაც მოიპარეს რეზიდენციის გარემონტებისას (90 000 ჩეხური კრონი ნაღდი ფული, ტე-ლევიზორი, რადიო, დიქტოფონო, მაგნი-ტოფონი, ახალი უთო, და ა.შ.) და ამით, ამ თემას სამუდამოდ ვასრულებ. (...)

2) ახალი ამბებიდან, რომლებსაც ეს-ესა ვუყურებ, ჩანს, რომ რუსებმა წლის-თავთან დაკავშირებული ომის შეწყვეტის შემდეგ, უმაღლ უმძლავრესი შეტევა მიი-ტანეს ჩეჩნეთზე. ეს დიდი ღორობაა და ამიტომ გთავაზობთ, რომ იმას, რასაც ლ. ეტყვის ლებედევს, დაემატოს ჩემი მკაცრი

მონოდება ელცინისადმი სასწრაფოდ შე-ჩეროს სამხედრო მოქმედებები. ხომ არ აჯობებდა, რომ მონოდებას წერილობითი სახე ჰქონდეს? ან იქნებ პირადად გადა-ვცე?

**რას გრძნობდით, როდესაც კომუნის-ტურმა პარლამენტმა აგირჩიათ პრეზიდენ-ტად? ამას უყურებდით, როგორც თქვენს თუ როგორც მათ დამცირებას?**

ვერ ვიტყვი, რომ ეს ვინმეს ამცი-რებდა, თუმცა შეგრძნება უდავოდ გან-საკუთრებული მქონდა. მასხოვს, როგორი აბსურდის შეგრძნებით ვუყურებდი ტე-ლევიზორში საპრეზიდენტო არჩევნების დებატებს, სადაც ჯერ კიდევ სახელმწი-ფოს ხელში მყოფი ყველა არსებული ორ-განიზაციის სახელით, ამომრჩევებს ჩემი არჩევისაკენ მოუწოდებდნენ, დანყბუ-ლი ქალთა კავშირით და დამთავრებული ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიით. წარ-მოიდგინეთ, იგივე ხალხი სულ რამდე-ნიმე დღის წინ ხმამალა უჭერდა მხარს ჩემს დევნასა და დაჭერას! ეს ყოველივე მართლაც ნაგავად სცენას „მეფე უბუ-დან“. მაგრამ უსამართლო ვიქნებოდი, ამ ყველაფრისთვის მხოლოდ დაცინვით რომ მეყურებინა; ეს ტოლფასი იქნებოდა პოლიციის დაცინვისა, რომ ყველა ერ-თად არ დაგვიჭირა, ან ჯარის დაცინვისა, რაიმე პუტჩი რომ არ მოახყო. ცხადია, პარლამენტის ასეთი ქცევის უკან მნიშ-ვნელოვანი იდგა შიში, მაგრამ ამ შიშს, შესაძლოა მკრთალ ზოლად, მაგრამ მაინც, სახელმწიფოს წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობაც გასდევდა. ყველგან ჩემი სახელი ეწერა და გაკრული იყო ჩემი პორტრეტები – ამას ვერავითარ-ი ცენტრიდან მართული თუ ძვირადღი-რებული საარჩევნო კამპანია ვერ შეძლე-ბდა – პარლამენტი გარშემორტყმული იყო სტუდენტებით, რომლებიც დეპუტა-ტებს სთავაზობდნენ პურსა და მარილს იმის ნიშნად, რომ სურთ ძალაუფლების ახალი ძალებისთვის გადაცემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ჩემი არჩევა კი იქცა რევოლუციის ერთგვარ დაგვირგვინებად, ბოლო გამოცდად. დეპუტატებმა გადა-ვლეს თვალი საქმის რეალურ ვითარებას და, შესაძლოა უხალისოდ, მაგრამ ცნეს საყოველთაო ნება. არც ერთმა ჩვენგან-მა არ იცოდა რა მოხდებოდა, რომ არ ვყოფილიყავი არჩეული. მათ კი ოდნავი

განსჯის უნარი მაინც თუ გააჩნდათ, უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ სხვა არა დარჩენო-დათ რა.

(2. 3. 1998)

1) ამ შაბათ-კვირას ბოლო დროის ყვე-ლაზე საშინელი დებრესია მქონდა. ეს ალბათ ჩვენს უკანასკნელ კრებასაც დაე-ტყო – ჩემს შესავალ სიტყვას. თუ ვინმეს გუნება-განწყობა გაუფუფუჭე, ვუბოდიშებ. მეორე მხრივ, ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩემს თანამშრომლებს სრულებითაც არ აწყენ-დათ ხანდახან თავისი შეფის ჩაბნელებულ სულში ჩახეხდათ-მეთქი.

2) დებრესიაში მყოფმა, ცხადია, ვერაფე-რი დაგწერე. მხოლოდ დღეს (ორშაბათს) ნაშუადღევს, ნებისყოფის უსასრულო და-ძაბვით ვძლიე თავს და დაგწერე პოლონე-თის გამოსვლა. გიგ ზავნით შესაფასებლად. როგორც კი გამომიჩნდება დრო და უკეთე-სი განწყობა, შენთვის გამოსვლასაც გადა-ვხედავ. დღეს აღარ მოესწრება.

3) (...) არ ვიცი როგორ, მაგრამ ვხვდები, რომ უნდა გამოიყოს დრო ცალკე გამოს-ვლების საწერად და ცალკე – დასვენებო-სათვის. უკვე წლებია, უიკენდი ჩემთვის გამოსვლების წერის ტოლფასია. ეს და-მორგუნველია. კაცს გასეირნების გეშინია და საერთოდ, სხვა ყველაფრისაც, რადგა-ნაც გაუკეთებელი სამუშაო განევს და ასე „დაზაფრული“ ატარებ მთელ უიკენდს, იმისთვის, რომ მერე იმედეგაცრუებულმა კვირა საღამოს ან ორშაბათს დაწერო. ეს მძიმეა. გამოსვლების წერაც მუშაობაა და, ყველა სხვა საქმიანობის მსგავსად, უნდა დამიგეგმოთ ისე, რომ გამომითავისუფლ-დეს უიკენდები და სხვა დასვენების დღე-ები. ვილაცამ ესე დაწერა გაზეთში „მლადა ფრონტა დნეს“ იმის შესახებ, რომ ვემსგა-ვსები ორდინარულ პოლიტიკოსს. არ ვიცი, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი გამოსვლები აღარ არის მთელი გულით ნაწერი და ენამახვილური. (...)

**თქვენი დიდი ენთუზიაზმისა და ჰიპერა-ქტიურობის ხანაში, რომელიც უკვე ახსე-ნეთ, დაიბადა ვიმეგრადის იდეა, რომელმაც მოგვიანებით მოიპკა ვაცლავ კლავის ხან-გრძლივი და საფუძვლიანი კრიტიკა. ხომ არ გეჩვენებთ, რომ მაშინ ეს იყო ჯერ კიდევ მოუმზადებელი და დაუხვეწელი პოლიტი-კური პროექტი?**

დასაწყისში ეს არავითარი პროექტი არ იყო. ეს იყო შეხვედრა, რომელიც ბრატისლავის ჰრადზე 1990 წლის აპრილში მოვანყვე. ეს იყო კომუნისმის საყოველთაო ნგრევის ხანა, რომელიც ყოველ ქვეყანაში თავისი საკუთარი გზითა და ტემპით მიმდინარეობდა. ხელისუფლებაში მოდიოდნენ სრულებით განსხვავებული ვითარებიდან გამოსული ადამიანები, რომელთა შესახებაც ისიც კი არ ვიცოდით, თუ რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი გარკვეულწილად ცენტრალური ევროპის ერთიან ზოლს ქმნიან და ისტორიულ-კულტურულად ერთმანეთთან ახლოს არიან. გარდა ამისა, კარგად არის ცნობილი, რომ იშვიათად თუ იყვნენ ერთმანეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებში და რომ პირიქით, ხშირად ეომებოდნენ კიდევ ერთმანეთს. ევროპას მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვა, თუ როგორ მოიქცევიან ეს ახლად შობილი დემოკრატიები, ყოველი მათგანი თავის გზას შეუდგება თუ მეტ-ნაკლებად სინქრონიზებულ პოლიტიკას გაატარებენ ან ხომ არ გამოიღვიძებს არქტიკული მტრული დამოკიდებულებები. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, აინტერესებდათ, ევროპისთვის, როგორც მთლიანისთვის, რისი მომგანი არის ეს ძირეული ცვლილებები მის ცენტრალურ ნაწილში და რა შედეგებს გამოიღებს. მე კი დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ მეგობრულსა და საქმიან ატმოსფეროში ერთობლივად გვესაუბრა ამ მოვლენების ირგვლივ და თან გაგვეცნო ერთმანეთი. ამიტომაც მოვიპატიჟე სამივე ჩვენი ქვეყნის არა მარტო უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, არამედ ისინიც, ვინც ქმნის და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ამ ქვეყნებში. ჟურნალისტებისა და მათი თანმხლებლის ჩათვლით, ბრატისლავის ჰრადზე ასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ეს ერთი დიდი იმპროვიზაცია იყო, არ დაგვიწესებია შეხვედრის ჩატარების წესები, წინასწარ არ განგვისაზღვრავს სასაუბრო თემები, არავითარი გამომსვლელთა წინასწარ დადგენილი თანამიმდევრობა, არავითარი სამეთვალყურეო დელეგაციები და სალონები ცალკეული დელეგაციებისთვის. მასხენდება, რომ ლუბომ დობროვსკიმ, ვიზიტის სრული მოუმზადებლობის მიზეზით დაწყებამდე ერთი დღით ადრე შემომთავაზა მისი ჩაშლა. ეს იყო უჩვეული სადისკუსიო ფორუმი, სადაც მონაწილეებს

უხდებოდათ თვითონ წარედგინათ საკუთარი თავი, ეს ერთადერთი საშუალება იყო გაგვერკია ვინ იდგა შენ წინაშე, მინისტრი, პარტიული ხელმძღვანელი, ისტორიკოსი თუ ჟურნალისტი. მე იქ გრძელი შესავალი სიტყვა მქონდა, რომლის წარმოთქმისას, ისევე როგორც შემდგომი დისკუსიების დროსაც, საშინლად ვიტანჯებოდი, რადგან ახალი გაკეთებული მქონდა თიანჭის ოპერაცია და კუჭ-ნაწლავის პრობლემები მანუხებდა, საშინელი კუჭის აშლილობა მქონდა და ეს მაშინ, როდესაც ვიყავი ამ შეხვედრის ინიციატორი, ერთადერთი, ვისაც არ შეეძლო ასე უბრალოდ ადგომა და განსაზღვრული დროით გასვლა. ალბათ, აღნიშნულ პრობლემას უნდა ვუმაღლოდე, რომ ასე კარგად დამამახსოვრდა მთელი ის მოვლენები. მიუხედავად ასეთი არეულობისა, გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო იმ დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. ზუსტად იქ შევეთანხმდით, რომ გვიანდა ვარშავის ხელშეკრულების შეწყვეტა, ჩვენი ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარების რაც შეიძლება სწრაფი მოშორება, კარის გაღება ისეთი დასავლური ორგანიზაციებისთვის; როგორებიცაა, ნატო, ევროპის კავშირი და, რაც მთავარია, ამ მხრივ არა მარტო თანამშრომლობას და ქმედებების კოორდინირებას, არამედ გარკვეული მიზნების მიღწევის საქმეში ჩვენი ძალების შეერთებასაც ვესწრაფვით. ამავდროულად დასავლეთს ვუჩვენეთ, რომ მართალია, ჩვენს ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები სრულიად განსხვავებული გზებით განხორციელდა და უმაღლეს თანამდებობებზეც განსხვავებული პიროვნებები აღმოჩნდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამთავრდა უთანხმოების პერიოდი და იწყება რკინის ფარდის მსხვერვის შემდგომი ეტაპი, ახალი ევროპის მშენებლობის საქმეში შემოქმედებითი თანამშრომლობის ხანა. შემდგომშიც ხშირად ვიკრიბებოდით, ცხადია, წინასწარ დაგეგმილ და უკეთ ორგანიზებულ შეხვედრებზე და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იქიდან, რასაც იმ პერიოდში მივალნიეთ ევროპაში, ვიშეგრადის თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებდით. ბალკანეთისა თუ ბალტიისპირეთის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსაც ჩვენი მაგალითის მიხედვით ორიენტირების და ჩვენი გზით სიარულის საშუალება მიეცათ, შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ჩვენს მცდელობებს და ამავდროულად დაგვხმარებოდნენ

კიდევ. ვიშეგრადის ჯგუფი პირველად უნგრელმა ჟურნალისტებმა გვიწოდეს, ეს მოხდა უნგრეთის ვიშეგრადზე შეხვედრის შემდეგ, სადაც ხელი მოეწერა დოკუმენტს ჩვენი ჯგუფის იურიდიული ჩამოყალიბების შესახებ. მაშინდელი უნგრეთის პრემიერი ისტორიკოსი იყო და შეხვედრა ზუსტად იმ ადგილას მოაწყო, სადაც რამდენიმე ასეული წლის წინ ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის მეფეები. ეს ისტორიული დოკუმენტი ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დაფუძნებულ, რომ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი გუნდისათვის ვიშეგრადის ჯგუფი არ გვიწოდებია.

**(ვაშინგტონი 26. 4. 2005)**

*ისევ იქ ვარ: „ჩეხუკელობა“. იზრუნე მხოლოდ საკუთარ თავზე, სხვის საქმეებში ნუ ეკეხები, მოიკუნტე და მოიკუზე. ჩვენ მაღალი მთებით ვართ გარშემორტყმული, მსოფლიო ქართველები თავს გადაგვიქროლებენ და გავაგრძელებთ საკუთარ კარ-მიდამოში ქოთქოთს. რამდენი ბრძნული ნაშრომი თუ არა მთელი წიგნი, დაეთმო ამ ჩვენს შინაურ ეგოიზმს. ჩემს ან უკვე გარდაცვლილ მეგობარს, ლიტერატურულ კრიტიკოსს იან ლოპატას, ერთხელ ნაშუადღევს, გამვლელებით გადავსებული პრალის ერთ-ერთი მოედნის შუაგულში შეუტია მისმა დაავადებამ და ძირს გაერთხა. ამბობენ, რომ მთელი ორი საათი გავიდა, სანამ ვიღაც მიეშველა და სასწრაფო გამოიძახა. სხვის მიმართ გულგრილობას, ხშირად, როგორც ეროვნულ პროგრამას, ისე გვანვიან და ბევრი ამას ეთანხმება. ცხადია, არა ყველა და არა ყოველთვის. იმ უბნელეს დროებაშიც კი გამოჩნდებოდა ხოლმე გულისხმიერების სათაყვანებელი მაგალითები. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, „ჩეხუკელობა“, როგორც პროფესორმა ვაცლავ ჩერნიმ უწოდა ამ მოვლენას, დღესაც არსებობს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების თვალმისაცემი ფენომენი და ისევ და ისევ რაიმე ახალი სახით ამოყოფს ხოლმე თავს ჩვენს პოლიტიკაში. გეუბნებით, არ არის ეს გენეტიკურად მოცემული ეროვნული ხასიათი, არამედ ისტორიულად ფორმირებული ქცევის თავისებურება. არ ვიცი ეს როდინდელი ფენომენია, ალბათ უფრო ბილაა ჰორას ან მარია ტერეზას როდინდელი, როდესაც იმპერიის ცენტრმა ნელ-ნელა პრალიდან ვენაში*

გადინაცვლა და პრალა ევროპის მნიშვნელოვანი მეტროპოლიიდან ერთ პროვინციულ ქალაქად გადაიქცა. ალბათ, თავისი როლი შეასრულა უკვე ნახსენებმა, ჩვენი ეროვნული გამოღვიძების „პლემურმა“ ხასიათმა. გაიხსენეთ, ჩვენი ეროვნული ბიბლიის, ბოჟენა ნემცოვას რომანის, „ბეზიას“ მთავარი გმირი. მისთვის ხომ ცხოვრების უნშიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის ერთი წამი, როდესაც მინდორში შეხვდა იმპერატორს, „გარე ძალის მმართველობის“ განსახიერებას, რომელმაც მას ერთი ტალერი აჩუქა! ჩვენს თანამედროვე ისტორიაში მეორდება ხოლმე სიტუაცია, როდესაც საზოგადოება აგულიანდება და მზად არის სამოქმედოდ, რასაც წინამძღოლების მოულოდნელი უკანდახებითი მანევრი მოჰყვება ხოლმე, ან მათი განზე გადაგომა, კომპრომისი, ზოგჯერ სულაც კაპიტულაცია, რაიმეს დათმობა და განიზა. ცხადია, ეს ყველაფერი ეროვნული გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება, ხოლო საზოგადოება ჯერ ტრავმას ლეზულობს, შემდგომ სწრაფად თმობს პოზიციებს. ასე ვთქვათ, გაგებით ეკიდება თავკაცების ქმედებებს, შემდეგ კი მას ეუფლება აპათია ან სულაც, დამბლა ეცემა. საზოგადოებრივი ცხოვრება ეფლობა ტალახში, მედიას ეუფლებიან გარეწრები და თავისუფლების სულისა და ადამიანის ღირსების შენარჩუნებას ცდილობენ მხოლოდ ვიღაც დისიდენტები თუ მემბოხები, რომლებსაც საზოგადოების უმეტესობა უყურებს როგორც პროვოკატორებს, რომლებსაც დანარჩენებისთვის მხოლოდ ხიფათი მოაქვთ. ასე იყო მიუნხენის შემდგომ ეპოქაში, პროტექტორატისას, რომოცდაათიან წლებსა და 1968 წლის საბჭოთა ოკუპაციის დროსაც. დასაწყისში ისმის „გვილატეს“, „გაგვიდეს“, „ყველა ჩვენი წინააღმდეგ შეთქმულა“, რასაც მოჰყვება ხოლმე დაახლოებით შემდეგი „არაფერს აქვს ფასი“ და ფარდა ეშვება ეროვნული სულის ყვირილით, საუბრებით „ეროვნული ინტერესების“ შესახებ და ჩუმი თანხმობით რომელიმე უმცირესობის დევნაზე. იმარჯვებს „ჩეხუკელობა“, ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით.

**(ვაჰინგტონი 25. 4. 2005)**

კიდევ ერთი რამ, რაც აქ აღმავრთოვანებს: ამ ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა. არა იმიტომ, რომ ყოველი მესამე სახლის წინ

ეროვნული დროშა ფრიალებს, არა, ამაზე ბევრი სხვა, თვალში ნაკლებად საცემი, ფაქტიც მეტყველებს. გუშინ ვუყურე გადაცემას, სადაც ვიღაც ბოროტმოქმედის და საუბრობდა. მე მგონი, სიკვდილისჯიბი პედოფილი მკვლელის და იყო. ეკითხებოდნენ თუ რას აპირებს, ხომ არ უნდა ძმის დანაშაული რაიმე გზით ანაზღაუროს. წყნარად, ღიმილით, თითქოს ეს თავისთავად იგულისხმება, განაცხადა, რომ სურს ემსახუროს შეერთებულ შტატებს რაიმე რთული ამოცანების შესრულების გზით, ვთქვათ, ომში წასვლით. ეს დამარწმუნებლად და გულის ამაჩუყებლად ჟღერდა. ჩვენში ხომ ეს წარმოუდგენელია. ხალხი, ერთი მხრივ, ამ ადამიანს, მეორე მხრივ კი ტელევიზიას დაუპირებდა ჩაქოლვას.

**ამწვევით რაიმე გამაფრთხილებელ ნიშნებს იმის შესახებ, რომ ჩვენს ხალხებს შორის რაღაც არ არის წესრიგში?**

მართალი გითხრათ, ამაზე უკვე ახალგაზრდობაში ვფიქრობდი, გარკვეულად გამაფრთხილებელი მქონდა თანაგრძნობა მათ მიმართ, ვინც სხვის ჩრდილშია, უმცირესობაში იმყოფება ან გარიყულია. ჩემი ამ თავისებურების და მისი წარმოშობის შესახებ უკვე იყო საუბარი წიგნში „დაკითხვა შორიდან“. ვგრძნობდი, რომ სლოვაკეთი ოდნავ განსხვავებული ქვეყანაა და რომ მათ სწყინთ, როდესაც ჩეხები უყურებენ მხოლოდ როგორც საკუთარი თავის ჩამორჩენილ სახეობას. მაგალითისათვის გავიხსენოთ, რომ უკვე სამოციანი წლების შუაში, როგორც მწერალთა კავშირის მემბოხის სახელის მქონე ახლად მიღებული წევრი, გამოვედი ამ ორგანიზაციის ფედერალიზაციის წინადადებით. ვამბობთ რა, რომ ენა და ლიტერატურა ერის მთავარი ატრიბუტებია, თუ არა მწერალთა კავშირს, მამ სხვა რომელ დანესებულებას უნდა ჰქონოდა ფედერალური მოწყობა? ისიც ისევე, როგორც ყველა სხვა იმდროინდელი დანესებულება, მოწყობილი იყო ეგრეთ წოდებული ასიმეტრიული მოდელის მიხედვით. ცხადია, კავშირის ყველა წევრმა დამცინა, სხვათა შორის, იმ სლოვაკების ჩათვლით, მოგვიანებით (მაშინ, როდესაც აღარაფერი ემუქრებოდათ) სლოვაკეთის დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით რომ იბრძოდნენ. გასაგებია, 1968 წელს, რეჟიმის პირველი მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის პერიოდში, ფედერალიზაციის

საკითხის ირგვლივ უამრავს მსჯელობდნენ, ოღონდ შემდეგ მოვიდნენ უცხოეთის ჯარები და ის, რაც მოჰყვა ამ საუბრებს, იყო ფედერალიზებული ტოტალიტარიზმი. ჩვენი რევოლუციის მსგელობაში კარგად მესმოდა, რომ ცვლილებები ამ საკითხსაც აუცილებლად უნდა შეხებოდა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა თუ რა გველოდა კონკრეტულად. ეს განსაკუთრებით კარგად გავაცნობიერე, როდესაც მოძრაობის „საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ“ ხელმძღვანელები სახალხო ფორუმთან მოსალაპარაკებლად გვეწვივნენ. ჩვენ ყველანი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და მეგონა, რომ ეს იქნებოდა ჩვეულებრივი მორიგი საუბარი ყველას ყველასთან. თუმცა, შეხვედრის დაწყებისთანავე გამიჩნდა შეგრძნება, რომ ეს არის ორი დედეგაციის ბილატერალური მოლაპარაკებები, რომ თითქოს ჩვენმა მხიარულმა ძველმა მეგობრებმა ჩამოიფარეს ნიღბები სერიოზული გამომეტყველებით და წინასწარ დათქვეს თუ ვინ ვის შემდეგ გამოვა სიტყვით. რეალურად მაშინ ჩვენ შორის არანაირი უთანხმოება და კამათი არ წარმოქმნილა, მაგრამ მე გავოგნდი. საუბედუროდ, ჩეხები მაშინ ასეთ „წერილობანებს“ არ აქცევდნენ ყურადღებას, თუმცა შეეძლოთ თავი აერიდებინათ არაერთი იმედგაცრუებისა და ტრავმისათვის.

**ჩეხოსლოვაკიის გაყოფა გარკვეულ ტრამას ნიშნავდა?**

ვფიქრობ კი, განსაკუთრებით – ჩეხებისთვის. რამეთუ მათში ფესვგადგმული იყო შეხედულება, რომ ჩვენ ორი ტოტი ვართ ერთი ხისა, რომ ჩვენი ერთობა ბუნებრივი რამაა და თუ სლოვაკეთში ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, გიჟია ან ფაშისტი. ზოგი საეჭვო სლოვაკი ნაციონალისტი კი კიდევ ერთხელ უდასტურებდა ჩეხებს ამ შეხედულებების მართებულებას. ალბათ, დიდი იყო ჩეხებს შორის ქედმაღლობა, ბრატისლავას დაუფიქრებლად პრალის პატარა „ფილიალად“ ვთვლიდით. არ მიყვარს ხოლმე ჩვენი გაყოფის მომდევნო პერიოდის გახსენება. რამხელა ღვარძლმა აავსო მაშინ ჩვენი პრესა! „მოგვმორდნენ!“ იყო დღის მთავარი მოწოდება. „აღარ ვარჩენთ“, „არ შევანელებინებთ ჩვენს წინსვლას“, „ვიყავით მანამდე და ვიქნებით მათ შემდეგაც“, „დაე მოგვწყდეს ტვირთი“ და ა.შ, ასეთი იყო განწყობა საზოგადოებისა და პრესის. უმადურ სლო-

ვაკებზე უფრო თავს ესხმოდნენ იმათ, რომლებიც სახელმწიფოს ერთობის შენარჩუნებას ცდილობდნენ და წააგეს ბრძოლა. ესენი იყვნენ „ამემარცხენე ფანატიკოსი ინტელექტუალები“. წილად მხვდა პატივი და მეც ამ კატეგორიას მიმაკუთვნეს. ძალიან წააგავდა ეს მასარიკის, ბენეშისა და ჩაპეკის დევნას მიუნხენის შემდეგ. მაგრამ მთავარი და უმნიშვნელოვანესი შემდეგი რამ არის: მაშინდელი ტრავმები ძალიან სწრაფად მოშუშდა და შესაძლოა, რომ დღეს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობა ბევრად უკეთესია, ვიდრე ოდესმე.

(პრადეჩიკი 10. 7. 2005)

გავიქეცი. გავიქეცი ჰრადეჩეკზე. ვარ მარტო, გულს დარდი მანევს. ყველაფერი ამ კედლებში გატარებულ ათწლეულებს მაგონებს. მიყვარს აქ ყოფნა. ეს ჩემი თავშესაფარია, ჩემი საარსებო გარემო. ისევ და ისევ ვაცნობიერებ, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს და უკვე სხვა ვარ, აღარ ვარ ის, რაც ვიყავი, როდესაც პიესებს ვწერდი, ექსპერიმენტულ კერძებს ვამზადებდი, მხიარულ საღამოებს ვუძღვებოდი და საიდუმლო დისიდენტურ შეხვედრებს ვატარებდი. ვარ უფრო ასაკოვანი, უფრო ავადმყოფი, უფრო დაღლილი. არ ვიცი რატომ, მაგრამ თითქოს სულ უფრო მეშინია სამყაროსი და ადამიანების. უბრალოდ, ვინმეს რომ დაეურეკო, ესეც კი მიჭირს. ამ ყველაფერს ცუდი ამინდიც ერთვის. უკვე ექვსი თვეა, რაც ამერიკიდან ჩამოვედით, მაგრამ ამ წიგნის წერას მხოლოდ ახლა დავუბრუნდი. პრადეჩიკი ამაზე ფიქრის დროც კი არ მქონდა.

ცვლილებებით შუამავლების, შუამავალთა შუამავლების, ლობისტების, კონსულტანტების, PR აგენტების ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ხდება ხოლმე ის, რომ ვინმეს ფულს უხდიან, რათა მან ერთ ადამიანს გააცნოს მეორე, რომელმაც მესამეს უნდა გადაუხადოს იმისათვის, რომ ის შეახვედროს ვიღაცას, რომელიც მას ურჩევს როგორ გააკეთოს ფული იმაზე, რაც ანარმთა ვიღაც სხვამ. რატომ არის, რომ ჩვენ იმდენივე ვართ, რამდენიც ვიყავით, შუამავლების რიცხვი კი გამუდმებით იზრდება? მიკვირს როგორ მიიღო ხალხმა შუამავლობის ეს უკიდევანო კოსმოსი და რაც მთავარია, როგორ ვახერხებდი ამ, ჩემთვის უცხო სიტუაციაში პოლიტიკური (რომელ-

შიც ასე ცუდად ვერკვევი) ფუნქციის შესრულებას.

**წლების მანძილზე ინერგა თქვენი შეცდომების შესახებ, ხან მეტი, ხან ნაკლები. ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ამ თქვენს შეცდომებთან დაკავშირებით? თავად როგორ უყურებთ ამ ამბავს დღეს?**

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ჩემი, როგორც ეროვნული გმირის, წამებულის, რევოლუციის ბელადისა და ბოლოს პრეზიდენტ ფილოსოფოსის გაღმერთების ეპოქას მოჰყვა გარდაუვალი ნაბახუსევის მდგომარეობა, როდესაც ჟურნალისტებმა ჩემ წინააღმდეგ გალაშქრების მოთხოვნა იგრძნეს, რათა სულელებად არ გამოჩენილიყვნენ. ვთქვათ, 1993 წელს, როდესაც ჩემი კანდიდატურა პირველად წარვადგინე პრეზიდენტის თანამდებობაზე, ერთ-ერთი ტელევიზიის წამყვანი რალაცას აცხადებდა ჩემ შესახებ და ჩემს სახელს ავტომატურად მიაყოლა, რომ უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული. ეს ეპოქის კლიშე იყო, ამას ავტომატურად მოაყოლებდნენ სახელსა და გვარს, ისევე როგორც თანამდებობასა და ტიტულს. იმ წამყვანისთვის (სხვათა შორის ჩემი კარგი ნაცნობია), რომ გეკითხათ, კონკრეტულად თუ რომელ შეცდომებს გულისხმობ, დარწმუნებული ვარ დაიბნეოდა, რადგანაც მსგავსი შეკითხვისთვის არ იყო მზად და არც არავინ სვამდა მსგავს შეკითხვებს. მეც ავიღე, სახუმაროდ კომპიუტერზე ამოვბეჭდე სავიზიტო ბარათი წარწერით, მრავალი მცდარი ნაბიჯისა თუ შეცდომის ავტორი ვაცლავ ჰაველი და გავუგზავნე ხსენებულ წამყვანს. ამბობენ, კარგა მაგრად შეშინებია. მართლაც, არ მესმის, ამით რისი თქმა უნდათ ხოლმე. ალბათ, ყველა სხვადასხვა დანაშაულს მანერს და ყველა ერთად კი – მთელი სამყაროს უბედურებებს. მეორე მხრივ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ჩემი ხასიათის პატრონს ანუ ადამიანს გამუდმებული ეჭვებით საკუთარ თავთან დაკავშირებით, თითქოს მგონია, რომ ცხოვრებაში არასდროს არც ერთი შეცდომა არ დამიშვია. ეჭვს გარეშეა, ბევრჯერ შევმცდარვარ. ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა დამესახელებინა ჩემი შეცდომები, ეტყობა თვითონაც გასარკვევი ჰქონდა, თუ რა შეცდომებზეა საერთოდ ლაპარაკი. მე კი ვუპასუხე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეცდომები კარგად ვიცი, არ ჩამოვუ-

თვლი და ამით არ გავუმარტივებ შრომას. აილოს და თვითონ ქექოს, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მისი, როგორც ჟურნალისტის ამოცანაა. ამ პასუხით, რომელიც ყველას განსაკუთრებულად ჩარჩა მესხიერებაში, ჩემთან დაკავშირებული ჟურნალისტური კლიშე კიდევ უფრო გავამდიდრე, ბრალი დამედო, რომ ვმაღავ ჩემს შეცდომებს და ამიტომ გახშირდა მონოდეტები, ვალიარო ისინი. ერთგვარ „დაკითხვობანა-ალიარებობანის“ თამაშს დაემსგავსა სიტუაცია. ერთი კი არის, უნდა ვალიარო, არ ვარ არანაირი მოსიარულე ლეგენდა და ზღაპრული პრინცი. ერთი მიწიერი არსება ვარ, რომელიც ყველა დანარჩენივით ცხოვრების ბილიკზე შეცდომების, გაუმართლებელი მოლოდინების და მცდარი ქმედებების კვალს ტოვებს. ამგვარი აღსარების დაძალება არ მჭირდება, ამას ხომ ჩემითაც ყოველ ნაბიჯზე ვალიარებ. მაგრამ მოდით სერიოზულად, თუკი მომსვლია შეცდომები, ამაში ლომის წილი ჩემს დაბნეულობას მიუძღვის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობასა და ზრდილობიანობას, რომელიც კომპრომისულობას ესაზღვრება ხოლმე (იხილეთ რაშიდის შემთხვევა). არასოდეს ვიცოდი იმ ავტორიტეტის გამოყენება, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, რომელიც გამაჩნდა. სხვათა შორის ვერც მისი შენარჩუნება შევძელი. ხშირად მოვლენას თვალყურს ვადევნებდი დაბნეულად, მაშინ, როდესაც შემეძლო სიტუაციის გადარჩენა და არა ჩემი კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით, არამედ ჩემი არაფორმალური, პირადი ავტორიტეტის ხარჯზე, რომლის გამოც ჩემი სიტყვები უფრო სერიოზულად იქნებოდა მიღებული. წარმოიდგინეთ, რამდენი მკაცრად კრიტიკული და იმავდროულად, კონსტრუქციული გამოსვლა მქონია, პოლიტიკოსები ზრდილობიანად ტაშს მიკრავდნენ, ზოგიერთი ფარულად მხარზე ხელსაც კი შემომკრავდა ხოლმე კმაყოფილებით, მაგრამ საბოლოოდ, ჩემი სიტყვებიდან არავის არაფერი მიუტანია გულთან ახლოს. შეიძლება ზუსტად ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჟურნალისტები ხშირად მეოცნებედ, უტოპისტად და იდეალისტად მომიხსენიებდნენ ხოლმე. მაგრამ მე არ შემიძლია არ ვიყო ის, ვინც ვარ. ცხადა, თავის დროზე თეორიულად შემეძლო ხელთ მეგდო ძალაუფლება სამოქალაქო ფორუმში, მექცია უმძლავრეს პარტიად, მომეპოვებინა მისთვის ფული, მეთამაშა

უმრავლესობის ინსტიტუტებზე და შემდეგ მათ დავერდნობოდი ხელისუფლებაში. მაგრამ ასე რომ მოვეცეულიყავი, განა ეს მე ვიქნებოდი? და საერთოდ შევძლებდი კი ამას? წარმოგიდგენივართ ამ როლში?

(...)

ვიზიტის კონცეპტუალური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადებით, ისევე როგორც მისი მსვლელობით, უზომოდ კმაყოფილი ვარ. ვიზიტს გააჩნდა ყველაფერი ის, რასაც გამუდმებით მოვითხოვდი ანუ იდეა, ეთიკა, არქიტექტურა, სტილი... გასაგებია, რომ მათ სამზარეულოსა და შინაურ საქმეებში კარგად ჩახედული არ ვიყავი, მიუხედავად ამისა, ვიზიტს ვუყურებ როგორც მშვენივრად ორგანიზებულსა და კარგად ჩატარებულს, რომელმაც გადააჭარბა თავისი მიმდინარეობითა და მნიშვნელობით ჩემს ყოველგვარ მოლოდინს. ამდენად, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ კმაყოფილებას და მადლიერებას რპკ-ს ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომელმაც ეს დაიმსახურა. აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ გადავერთვები ზოგიერთ წვრილმანზე, რომლებთან დაკავშირებითაც მაქვს კრიტიკული შენიშვნები ან შინაგანი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

2) გასაგებია, რომ ყოველი ზედმეტი მონაწილე ვიზიტს ართულებს. ამიტომ ვკითხვლობ, ბევრნი ხომ არ ვიყავით? ამავედროულად, თითქოს ვერ ვიხსენებ ვერავის, ვინც ზედმეტი იყო.

3) მინისტრებთან და მათ ამაღლასთან თანამშრომლობის საკითხი, უმჯობესია სიტყვიერი გარჩევისათვის შემოვიანახო. კოჩარნიკმა და სებალამ ბევრი საქმე გააკეთეს და სირთულეები არ შეუქმნიათ. მათი თანამშენებები რას აკეთებდნენ არ ვიცი, თუმცა შესაძლოა რაიმე მნიშვნელოვანს აკეთებდნენ კიდევც, სიამოვნებით დავიჯერებდი ამას. ზილენიციტან დაკავშირებით საქმე უფრო რთულად იყო. პოლიტიკური თანამშრომლობა მასთან კარგად გამომდიოდა, მცირედი უთანხმოებაც კი არ გვექონია, პირიქით, კარგად ვავსებდით ერთმანეთს. სხვა მხრივ კი საკმაოდ ორაზროვან როლს ასრულებდა (ზურგს უკან ყველა გაჭორა რპკ-ში. პატარა-პატარა მახის დაგება, მის თანხმობათა გაუგებარი როლი, მისი დროგამოშვებითი უხასიათობა იმ მიზეზით, რომ ჩემს ჩრდილში იმყოფება, არასაკმარისი კომუნიკაბელურობა, მცდელობები გამხდარიყო უფრო თვალში-საცემი და მისი). მეტიც, კულისებს მიღმა ცდილობდა კოჩარნიკსა და საბელაზე უარყოფითი გავლენის მოხდენას (რომ მასავით ჩემს ჯინზე ემოქმედათ ხოლმე და რპკ-ს წინააღმდეგ ყოფილიყვნენ განწყობილი). მისული, საპარლამენტო ლიდერები, მთელი დიპლომატიური კორპუსი, არმიის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სასამართლო, ბანკირები, ბიზნესმენები და ა.შ., ერთი სიტყვით, ყველა, ვინც ამ ქვეყანაში რაიმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, შევამჩნიე, რომ ჩეხები იდგნენ და საუბრობდნენ ძირითადად ისევე ჩეხებთან. ეს ძალიან უხერხულად, მეტიც, შეიძლება ითქვას, გომიურად გამოიყურებოდა.

რპკ-დან ზოგიერთი თავს განაწყენებულად იგრძნობს, რადგანაც მასპინძლებსაც ესაუბრებოდა. ნუ განაწყენდება, გამოინაკლისი კანონზომიერებას ადასტურებს. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ მე გადავიტანე ის კომპარი, რომ საითაც არ გავიხედე, ვხედავდი ათობით ტაილანდელებს შორის მდგარ და ერთმანეთში მოსაუბრე ჩეხებს, ან სულაც განმარტოებულებს. (...)

5) როგორც ყველას მოგეხსენებათ, მიყვარს რესტორნები, ვარ ცნობისმოყვარე და ვერაფრით გამაკვირვებს კაცი. ამიტომაც, როდესაც მივაბიჯებდი ბანგკოკის განთქმულ ავენიუზე, რომელიც თქვენც ყველამ კარგად იცით, გული მენვოდა, ერთიკიული გართობის ქუჩებს რომ ჩავევლიდი ხოლმე. ერთხელ ცხოვრებაში რა სიამოვნებით დავეხედავდი იქაურობას! მაგრამ ვიცოდი, რომ მეფის სტუმარი ვარ, რომ მეფე ინფორმირებულია ჩემი ყოველი ნაბიჯის შესახებ, რომ თავს ამის უფლებას, უბრალოდ ვერ მივცემ და მორჩა. და აი, რატომ ვლაპარაკობ ამაზე: არ მიმჩნია მისაღებად ის, რომ მთელმა ჩემმა დელეგაციამ, ფინანსთა მინისტრის თაოსნობით, მოინახულა ხსენებული ადგილები. (...) მეტიც, ფოტოებიც გადაიღეს. (...) რას ფიქრობს ამაზე ტაილანდის მეფე, არ ვიცი. (...)

**მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე და მონაწილე იყავით. თქვენი, როგორც პრეზიდენტის, ცხოვრებიდან რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვანად და რაში ხედავთ თქვენს პირად პოლიტიკურ წარმატებას?**

დღეს, ალბათ, ბევრმა, განსაკუთრებით უმცროსმა თაობამ, აღარ იცის რას წარ-

მოადგენდა „ვარშავის ხელშეკრულება“. მათთვის ეს მორიგი პოლიტიკური მოვლენაა სხვა მრავალ მოვლენას შორის და ზოგიერთი იმ აზრს ემხრობა, რომ ეს პაქტი თავისთავად, ავტომატურად, დაიშალა ისტორიის თვითდინების მიზეზით. ეს ასე არ გახლავთ. აუცილებლად დასაშვებელი იყო, თუმცა ეს არ იყო ადვილი. ჩვენს ქვეყნებში საბჭოთა ჯარები იდგა; ჩვენი გენერალური შტაბები, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა მთავარსარდლობის ფილიალებს და საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ცალკეულ სამსახურებს წარმოადგენდა; ათწლეულების მანძილზე საზოგადოებრივ აზროვნებაში ნერგავდნენ ეჭვს გარეშე მდგომ ფუნდამენტურ დოგმას ამ ალიანსის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ. თავისუფალი არჩევნები შეგვეძლო გვედომებოდა და გვექონოდა კიდევც, შეგვეძლო კონსტიტუციურად დაკანონებული კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი გავვეუქმებინა, შეგვეძლო გვეყვირა თავისუფალი პრესისა და საბაზრო ეკონომიკის შესახებ, მაგრამ „ვარშავის ხელშეკრულების“ (საბჭოთა ჰეგემონიისა და ძალმომრეობის ამ ძირითადი იარაღის) გაუქმების აზრი რადიკალებსაც კი უკიდურესად სახიფათოდ მიაჩნდათ. გორბაჩოვს, ცხადია, არც კი დაესიზმრებოდა, რომ ვინმეს მსგავსი სურვილი გაუჩნდებოდა. და როდესაც ამაზე ხმამაღალი საუბარი დაიწყო, უკიდურესად რთული სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, უხეში სამხედრო ძალის გამოყენება აღარ შეეძლო, ეს მთელი მისი „პერსპექტივისათვის“ თავში ჩარტყმა იქნებოდა. მეორე მხრივ, უნდა სცოდნოდა, რომ ამ პაქტის დაშლას შედეგად საბჭოთა კავშირის ნგრევა მოჰყვებოდა. დასაწყისისათვის ვსაუბრობდით სრულიად ევროპული უსაფრთხოების ახალ სტრუქტურაზე, რომელსაც ყოველგვარი სირცხვილის გარეშე შეუერთდებოდა „ვარშავის ხელშეკრულების“ ქვეყნები. მოგვიანებით, ახალი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე, საუბარი დაიწყო „ხელშეკრულების“ სამხედრო სტრუქტურის გაუქმებაზე, პოლიტიკური სტრუქტურის გაუქმებლად, რაც მის ცარიელ სიმბოლოდ გადაქცევას გულისხმობდა. სრული გაუქმება კი მხოლოდ რამდენიმე თვით გვიან, თავდასხმების ამ გრძელი ჯაჭვის ბოლოს მოხერხდა. დღეს უკვე ძნელი ასახსენია, ერთი მხრივ, რა რისკთან იყო დაკავშირებული და მეორე მხრივ,

რამდენად საჭირო იყო ეს მანევრები (არა მხოლოდ „ველიკოდერჟავლი“ მისწრაფებების გამო, არამედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებითაც). დაბოლოს, რაც შეეხება ჩვენს პირად აზრებს, ყველას გვესმოდა, „ვარშავის ხელშეკრულება“ უნდა დაშლილიყო, მაგრამ დასაწყისში არავინ იცოდა როგორ შეიძლებოდა ამის სისრულეში მოყვანა. მახსენდება, რომ პატარა პრობლემა უნგრელებთან შეგვექმნა. მათ არ უნდოდათ „ვარშავის ხელშეკრულების“ გაუქმება – უნდოდათ პაქტიდან ზარ-ზეიმით გამოსვლა. ეს კი პაქტის გაუქმების შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა. მათ ამ პოზიციას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა. გრძობდნენ რა უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა უნგრელი ხალხისთვის იმ ნაბიჯს, რომლის გადადგმის მცდელობისთვისაც 1956 წელს უნგრელები სისხლში ჩაახრჩვეს. მახსოვს, მოსკოვში „ვარშავის ხელშეკრულების“ ერთ-ერთ სამიტზე, ჩვენ, პოლონელებმა და აღმოსავლეთ გერმანელებმა, სასტუმროში უნგრელებს იმდენი ვუჩიჩინეთ შუალამემდე, რომ ბოლოს გადმოვიბირეთ კიდეც. ეს არ იყო მარტივი საქმე და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ჩვენგან. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ ზანტად და უხალისოდ გვტოვებდნენ საბჭოთა ჯარები, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხეთ ჩვენის გატანა. 1991 წლის ზაფხულის იმ წამს, როდესაც, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელმა, უკანასკნელი სამიტის დახურვისას საზეიმოდ ვაუწყებ მთელ მსოფლიოს, რომ „ვარშავის ხელშეკრულება“ ეს-ესაა დაიშალა, ვთვლი მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეულ მომენტად. მით უმეტეს, რომ ეს მოხდა პრალაში – ქალაქში, რომელსაც სულ რაღაც ოცდათორმეტი წლის წინ თავს დაესხა ეს პაქტი. ცხადია, როგორც გამნაღმველთა ქვედანაყოფის, ანუ კლასობრივი მტრებისთვის განკუთვნილი ტრადიციული საბჭოური ემაფოტის ერთ აბუჩად აგდებულ და ყოვლად სასაცილო მებრძოლს, მსოფლიოში უძძღვარესი ორი სამხედრო ალიანსიდან ერთ-ერთის ლიკვიდატორის როლში თავი საკმაოდ აბსურდულად უნდა მეგრძნო. გორბაჩოვი ამ თვითლიკვიდაციურ სამიტს არ დაესწრო, მას იანაევი ცვლიდა, დოსტოევსკის ერთგვარი დაღვრემილი ლოთი, რომელსაც ეტყობა გორბაჩოვზე უარესი ნერვები ჰქონდა და

სამიტიდან სამი კვირის შემდეგ პუტჩის მოხდენა სცადა. ამით საბოლოოდ დაასამარა თვით საბჭოთა კავშირი, რომელსაც „ვარშავის ხელშეკრულების“ დაშლის შემდეგ დიდი ხნის სიცოცხლე ისედაც არ ენერა. „ვარშავის ხელშეკრულების“ დაშლით, ამ თითქმის დავინწყებული ისტორიული მოვლენით, საბოლოოდ დასრულდა მსოფლიოს ბიპოლარული დაყოფა და ჩვენი ცივილიზაცია შეუდგა ახალი და უკეთესი მსოფლიო წყობის ძიების რთულ გზას. საჭიროა აღინიშნოს, ჯერ კიდევ ვერ იპოვა და ვერც იპოვის, სანამ ადმინისტრატორი პოლიტიკოსები ასე ძლიერ სჭარბობენ მეოცნებებს.

**ბევრს საუბრობთ პოსტკომუნიზმის შესახებ. თქვენს წიგნში „ძლიერი ძალაუფლების გარეშე“, დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, გამოიყენეთ ტერმინი „პოსტდემოკრატია“. რას გულისხმობდით?**

პოსტდემოკრატიის ქვეშ ვგულისხმობდი დემოკრატიას, რომელიც, ხელახლა იკრეფს თავის სახალხო შინაარსს. სხვა არაფერს და არც ერთი გრამით მეტს, ანუ დემოკრატიას, რომელიც არ არის მხოლოდ ფორმალური, მხოლოდ ინსტიტუციონური, მხოლოდ ელემენტური მექანიზმი, რომელიც ხელისუფლებაში ერთი და იმავე ადამიანების დარჩენას ემსახურება, ოღონდ ისე, რომ მოქალაქეებს შეგრძნება ექმნებათ, თითქოს ყოველთვის თვითონ ირჩევენ. შესაძლოა, ცოტა გულუბრყვილოდ, მაგრამ ვცდილობდი განმეგრძნებო მხოლოდ ის, რასაც დღემდე ვფიქრობ და თანაც დღეს კიდევ უფრო აკვირდები: თუკი არ გვინდა, რომ ჩვენი საქმე ცუდად წარიმართოს, საჭიროა „გულებისა და თავების რევილუცია“, როგორც მასარიკი უწოდებდა ამას, ადამიანთა გამორკვევა ფართო გაგებით. ყურადღების გადატანა უკვე საკმარისად მოძველებული და უკიდურესად ტექნოკრატიული პოლიტიკური პარტიების ალტერნატივის ძიებაზე, ყოველ შემთხვევაში, მოწოდება მათი შინაგანი განახლებით; მცდელობა ჩამოვაშოროთ მათ შეფარული და შეუმჩნეველი ყველგანმომლნევი ძალაუფლება, რომელიც ეწინააღმდეგება თვით წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპებს; მეტი მზრუნველობა ღია სა-მოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებების რეკონსტრუქციაზე, როგორც

საზოგადოების სოლიდარობისა და თვითკონტროლის ხელსაწყოზე; ყურადღების აქცენტირება გრძელვადიან ინტერესებზე, პოლიტიკის სულიერ და ზნეობრივ განზომილებაზე. ეს ყველაფერი ძირითადი იდეალის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს. ეს იდეალი არცთუ ისეთი რთულია. მას შეიძლება ვუნდოდოთ კაცობრიობის გამოსვლა თვითგამანადგურებელი ცივილიზაციური ვარდნიდან.

(პრადეჩიკი 30. 11. 2005)

ათ თვეში სამოცდაათი წელი შემისრულდება. მოუთმენლად ველი ამ დღეს. კარგი იქნებოდა, რომ ამ თარიღით წერტილი ან იქნებ წერტილ-მძიმე მაინც დასმოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპს. მესაჭიროება ზუსტი ვადები, ასე ვთქვათ, ჰორიზონტები, რომლებიც ორიენტირებაში მეხმარებიან, ამის გარეშე ვიძირები დროის უსასრულო ნისლში. მინდა არაუგვიანეს ამ თარიღისა მოვრჩე იმის წერას, რასაც ახლა ვწერ და თუ მოვახერხებ, ერთი პიესაც მივაყოლო.

როდესაც უკანასკნელად შევხვდი იან პუტოჩკას, დიდ ჩეხ ფილოსოფოსს (ეს რუზინეს ციხის რომელიღაც მოსაცდელში მოხდა, სადაც ორიენტი „ქარტია 77-ის“ გამო დაკითხვაზე ვიმყოფებოდით და სადაც დამტოვეს კიდეც იმ დღეს), მან ასე მითხრა: „არ დამიჯერებთ, მაგრამ ცხოვრება საშინლად გრძელია“. მაშინ მართლაც გამაკვირვა ამ სიტყვებმა, მაგრამ ახლა, როდესაც ვუახლოვდები პუტოჩკას მაშინდელ ასაკს, მეც იგივე შეგრძნება მეუფლება – საბოლოო ჯამში, წარმოუდგენლად ბევრი რამ გადამხდა თავს ცხოვრებაში. გუშინ ჩემს ნაწერებში სრულიად უცაბედად წავანყდი ყრმობისდროინდელ ერთ ლექსს, ჩავეფალი იმ ლექსის კითხვაში და უცებ ორმოცდაათიან წლებში, ჩემი ლიტერატურული მცდელობების სათავეებთან აღმოვჩნდი. თვალწინ გამიელვებს მაშინდელი უახლოესი მეგობრების სახეებმა, განსაკუთრებით კი პოეტ ირუი კუბენასი. იმ ეპოქაში გადავეშვი, ვსუნთქავდი იმ ჰაერით, შევხებ იმდროინდელ რეალობას, მის ავსა და კარგს. ვეძებდი არა მხოლოდ იმ ეპოქას, არამედ საკუთარ თავსაც, საკუთარ თავს, მაშინდელსა და დღევანდელს. ამ ყველაფერმა ლამის ჭკუიდან შემშალა. წარმოიდგინეთ, ორმოცდაათი წლით უმცროსი ვიყავი! თვალის დახამხამებაში აღმიდგა დიდი ხნის დავინწყებული ათასო-

ბით მოვლენა, უეცრად ხელახლა გადავიტანე დრო-სივრცის საიდუმლოებასთან დაკავშირებული მაშინდელი ჩემი განცდები, რომელსაც მაშინ არაერთი ლექსი მივუძღვენი. ყველაფერი მართლაც რომ წარმოუდგენელ კავშირშია ერთმანეთთან, ის პიესაც, რომელზეც გამუდმებით ვფიქრობ, ძველი განცდების და დღევანდელი ფიქრების რეტროსპექტივა, ჩემს ყრმობის-დროინდელ ლექსებში ქექვა, შეგრძნება, რომ ვერაფერს ვასწრებ, რადგანაც დრო შემომელია და რასაკვირველია, შემზარავი სია იმ ყველაფრისა, რისი გაკეთებაც შემძლო უკეთ და სხვაგვარად, ან შემძლო გაკეთება და არ გავაკეთე. ამავე დროს, საპირისპირო შეგრძნებებიც მიჩნდება ხოლმე, რომ მეტის მოსწრება შეუძლებელი იყო, რომ ესეც ბევრია, რომ ყველაფერი, რაც გავაკეთე, კარგად ესადაგება ერთმანეთს და ერთ ასხმად იკინძება, რომ თითქოს აღარაფერია დასამატებელი, რომ არაფერი მატეს სანუნუნო, რომ ყოველი დაჩვილება მხოლოდ ზიზღის გამომწვევი პატივმოყვარეობის გამოვლენაა. ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, რას მეკითხებოდა პან ჰვიყვალა? ჰო, ევროკავშირის შესახებ.

**და უნიფიცირებულ ევროპულ გარემოში ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის არ გეშინიათ?**

არ წარმომიდგენია, რომ ევროპის დაბეზმა, ქალაქებმა და რეგიონებმა დაკარგონ თავისი სახე, დაიკარგოს წეს-ჩვეულებები. პორტუგალია ყოველთვის განსხვავებული იქნება შედეგისაგან და რაც მთავარია, ევროკავშირი და მისი სხვადასხვა დაწესებულებები ნამდვილად არ ებრძვიან განსაკუთრებულობასა და გამორჩეულობას, პირიქით, თავისი ნორმების საშუალებით იცავენ თვითმყოფადობის ყოველგვარ გამოვლინებას. და თუკი რაიმე ემუქრება ორიგინალობის გამოვლინებას, ეს გახლავთ, ზოგადად, თანამედროვე ცივილიზაცია. დღეს ხომ უკვე ძნელი გასარჩევია ტოკიოს აეროპორტში, ლოს-ანჯელესის სასტუმროს ჰოლში იმყოფებით თუ პრალის გარეუბნის ჰიპერმარკეტში. ცივილიზაციის უსულო და ყველაფრის გამაიგივებელი ნწეხი დღეს უკვე ყველგან იგრძნობა, მრავალფეროვნების ილუზიის გამომწვევი თვალთმაქცური ბაირალით. აი ყოველგვარი თვითმყოფადობის წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი მუქარა. ვერც კი

ვაცნობიერებთ, თუ როგორ ვემსგავსებით ყველანი ერთმანეთს და რა საშიშლად ვართ ერთმანეთზე მიტმასნილები თანამედროვე ტექნიკური (სამზავრო და სანფორმაციო) საშუალებებით. ამას, შესაძლოა, გარკვეული თვითმყოფადი ერთეულების აჯანყებებიც კი მოჰყვეს შედეგად, რომლებიც შეუდგებიან ერთმანეთთან ანგარიშსწორებას რეგიონულ ან ადგილობრივ კონფლიქტებში ან სულაც, ტერორისტული აქტების მეშვეობით. მოდით, მიზეზებს თავისი სახელები ვუნდოთ. არ შეიძლება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, კმაყოფილებით კვერი ვუკრათ ამ მომხმარებლურ ცივილიზაციას, მის საყოველთაო დიქტატს და პარალელურად თვითმყოფადობის დაკარგვა ევროპის უნიას ვაბრალოთ. მას შეიძლება ვუსაყვედუროთ მხოლოდ ის, რაც ყველა დანარჩენს: ემორჩილება ცივილიზაციის დიქტატს, რომლის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლებიც არიან ზეეროვნული კორპორაციები.

**ყოველთვის ძალიან მშვიდობისმოყვარე და ტოლერანტული ადამიანის, თითქმის რომ პაციფისტის სახელით სარგებლობდით. როგორც ესეების ავტორი, დისიდენტი, სავერდოვანი რევოლუციის წინამძღოლი თუ პრეზიდენტი. მაგრამ ჩვენს საუბარში რამდენჯერმე საამკარაოზე გამოიტანეთ, რომ ცალსახად ემხრობოდით ნატოს შეჭრას მილოშევიჩის იუგოსლავიაში და საერთაშორისო ძალების ცოტა ხნისწინანდელ თავდასხმას ერაყზე. როგორ ეთავსება ერთმანეთს ეს ყველაფერი?**

მართლაც ბრძანებთ, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, როგორც პრინციპულ საკითხებში, ისე ყოველდღიურ წვრილმანებში, უპირატესობას ვანიჭებ მშვიდობიან გადაწყვეტილებებს, მოლაპარაკებებს და კომპრომისებსაც კი. თავის დროზე ოლგა ჩემს ამ მიდრეკილებას მშიშრობად მითვლიდა და მსაყვედურობდა, ახლა დამაც იმავეს მეუბნება და საერთოდ, ამას ბევრი მიყენებს ბრალად. ადვილი დასაშვებია, რომ არ ცდებიან და მართლაც, ცოტა არ იყოს ავადმყოფურად, ვუფროთხი კონფლიქტებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამ ტოლერანტობასაც აქვს თავისი საზღვარი, რომლის გადაულახავობა, შესაძლოა, ნიშნავდეს საკუთარი თავის, პრინციპების და მეგობრების ღალატს.

უბრალოდ, არსებობს მომენტები, როდესაც საკუთარ თავს უნდა შესძახო „მამ კმარა!“ და საჭიროების შემთხვევაში ბოროტებას ძალაც დაუპირისპირო. სულელურად ჟღერს, მაგრამ სანამ ადამიანები მხოლოდ ადამიანებად რჩებიან, ძალა საჭირო იქნება. მასსოვს, რომ საერთაშორისო საზოგადოების აპათიას იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ დიდხანს ვაკრიტიკებდი. ვგრძნობდი, ძალისმიერი ჩარევის გარეშე არა გაენიჭება რა და რომ რაც უფრო ადრე მოხდება ეს ჩარევა, მით ნაკლები იქნება მსხვერპლი. ვგმობ ეფისმენტის პოლიტიკას, მეოცე საუკუნის შუაში ჩეხოსლოვაკია და შემდეგ მთელი მსოფლიოც დარწმუნდა, რომ ასეთი პოლიტიკა თვითმკვლელობის ტოლფასია. შიტლერისთვის დროულ, კარგად კოორდინირებულ და ენერგიულ დარტყმას, შეეძლო მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გადაერჩინა. ვიცი რაოდენ რთული საკითხია გადასაწყვეტად იომო თუ არა. უმეტესად შენი გადაწყვეტილებით ტანჯვის, ტკივილის და სიკვდილის რისკის წინაშე ხომ სხვებს აყენებ და არა საკუთარ თავს. მიუხედავად ამისა, ვისაც ეშინია, არ უნდა იაროს ტყეში. არ დამაინყვებდა დიდი ხნის წინანდელი ვიზიტი კოსოვოში: ათობით ათასი ლტოლვილი ოჯახი, დატვირთული ურმებით, ბავშვებით და შინაური ცხოველებით მთიანი გზების გადავლით უბრუნდებოდა საკუთარ კერას. მათი მადლიერება აქციის განმხორციელებლების მიმართ უსაზღვრო იყო. სად მომხდარა, რომ ნახევარ მილიონამდე ადამიანი, რომლებიც გამოყარეს საკუთარი სახლებიდან, ნახევარი წლის შემდეგ ერთდროულად დაბრუნებია საკუთარ სახლებს? ბოსნია-ჰერცეგოვინის საკითხთან ისევე, როგორც სხვა დანარჩენ იუგოსლავურ კონფლიქტებთან დაკავშირებით, უმეტესად ვემხრობოდი დროულ ძალისმიერ ჩარევას. ვილაცას მილიტარისტადაც შეიძლებოდა მოეჩვენებოდი, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ განუზომლად მეტი უბედურების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი საშუალება თავდასხმაა. გარკვეული სახის ჩარევა, არ არის მხოლოდ ჩვენი პლანეტის ჩაგრულ თანამოქმეთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, არამედ თავდაცვის აქტაც წარმოადგენს. ვერასდროს ვინანასწარმეტყველებთ თუ რა მასშტაბებს მიიღებს და შემდგომ ვის ჩაითრევს ესა თუ ის შეიარა-

ლებული კონფლიქტი. გავისხენოთ, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო სარაევოში.

**თქვენს გამოსვლებში, პირველ რიგში, საერთაშორისო სარბიელზე, ხშირად საუბრობდით ისეთ საკითხებზე, როგორცაა ეგრეთ წოდებული ცივილიზაციათა შეჯახება, თანაცხოვრება დღევანდელ მსოფლიოში, მულტიკულტურში. შეგიძლიათ ყოველივე ამასთან დაკავშირებით მარტივად და შეკუმშულად გვითხრათ რაიმე, რასაც შეიძლება დაერქვას მსოფლიოსადმი თქვენი მონოღება?**

ვფიქრობ (უთვალავმა სახელმწიფო ვიზიტმა მსოფლიოს ყველა კუთხეში, კიდევ უფრო გამყარა ჩემი ეს შეხედულებები), დასრულდა ან ყოველ შემთხვევაში უნდა დასრულდეს ევროამერიკული ცივილიზაციური სივრცის ქედმაღლური დამოკიდებულება სხვების მიმართ. არც ამერიკას, არც ევროპას და არც ორივეს ერთად არ შესწევთ ძალა, იყონ მსოფლიოს ბატონი და ერთადერთი ავტორი წეს-წყობისა ჩვენს პლანეტაზე. მართალია, ამ სივრცის საფუძველზე და ძირითადად, მისი ტრადიციებიდან აღმოცენდა თანამედროვე პლანეტარული ცივილიზაცია, ვგულისხმობ იმ „გარეკანს“, მთელ მსოფლიოს რომ ეკრის, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ბატონობის უფლება. ვფიქრობ, რომ თანამედროვე მსოფლიო რამდენიმე დიდი ცივილიზაციური თუ კულტურული, ამავე დროს გეოგრაფიული არეალისაგან შედგება, რომლებიც ამ „გარეკანს“ ერთი მხრივ, ყველას წინსვლისა და განვითარების იარაღს და მეორე მხრივ, წყაროსა და პირველმიზეზს მრავალთა დიდი უბედურებისა, იზიარებენ. ასეა თუ ისე, თუკი კაცობრიობას არ სურს გიგანტური ცივილიზაციური კატასტროფების მსხვერპლად იქცეს, უნდა, გარდა სხვა ყველაფრისა, მიიღოს და გაითავისოს ყოველი ამ კულტურული და ცივილიზაციური არეალის, ანუ „ცივილიზაციის“, როგორც ჰენტიკტიკონი უწოდებდა მათ, სრული თანასწორობის პრინციპი. გარდა იმისა, რომ საჯარო გამოსვლებისას გამუდმებით ვუტრიალებდი ამ საკითხებს, ვცდილობდი ჩემი შეხედულებების შესახებ სხვა, უფრო სიმბოლური საშუალებებითაც მიმენიშნებინა. ვთქვით იმითი, რომ შორეულ ქვეყანაში ვიზიტებისას ვცდილობდი, იქაური მთავრობის ევროპიზებულ ან ამერიკანი-

ზებულ რეზიდენტებზე ადრე მომენახულებინა ამ ქვეყნების ძლივს შემორჩენილი ძირძველი მოსახლეობა, ვთქვით აბორიგენები ავსტრალიაში, მარები ახალ ზელანდიაში, ინდიელები ბრაზილიაში, ალდგომის კუნძულების მცხოვრებლები ჩილეში. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ვიზიტებისას ვარღვევდი ხოლმე ჩვეულ განრიგს, რათა მენახა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ან წმინდა ადგილები, ვთქვით ისეთები, როგორც ბენარესი ინდოეთში. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ „ცივილიზაციების“ ურთიერთპატივისცემის და აბსოლუტური თანასწორობისთვის ალიარების შემთხვევაში შეიძლება ჩვენს პლანეტაზე მათი შინაარსიანი და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ჩამოყალიბება, თანაარსებობის როგორც მოქალაქეების, მათი ინსტიტუტების, სახელმწიფოებისა და შესახელმწიფოებრივი რეგიონული დაჯგუფებების. ასეთი პრინციპები, როგორც ვვარაუდობდი, შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ „საყოველთაო ზნეობრივი მინიმუმის“ სივრცეში ანუ იმ ზნეობრივი პრინციპების სივრცეში, რომლებიც ყველა კულტურისა და რელიგიური ტრადიციისათვის საერთოა და ასეთი პრინციპები საკმარისადაა. მოპარვა და მოკვლა ყველგან ცუდია და ზნეობრივი კანონი, ასე თუ ისე, ყოველთვის კავშირშია მუდმივთან. სხვათა შორის, ამ კავშირის გარეშე, ნებისმიერი ზნეობრივი კანონი ყოველთვის განწირულია. ეს სავსებით კანონზომიერია და საყოველთაოდ არის ცნობილი.

**(პრადლეჩი 8. 12. 2005)**

*გუშინინ გულის ფიბრილაცია დამეწყო. საკმაოდ ძლიერი, დიდხანს გრძელდებოდა და ძალიან უსიამოვნო იყო. პულსი 160-მდე ამივიდა. გუშინ კი უძილობა მქონდა, პრინციპში ნუთიც არ მძინებია და ამავე დროს არც წერა შემეძლო და არც კითხვა. ერთი სიტყვით, მთელი ღამე ვშვოთავდი და ვწვავლობდი. ამას ემატება პირქეში ამინდი, არაფერი აქვს საერთო იმ ღამაზე ზამთართან, ზღაპრებში რომ უყვართ აღწერა. ყველაზე მძიმე კი მაინც ის არის, რომ დამა ჩემზე უარესად ავადმყოფობს პრადლაში, გული ანუხებს და ლოგინიდან ადგომაც კი ვერძალბა, რისი შემსრულებელიც ნამდვილად არ არის. ხვალ უკვე მივემგზავრები. მაგრამ, რატომ აღვწერ აქ ჩემს მდგომარე-*

*ობას? ალბათ, იმიტომ, რომ ყოველ წამს ვფიქრობ იმაზე, თუ რა აბსურდულია, რომ ჩემნაირი ნანგრევების გროვა მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის ათობით უმალესი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი და ასევე, მრავალი საუკეთესო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. გასაოცარია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თავისი ლოგიკა ამასაც აქვს. გიყვები ხომ არ არიან?*

**თუ გააცნობიერეთ, რომ პოლიტიკაში საჭიროა რალაც ისეთი, რასაც აქამდე არ ანიჭებდით დიდ მნიშვნელობას? ან სხვა სიტყვებით, საგარეო ან საშინაო პოლიტიკურ სარბიელზე შექნილი გამოცდილებიდან, რა მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ?**

სულ უფრო ვრწმუნდებოდი, თუ რა აუცილებელია, ადამიანს გააჩნდეს ერთი სავსებით ჩვეულებრივი რამ – გემოვნება. რადგანაც, პირველ რიგში, გემოვნება განსაზღვრავს, თუ რამდენს ილაპარაკებ; რამდენად ღირს რალაცის თქმა ან შეკითხვის დასმა; სად იხუმრო და სად ილაპარაკო სერიოზულად; როდის ილაპარაკო ქარაგმებით და როდის პირდაპირ; როგორ გააკეთო ეს ყველაფერი ისე, რომ საუბარი არ გაიყინოს და პარტნიორს სასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩეს საბოლოოდ. არ არის ეს მარტივი. ზოგჯერ ადამიანს ცუდი განწყობა აქვს, დეპრესია ან სულაც ნაბახუსევია და რალაცას უცაბედსა და ერთმანეთთან დაუკავშირებელს ბუტბუტებს და სანწყლად ელოდება როდის ჩაივლის ამ შეხვედრისთვის განკუთვნილი დრო. განსაკუთრებით მძიმეა, თუ თქვენი პარტნიორი ენაქუნნია და გიხდებათ ილაპარაკოთ მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმეში არ იჯდეთ, ან თუკი აბსოლუტურად ფორმალური შეხვედრაა ანუ ვილაცას მხოლოდ იმიტომ ხვდებით, რომ ეს პროტოკოლითაა გათვალისწინებული და არა იმიტომ, რომ სალაპარაკო გაქვთ. ვლაპარაკობ რა ამაზე, ცხადია, ვგულისხმობ გემოვნებას ყველაზე ფართო გაგებით და არა მხოლოდ პალსტუხის შესარჩევად საჭირო გემოვნებას.

**ერთხელ უკვე შევეხეთ ეგრეთ წოდებულ არაპოლიტიკურ პოლიტიკას. რამდენადაც ვიცი, ეს ტერმინი თავის დროზე პირველად გამოიყენა პრეზიდენტმა მასარიკმა და გულისხმობდა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ და საჯარო წვრილ მოღვაწეობას მოყვასის სასარგებლოდ. რა კონტექსტში**

და როდის მოიშველიეთ ეს ტერმინი, მრავალჯერ განვიმარტავთ. მიუხედავად ამისა, განუწყვეტლივ გასაყვედურობენ თქვენს „არაპოლიტიკურ პოლიტიკას“. საფიქრალია, რომ გულისხმობენ პრაქტიკულობას მოკლებულ მეოცნებეობას, სიახლისკენ სწრაფვას, პოლიტიკური პარტიების და სტანდარტული გზების მიმართ რწმენის ნაკლებობას, მორალისტობას და ღმერთმა იცის კიდევ რას. შეგიძლიათ რამდენიმე წინადადებით ჩამოაყალიბოთ თქვენი პოლიტიკური კრედიო?

საკითხავი ის არის, თუ რას გულისხმობენ ამ თავისი საყვარელი სტანდარტულობის ქვეშ. არასასიამოვნო შეგრძნება მაქვს, რომ საბოლოო ჯამში საუბარია საშუალოობის, მინიერებისა და ბანალურობის იდეოლოგიზაციაზე. თითქოს სტანდარტულად წესიერი ქცევის იდეალი უნდა იყოს იმასთან შეგუება, რაც უკვე არსებობს, როგორც არ უნდა იყოს ეს არსებული, რადგან ფაქტი, რომ მის წინაშე ქედს იხრის უმრავლესობა, თავისთავად აქცევს მას სიკეთედ. პარალელურად აქ ლაპარაკია დამოუკიდებელი აზროვნების ნებისმიერი გამოვლინების და მით უმეტეს იდეალებისთვის რაიმეს შეწირვის ან უმნიშვნელო რისკისთვის მზადყოფნის მიმართ ზიზღზე. უმეტესობის ნორმალური ქცევა ანუ ყალბი თანხმობა ყველაფერთან, რათა უკეთ იზრუნონ თავიანთ პატარა, პირად, მეშჩანურ ბედნიერებაზე, აჰყავთ იდეალის რანგში, რომლის სადიდებლადც დაცინვის ღირსი ხდება ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც გამორჩეულია. აქ იღებს სათავეს დისიდენტების მიმართ ზიზღიც. ისინი ხომ არ იქცეოდნენ უმრავლესობასავით, ერჩიათ პირად წარმატებაზე ზრუნვის მაგიერ, ხმამალა ეთქვათ სიმართლე და ამით თავისუფალი აზროვნების უწყვეტობა დაეცვათ, გაერისკათ და მსხვერპლი გაეღოთ. ასეთ არასტანდარტულობას კი არ პატიობენ. მეკითხებით ჩემი პოლიტიკური კრედოს შესახებ. ყოველგვარი ფანატიზმის წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახიფათო საზოგადოებრივ მოვლენად მივიჩნევ. ამდენად, საბაზრო ფუნდამენტალიზმისა და დოგმატიზმის მოწინააღმდეგეც ვარ, რის გამოც „მჟავები“ მემარცხენეობას მაბრალებენ. მოგების კანონი დამოუკიდებლად, კეთილგონიერულს მართლა არაფერს გვიქადის. ახლა იმიტომ ვლაპარაკობ ამაზე, რომ სა-

ბაზრო დოგმატიზმი ნახსენები სტანდარტულობის იდეალის შემადგენელია. მაგრამ მე მართლა არ მესმის, ზევიდან წამოსული ბრძანებების საფუძველზე რატომ უნდა ავირჩიო სტანდარტული ცოლი, სტანდარტული ბინა, სტანდარტულად ვაგროვო ფული ან ნივთები და სტანდარტულად ვიფიქრო. და არც ის ვიცი, თუ როგორც პოლიტიკოსი რატომ ვიყავი მოვალე ჩაბლაუჭებოდი სტანდარტულობის დროშას. ან მოვახერხებ და ჩემი არაპოპულარული შეხედულებების კეთილგონიერულობაში დავარწმუნებ საზოგადოებას და მოვიპოვებ მათ ნდობას ან ჩემს გზას გავედგები და ნაწყენიც არ დავრჩები. შემიძლია კიდევ სხვა სახით ჩამოვაყალიბო ჩემი „კრედიო“: ჩემი აზრით, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კანონებზე მალა ზნეობრივი კანონი დგას და ამიტომ ეს კანონები უნდა იყოს ამოსავალი და არ უნდა ექბდნენ შემოვლით გზებს ზნეობრივი იმპერატივებისთვის გვერდის ასავლელად და რომ ამ ზნეობრივი კანონების მეტაფიზიკური ფესვები ეკუთვნის მუდმივსა და უსასრულოს.

**(პრადეკლარი 5. 12. 2005)**

გაგურბივარ. სულ უფრო გაგურბივარ. სხვადასხვა მიზეზს ვიგონებ, რათა გავექცე ჩემს კაბინეტს, ჩავდივარ ქვევით, სამზარეულოში, ვალაგებ იქაურობას, ვუსმენ რადიოს, ვრეცხავ ჭურჭელს, ვიშაბებ საჭმელს, ვფიქრობ ხოლმე რაღაცაზე ან ისე, უბრალოდ, ვჯდები ჩემს ძველ ადგილას და ფანჯარაში ვიყურები. რეალურად კი წერას გაგურბივარ. თუმცა არა მხოლოდ. გაგურბივარ საჯაროობას, გაგურბივარ პოლიტიკას, გაგურბივარ ადამიანებს, ჩემს გადამრჩენსაც კი გაგურბივარ და რაც მთავარია – საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, რისი მეშინია? ძნელი სათქმელია. და აი, რა არის საინტერესო: მიუხედავად იმისა, რომ აქ ახლა მარტო ვარ და მარტო ვიქნები, არავის ველი და არავინ აპირებს ჩემთან სტუმრობას, სახლი ყოველთვის მილაგებული მაქვს, ყოველი ნივთი თავის მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე მიდევს, ყველაფერი ერთმანეთთან მორგებული უნდა იყოს, საგნების კიდები ერთმანეთს არ უნდა სცდებოდეს და არაფერი არ უნდა იდოს ირიბად. ამავდროულად, მაცივარი ყოველთვის გამოვსებული უნდა იყოს მრავალფეროვანი სანოვავით, რისი მომრევიც მე ჩემით არ ვარ, და ლარნაკებში ახალ-ახალი ყვავილები უნდა იყოს, თითქოს განუწყვეტლივ ვიღაცას ველოდები. მაგრამ ვის? უცნობ და დაუპატიჟებელ სტუმარს? უცნობ მზეთუნახავს ან თაყვანისმცემელს? ჩემს მშველელს, რომელსაც შეუტყობინებლად უყვარს ხოლმე გამოცხადება? ძველ მეგობრებს? როგორ გავიგო ის, რომ არავის ნახვა არ მინდა და თან გამუდმებით ვიღაცას ველოდები? ვიღაცას, რომელიც სათანადოდ შემიფასებს იმას, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დევს და ლამაზად მისწორმოსწორებულია. მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: განუწყვეტლივ ვცდილობ მომზადებული ვიყო განკითხვის დღისთვის. დღეს, რომლის წინაშეც ვერაფერი დაიმალება, როდესაც ყველაფერი, რაც დასაფასებელია დაფასდება, რაც ცუდად დევს და წესრიგს არღვევს, თავისთავად ცხადია, შემჩნეული იქნება. ბუნებრივია, ამ დროს ვუშვებ, რომ უმაღლესი მოსამართლე ჩემსავით პედანტია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რატომ არის ჩემთვის შემავამებელი შეფასება ასე მნიშვნელოვანი? ხომ შეიძლება ეს ჩემთვის სულ ერთი ყოფილიყო? მაგრამ არ არის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა არსებობამ (ისევე როგორც სხვა ყველაფერმა, რაც კი მომხდარა დასაბამიდან) შეარხია ყოფიერების ზედაპირი, რომელიც ამ ჩემი ტალღის შემდეგ, რაგინდ უმნიშვნელო, ამაო და წარმავალიც არ უნდა იყოს, აღარ არის და აღარც იქნება ისეთი, როგორც მანამდე იყო. უბრალოდ, მთელი ცხოვრებაა მჯერა, რომ იმას, რაც ერთხელ მოხდა, უკან ველარ გამოიძახებ და ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა, მომხდარა სამუდამოდ ანუ ყოფიერებას გააჩნია მეხსიერება. ამდენად, ჩემი პატარა ამბავიც (ბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ლაბორანტი, ჯარისკაცი, პიესების ავტორი, დისიდენტი, პატიმარი, პრეზიდენტი, პენსიონერი, საზოგადოებრივი ფენომენი და მეუღაბნოვე, ვითომ გმირი და სინამდვილეში კი შენიღბული მშობარა) ყოველთვის აქ იქნება. ცხადია აქ არა, მაგრამ სადღაც. ოღონდ სხვაგან არა. სადღაც აქ.

ვალფეროვანი სანოვავით, რისი მომრევიც მე ჩემით არ ვარ, და ლარნაკებში ახალ-ახალი ყვავილები უნდა იყოს, თითქოს განუწყვეტლივ ვიღაცას ველოდები. მაგრამ ვის? უცნობ და დაუპატიჟებელ სტუმარს? უცნობ მზეთუნახავს ან თაყვანისმცემელს? ჩემს მშველელს, რომელსაც შეუტყობინებლად უყვარს ხოლმე გამოცხადება? ძველ მეგობრებს? როგორ გავიგო ის, რომ არავის ნახვა არ მინდა და თან გამუდმებით ვიღაცას ველოდები? ვიღაცას, რომელიც სათანადოდ შემიფასებს იმას, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დევს და ლამაზად მისწორმოსწორებულია. მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: განუწყვეტლივ ვცდილობ მომზადებული ვიყო განკითხვის დღისთვის. დღეს, რომლის წინაშეც ვერაფერი დაიმალება, როდესაც ყველაფერი, რაც დასაფასებელია დაფასდება, რაც ცუდად დევს და წესრიგს არღვევს, თავისთავად ცხადია, შემჩნეული იქნება. ბუნებრივია, ამ დროს ვუშვებ, რომ უმაღლესი მოსამართლე ჩემსავით პედანტია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რატომ არის ჩემთვის შემავამებელი შეფასება ასე მნიშვნელოვანი? ხომ შეიძლება ეს ჩემთვის სულ ერთი ყოფილიყო? მაგრამ არ არის, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა არსებობამ (ისევე როგორც სხვა ყველაფერმა, რაც კი მომხდარა დასაბამიდან) შეარხია ყოფიერების ზედაპირი, რომელიც ამ ჩემი ტალღის შემდეგ, რაგინდ უმნიშვნელო, ამაო და წარმავალიც არ უნდა იყოს, აღარ არის და აღარც იქნება ისეთი, როგორც მანამდე იყო. უბრალოდ, მთელი ცხოვრებაა მჯერა, რომ იმას, რაც ერთხელ მოხდა, უკან ველარ გამოიძახებ და ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა, მომხდარა სამუდამოდ ანუ ყოფიერებას გააჩნია მეხსიერება. ამდენად, ჩემი პატარა ამბავიც (ბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ლაბორანტი, ჯარისკაცი, პიესების ავტორი, დისიდენტი, პატიმარი, პრეზიდენტი, პენსიონერი, საზოგადოებრივი ფენომენი და მეუღაბნოვე, ვითომ გმირი და სინამდვილეში კი შენიღბული მშობარა) ყოველთვის აქ იქნება. ცხადია აქ არა, მაგრამ სადღაც. ოღონდ სხვაგან არა. სადღაც აქ.

არ შემიძლია არ დაგისვით შეკითხვა, რომლითაც ერთხელ უკვე მოგმართეთ 1986 წელს – როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი

**მომავალი? როგორ ფიქრობთ, რა გელოდებთ? რისი იმედი გაქვთ და რას ელოდებით?**


მეც სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ გავიმეორო მაშინდელი პასუხი: „პარადოქსებს ისევ უნდა ელოდეთ. როგორც ყოველთვის, ისევ მივუჯდები ზიზღით ცარიელ ქალაქს, ყველა ხერხის გამოყენებით შევეცდები მოვერიდო წერას, მექნება ამ ქალაქზე დასაწერი პირველი სიტყვების პერმანენტული შიში, გაჭირვებით მოვიხმობ წერისათვის საჭირო სითამამეს და შეგრძნება, რომ არაფერი გამომდის სასოწარკვეთაში ჩამადგებს ხოლმე. თუმცა საბოლოოდ, ყოველთვის მოვახერხებ ახალი პიესის დაწერას: „იდუმალი ემბაკები ჩემში“, რომლებიც ამ წამებას მისჯიან, ალბათ, აღარასდროს მომასვენებენ და ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის მიადნევენ ხოლმე თავისას. ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, გამაღიზიანებს ყველაფერი ის, რასაც ჩემგან მოელიან: ხშირად შეუსაბამოს, ზოგჯერ კი უბრალოდ უაზროს და რაც ასე საშინლად მამძიმებს, ყველა ის ფუნქცია რომელიც მბარია, დაწყებული წარმომად-

გენლობითი და დასრულებული სამართლებრივით. როგორც ყოველთვის, გავიფიცები და ვილაპარაკებ ჩემს უფლებზე ვიცხოვრო სიმშვიდეში და როგორც ყოველთვის, მოვერევი ჩემზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას. დაბოლოს, მთელი გულით გავიხარებ. ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, ვინვალებ, მექნება შიში და ძრწოლა, ჩავვარდები პანიკაში, დავიდანაშაულებ თავს და თავბედს დავიწყველი ხოლმე და მაინც, ისევე, როგორც ყოველთვის აქამდე, შეგეძლება იქონიოთ ჩემი იმედი და მიხილოთ იქ, სადაც არის ჩემი ადგილი.

(პრადეჩიკი 11. 12. 2005)

ენის მშვენიერება ზუსტად ისაა, რომ სრულად ვერასდროს გადმოსცემს იმას რაც გნადიათ. რადგანაც ხისტია, წყვეტილია, ასე ვთქვათ, დიგიტალურია. უკვე მხოლოდ ეს, მაგრამ არა მხოლოდ ეს, საკმარისია, რომ სრულად ვერ მოვიცვათ ისეთი მთლიანი რამ, როგორც არის რეალობა, განცდები ან ჩვენი სული. რაც გზას უხსნის, აზრის გამოხატვისა და თვითგა-

მოხატვის არაჩვეულებრივ შეჯიბრებას, რომელიც მოუყვება კაცობრიობის მთელ ისტორიას, რომელსაც არ აქვს დასასრული და რომლის მეოხებითაც ყოველთვის ახლიდან და ყოველ ჯერზე ოდნავ სხვაგვარად აიხსნება და ზუსტდება ყოველივე ადამიანური. მეტიც, მხოლოდ ეს შეჯიბრება აქცევს ადამიანს ადამიანად, როგორც პიროვნებას და როგორც სახეობას. უბრალოდ, ცდილობს სიტყვებით, წარმოდგენებით ან ქცევით, უკეთ ჩაწვდეს სამყაროს და საკუთარ თავს და რაც უფრო კარგად გამოსდის ეს, მით უკეთ აცნობიერებს, რომ სრულად ვერასდროს ჩაწვდება ვერც სამყაროს, ვერც საკუთარ თავს და ვერც სამყაროს უმცირეს ნაწილს. ამიტომ და მით უმეტეს, ადამიანმა უნდა გააგრძელოს ცდა და ამით უკეთესად განსაზღვროს საკუთარი თავი. ეს სიზიფეს შრომაა. ვერაფერს გახდები, სრულ სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ ადამიანი საფლაგში ჩაიტანს. მაგრამ ეს სიმართლე ვინმეს აუცილებლად ეცოდინება: ყოფიერების მეხსიერებას თუ არა, მაღალ ღმერთს.



# Moderato cantabile

<<< **ლასანჯინი ბპ. 50**

სხვათა შორის, საგასტროლო აფიშაზე თბილისი რეჟისორის კატეგორიული მოთხოვნით შეიტანეს, თუმცა თავად ბრუკი თბილისში ვერ ჩამოვიდა. დღემდე კარგად მახსოვს პირველი შეგრძნებები, რომელსაც რუსთაველის თეატრში გათამაშებული, ოდნავ ჩამონგრეული

კედლებით, ვაცრეცილი ხალიჩებითა და უბრალო, ნეიტრალური განათებით გაფორმებული სპექტაკლი გამოსცემდა. უნონო, მსუბუქი პაუზები, აკვარელური გრძნობები, დრამატული თავშეკავებით აგებული მიზანსცენები, რომელიც გადაბმული იყო ბავშვობაში ჩარჩენილი ადამიანების ლეთარგიულ თამაშთან. ვინ იყვნენ ეს არაპრაქტიკული, უცნაუ-

რი ადამიანები? „გუშინდელი“, როგორც შალვა დადიანი იტყოდა. ყველაფრის მიმტვევბელი და კაპრიზული რანევესკაია (ოდნავ რეფლექსური და თავშეკავებული ნატაშა პარი), პათეტიკური და სევდიანი გაევი (რა უბრალოდ, რა საოცარი ტექნიკით თამაშობდა დიდი შვედი მსახიობი ერლანდ იოზეფსონი ამ როლს!), პოეტურ მელანქოლიაში ჩავარდნილი ანია (რებეკა მილერი, დრამატურგ არტურ მილერის ქალიშვილი). რატომ შეელიენ სახლს, მამულს, ალუბლის ბაღს, რომელიც „ენციკლოპედიაშიც კი მოხსენიებულია“? რატომ გაქრა და სად დაიკარგა ის დიდი კულტურა, რასაც ისინი საკუთარ თავში ატარებდნენ?

სპექტაკლის ფინალში ბრუკი კითხვებს თითქოს თეატრს უკან უბრუნებდა – რა დაემართა გრძნობათა ბუნებას თეატრშიც და ცხოვრებაშიც? და ამ კითხვებს უკვე მომდევნო სპექტაკლში „მაჰაბჰარატაში“ პასუხობდა, რომელიც ძველინდური ეპოსის მიხედვით დადგა. დაახლოებით რვასათიანი სპექტაკლი, რომლის პრემიერა ღია ცის ქვეშ, ავინიონის მახლობლად გაიმართა, ბევრი ცნობილი კრიტიკოსის აზრით, ბრუკის თეატრა-

ლური ფილოსოფიის მწვერვალია, ცხოვრება და ხელოვნება ისეთი გამოგონებელი უბრალოებით ერწყმოდა ერთმანეთს, რომ ძნელი იყო მათ შორის ზღვარის გავლება. რამდენიმე წლის შემდეგ ბრუკმა ინდოეთში ამავე სპექტაკლის მიხედვით ფილმიც გადაიღო.

დროის დინების ფიზიკური შეგრძნება, ბეკეტის პიესის აბსურდულ-პოეტური ტექსტი და მსახიობის შენელებული მოქმედება საგანგებოდაა გაზავებული სპექტაკლში „ბედნიერი დღეები“, რომელშიც მთავარ როლს ნატამა პარი ასრულებდა. ბრუკი საგანგებოდ და ზუსტად იცავდა იმ 273 პაუზას, რომელიც ბეკეტს რემარკაში ჰქონდა მითითებული და ამით აზუსტებდა საკუთარ პატივისცემას დრამატურგის და ტექსტის მიმართ (განსხვავებით ბევრი სხვა თანამედროვე რეჟისორებისაგან).

უკვე ოცდამეერთე საუკუნეში პიტერ ბრუკი ეგზისტენციურ კითხვებს აფრიკულ რეალობაში ეძებს და დგამს ჯერ „ტიერნო ბოკარს“ – პიესას ყოფილი კო-

ლონიალური ქვეყნების რელიგიურ კრიზისსა და შეუწყნარებლობაზე, და შემდეგ უკვე აშკარად პოლიტიკური ჟღერადობის სპექტაკლს „თერთმეტი და თორმეტი“, რომელიც დიპლომატიისა და მეცნიერის, ამაღლე ჰამპატე ბას ტექსტს ერდნობა. აქაც მთავარი თემაა აფრიკულ ტომებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც რეალურად ევროპული კოლონიალიზმის ტრაგიკული გამოძახილია.

**ლია ფინალი**

2008 წლის ნოემბერში, უკვე 83 წლის ასაკში პიტერ ბრუკმა „ბუფ დე ნორდის“ ინტერნაციონალური დასის წევრები შეკრიბა და განუცხადა მათ, რომ ტოვებს თეატრს და ახალ ხელმძღვანელად ოლივიე პუბელი წარმოუდგენია, რომელიც მანამდე მუსიკალურ სპექტაკლებს დგამდა. შეიძლება ითქვას, რომ ბრუკმა უკვე ახალ თაობას გადაულოცა თეატრი. და შესატყვისი ტექსტიც წარმოთქვა – ამალეღვებელი, მაგრამ არაპათეტიკური, ზუსტი, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი:

„მთავარი, რაც მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ჩემი ცხოვრება და შემოქმედება ტრადიციების მსხვერველს მიუძღვნენ. ტრადიციების მნიშვნელობა ხელოვნებასა და განსაკუთრებით თეატრში გადაჭარბებულია, და ამიტომ უმთავრესი და უპირველესი ევოლუციური მდგომარეობაა. ყოველთვის უარი უნდა თქვა მე-თოდზე, როგორც საკუთრებაზე, რადგან თეატრის ძალა სწორედ ახალი ფორმისა და მოუხელთებელი უბრალოების მუდმივი ძიებაა“. და როცა დიდი ინგლისელი რეჟისორის სპექტაკლებსა და ფილმებს უყურებ, გარკვეულწილად ხვდები მისი სიტყვების მნიშვნელობას, რომ მთავარია „არა ის, რა ისწავლე, არამედ რას გააკეთებ ახალს. გამოცდილება ნიშნავს, რომ მზად ხარ სიახლისათვის“.

*Moderato cantabile* იტალიურად ნიშნავს „ზომიერად მღერადად“, ანუ – ზომიერებასაც და სიმღერასაც. 85 წლის პიტერ ბრუკს ორივე შეუძლია, და ესე იგი, ის ჯერ კიდევ უკვდავია.



**სექსუალურად კორექტული საზოგადოება**

<<< **ლასანჟისი** 83. 56

1995 წელს საქართველოში მოხვედრილი ქართულის მცოდნე დაბნეული მოგზაური აუცილებლად შენიშნავდა, რომ ადამიანები ქალების და ბავშვების თანდასწრებით

ბევრად უფრო თავისუფლად ბილწიბუცობდნენ და იგინებოდნენ ხმამაღლა, ვიდრე სულ რაღაც ოთხი წლის წინ – ზემოთ აღნიშნულ „გეოკულტურულ“ კატასტროფამდე. ასეთი „მოგზაური“, როგორც ხვდებით, სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო,

თუ არა წითელი აპოკალიფსის დროს უკანმოუხედავად გაქცეული ჩემნაირი შეშინებული „მხედარი“, რომელიც კვამლიან, მხრჩოლავ და ჩაბნელებულ სამშობლოს ნანგრევებში ევროპულად გამონკეპილი და გაპრიალებული დაბრუნდა სულ რაღაც, ოთხი სევედიანი დღით... რომლებმაც ძალიან სწრაფად და მტკიცუნულად გაიბინეს....

მეხუთე დღეს, დილის 6 საათზე ბოლმისგან ცრემლმომდგარი მე თვითონ უკანასკნელი სიტყვებით ვილანძღებოდი „ჯორჯიან ეარლაინის“ თვითმფრინავის მონჯლრეულ სავარძელს მიჯაჭვული, მხოლოდ ჩემთვის – ჩუმად. ნაბახუსევზე დიდ ცრემლებს ასპირინით ვაყოლებდი ავიაკომპანიის მიერ მორთმულ წყალწყალა „რასტვარიმი“ ყავა „პელეს“. არც ისე ადვილი იყო ოთხ დღეში იმ ყველაფრის შეგრძნება, და მით უმეტეს მონელება, რაც ჩემმა ქვეყანამ ამ ოთხ წელიწადში გადაიტანა.

რა თქმა უნდა, დღეს ბევრად უფრო ადვილია კითხვების დასმა, რადგან საქართველო, მადლობა ღმერთს, აღარ ხრჩოლავს ნელცეცხლოკიდებული ნაგავსაყრელივით. ის განათებული და სუფთაა.

ქუჩაშიც ტყავისუილეტიანი, გამხდარი მანიაკი ბანდიტების „რეიზანებში“ ჩამალული აღმაცერი შემადრწუნებელი მზერა სისხლს არ გიყინავს. სამაგიეროდ დღეს ლანძღვა-გინების ნამდვილ რენესანსში ვცხოვრობთ. ამ საქმის შეუდარებელი ოსტატების ახალი თაობები აღვზარდეთ. მედიასივრცის ტექნოლოგიურმა გამარტივებამ, როგორც საბჭოთა ჟურნალისტები იტყოდნენ, სრულიად ახალი ასპარეზი და პორიზონტი გაუხსნა ჩვენს ეროვნულ აროგანტულობას – უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყანა ზოგიერთი უცხოელი „იზვობის“ მოყვარულისთვისაც კი მიმზიდველი გახდა, მაგალითად – რუსი ოლეგ პანფილოვისათვის, რომელიც ფეისბუქზე დიდი გატაცებით ერთობა ქართველ ოპოზიციონერებად ცნობილი პოლიტიკოსების გარეგნობით, მათი პრიმიტიული გემოვნებით „მოდელირებული“ ფოტოების გამოქვეყნებით, რომელთა წყალობითაც, იგი ნამდვილი ფეის ვარსკვლავად გადაიქცა. მის მიერ გამოქვეყნებულ ყოველ ფოტოს ქართული ინტელექტუალური ელიტის ნაწილისა და მათი ფანების მიერ რუსულად შეთხზული იმ სიგრძე აღფრთოვანებული „კომენტარები“ მოჰყვება ხოლმე, რომ ხანდახან მიწვენება, თითქოს საქართველომ პანფილოვის სახით ახალი გრიბოედოვი შეიძინა, რომელსაც, როგორც ჩანს, სახელისუფლებო პარტიაში მოღვაწე ნებისმიერი ქალი ანჯელინა ჯოლი ჰგონია, ხოლო მამაკაცი – ბრედ პიტი.

ვერ გეტყვით, რატომ თვლის ეს კაცი და მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი, რომ ადამიანის უფლებები მხოლოდ ლამაზი, მიმზიდველი და პოლიტიკურად „სწორად“ ორიენტირებული ადამიანებისთვის არის მოგონილი... შეიძლება იმიტომ, რომ მისი ბიოგრაფიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღემდე არასოდეს უცხოვრია დემოკრატიულ ქვეყანაში და თავის თეორიულ ცოდნას რეალობას ჯერ ვერ უთავსებს? (ეს საერთოდ დისიდენტებისა და მათთან დაახლოებული ინტელექტუალების ავადმყოფობაა)... შეიძლება, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს – ლენინბაბდელი ადამიანის უფლებების დამცველი, სსრკ-ს დანგრევამდე მშვენივრად მოღვაწეობდა საბჭოთა ტაჯიკეთის ტელევიზიასა და «Комсомолец Таджикистана»-ში, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანი – ჩვენი საყვარელი მზიანი რესპუბლიკის შესაბამის მედია-

საშუალებებში... 90-იანი წლების შემდეგ კი პირდაპირ Associated Press-ის უშტატო კორესპონდენტიდან ადამიანის უფლებების დამცველ ვარსკვლავად გადაიქცა – განსაკუთრებით საქართველოში.

ძნელია, არ შევამჩნიოთ საქართველოს ხელისუფლებისა და პუტინის „წყალობით“, ფენიქსებივით თბილისში მკვდრეთით აღმდგარი რუსი დისიდენტების ერთი უცნაური მიდრეკილება – მათთვის, როგორც ჩანს, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის უფლებები, ხოლო ადამიანის ფასის საზომი ერთეული რევოლუციური ელექტროკოლოვანება. ყოველ შემთხვევაში, ისინი ისე დააბრმავა თბილისის რამდენიმე გაჩაჩხახებულმა ფასადმა, რომ თებერვალში გამართულ დისიდენტური „გალას“ დროს წითელ ხალიჩაზე წინ და უკან მოსეირნე მისმა მონაწილეებმა ვერანაირი ჰუმანიტარული პრობლემა ვერ შეამჩნიეს ჩვენს დროებით გადასიდენტებულ სამშობლოში.

გასაკვირია, თითქოს მოსკოვი და პეტერბურგიც თბილისზე და ბათუმზე არანაკლებად გაანათა ვლადიმირ პუტინმა. არც კარუსელების დეფიციტს უნდა უჩიოდნენ ჩვენი ერთმორწმუნე მტრების ბავშვები, მაგრამ მის მიერ გატარებულ „რეფორმებზე“ ერთ სასიკეთო სიტყვას ვერ დაცდენინებ ვერც მკვდრეთით აღმდგარ რუს ვეტერან ადამიანის უფლებების დამცველებს და ვერც მათ მემკვიდრეს, მესამე ტექნოლოგიური თაობის ვებ-დისიდენტ ბატონ პანფილოვს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად ასეთი თავზრუდამხვევი ჟურნალისტიკურ-კონკრეტული კარიერისა, როგორც ჩანს, პირველად ცხოვრობს დემოკრატიულ ქვეყანაში (ალბათ დამეთანხმებით, ტაჯიკეთსა და რუსეთთან შედარებით საქართველო მართლაც დემოკრატიის შუქურაა), ამიტომ ჯერ საკმარისი გამოცდილება ვერ დააგროვა, და არ იცის, რომ ადამიანის გარეგნობაზე საჯაროდ ქირქილი ყოველ ნორმალურ საზოგადოებაში, რომელიც 13 წლის ასაკის ზევით არის, სულ ცოტა სულმდაბლობას ნიშნავს.

მე ადამიანურად მესმის, რა ძნელია მისთვის უარის თქმა საბჭოთა ინტელიგენციისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური იუმორით აღფრთოვანებული ქართველი ფანების კომენტარებზე, რომელიც ფეის-

ბუქზე მის მიერ გამოქვეყნებულ ოპოზიციონერი ქალების ვულგარულად „მოდელირებულ“ ფოტოებს მოჰყვება ხოლმე. ჩვენ, ორმოცდაათს ახლახან გადაცილებულ მამაკაცებს, სხვადასხვა მარტივად გასაგები მიზეზის გამო, ჰაერივით გვჭირდება კომპლიმენტები. ოღონდ, არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სიბრძნის ასაკში შესული მამაკაცისათვის. ეს სიტყვა არის – კლასი, რომლის დეფიციტი, წესით, ბევრად უფრო გულდასაწყვეტი უნდა იყოს, ვიდრე პროვოცირებული იაფფასიანი კომპლიმენტებისა... თუმცა, როგორც იტყვიან, გააჩნია ვისთვის... ჩემი აზრით, ბატონი პანფილოვის, ისევე როგორც მისი მეგობარი დამსახურებული დისიდენტებისათვის, საქართველო პუტინის გასაღიზიანებელი დემოკრატიის „მამხალა“ უფროა, ვიდრე ჯორჯ ბუშის შუქურა!

ხუმრობა, რა თქმა უნდა, ყველაფერზე შეიძლება, მხოლოდ ყველაფერზე თავისუფლად მხოლოდ მასხარები ხუმრობენ. ქვეყნებში, რომელთა თითქოსდა სახელით, პანფილოვი გვესაუბრება, იწერება დიდი რაოდენობით უმწვავესი სატირა, იქმნება უამრავი კარიკატურა, სატელევიზიო გადაცემები, ფილმები... ოღონდ ამაზე სპეციალისტები მუშაობენ.

სამწუხაროდ, საქართველოში კარიკატურისტიკის ჟანრი, თუ არ ჩავთვლით სულ რამდენიმე მოყვარულს, თითქმის არ არსებობს. იშვიათი ქართული სატირის კითხვისას თვალზე შეიძლება ცრემლი მოგადგეს მთქნარებისაგან, სატელევიზიო იუმორზე ჯობს, საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ – უბრალოდ უხერხულია. იუმორის ამ დეფიციტს ჩვენ თვითონ ვავსებთ, ვლახანდარობთ, ვოხუნჯობთ არაპროფესიონალურად, ბოროტად, ცინიკურად. ჩვენ ყველანი თავად გადავიქცით უნიჭო, წითელცხვირიან ტაკიმასხარებად. თვით ქართველმა ფილოსოფოსებმაც კი, წვეტიანი ქუდის ნაცვლად, ჯამბაზების ეყვნებიანი ჩაჩები მოირგეს თავზე.

პანფილოვი ორ ცნობილ ოპოზიციონერ ქალს Мельничиха-ს და Поблядушка-ს უწოდებს საჯაროდ. და ეს ფაქტი უზომო აღფრთოვანებას იწვევს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც აღფოთებისაგან გალურჯვებამდე მიდის, როდესაც იგივე ფეისბუქზე ქართული ინტელიგენციის სხვა ნაწილი თეა თუთბერიძის ისეთ უხამს

გვერდს ხსნის, რომ ამ სისაძაგლის ნახვის შემდეგ მე თავად – დღემდე მრცხვენია, რომ საერთოდ კიდევ დავრჩი ქართულ ვებ-სამყაროში.

მაგრამ, რა განსხვავებაა პანფილოვის ოხუნჯობებს, მის ფანებსა და თუთბერიძის ვებ ჯალათებს შორის? ჩემთვის – არანაირი. რადგან ცალ-ცალკე ყველა მათგანი ალბათ სასიამოვნო ადამიანია. უბრალოდ, საკუთარ მანქანაში ცხვირს იჩიჩქნის და ფიქრობს, რომ ვერაფერს ხედავს; რომ საკუთარ სახლში, თუნდაც ვირტუალურში, „კლასი“ არ გჭირდება.

როდესაც „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ხუბუა პანფილოვის მეგობარ ნოვოდვორსკაიას „დარვინიზმის შეცდომას“ უწოდებს, დარწმუნებული ვარ, პანფილოვს საერთაშორისო იურიდიული და მორალური დამცავი კანონების მთელი ბიბლიოთეკა შეუძლია წარმოადგინოს თავისი მეგობრის დასაცავად ამ აშკარად ნაცისტური მორალის ეპითეტისაგან. მე მას ამ საქმეში გულწრფელად დავეხმარებოდი, მაგრამ ზუსტად ამდენივე დამცავ მექანიზმს წარმოვადგენდი იმ ვირების, ღორების, „მახინჯი“ ქალების და კაცების დასაცავად, რომელთა გარეგნობაზე ოხუნჯობის ხარჯზე, როგორც ჩანს, თავისი ახალი ქართველი მეგობრების გულის მოგებას ცდილობს, რაც მშვენივრად გამოდის კიდევ – პლუხანოვზე ჩემს ბავშვობაში ასეთებს მის მშობლიურ ენაზე „აბიჟნიკებს“ ეძახდნენ. ისინი „გამოჩენილ“ ძველ ბიჭებს დაჰყვებოდნენ უკან „შემფურთხებლებად“, საჭიროების შემთხვევაში იმას აფურთხებდნენ, ვისაც მიუქსევდნენ.

ამ „ახალი“ ქართველისაგან ნამდვილად არ ვცდილობ საფრთხობელას შექმნას, პირიქით მე ის ტოქსიკურ ატმოსფეროში მოხვედრილი ზედმეტი სიბეჯითის და მამებლობის მსხვერპლი უფრო მგონია, ვიდრე ინიციატივანი ცინიკოსი. პანფილოვი აკეთებს იმას, რასაც საზოგადოება, ქართული ინტელექტუალური „ბურჟუაზიის“ ნაწილი სთხოვს – მის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებზე მინერილ კომენტარების ავტორთა შორის ბევრ ცნობილ ქართველ ინტელექტუალს შეხვდებით, რომლებიც ზუსტად ისევე ილანძღება, როგორც მისი სხვა თანამოძმენი „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან, „მაესტროს“, „რუსთავი 2“-ის ან „კავკასიის“ ტვ-შოუებიდან.

ამასთან, ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ მათ შორის უზარმაზარი კულტურული განსხვავებაა, ზუსტად ისეთივე ანჩხლი ინფანტილურობით სჯერათ საკუთარი უნიკალურობის – როგორც გამსახურდიას დროინდელ „მოლაღატეებს“ და „გოიმებს“.

პოლიტიკური ოპონენტების მიერ ერთმანეთის მივრალი „ბაბუშკებივით“ ბინძური ლანძღვა-გინება საქართველოში მხოლოდ ცინიზმის ერთი მცირე ნაფოტია იმ უხამსობის მორევში, რომელშიც თავბრუდამხვევი სისწრაფით გულისრევამდე ვტრიალებთ გამუდმებით, თუმცა მაინც ვახერხებთ მორევის ზედაპირზე დარჩენას – არ ვიძირებით. საერთოდ, ამ მორევში არავინ იძირება, რადგან ქართველები ბუნებით ძალიან მოხერხებულები და ყოჩაღები ვართ. ყოველთვის ვახერხებთ ვიღაც სუსტის ბეჭებზე დაყრდნობას, თუმცა ის სუსტიც სხვას, თავისზე უფრო სუსტს აწვება თავზე, რომ მორევმა არ ჩაითრის. ყველაზე სუსტს კი ისღა დარჩენია, მთელ თავის ვირუმპაკობას გაუკეთოს კონცენტრაცია, ზედაპირზე ამყარდ მოტივტივე რომელიმე ბრიყვს დაკუნთულ მხრებზე შეაცოცდეს და იქიდან სხვების ჩაძირვას შეეცადოს. გამოუცნობი მიზეზის გამო, ხანდახან მორევში მოყოლილები საოცრად სოლიდარულები ხდებიან. მაგალითად, როგორც იქნა, დანამდვილებით აღმოვაჩინეთ ერთადერთი გრძნობა, რაც აერთიანებს სრულიად ქართული საზოგადოებასა და მის უგემოვნოდ ჭრელ პოლიტიკურ სპექტრს: შიში სექსუალურ უმცირესობათა მიმართ. შეიძლება სიძულვილიც დაგვერქმია, მაგრამ, ჩემი აზრით, შიში ბევრად უფრო უხდება ქართული საზოგადოების ამ გამაერთიანებელ „ქვაკუთხედს“.

ორი თვის წინ ევროსაბჭოში განსახილველად წარდგენილმა მორიგმა აბსოლუტურად უპერსპექტივო რეზოლუციის პროექტმა საქართველოში ისეთი პანიკა გამოიწვია, თითქოს ხვალ-ზეგ ჩვენს ისედაც ტანჯულ მინას ევროპიდან ტყავის ნიღბანი და უნიფორმინი, მათრახებითა და სხვა შესაბამისი აქსესუარებით შეიარაღებული დაკუნთული გეების რამდენიმე ათასიანი დესანტი უნდა შემოსეოდა ზღვიდან, ციდან, ხმელეთიდან და „საჯიშე“ ქართველი ვაჟკაცებისათვის, სადაც ნაასწრებდნენ, იქ „აეხადათ ნამუსი“.

დაკუნთული ევროპელი გეების შიშმა ქართველი მოლა, მღვდელი, რაბინი, პასტორიც კი გააერთიანა. პრინციპში ეს არც არის გასაკვირი: ჰომოების მიმართ ტოლერანტულად განწყობილი მხიარული და ნახევრად შიშველი ღმერთები 2000 წლის წინ მოკვდნენ და დღეს მარმარილოს სხეულში ჩასახლებულნი ლუერის, ბრიტიშ მუზეუმის, მეტროპოლიტენის დარბაზებში თვლემენ. ამ ერთობლივ ჰომოფობიურ-ეკუმენურ „მანიფესტაციაში“ გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ სსრკ-ს დაშლიდან დღემდე მსოფლიოში და საქართველოში მომხდარი უამრავი უბედურებიდან სწორედ სტრასბურგის ნახევრად მძინარე დარბაზში მუშაობის ილუზიის შექმნის მიზნით გამოტანილმა წინადადებამ გააღვიძა საქართველოში წარმოდგენილ რელიგიურ კონფესიებს შორის ერთიანობის გრძნობა.

„კურიერის“ სპორტული კომენტატორის საყვარელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, გაცილებით „დრამატული“ მაინც პოლიტიკოსებისა და მათთან დაახლოებული მორალისტების თავგამოდებული შეჯიბრი აღმოჩნდა. ქრისტიან-დემოკრატებმა, ნაციონალებმა, ადამიანის უფლებათა ასოციაციამ და ა.შ., ანტაგონისტი მამების მოულოდნელი დამეგობრებისა არ იყოს, ყველამ ერთხმად გამოუცხადა ბრძოლა მსოფლიო პრობლემებისაგან დეპრესირებულ ევროსაბჭოს მონყენილ დეპუტატებს.

ნამდვილი საოცრება იყო ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ახალგაზრდა ლიდერის მართლაც უნიკალური განცხადება – პოლიტიკური მხდალი კონფორმიზმის ნამდვილი შედეგია – რა თქმა უნდა, თავად ამ პარტიის წევრებსაც არ ჰგონიათ, რომ აბსოლუტურად აზრობრივად გაუმართავი წინადადებების ამ გროვას ვინმე სერიოზულად აღიქვამს მთვლემარე ევროპულ სტრუქტურებში. ცხადია, ეს „მანიფესტი“ ჰომოფობი ამომრჩევლებისათვის იყო განკუთვნილი. როგორც ამ ღრმად მართლმადიდებელმა ახალგაზრდა „დემოკრატმა“ განაცხადა, – ქართულ კულტურასა და ტრადიციაში თურმე ჰომოსექსუალობა არ ყოფილა. ამ ახალგაზრდას, ეტყობა, ჰგონია, რომ ფრანგულ, ბრიტანულ ან გერმანულ ტრადიციებშია ჰომოსექსუალიზმი; რომ რომეო და ჯულიეტა, სინამდვილეში, ორივე ბიჭი იყო, სამი მუშკეტერი – აგრესიული, ლესბოსელი გოგოები, ხოლო

ჯვაროსნული ლაშქრობა – გეი პრაიდი. სამაგიეროდ, გარყვნილი ევროპელებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველები საკუთარ რელიგიასთან, კულტურასა და ტრადიციებთან სრულ ჰარმონიაში მოყვანილი მრუშობით ვახერხებდით, შეგვენარჩუნებინა საკუთარი ეროვნული იდენტობა.

რა თქმა უნდა, ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ ზემოთ მოყვანილი მართლმორწმუნე დემოკრატი ვერ უმანკო ყმანვილია და ჰეტეროსექსუალური მრუშობა, რომელიც ათი მცნებიდან ერთერთი მომაკვდინებელი ცოდვაა, მისთვის ისეთივე უცხოა, როგორც ჰომოსექსუალური „ექსპერანსი“. თუმცა, შესაძლოა, მე არ გამიგია და ჰეტეროსექსუალური, „ტრადიციული“ მრუშობა ცოდვად აღარ ითვლება ჩვენს პროგრესირებად ფუნდამენტალისტურ თეოლოგიურ დოგმატიკაში. უნდა ვაღიარო, მიჭირს ქართული პროგრესირებადი ფარისევლობისთვის ფეხის აწყობა.

ეს ყველაფერი გროტესკული და ძალიან შემამოფოთებელია. არა იმიტომ, თითქოს ჰომოსექსუალების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება დემოკრატიისა და ცივილიზებულიობის აუცილებელი პირობა იყოს – სულ თითზე ჩამოსათვლელია ის ქვეყნები, სადაც კანონმდებლობა ერთსქესიანი ქორწინების, ან ჰომოსექსუალი წყვილის მიერ ბავშვის აყვანის საშუალებას იძლევა. შემამოფოთებელი ის არის, რომ ამ თემაზე (ისევე, როგორც ბევრ სხვაზე) დღეს საქართველოში კონსტრუქციული დიალოგი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ძნელი წარმოსადგენია პოლიტიკური ძალა, რომელსაც სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად გაბედულება ეყოფოდა. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, შეუძლიათ განაცხადონ, რომ პრინციპში არაფერი აქვთ ჰომოების სანინაღმდეგო; რომ მათ ავადმყოფებად თვლიან, ეცოდებათ და ა.შ... მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ ამ „საცოდავ ავადმყოფებს“ ისე აგრესიულად მოიხსენიებენ, რომ მაშინვე ხვდები – ეს ადამიანები სწორედ მიღგრამის ექსპერიმენტის ქართული ვერსიის E „მოდერატორები“ არიან.

მართლაც გასაოცარია: თითქოს საქართველოში ცხოვრობენ სექსუალური უმცირესობები, თუმცა მათ კანონი სრულ

ლიად უგულვებელყოფს, თითქოს ისინი არ არსებობდნენ, ან კანონგარეშედ იყვნენ გამოცხადებულნი.

ხანდახან გაუგებარია, მაშინ რატომ არ ვაშენებთ მათთვის „რეზერვაციებს“, „გეტოებს“, რასაც ალბათ ათასგვარი მორალისტი „მართლმადიდებელი“ ორგანიზაცია სიხარულით შეხვდებოდა?.. პასუხი არც ისე რთულია – ჰომოფობობასაც კი ვერ ვებედავთ ღიად – რა პირით შევხვდებით მაშინ დასავლელ დონორებს? ამიტომ ვჯობს, ისე მოვიქცეთ, თითქოს სექსუალური უმცირესობები სულაც არ არსებობდნენ, თითქოს „მართლმადიდებელ“ პოლიტმორალისტთა რაზმები და მართლმადიდებელი დემოკრატები მხოლოდ რაღაც გე-ფანტომებს ებრძოდნენ.

იქნებ ჯობდეს, ვაღიაროთ, რომ ჰომოსექსუალები კრიმინალები არიან და ეს პასუხისმგებლობა ვზიდოთ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ზოგიერთი ისლამისტური ქვეყანასავით? ბოლოს და ბოლოს დროა, მივხვდეთ, რომ მწვადისა და შამფურის პრიმიტიული დიპლომატიით ვერავის მოვატყუებთ. იქნებ არჩევნების წინ კანდიდატებს ბიბლიაზე ფიცი დავადებინოთ, რომ არ არიან პედერასტები, კრემლის აგენტები და სომხები?

მე არც კი ვიცი, არსებობს თუ არა კანონი ჰომოფობიისა და სხვადასხვა დისკრიმინაციის შესახებ. თუ არ არსებობს, რატომ არ არსებობს. ან თუ არსებობს, რატომ არავინ არასდროს არ იყენებს?

პრინციპში, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მაინცდამაინც არც საქართველოს კულტურისა და ტრადიციების შესაბამისი ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების მოყვარულთ წყალობს – მათთვის ხომ სექსი თითქოს მხოლოდ რეპროდუქციის საშუალებაა. რა თქმა უნდა, ყველას მშვენივრად ესმის, რომ ეს ტყუილია. ქართველი ქალები და მამაკაცები ფიზიოლოგიურად ზუსტად ისევე არიან მოწყობილნი, როგორც სხვა ეროვნების ადამიანები. ამიტომ, ჩვენში სექსი სიყვარულთან და სიამოვნებასთან ისევე დაკავშირებული, როგორც ყველაზე „გარყვნილ“ ევროპულ ქვეყნებში.

საერთოდ „მორალური სექსი“, ან თუ გნებავთ მორალი სექსში – ძალიან მნიშვნელოვანია ქართველისთვის. გარეგნულად მაინც, მარტო ეს „მეცნიერული“

ტერმინი – ქალიშვილობის ინსტიტუტი რად ღირს. ან ტელევიზიით საბრალო მეძავების შეუნიღბავი სახეებით ჩვენება, მათი სიძულვილი, უფრო სასტიკიც კი – ვიდრე ქართველი გეების – რადგან ამ უკანასკნელებს ჯერჯერობით ფარული კამერებით მაინც არ დასდევენ. განსაკუთრებით უცნაურია თავად ჰომოსექსუალების უფლებების დამცველებისგან წამოსული ამორალური სისასტიკე: დაახლოებით ორი თვის წინ YouTube-ზე ერთი ამაზრზენი ვიდეორგოლი გაჩნდა – მიკროფონით ფარულად აღჭურვილი ახალგაზრდა ცირკის წინ მდგომ შუა ხანს გადაცილებულ მეძავებს ურიგდებოდა, ეკითხებოდა სერვისის მრავალფეროვნების, ფასების, ასაკის შესახებ. ყოველივე ამას ქუჩის მეორე მხარეს გაჩერებული მანქანიდან ფარულად იღებდა კამერა. ვიდეოში ქალებიც და ამ სისაძაგლის ავტორიც შეუნიღბავი სახეებით არიან ნაჩვენები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ამ საბრალო ხანში შესული ქუჩის მეძავებით ქართველი ახალგაზრდა „გებ-ლიბერალების“ ნაწილი მშვენივრად გაერთო, თანაც სრულიად „უფასოდ“ – ვიდეო დიდი წარმატებით სარგებლობდა ერთხანს ფეისბუქის სწორედ იმ წევრებში, რომელთა ნაწილი ყოველთვის თავგამოდებით და სამართლიანად იცავს ჰომოსექსუალების უფლებებს.

ხმა არ ამოუღიათ არც ქალების, და საერთოდ, ადამიანის ათასწარი უფლებების დამცველთ.

მიუხედავად რამდენიმე ჩემსავით ზედმეტად „მგრძნობიარე“ ფეისბუქელის თხოვნისა, რომ ავტორებს სოციალური ქსელიდან მაინც მოეხსნათ ვიდეო, ყური არავინ გვათხოვა, YouTube-ზე დღემდე დევს ამ ახალგაზრდების ვიდეო „პერფორმანსი“ და მას უამრავი მნახველი ჰყავს, მათ შორის – ვინ იცის, იქნებ თავად მეძავების ნათესავები, ან თანასოფლელები.

ასეთი ვიდეოს რეალიზატორებს, მის გამავრცელებლებს და კომენტარის ავტორებს საფრანგეთში წვინტილიან ანანისტებს (les petits branleurs) ეძახიან. საქართველოსგან განსხვავებით, ნორმალურად განვითარებულ საზოგადოებაში მათ გაცილებით დაბალ საფეხურზე აყენებენ, ვიდრე თავად მეძავებს, ჩვენთან კი, როგორც ჩანს, ისინი პირიქით სრულიად

პროგრესულ ახალგაზრდებად ითვლებიან – ამ ვიდეოს გამოქვეყნებიდან ორი-სამი დღის შემდეგ ისინი უკვე თეა თუთბერიძის უფლებებს იცავდნენ თავგამოდებული პროგრესულობით თუ ცივილურობით. ამ საბრალო ქალების ბედით არც თავად გამოჩენილი ლიბერალები დაინტერესებულან – საუკეთესო შემთხვევაში, მათ ეს ვიდეო-ბარბაროსობა ვერც კი შეამჩნიეს. არავის უთქვამს ათრთოლებული, სველი ხმით „დღეს ჩვენ ყველანი მეძავეები ვართ!“

მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ დემოკრატია და განსაკუთრებით ლიბერალიზმი დეტალებისაგან შედგება, და არა – რაღაც ერთი მთლიანი და დიდი პირადი პოლიტიკური გადანყვეტილებისგან.

დარწმუნებული ვარ, ეს წვინტილიანი ანანისტები, გოგი გვახარიას ნაჩვენებ „კაბირიას ლამეების“ ფინალური სცენის ყურებისას, ჯულიეტა მაზინას „ოქროს პალ-

მით“ გასხვივსნებული სევდიანი ღიმილის დანახვაზე მდულარე ცრემლებს ღვრიან, ცირკთან მდგარი საცოდავი ასაკოვანი მეძავე ქალების დანახვაზე კი სიცილით იჭაჭებოდა. ეს სწორედ ადამიანების ის კატეგორიაა, რომლებიც ჯიპებით ძაღლებზე და კატებზე „ნადირობენ“. ასეთები ოსვენციში ღუმელების დამსუფთავებლებად მუშაობდნენ, მათ მთელ მსოფლიოში შეხვდებით, ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში – ოღონდ დასავლეთში ისინი ჩუმი, კუნაა, წვინტილიანი ანანისტები არიან, რადგან მათ კანონიც სჯის და საზოგადოების მორალიც. საქართველოში კი ასეთები სიცილით სულს ვერ იბრუნებენ, „რუსთავი 2“-ის „კომედი შოუს“ (თებერვალი 2010) „ხუმრობის“ მოსმენისას: „სომხლოში თოვლი მოვიდა და ქვეყანაში საკვების პრობლემა გადაიჭრა“... ასეთები მოხუც მათხოვრებს კუბრიკის

„მექანიკური ფორთოხალის“ პერსონაჟებით ბეისბოლის კომბლებს ურტყამენ გამეტებით. მათ მიღგრამის ექსპერიმენტის მოდერატორის ავტორიტარული ბრძანებაც არ სჭირდებათ – ისინი მაღალ ძაბვის ლილაკს საკუთარი ინიციატივით აჭერენ ხელს, ხოლო შემდეგ, როდესაც გაიზრდებიან და წვინტილებს მოინმენდენ, თავად გადაიქცევიან ავტორიტარული ბრძანების გამცემ „მოდერატორებად“, შექმნიან უამრავ მოდელირებულ რეალობას, იმისათვის, რომ ადამიანებს შემთხვევით „ღმერთი არ გაუწყრეთ“, და თავი გმირებად არ წარმოიდგინონ, რომ მათ საკუთარი უმწეობის, სიმხდალის, კონფორმიზმის შეგრძნება გაუმძაფრდეთ, საკუთარი თავი შესძულდეთ... სწორედ ისე, როგორც – რამდენიმე კვირის წინ ტვ აგრესიით მიწასთან გასწორებულ, შეშინებულ საქართველოში.



# სიგარტლის და სიფრთხილის დეტექტორებთან

<<< დასაწყისი 83. 68

ძნელი სათქმელია, როგორი შეიძლება იყოს ქართული უფლებათადაცვითი ორგანიზაციების როლი მათს ბედში. შესაძლოა, მათმა ჩარევამ საქმე მეტადაც გააფუჭოს. მაგრამ ალბათ უფრო სწორი იქნებოდა, ჩვენი უფლებადამცველები თავად დაინტერესდნენ, რით შეუძლიათ დახმარება, და ისაევის მსგავსი ადამიანებისგან პასუხიც თავად მიიღონ.

როდესაც კონფერენციის შემდგომ დღეებში მის მონაწილეებს წერილობითი კითხვა-პასუხის რეჟიმში ვეურთიერთებოდი, გამაკვირვა ჩვენების სულგრძელობამ – ჩერქეზი მონაწილეების შესახებ დასმულ კითხვაზე, თუ რაში მდგომარეობდა პრობლემა, ამ საკითხს არც ერთი არ ჩაღრმავებია, თითქმის ყველა ერთხმად და ხაზგასმით ინერებოდა, რომ მხარს უჭერენ და უთანაგრძობენ ჩერქეზთა ბრძოლას; მოხარულები არიან ჩერქეზული ორგანიზაციების განაცხადის გამო,

რომ მათი მიზანი დამოუკიდებელი ჩერქეზული სახელმწიფოს შექმნაა და სხვა და სხვა. მხოლოდ ერთმა არაჩერქეზმა მონაწილემ მომწერა. „არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა, მაგრამ მეორე, „ჩერქეზურ“ დღეს, რომელიც უფრო ცოცხალი, ემოციური, მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოდგა და პირველი, „ჩერქეზული“ მნიშვნელოვან დაჩრდილა, ჩერქეზი მონაწილეები დაფანტული, დაუინტერესებელი სახეებით ისხდნენ. მეორე დღის მეორე ნახევარში უცებ საკუთარი დროშა დარბაზიდან გაიტანეს..... რატომ? იქნებ მომეჩვენა, ან ვცდები, მაგრამ ამის გამო უცებ საშინლად დამწყდა გული, შემეცოდნენ ჩერქეზებიც, ჩერქეზებიც, ქართველებიც, დალესტენლებიცა და მთელი კავკასიაც“.

დალესტენელმა ისტორიკოსმა ჰაჯი-მურად დონოგომ კითხვის დაუსმელად გამოჰყო ჩერქეზი მონაწილეები. „სენტიმენტალობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ განსაკუთრებულად მომეწონენ ჩერქეზი... ერთ რამეს მიგვხვდა – ამ ადამიანებში ცოცხლობს იდეა, ამიტომ მათი სახეები ნათელი, შეუპოვარი, ამიტომ ასხივებენ რაღაც სინათლეს. ეს ხალხი ვერ მოტყუეს და თავიანთ ბრძოლას მაინც აგრძელებენ... მაგრამ უნდა გითხრათ, რომ როგორც უნდა ეჭიროთ თავი, მათთან ურთიერთობისას ნოსტალგიის საოცარ ნიშნებს ვგრძნობდი. ნოსტალგია საშინელი ავადმყოფობაა“.

ამჯერად მიჩქმალული (კონფერენციის

სახელწოდების ალტერნატიულ ქართულ თარგმანში სწორედ ეს სიტყვა იყო გამოტოვებული) ხალხი ჩერნები აღმოჩნდნენ. მინდოდა, ეს შეცდომა ამ წერილით გამომესწორებინა. იმედია, სხვებზე მეტი ჩერნებზე ვისაუბრე. ამის მიზეზი ისიცაა, თუ რა ემოციით იყვნენ ისინი ჩამოსულები საქართველოში, როგორ უხაროდათ, რომ საქართველოს მინაზე იდგნენ...

კონფერენციის ორგანიზატორთა ერთი შეცდომა ის იყო, რომ, ბევრის გასაკვირად, არ მოინვიეს ქ-ნი ნაირა გელაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, მამუკა არეშიძე, კავკასიის მცოდნე და უფრო მეტად გულშემმატკივარი ადამიანები, ვიდრე (გასახარია, თუკი ვცდები) თავად გახლავან. არ იყვნენ აფხაზები – სოფი შიპაბაძე, ფრანგული „ლე მონდის“ ჟურნალისტმა, რომელიც დიდი ხანია, ჩერნეთის, საერთოდ კავკასიის შესახებ წერს, მომწერა, – რომ ეთხოვათ, მარტო მე ჩამოვიყვანდი თურქეთის აფხაზური დიასპორიდან რამდენიმე პიროვნებას, ვისი დასწრებაც ზედმეტი არ იქნებოდაო. იგივე შეთავაზებზე საფრანგეთში, სორბონში მომუშავე ჩერნე ისტორიკოსს, მაიბრეკ ვაჩაგაევს პასუხად უთხრეს, – აფხაზები უკვე გვყავსო. როგორც გაირკვა, „აქაურ“, ჩვენს აფხაზებს გულისხმობდნენ. ბატონი გა ანჩაბაძე იმ იშვიათ და პატივსაცემ ადამიანთაგანია, ვისაც, მხოლოდ ჩვენში კი არა, აფხაზეთშიც უსმენენ და ავტორიტეტად მიიჩნევენ. და მაინც, ის აფხაზურ მხარეს არ წარმოადგენს.

ცალკე საკითხია, რომ როცა პრაგმატული მიდგომები და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნილება ერთმანეთს თან ხვდება, ისინი არ უნდა დაგვავინწყდეს, ვინც საქართველოს მიმართ ყველაზე ლოიალურადაა განწყობილი, მაგრამ მოცემულ მომენტში „ორთქლმავლის“ როლს არ ასრულებს. ასეთი ხალხია ინგუშები. ჩემი ინფორმაციით, კონფერენციას მხოლოდ ერთი ინგუში ესწრებოდა. რამდენადაც ვიცი, ისა ქოძოვეს სურდა ჩამოსვლა და კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა, მაგრამ, გადაუმონმებელი ინფორმაციით, პატიმრობაში მყოფი ვაჟის მოკვლით დამუქრნენ. ისა ქოძოვეს ერთი ვაჟი წლების წინ ისედაც მოუკლეს – ვაჰაბისტური წინააღმდეგობის წევრობა დააბრალეს.

ინგუშების პროქართული ორიენტაცია ყველაზე გამოკვეთილია ჩრდილოეთ კავკასიაში. ორიოდ წლის წინ რუსული საბაჟო სამსახურის თანამშრომელი, ბაჰაუდინ ბარახოვი ქართული მხარისათვის საბაჟო

მომსახურების გართულების მითითებას არ დაემორჩილა, საზღვარი გადმოკვეთა და საქართველოს მოქალაქეობა ითხოვა. მაშინ რომელიღაც ქართული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ბარახოვიმ თქვა, რომ უნდა, ახლა საქართველოში იყოს, რომ კავკასიის გაერთიანება ახლა და აქ იწყება.

სტატიისათვის მასალებს რომ ვკითხულობდი, ერთ-ერთ ინგუშურ ვებგვერდზე კიდევ ერთი ინგუშის და ისევე ბარახოვის წერილი ვნახე. წერილში ავტორი ჰყვებოდა, როგორ უნდოდა წელს, მარტში, საქართველოში ჩამოსვლა, და როგორ ემზადებოდა, საამისო სახსრებიც გამონახა და ბოლოს როგორ ვერ მოახერხა საზღვრის გადმოკვეთა: „ჩერნეთის, დაღესტნის და აზერბაიჯანის გავლით, ნითელ ხიდამდე მივედი, მაგრამ იქ ქართული მხარისგან სიურპრიზი მელოდა – თურმე საქართველოს საზღვარი რომ გადაკვეთო, იქაურ მოქალაქეებს უნდა იცნობდე. ზოგის სახელი, გვარი, მისამართი დაფუსანელი. მაგრამ ტელეფონის ნომრები არ ვიცოდი. აი, ამ ნომრების არცოდნის გამო, საქართველოში არ შემიშვეს, ვიზა არ მომცეს. მართალი გითხრათ, ძალიან მეწყინა! ქართველები ხომ ჩვენთვის უცხოები არ არიან, სხვას მივაფურთხებდი და წამოვიდოდი. მაგრამ ქართველები არიან“... თუმცა, უცნობი ბარახოვი შეუპოვარი კაცი აღმოჩნდა და მეორედ სხვა ხერხებითაც უცდია ჩამოსვლა, ისევ – ამაოდ. „მინდა, რომ ქართველმა მოხელეებმა თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინონ, – წერდა ეს ადამიანი, – ახლა აღარ ვიცი, კიდევ როდის შევძლებ, ან საერთოდ თუ შევძლებ საქართველოში გამგზავრებას, ამდენი არც დრო მაქვს და არც ფული. ჩემი ინტერესი საქართველოს მიმართ, რა თქმა უნდა, არ გაქრება, მაგრამ“...

აბსურდია, როცა სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს ერთ-ერთ პრიორიტეტად და სტრატეგიულ არჩევნად მოიაზრებს, ერთი ჩვეულებრივი ინგუში კაცი, და მათთან ერთად, რა თქმა უნდა, ჩერნები, დაღესტნელები, ჩერქეზები და სხვები კი კითხულობენ, რატომ არ შეუძლიათ აქ, საქართველოში თავისუფლად ჩამოსვლა.

ამერიკელმა კავკასიოლოგმა სარა სლაიმ გენოციდების აღიარების რეზოლუციითა იდეა (რაც, სავარაუდოდ, ქართული მხარის ინიციატივა იქნებოდა) პროვოკაციულ გადანყვებილებად შეაფასა. მისი აზრით, საქართველოს პარლამენტი რუსეთის მიმართ ასეთი გამომწვევი ნაბიჯების გადასადგმელად მზად

არ არის. სამაგიეროდ, თუკი პარლამენტმა უკან დაიხია, ეს ჩრდილოეთ კავკასიელთა ახალ იმედგაცრუებას გამოიწვევს, და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოკვეთილი მიმართულებით განეული ყველა ძალისხმევა წყალში ჩაიყრება. სარას აზრით, ასეთ იმედგაცრუებას, სჯობდა, კონფერენცია საერთოდ არ ჩატარებულიყო.

კონფერენციის მონაწილეთაგან (სარა სლაი, სოფი შიპაბი, გა ნოდია) რამდენჯერმე მოვისმინე, რომ ჩერქეზების, ინგუშების და ჩერნების გენოციდის აღიარებით ქართული სახელმწიფო სომხურ მხარესთან უხერხულობას შეიქმნის. სომხების გენოციდი საქართველოს არ უღიარებია. ამ მხრივ, თითქოს განსაკუთრებული პრობლემა არ უნდა არსებობდეს. თუმცა, თუკი ქართული მხარე ამის გამო გადამეტებულ უხერხულობას განიცდის, ტესტის სახით სომხეთის პარლამენტს ამ გენოციდების აღიარება შესთავაზოს. მიღებული პასუხი ალბათ უხერხულობის განცდის მოხსნაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. თურქეთი ჩვენს სწორედ ისეთივე სტრატეგიული პარტნიორია, როგორც რუსეთი – სომხეთის. ამის გარდა, სხვა მომენტებიც არსებობს. ალბათ სწორედ ამიტომ იქნა მონეველი კონფერენციაზე ნორმან სტოუნი, თურქეთში მოღვაწე ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი, რომელსაც სომხურ გენოციდთან დაკავშირებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღიარებული დამოკიდებულებიდან განსხვავებული ხედვა აქვს. ნორმან სტოუნის აზრით, ის, რაც თურქეთში მოხდა, გენოციდი არ იყო. სტოუნსა და მის თანამოაზრეებს ამის დამადასტურებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი მოაქვთ. ერთ-ერთი მთავარი დასაბუთება ისაა, რომ თურქეთის ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში გენოციდი, გნებავთ, ეთნიკური წმენდა, თურქებზე არანაკლები სისასტიკით მათ თავად სომხებმა მოუწყვეს.

სამაგიეროდ, მარტის კონფერენციის კიდევ ერთი უდავოდ დადებითი მომენტი იყო მასში ოსების მონაწილეობა: ორგანიზაცია „ბესლანის ხმის“ წევრი სამი ქალბატონი, რომლებმაც ბოლო დღეს ვიზუალური მასალის მოშვებით კიდევ ერთხელ ცხადყვეს ბესლანის პირველი სამუალო სკოლის ტრაგედიაში რუსული სპეცსამსახურების და სპეცდანიშნულების ჯარის დანაშაულებრივი როლი. საინტერესო მონაწილე იყო ვალერი ძუცევი, ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი, ჯეიმს სთაუნის ფონდის ექსპერტი, რომელიც კა-

ვკასიის საკითხებზე წერას მერილენდში აგრძელებს. ვალერი ძუცვის ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს, ჩრდილოეთ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით დაახლოებით ასეთია: საქართველომ რეგიონში დემოკრატიის პრინციპების გავრცელება უნდა ითავოს, ჩრდილოეთ ოსეთმა და მოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს და საქართველოს კვალდაკვალ დასავლეთის ორიენტაცია აიღოს. სამხრეთი ოსეთი ოცდაათიოდე წელი საქართველოს ფარგლებში უნდა დარჩეს, თვითგამორკვევის საკითხის წამოწევაზე კი შემდეგ დაფიქრდეს. მეტი ჩაღრმავება არც მე მომინდა, კონფერენციაზე გამეფეზული მეგობრული სულისკვეთება ადამიანს მხოლოდ პოზიტიური ურთიერთობისთვის განაწყობდა. ასეთ ატმოსფეროში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მონყობილ დისკუსიებში რომ ჭეშმარიტება მართლა შეიძლება დაიბადოს, ამაში იმ დღეს დავრწმუნდი. „ბესლანის“ ქალებს მადლობა გადავუხადე, კარგად ვხვდებოდი, ადვილი არ უნდა ყოფილიყო მათთვის თბილისში ჩამოსვლა. ადამიანური რეაქცია და საპასუხო მადლობებიც მივიღე. აქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა კარგი იქნებოდა აფხაზების დასწრება. თუმცა, მგონი, მსგავსი კონფერენციების მოწყობის იდეა უკლებლივ ყველა იქ მყოფ და არმყოფ (პაატა ზაქარეიშვილი ისეთ კონფერენციებსაც მისაღებმა, სადაც ორგანიზატორები საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებიან) ექსპერტს მოსწონს. იმედია, შემდეგ ჯერზე თბილისში აფხაზებიც ჩამოვლენ. (კიდევ ერთი საკითხი, რომელშიც ყველა ერთსულოვანი გამოდგა – ჩეჩნურ-ინგუშურ რეზოლუციაში ამგვარი წინადადება ცალკე პუნქტადაც კია შეტანილი – თბილისში საერთო კავკასიური სასწავლო პროგრამების შემუშავება. საერთო კავკასიური უმაღლესი სასწავლებლის აქვე დაარსებაზეც ბევრი ოცნებობს).

აფხაზეთის საკითხი ბნელ ჩრდილად ედგა კონფერენციის მსვლელობას, მის წინა და შემდგომ პერიოდს. ჩერქეზებისთვის აფხაზები ახლო მონათესავე ხალხია, ამიტომ მათ შორის სოლიდარობის გამძაფრებული გრძნობა არსებობს. ათასობით ჩერქეზი აფხაზეთის ომში მათ მხარეზე იბრძოდა. ერთ-ერთი ადილეური ორგანიზაციის მოპატიჟებული წარმომადგენელი, იაგანოვი თბილისში მორალური მოსაზრებებით არ ჩამოვიდა, რადგან ის აფხაზეთის ომის ვეტერანიცაა. თბილისურმა ინიციატივამ რუსეთის ფედ-

ერაციაში მცხოვრებ თუ დიასპორის ჩერქეზებს შორის აზრთა მკვეერი სხვადასხვაობა გამოიწვია. სასიხარულო იყო ადილეს ახალგაზრდული ორგანიზაციების რეაქცია, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის შესაძლო აღიარების ამბავს დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ჩერქეზულ ვებგვერდებსა და ფორუმებზე იმ დღეებში მიღწეული სიმძაფრით განიხილებოდა თბილისურ კონფერენციაზე ჩერქეზთა მონაწილეობის იდეა. აზრები მართლაც მკვეთრად იყო გაყოფილი. ზოგის აზრით, ჩერქეზების გენოციდი პირველად თბილისს არ უნდა ელიარებინა, ჩერქეზები კი თბილისში არც უნდა ჩამოსულიყვნენ; სხვები წერდნენ, რომ საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარებამდე ქართულ მხარესთან ჩერქეზებს სასაუბრო არაფერი აქვთ; ზოგი თვლიდა, რომ მთავარია, აღიარება მოხდეს, ვისი მხრიდან – ამას მნიშვნელობა არ აქვს (ამ პოზიციის შესახებ ქართულ ფორუმზე ვილაყამ მოსწრებულად შენიშნა, რომ ჩერქეზები მოდუნდნენ და სიამოვნების მისაღებად მოემზადნენ), თუმცა, შიგადაშიგ იყო ისეთი გამოხმაურებებიც, რომ არც აფხაზები არიან ანგელოზები და არ ღირს ქართველების დემონიზირება. ძალიან იშვიათად ადრე უფრო პროქართული პოზიციებიც შემხვედრია, მაგრამ ეს უფრო ბედნიერი გამონაკლისები იყო. საერთო დამოკიდებულებას კი მაინც ქართული განზრახვის მიმართ ეჭვი და გაღიზიანება ახლდა. ვფიქრობ, თუკი ჩერქეზთა გენოციდის თბილისში აღიარებას აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის პოზიციების დაშორება ჰქონდა მიზნად, ნაწილობრივ ეს შეიძლება ასეც მოხდეს. რაც უფრო ძლიერი იქნება ჩერქეზების რუსეთსაწინააღმდეგო მუხტი, განხეთქილების თესვას რუსული მხარეც დაინყებს.

12 აპრილს ვაშინგტონში, კარნეგის მშვიდობის ფონდში, აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების პრობლემების დიმიდონილი შეხვედრა გაიმართა. აფხაზეთის ჰუმანიტარული პროგრამების ხელმძღვანელმა ლიანა ყვარჩელიამ სამოქალაქო საზოგადოებაზე ნაკლებად ისაუბრა. სხვა პრობლემებთან ერთად ისიც გამოიკვეთა, რომ ბაღაფშის მიერ რუსეთთან ბოლო ხანებში დადებული კონტრაქტები ყველაზე ანტიქართულ ძალებსაც კი აშინებს. შეხვედრას თბილისის კონფერენციაზე ნამყოფი ვალერი ძუცვიც ესწრებოდა. მისმა კითხვამ, მხარს უჭერს თუ არა თბილისში ჩატარებულ კონფერენციაზე

წამოწეულ ინიციატივას, ლიანა ყვარჩელია საჩოთირო მდგომარეობაში ჩააგდო.

ჩერქეზების გააქტიურებასთან ერთად ახალი ტენდენციის ნიშნებიც გამოჩნდა: ზოგი აფხაზი ისტორიკოსი ახლა ადილელებს ისტორიულ მინებზე ედავება. შეიძლება ვინმეს სასიხარულოდ ეჩვენება, რომ ქართული მხარე, შეგნებულად თუ შეუგნებულად, რუსული უშიშროების ლაბორატორიებში შობილ ტენდენციებს იმეორებს. უკეთესი კი ის იქნებოდა, რეგიონში განხეთქილების თესვის ნაცვლად, ქართულ მხარეს ერთიანობის სულისკვეთების გაძლიერებაზე ემუშავა.

ამკარაა, რომ სწორედ აფხაზეთის საკითხზე დამოკიდებული ჩრდილო-დასავლეთი და აღმოსავლეთი კავკასიის ერთ აზრზე დადგომა. გამოტოვებულ, ხელიდან გაშვებულ შანსებზე, უბატებელ შეცდომებზე საუბარი ახლა ნავიანავია. ახალი რეალობა ისეთია, რომ სომხეთის გარდა, რუსულ სახელმწიფოს ყველაზე მყარად, მათ შორის ეკონომიკურად, ახლა აფხაზეთში აქვს ფეხი მოკიდებული. ახლა, თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზური მხარის გარდა, ამაში წილი ქართული მხარის შეცდომებსაც მიუძღვის, „სხვისა ჭირსა ზედა“ სიხარული მორალურად გაუმართლებელია. რა შეიძლება დღეს საინტერესოდ ესმოდეს აფხაზეთს საქართველოდან? იქნებ ის, რომ აფხაზმა ხალხმა დაიმსახურა, რომ მის დამოუკიდებლობაზე, უფრო ზუსტად კი, მის უფლებებზე, იყოს დამოუკიდებელი, საქართველოში დისკუსია მაინც არსებობდეს?

შარშან, როცა „პირველი კავკასიური“ შექმნის პერსპექტივა გახმაურდა, ეს არხი სულ სხვანაირად წარმომედგინა, და არა სტატიკურ, ბრუნვის დროინდელ ტელევიზიად. მეგონა, იქმნებოდა არხი, რომელიც ტელეხილების, ინტერაქტიული გადაცემების მეშვეობით კავკასიის სხვადასხვა კუთხეს (მსოფლიოს იმ ქალაქებს, სადაც კავკასიური დიასპორები არსებობს) ერთმანეთთან საინტერესო დისკუსიაში ჩააბამდა. გამოცდები, გვიან ღამით გოგი გვახარაის ძველი „სარკმლის“, „ფსიქოს“ მსგავსი გადაცემაც კი მქონდა წარმოდგენილი. ზოგი კავკასიელი ნაცნობის ძალზე დადებითი აზრით ვიცი ამის შესახებ, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდებშიც დიდ ენთუზიაზმს გამოიწვევდა.

ბავშვობაში ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ აფხაზეთში ოდესღაც რაღაც ძალიან ცუდი მოხდა, რასაც „მუჰაჯირობა“ ერქვა. ჩემთვის ეს მაგიური სიტყვა იყო, რომლის უკან ის

იდგა, რომ რუსეთისგან შევიწროებულმა მაკ-მადიანმა აფხაზეზმა თურქეთში ცხოვრება არჩიეს. სიმართლე კი ისაა, რომ ჩერქეზულ ტომებთან ერთად მუჰაჯირობის ყველა სიმწარე აფხაზეზმა თანაბრად გამოიარეს, რომ 1864 წლის დამარცხებისა და ხუთგზის მუჰაჯირობის შემდეგ 100 000 აფხაზეზმა იძულებით დატოვა საკუთარი მიწები; აფხაზეზსა და ჩერქეზებს, გარკვეული აზრით, შეუძლიათ ჩათვალონ, რომ ამ პერიოდში მათი და ჩვენი წინაპრები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იმყოფებდნენ. აქვე არც მათ უნდა დაავიწყდეთ, რომ იმხანად დამოუკიდებელი ქართული ნება არ არსებობდა. როცა ქართველი მოსახლეობის რიცხოვრებამ უპირატესობაზე ლაპარაკობენ, ქართველებს ასე ათასი აფხაზეზის დაკარგული შთამომავლობა არ უნდა დაავიწყდეთ, რომელთა ადგილი შემდეგ სხვებმა, მათ შორის ქართველებმაც დაიკავეს, შესაძლოა, იმ ძირძველი ქართული მოსახლეობის შთამომავლობასთან ერთად, რომელიც, როგორც ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე ასაბუთებს, უცხოური წყაროების თანახმად, აფხაზეზში ოდითგანვე სახლობდა. საინტერესოა იმის გარკვევა: შეიძლება კი გატყევის გამოტევა, შესაძლებელია კი ეკონომიკური მიზიდვლობის საფარველში აფხაზეზი ხალხის გადმოხრება? ამ ლოგიკის ავტორები ნუთუ იმას ელიან, როდის ააშენებს საქართველოს საზღვართან რუსული სახელმწიფო ქალაქებს? გამოდის, რომ მაშინ რუსეთის „წიაღში“ დაბრუნებაც შეიძლება; განა თავისუფლება ასე იაფად ფასობს? ამგვარი ვარაუდებით აფხაზეზს კიდევ ერთხელ ხომ არ ვაყენებთ შეურაცხყოფას? ამაზე ერთ-ერთი სტატიის ქვეშ აფხაზეზის მიერ დატოვებული კომენტარი მახსენდება: „აფხაზეზს ის რომ ეგრძნობ, საქართველოში მათზე ისე ფიქრობენ, როგორც თანასწორებზე, არა მხოლოდ ფიქრობენ, არამედ ასეც მოქმედებენ, მაშინ ეგებ საქართველოში სიამოვნებითაც ეცხოვრათ, მაგრამ სამწუხაროდ, კაცობრიობამ იარაღის ძალით საკუთარი ნების თავს მოხვევაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა“.

რამდენიმე დღის წინ ხორვატიის პრეზიდენტი სარაევოში ჩავიდა, ხორვატების მიერ დახოცილი ბოსნიელების მემორიალი გვირგვინებით შეამკო, ხორვატი ხალხის სახელით ბოდში მოიხადა და თითოეული ბოსნიელის სიკვდილის გამო მწუხარება გამოხატა. ეს კონფლიქტიც გასული საუკუნის 90-იან წლებშია მომხდარი, მაგრამ მისი ვიზიტის

ამსახველ სიუჟეტში კარგად ჩანს, ყოფილი მტრის ამ ნაბიჯს როგორი კეთილგანწყობით შეხვდნენ ბოსნიელები.

ბოდის მოხდის კამპანია „ჰატაზმაიტ“ წლების წინ ჩვენც წამოვიწყეთ. იმ 1451 ადამიანს, ვინც მისი იდეა გაიზარა და აფხაზეზისადმი მიმართვის ქვეშ თავისი ხელმონერა დატოვა, სულაც არ ჰგონიათ, რომ ქართული მხარე ერთმნიშვნელოვნად დამნაშავე იყო. მათ თავიანთი წილი დანაშაული და შეცდომები აღიარეს. სამაგიეროდ, ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქართველ პარლამენტარებს ეს ძალიან გაუჭირდათ. თუ როგორ გაუჭირდათ, ამის ნახვა კამპანიის საიტზეც შეგიძლიათ. განინმატებული ამომრჩევლის ხმებზე განინმატებას კარგი არაფერი მოაქვს. თუმცა, ვინ იცის, ეგებ მართლა ასეთია მათი პოზიცია. ძველი სატყეველია, რომელი სჯობს. ორივე შემთხვევაში გამოირჩეულია, რომ როცა შერიგებასა და გაერთიანებაზე საუბრობენ, მათი გულწრფელი განზრახვისა ვინმემ ირწმუნოს. „ჩვენ არ გვინდა იმის გამოვრება, რაც 1992-93 წლებში მოხდა... რატომ სურთ ევროპულ ქვეყნებს ნატო-ში გაერთიანება? იმისთვის, რომ მერე მშვიდად და უსაფრთხოდ უცხოვრებენ. ჩვენ ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ და მეგობრებთან მშვიდობიანი ცხოვრება გვსურს“ (ს.ბალაფში). სანამ თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერაზე უარს ვამბობდით, მოლაპარაკებებში მხარედ აღარ ვთვლიდით და რუსულ მხარესთან შეხვედრისას მხოლოდ დამსწრის სტატუსს ვანიჭებდით, ეს ხალხი კიდევ ერთხელ დავარწმუნეთ, რომ მშვიდობის მომტან მხარედ ვერ გამოვდგებით, მხოლოდ ისინი ვართ, ვინც მათი მომავალი ხელში რუსეთს ჩაუგდო.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიასთან დაახლოების პროცესში აუცილებლად წამოიჭრება და ყურადღება უნდა მიექცეს, საქართველოში ისლამის მიმართ დამოკიდებულებაა. ამ მხრივ სრულ გაუცნობიერებლობას, წარსულის ინერციით გამოყოფილ აგრესიას, შიშს და გაუცხოებას რამე თუ არ ეშველა, ასეთმა „დაახლოებამ“ შეიძლება ურთიერთგანაწყენება გამოიწვიოს და ათწლეულებით უკან დაგვიხოს. ჯერჯერობით კი ქვეყანაში, სადაც კანონიერ მფლობელებს კათოლიკური და სომხური ეკლესიების გადაცემაზე უარს ეუბნებიან, ქვეყანაში, რომელიც აჭარაში რამდენიმე ძველი მეჩეთის გამაგრება-აღდგენის სანაცვლოდ თურქეთისგან თვით ოპკის გამაგრების

წინადადებაზეც კი უარს ამბობს, და სადაც მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ მუსლიმი ქართველი „დეფექტური“ ქართველია, სანამ ყველა შესაძლო გზით მონათვლაზე არ დაითანხმებენ, ძნელია ის გაიკვირო, რომ თბილისში მხოლოდ ერთი მეჩეთია (რომელშიც, სხვა პერსპექტივის უქონლობის გამო, შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ – მართლაც იშვიათი შემთხვევა ამ ორი მიმართულების მუსლიმებს შორის – რაც თბილისური რჯულთშემწყნარებლობის გამოვლინებად სახელდება.) „მე ტარიელ ვარ. მამიკო ამბობს ეს დიდი სახელიაო. მამიკომ მითხრა ქართველმა უნდა იცოდეს ქართულად ნერაკითხვაო. ძნელი კი არ იყო ვისწავლე. მე ძალიან მიყვარს საქართველო. ის დახატულია. მე ვიყავ საქართველოში. მე ვნახე იქაური მინდვრები და ხალხიც ... მიხარია, რომ ქართველი ვარ. მე მინდა, მუდამ საქართველოში ვიყო... ომი რომ იყო, მამიკომ იტირა. მე და დედიკოც ავტირდით. მე ვიცი მამიკო რატი ტირიდა. იმას გული დენო რომ ქართველებს კლევდეს. არ დამავინყდების ის დრო. მე მიყვარს საქართველო“ (ტარიელ მულიანი, 7 წლის. მარტყოფი. ეს ფერეიდნის მარტყოფია, პატარა ბიჭი, რა თქმა უნდა, მუსლიმი).

სამუშაო მართლაც ბევრია, მაგრამ ყოველივე საინტერესო და ღირებული მხოლოდ დიდი ძალისხმევით შედეგად იბადება.

რამდენიმე თვის წინ ჯო ბაიდენმა რადიო „თავისუფლების“ ეთერში იეიტის ლექსი წაიკითხა, რომელიც აჯანყებულ ირლანდიას მიუძღვნა. გადაცემა კავკასიას, მათ შორის საქართველოს თემასაც ეძღვნებოდა. ბაიდენმა თქვა, რომ სიტყვები – „ყველაფერი შეიცვალა, შეიცვალა საბოლოოდ, დაიბადა შიშის-მომგვრელი მშვენიერება“ – ირლანდიაზე მეტად კავკასიას ესადაგება, – ეს მშვენიერება უდიდეს შესაძლებლობებს და უდიდეს საფრთხეს ერთდროულად გულისხმობს. ეს ძალიან რთული პერიოდი იქნება, ხიფათით აღსავსე, მაგრამ მასში შესაძლებლობა უფრო მეტია, ვიდრე საფრთხე... მსოფლიოს ეს რეგიონი ჩვენი შვილიშვილებისთვის ნამდვილ საზომად იქცევა. ამ საზომით განსაზღვრავენ ისინი, მივალნიეთ თუ არა წარმატებას 21-ე საუკუნეში, რეალურად შევცვალებთ თუ არა მსოფლიო. ამიტომ მგონია, რომ ამ რეგიონში პროგრესის შეფერხებით გამოწვეულ შედეგებს მთელი მსოფლიო იგრძნობს. ამიტომ, რომ ამ რეგიონს ამდენი ადამიანის ფიქრი უტრიალებს“.

კოპა

# მარჯანიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

დრამატული

# თეატრი



საქართველოს  
სახელმწიფო  
დრამატული  
თეატრი

იღია ჭავჭავაძის მიხედვით

## ლუარსაბ თათქარიძე

რეჟისორი გიგო შორღანია

ბანკის რესპუბლიკა



**BANK REPUBLIC**


საქართველოს ბანკი

საინჟინრო პრაქტიკა




საინჟინრო პრაქტიკა

საინფორმაციო ტექნოლოგიები







[www.marjanishvili.ge](http://www.marjanishvili.ge)



# ბაბიო

<<< ღსსსწყისი ზვ. 120

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში ერთ-ერთი პოლიტიკური შიმშილობის დროს მოშიშნულეები ცუდად რომ გახდნენ, თითქმის მთლიანად აღმიდგა მესხიერებაში დიდი ხნის დავინწყებული იური ბაბიოს შესანიშნავი ნაშრომი „პოლიტიკური შიმშილობის პრინციპები“, რომელიც ხელნაწერში მაქვს ნაკითხული (მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მანვალეზდა უკრაინული ენა და ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად ხან ვალოდია დელედიკასთან გავრბოდი და ხანაც გრიშა ნიჩიპორენკოსთან). ამ, მე ვიტყვი, უკვდავი ნაშრომის, პოლიტიკური პროტესტის ამ ერთ-ერთი ქმედითი იარაღის სახელმძღვანელოს ძირითადი დებულებები მრავალგზისი და მრავალდღიანი სველი თუ მშრალი შიმშილობის დიდოსტატ პატიმარს საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი.

ბაბიოს მიხედვით, შიმშილობა, ანუ როგორც იგი მას ახასიათებდა, „არაძალადობრივი ბრძოლის დედოფალი“ სულ სამი სახისაა, ჩვეულებრივი (ნებისმიერ საკვებზე უარის თქმა), მშრალი (საკვებთან ერთად წყალზე უარის თქმა) და ნაწილობრივი (თითქმის ყველაფერზე უარის თქმა, მაგალითად, მხოლოდ „ცოტა პურსა და წყალზე“ გადასვლა ან გა-

რკვეულ საკვებზე უარის თქმა, მაგალითად, „სახელმწიფო პროვიზიაზე“ უარის თქმა და მხოლოდ ნათესავების მიერ გამოგზავნილი ამანათებით დაკმაყოფილება – შიმშილობის ამ სახეობას ქართულ ციხეებში წლების განმავლობაში მიმართავდნენ ქართველი პოლიტპატიმრები. ზვიად ძიძიგურს ჩემთვის არაერთგზის უთქვამს, – ციხის საკვების გემო არც ვიცი, არც მე და არც სხვა ზვიადისტები სახელმწიფო პროვიზიას საერთოდ არ გავკარებოვართო).

ბაბიო შიმშილობის ოთხ მიზეზს ასახელებდა: პოლიტიკურს, სოციალურს, ეკონომიკურსა და პირადს. დაბოლოს, მონანილეთა რაოდენობის მიხედვით და აღიარებული კლასიფიკაციით, შიმშილობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური და მასობრივი.

მშრალი შიმშილობის (აბსოლუტური შიმშილობის) სამი დღის შემდეგ ორგანიზმში იწყება კეტოზის პროცესი (სახელგანთქმული უნახშირწყლო ანუ ატკინსის დიეტის ადეპტებმა კარგად იციან, რომ ამ შემთხვევაში ენერგეტიკულ სანვავად ორგანიზმი გამოიყენებს არა ლეიქში დაგროვილ გლუკოგენს, არამედ საკუთარ ცხიმს), თუმცა სამი-ოთხი დღის მშრალი შიმშილობა საშიში არ არის, რადგან ორგანიზმი ისედაც გამოიყოფს ყოველდღიურად ერთ ლიტრამდე ენდოგენურ წყალს

ციხიების დაშლის შედეგად, მხოლოდ 5 დღის მშრალი შიმშილობის შემდეგ ორგანიზმში იწყება შეუქცევადი პროცესები, უპირველეს ყოვლისა, დარტყმის ობიექტი ხდება თირკმელი, ღვიძლი და გული.

ბაბიოს მიხედვით, ხანგრძლივი და „ნაყოფიერი“ პოლიტიკური შიმშილობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შიმშილობის პირველი სამი დღე მშრალი იყოს, ხოლო მეოთხე დღიდან დაიწყოს სასმელი წყლის მიღება.

იმისთვის, რომ ორკვირიან შიმშილობას კარგად გაართვა თავი, საჭიროა, მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული გქონდეს ერთ, სამ და შვიდდღიანი შიმშილობები. შიმშილობის მოსამზადებელი ერთთვიანი პერიოდი ყველა პატიმარმა უნდა გაიაროს. იგი იწყება ერთდღიანი შიმშილობით, მაგალითად – რომელიმე ორშაბათს. შემდეგ კვირაში კვლავ ერთდღიანი შიმშილობა (ისევე ორშაბათი), მომდევნო კვირას უკვე სამდღიანი (ორშაბათი-ოთხშაბათი), ხოლო კიდევ ერთ კვირაში – შვიდდღიანი (ორშაბათი-კვირა). მხოლოდ ასეთი მოსამზადებელი ერთი თვის შემდეგ არის მზად პატიმარი ახალი გამოცდისათვის, სამდღიანი მშრალი შიმშილობისთვის. თუკი ადამიანს გამოცდილი აქვს შვიდდღიანი შიმშილობა და სამდღიანი მშრალი შიმშილობა, იგი მორალურად და ფიზიკურად მზადაა ორკვირიანი შიმშილობისთვის, რომლის პირველი სამი დღე მშრალი იქნება. იური ბაბიოს მიხედვით, ასეთი განსაცდელის შემდეგ ადამიანი მზადაა 45-დღიანი შიმშილობისთვისაც კი. მისი პირადი რეკორდი 63 დღე იყო, და ეს ორთვიანი შიმშილობა მან საიდუმლოდ, გამოუცხადებლად ჩაატარა, ვინაიდან საბჭოთა პენიტენციური სისტემა პოლიტიკურ შიმშილობას არ აღიარებდა და გამოცხადებიდან ერთ კვირაში მოშიშნულის იძულებით კვებაზე გადადიოდა (ამბობენ, რომ სწორედ ასეთი „კვების“ დროს „შემოაკვდათ“ „კაგებეს“ ჯალათებს 1986 წლის 8 დეკემბერს ჩისტოპოლის ციხეში ადამიანის უფლებებისთვის დაუცხრომელი მეზობელი ანატოლი მარჩენკო, რომელსაც ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის 15 წელი ჰქონდა მისჯილი. მარჩენკო აღმოჩნდა ყოფილი სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე და იმ მომენტისთვის 70-ე მუხლით სასჯელმისჯილი მილიონობით ადამიანი-

დან უკანასკნელი საბჭოთა პოლიტიკატი-მარი, რომელიც ციხეში გარდაიცვალა).

1986 წლის 23 სექტემბერს თეთრი სახლის წინ შიმშილობა დაიწყო ამერიკელმა ასტროფიზიკოსმა ჩარლზ ჰაიდერმა, რომელმაც, საბჭოთა ტელევიზიას თუ დაფუჯვრებთ, 218 დღე იშიმშილა. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ჰაიდერის და საბჭოთა ჩეკისტი „ჟურნალისტის“, ვაშინგტონში „გოსტელერადიო“ს კორესპონდენტის, ვლადიმირ დუნაევის მიერ შექმნილი მითი იყო (ჰაიდერი იშვიათად ჩნდებოდა თეთრი სახლის წინ, მაგრამ შიმშილობის პერმანენტულობის ილუზიის შესაქმნელად ჟურნალისტი დუნაევი ამერიკელი მეცნიერის გამოჩენისთანავე რამდენჯერმე გადაიღებდა ხოლმე რეიგანისგან განიარაღების მომთხოვნ მოპროტესტე ასტროფიზიკოსს და ამისთვის თავად კოსტიუმებს იცვლიდა ხოლმე. დიდი ხნის შემდეგ მამის აფიორის შესახებ საზოგადოებას დუნაევის შვილმა ამცნო). ეს საბჭოთა კავშირში იმდენად გახმაურებული პიარ-აქცია იყო (ამერიკაში მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება), რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, მიხაილ გორბაჩოვმა ამერიკელ „დისიდენტს“ მხარდაჭე-

რის წერილიც კი მისწერა (ამას ხელი არ შეუშლია ამერიკელი პროფესორისთვის რამდენიმე ხნის შემდეგ მკვეთრი ანტი-საბჭოთა პოზიციით გამოსულიყო). ჰაიდერი, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ შიმშილობდა, თუმცა ჭარბი წონის გამო, ექიმები ძალიან მკაცრ დიეტას ურჩევდნენ. ბაძიომ ერთი შეხედა საინფორმაციო გადაცემა „ერემიაში“ ამერიკელ „დისიდენტ“ დოქტორ ჰაიდერს და განაცხადა, – ეს კაცი არ შიმშილობს, სახეზე ანერია, წვეწებსა და ვიტამინებზე ზისო.

იური ბაძიო 1988 წელს გადასახლებიდან გათავისუფლდა და გადავიდა კიევში, სადაც დაიწყო კომუნისტური პარტიის ოპოზიციური, დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება.

1990 წლის გაზაფხულისთვის ბაძიომ შეიმუშავა დოკუმენტი „უკრაინის დემოკრატიული პარტიის მანიფესტი“. 1990 წლის 14 მაისს კიევში ჩატარდა დემპარტიის ჩამომყალიბებელი კონფერენცია, რომელმაც გადაამუშავა ბაძიოს მანიფესტი და მიიღო – როგორც დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტი. 1990 წლის 15-16 დეკემბერს დამფუძნებელ ყრილობაზე იური ბაძიო აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელად.

როგორც კი თავისი ქვეყნის ისტორიაში მეორე პარტიის ჩამოყალიბების საქმე ბოლომდე მიიყვანა, 1992 წლიდან წავიდა პოლიტიკიდან. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბაძიოს დაუბრუნეს მისი წიგნის ხელნაწერი და მან თავისი ცხოვრების მთავარი საქმე, როგორც იქნა, დაასრულა – „სიცოცხლის უფლება“ გამოსცა 1996 წელს. ეს მეოცე საუკუნის წიგნებიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული წიგნია და უკვე თარგმნილია მსოფლიოს ოც ენაზე. 2005 წელს უკრაინის პრეზიდენტმა იუშჩენკომ იური ბაძიოს გადასცა სპეციალური მედალი დამსახურებისთვის (მართალია, მხოლოდ მესამე ხარისხის, სამაგიეროდ, პირველი ხარისხისა სულ სხვა ხალხს ერგო).

ამჟამად იური ბაძიო მუშაობს სამეცნიერო თანამშრომლად უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. შესაძლოა, ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა არც იცოდეს, თუ რა ადამიანის გვერდით უწევთ ცხოვრება და შრომა. ჩვენ, უბრალო მოკვადეებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, კაცი გამოუცხადებლად 63 დღე რომ იშიმშილებს, რამდენ რამეს გააკეთებს ზედმეტი აფიშირების გარეშე.

**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სივრული ოფსეტური ბაჭღვა**  
ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



**რადიო „ნაცნობი“ გეკატეხებათ  
კლუბში „ნაცნობი“**

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



MON  
group

UPgrade  
Your  
Life



[www.mon.ge](http://www.mon.ge)





არ დაგავიწყდეთ  
ქულები  
დაბროვება



100-ზე მეტი კომპანიის 700-მდე ობიექტში

საინფორმაციო ცენტრი (822) 555 222

[www.unicard.ge](http://www.unicard.ge)